114
1954/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგზავრი

2

თებერვალი

1954

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ფდ

მნათობი

6638

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

ფელიეტონი ოცდამეთერთმეტე

2

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

19 ს ა ხ ე ლ გ ა მ ი 54
თ ბ ი ლ ი ს ი

საჯარო
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი

ალიო მირცხულავა

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აგიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბენაშვილი, ნიკო კეცხოველი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ფილაია.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲘᲚᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲕᲘᲚᲘ

ᲒᲖᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐ

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲐ 4 ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ, 8 ᲡᲣᲠᲐᲗᲐᲓ

ᲕᲣᲫᲚᲕᲜᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲕᲐᲟᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲐᲡ.

★

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲜᲘ ᲞᲘᲠᲜᲘ:

ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ — ᲛᲔᲤᲔ ᲥᲐᲠᲗᲚ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡᲐ, 45 Წ.
ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ — ᲨᲣᲐᲮᲜᲘᲡᲐ.
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲭᲐᲑᲣᲙᲘ.
ᲛᲐᲮᲐᲠᲔ — ᲠᲔᲕᲐᲖ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲧᲛᲐ.
ᲛᲐᲘᲙᲝ — ᲛᲐᲮᲐᲠᲔᲡ ᲓᲐ.
ᲛᲖᲔᲥᲐᲚᲐ — ᲛᲐᲮᲐᲠᲔᲡ ᲡᲐᲪᲝᲚᲔ.
ᲜᲔᲜᲔ — ᲛᲐᲮᲐᲠᲔᲡ ᲓᲔᲓᲐ.
ᲝᲚᲔᲒ ᲡᲔᲓᲝᲕᲘ — ᲠᲣᲡᲘ, ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲛᲡᲮᲛᲔᲚᲘ.
ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ — ᲡᲞᲐᲡᲐᲚᲐᲠᲘ.
ᲠᲣᲡᲗᲐ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ — ᲨᲣᲐᲮᲜᲘᲡᲐ.
ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲛᲐᲘᲝᲠᲘ — ᲠᲣᲡᲗᲐ ᲠᲐᲖᲛᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ.
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲮᲐᲜᲨᲘ ᲨᲔᲡᲣᲚᲘ.
ᲐᲛᲘᲚᲐᲮᲕᲐᲠᲘ — ᲡᲐᲮᲚᲗᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘ.
ᲠᲔᲕᲐᲖ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲞᲐᲐᲢᲐᲡ ᲙᲐᲪᲘ, ᲥᲐᲠᲗᲚᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ.
ᲞᲐᲐᲢᲐᲡ ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ — ᲨᲣᲐᲮᲐᲜᲘᲡᲐ.
ᲩᲐᲚᲐᲑᲮᲐᲜᲘ — ᲡᲞᲐᲠᲡᲗᲐ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ, ᲒᲐᲜᲯᲘᲡ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ.
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲘ — ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ.
ᲩᲐᲚᲐᲑᲮᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲯᲘᲛᲐᲜᲘ.
ᲓᲐᲕᲠᲘᲨᲔᲑᲘ.
ᲡᲐᲭᲣᲠᲘᲡᲘ.
ᲔᲚᲘᲑᲝ.
ᲔᲠᲔᲙᲚᲔᲡ ᲙᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘ.
ᲩᲐᲚᲐᲑᲮᲐᲜᲘᲡ ᲨᲘᲙᲠᲘᲙᲘ.
ᲞᲐᲐᲢᲐᲡ ᲛᲔᲑᲝᲠᲜᲔ.
ᲐᲛᲘᲚᲐᲮᲕᲠᲘᲡ ᲩᲐᲤᲠᲔᲑᲘ.
ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲑᲘ.
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲘ ᲛᲮᲔᲓᲠᲔᲑᲘ.
ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲘᲮᲝᲕᲜᲔᲜᲘ.
ᲢᲧᲕᲔᲔᲑᲘ.
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘ, ᲒᲚᲔᲮᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ, ᲮᲐᲚᲮᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მოქმედება

სურათი პირველი

ჩალაბხანის სასახლის დარბაზი განჯის ციხე-ქალაქში, ფერადი შუშის ფანჯრებითა და აღმოსავლური ჭაღებით შემკული. კედლები და იატაკი ძვირფასი ხალიჩებით არის მოფენილი. დარბაზის აივანი ციხის სათოფურებიან ბურჯებსა და გალავანს გასცქერის. აივნის მოაჯირთან და დარბაზის გასასვლელებში შუბოსანი სპარსელი მცველები გაქვავებული დგანან.
ფარდის ახდისას იდუმალი რამ შიშით შეპყრობილი, ცაში ხელებშემართული ჩალაბხანი ქანდაკებასავით უძრავად დგას შუა დარბაზში. მის ირგვლივ პირქვე დამხობილა თეთრი სამოსელით შებურვილი შვიდი ფეხშიშველი დავრიში, რომელნიც ჯერჯერით წამოიჭრებიან ზეზე და თითქოს უხილავ ბოროტ სულს იგერიებენო, გონმიხდილნი გაჰკივიან.

I დავრიში — ეხედუ ელა! (ისევ პირქვე დაემხო).
II დავრიში — ეხედუ ალლა! (ისევ პირქვე).
III დავრიში — ეხედუ ელე! (ისევ პირქვე).
IV დავრიში — ეხედუ ილა! (ისევ პირქვე).
V დავრიში — ვალა, ილა! (ისევ პირქვე).
VI დავრიში — ყაჩდურ, ბეშდურ! (ისევ პირქვე).
VII დავრიში — ყაჩდურ, ბეშდურ! (ისევ პირქვე):
ჩალაბხანი — ისლამუნ შეერთი ყაჩდურ, ბეშდურ!..
დავრიშები — (ერთხმად) ყაჩდურ, ბეშდურ!.. ვალლაჰ ილა!..

(ზეზე წამოცვივდნენ. ჩალაბხანის ირგვლივ უცნაური პრანჭვა-როკვა დაიწყეს).

ჩალაბხანი — (მკაცრად) ვეთე ალაა ჯედ დუქე, ვეელა ილაჰე!
(დავრიშები შესდგნენ, ჩალაბხანს მიაშტერდნენ).
ჩემი სიზმარი ამიხსენით, შავი სიზმარი!
ორი ვარსკვლავი, ერთი დიდი, ჩრდილოეთისა,
მეორეც იქვე, კუდიანი, მცირე ვარსკვლავი, —
ორივე ერთად მეხივით რომ თავზე დამატყდნენ...
დიდი ვარსკვლავი რომელია? ილოცეთ ღმერთი!
ის, კუდიანი რალა არის! ევედრეთ ალლაჰს!
გამაგებინეთ, რას მიქადის ორივე ერთად?

დავრიშები — (ერთხმად) ელა ალა ელე ილა!

ჩალაბხანი — ჰოდა, რასა სწერს ცაზე ჩემი ბედის მწერალი?

I დავრიში — დიდი ვარსკვლავი, ჩრდილოეთით რომ ნახე ცაზე,
ეს რუსეთია. დიდო ხანო, ნუ გეწყინება!
მეორე. მცირე, კუდიანი, — მეფე ერეკლე...
უფრთხილდი, ხანო, ორივენი თავს არ დაგატყდნენ!

ჩალაბხანი — (შემკრთალი ჩასცქერის თვალებში)
გულთმისანი ხარ, ვარსკვლავების წიგნის მკითხველი...
დღეიდან პირველ დავრიშ ბაშად ამირჩევიხარ!

I დავრიში — ეხედუ ელა!

დავრიშები — (ირგვლივ როკვით უვლიან, ერთხმად გაჰკივიან)
ყაჩდურ, ბაშდურ... ვალლაჰ ილა!..
(დარბაზის ოთხივ კუთხივ გაიკრიფებიან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — (მარტო, შეშინებული მისჩერებია ჭერს)
დიდი ვარსკვლავი ჩრდილოეთის... მეორე — მცირე...
გულთმისანია... (იძახის) ციციშვილი სად დაიკარგა?
თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — (უმალ შემოვიდა) მე მეძახოდით?
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — (თარჯიმანს) ჩრდილოეთის დიდი ვარსკვლავი გაგიგონია?
თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — არა, ხანო!
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — არც კუდიანი?
თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — (გაშტერებული) არც კუდიანი... არც უკუდო...
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — მაშ, გაეთრიე!
და ციციშვილი მომიყვანე, ეხლავე, ჩქარა!
(თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი გადის).
დიდი ვარსკვლავი ჩრდილოეთის... ერეკლე მეფე...
(შემოდის ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი განაგრძობს, თითქოს მას ესაუბრება).
თვითონ სპარსეთში გაიზარდა, იქვე დაკაცდა,
მას ნადირშაჰი როგორც თავის ბოკვერს ჰგეშავდა,
და ეხლა სპარსეთს გადაუდგა, რუსზე გაგვცვალა?!
სურს გურჯისტანში მათმა მოდგმამ გაიდგას ფესვი,
რომ ათაპაპით დახარჯული სპარსთა ამაგი,
როგორც ნაცარი ქარს მისცეს და წყალს გაატანოს...
ავ კაცს სიავე არ ასვენებს თავის ოჯახშიც, —
თვით უკეთ იცი — რაც დაგმართათ მთელს თავადობას,
ვით ჭიანჭველებს თქვენს ყმებს დიახ, ფრთები შეასხა,
თქვენ კი, დაკოდილ ვირებივით კარზე დაგაბათ!..
ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — სწორედ ეგრეა... ყმები ლამის თავზე დაგვასხა,
გაროზგვას გვიშლის, გაყიდვაზე უარი გვითხრა,
მიწის ღალა და სასურსათო გაგვინახევრა...
ეს არაფერი, — თურმე ლევან ბატონიშვილი
ერეკლეს ურჩევს ბატონყმობის სრულიად მოშლას,
როგორც დაწესდა ქიზიყსა და ფშავ-ხევსურეთში!
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — ჩანს, შვილი მამას ეცილება, გლეხობის გულში
რომ დაიმკვიდროს სიყვარული საშვილისშვილო...
იქნება ამ გზით მოახერხოთ შუღლის ჩაგდება
მათ შორის, როგორც არა ერთხელ მომხდარა უწინ!..
ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — ერეკლე ლევანს არ გასწირავს, თუნდაც რომ შვილმა
საკუთარ ხელით ორივ თვალი შანთით ამოსწვას.
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — იქნებ უფლისწულს მამის ტახტზე სულმა წასძლიოს?
ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — არც ეგ მოხდება, ლევანს ტახტი, ჩანს, არ იზიდავს,
არც სხვა დიდების ტრფიალება ურევს გონებას...
რამ შეაყვარა ეს გლეხობა, ყველას გვაოცებს!
ერთთავად მათთან იმყოფება ტყეში, მინდორში,
ღამესაც მათთან ათევს ხშირად, მათთან ნადიმობს,
ჩვენთან კი პურის გატეხვასაც არა კადრულობს!..
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — რაკი ასეა, მაშინ ერთი გზა დაგრჩენიათ,
მამასთან ერთად უფლისწულსაც დაუგეთ მახე
ისე, რომ სიკვდილს ვეღარც ერთი ვერ წაუვიდეს...
(შემოდის თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი. იგი ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი ს წინაშე მუხლებზე დაეცა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — ალლაჰი იყოს, დიდო ხანო, თქვენი მფარველი...
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — მოკლედ მოსჭერი, ძაღლის ენა ნუ გამოაგდე!
თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — ვარ თქვენი მონა, სიკვდილამდე თქვენი ერთგული...
ინგლისელ ვაჭრებს საჩუქარი უნდათ მოგართვან,
თან საიდუმლო რაღაც გითხრან, — მეტად საჩქარო!

ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — ინგლისელ ვაჭრებს? აქ, განჯაში... მერე, საიდან!?
თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — ასე სთქვეს, — რუსეთს ვიყავითო, მეტად ჩქარობენ!
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — ნამდვილად რუსეთს ვიყავითო?.. საგულისხმოა!..
(ციციშვილს) მცირე ხანს მარტო უნდა დავრჩე...
(თარჯიმანს) საჭურისს მიხმე!
(ისევ ციციშვილს) გაჩვენებ, როგორ ვუვლი ქართველ
მზეთუნახავებს,
ვარდის წყალში რომ ბანაობენ გურიებივით!
(შემოდიან თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი და ს ა ჭ უ რ ი ს ი).
როგორც მხედარი არაბულ ცხენს მაშინვე იცნობს,
ისეა ჩემი საჭურისიც, იცის, რომელ ქალს —
რომელი ქალი რით სჯობია ჰარამხანაში...
მიტომ ვინახავ... (საჭურისს) წადი, სტუმარს გაუძეხ ბაღში,
ნახოს ჩემი მზე, მტკავლიანი წარბ-წამწამებით,
ბატონიშვილმა პაატამ რომ გამომიგზავნა!
(თავდახრილმა ს ა ჭ უ რ ი ს მ ა გზა მისცა ც ი ც ი შ ვ ი ლ ს და თვითონაც უკან მიჰყვა. ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ მ ა თ ა რ ჯ ი მ ა ნ ს ჰინით შელებილ წვერში ჩაავლო ხელი).
სტუმარს როს ჰხედავთ, მუცლით უნდა გაეკრათ მიწას,
კალთა მიკოცნოთ და შიშისგან წამხდარნი თრთოდეთ,
რომ მანაც იგრძნოს ჩემთან თავის არარაობა!
წადი და ეხლა დამიძახე ინგლისელ ვაჭრებს!
თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — ვნახოთ რა ტყუილს და რა ფასად გაასაღებენ!..
(გადის).
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — (კრიალოსანს დაუწყო მარცვლა)
ვერცა სპარსეთი, ვერც ოსმალო. ვერც ორნივ ერთად
ვერ მოღუნავენ საქართველოს ერთი წამითაც,
თვითონ ქართველნი ერთმანეთს რომ ასე არ სჭამდნენ...
ჩვენ რაღას ვკარგავთ, ცეცხლზე თივა... თივა და ცეცხლი!..
(შემოდიან ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი ვ ა ჭ რ ე ბ ი, რომელთა საჩუქრებს — ორ დიდ ბოღჩას, თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი ს ფეხებთან დასდებს).
I ვ ა ჭ ა რ ი — დიდება დიდ ხანს, განჯის მფლობელს, შაჰის თანატოლს!
II ვ ა ჭ ა რ ი — დიდება დიდ ხანს — მტრის რისხვას და მოკეთის მფარველს!
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — სალამი დიდი კუნძულეთის განთქმულ სოვდაგრებს!
I ვ ა ჭ ა რ ი — ეს მცირე ძღვენი ბრიტანეთის მეფემ მოგართვათ;
კუნძულებს გარდა მის ხელშია ზღვათა მეფობა,
ხომალდებს მისას შეკრული აქვთ ხმელეთის ძირი!..
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — შორით გვსმენია ზღვათა მეფის დიდი სახელი,
იყოს მზეგრძელი, ჰქონდეს ზღვაც და მიწაც მრავალი...
რამ შეგაწუხათ, იქნებ გზაში მტერი დაგესხათ,
ან ჩემს სახანოს მცხოვრებთ რამე მოგაგეს წყენა!

I ვაჭარი — არცა საჩივრით გეახელით, არც სათხოვნელად,
გვსურს უყიდველი მეგობრობა შემოგთავაზოთ!
ჩალაბხანი — ხელი ხელსა ჰბანს, არ ვარგანან უერთმანეთოდ!..
II ვაჭარი — რუსეთის გზაზე, ამტრახანში ვნახეთ ერთი რამ,
რაც შეიძლება სპარსეთს თავზე მეხად დაატყდეს,
თუ უსწრაფესად არ ჩაშალეთ მტრის შავი ზრახვა...
ჩალაბხანი — ალლაჰი იყოს თქვენი შემწე და მწყალობელი!
I ვაჭარი — დიდი ხანია, ალბათ, ჰხედავთ, რუსული ტალღა
როგორ თანდათან სამხრეთისკენ მოექანება...
იქით ოსმალეთს ემუქრება, — შავს ზღვას მოადგა,
აქეთკენ, — ლამობს გადმოლახოს კავკასიონი,
და თუ ეს მოხდა, მერე თქვენი მზე ჩასულია!
ჩალაბხანი — სიბრძნით ნაქებმა — ქერიმხანმა ეს კარგად იცის,
ისიც შეიტყო, საქართველოს ვერაგი მეფე
ფარულად როგორ ქსელავს კავშირს რუსთა მეფესთან,
რომ თავის ხალხის ბედი მის ხალხს დაუკავშიროს;
მაგრამ სანამდე იგი რუსებს კარს გაუღებდეს,
თვით მას დაამხობს უეცარი სიკვდილის ხელი!
II ვაჭარი — როგორ თუ სანამ იგი რუსებს კარს გაუღებდეს?!
დიდი ხანია მან ეს კარი მათთვის გააღო!
I ვაჭარი — ჩვენ ვნახეთ თვითონ ჩვენი თვალით რუსეთის ელჩი,
ამტრახნის გზაზე მიმავალი საქართველოსკენ!
II ვაჭარი — ხუთასი კაცი მცველი ახლდა თოფ-ზარბაზნებით!..
I ვაჭარი — აბა, თქვენ ბრძანეთ, — რად უნდოდა ხუთასი კაცი?!
II ვაჭარი — ან ზარბაზნები რისთვის მიაქვს საქართველოში?!
I ვაჭარი — ეს რაც ჩვენ ვნახეთ... და ვინ იცის, რაც არ გვინახავს,
რამდენი ჯარი მიდის იქით, ან საჭურველი!..
II ვაჭარი — საქმე ის არის, რომ რუსეთის ელჩის იქ ჩასვლა
მათი კავშირის შეკვრას ნიშნავს სამარადჟამოს
და დარიალის კარის გახსნას ჩრდილოეთისთვის,
რაც სპარსეთს ზურგში სასიკვდილო მახვილს უმიზნებს...
ამიტომ, ვიდრე მოასწრებენ შეკავშირებას,
რაც წელან ბრძანეთ, უმალ საქმედ უნდა აქციოთ.
I ვაჭარი — თქვენ თვითონ ჰხედავთ, მეგობრობა გვალაპარაკებს!
ჩალაბხანი — მერწმუნეთ, ორგზის გადაგიხდით სამაგიეროს.
(თარჯიმანს).
ომარბეგს უთხარ ეხლავ ორი ფარჩის ხალათი
ოქროქსოვილით მოქარგული მოართვას სტუმრებს!
(თარჯიმანი გადის.)
ეს სულ ერეკლეს ოინია თავით ბოლომდე,
შხამად ექცევა, რაც სპარსეთში შარბათი უსვამს!..
(შემოდის ომარბეგი, ინგლისელ ვაჭრებს მოწიწებით მიართმევს ხალათებს).
I ვაჭარი — (ჩალაბხანს მდაბლად უკრავენ თავს)
II ვაჭარი — დიდი მადლობა!
I ვაჭარი — მუდამ გქონდეთ ჩვენი იმედი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

II ვაჭარი — ჩვენი კი არა, ზღვათა ქვეყნის დიდი მეფისა!
რომელსაც ძილშიც არ ასვენებს რუსეთზე ფიქრი...
მოგცეთ მახვილი, მტერზე მუდამ გამარჯვებული!

I ვაჭარი — სავსე ხაზინა, უძლეველი ომში ლაშქარი!
(ვაჭრები მიდიან, ჩალაბხანი მიაცილებს).

ჩალაბხანი — ალლაჰი იყოს თქვენი შემწე, გზა მშვიდობისა!
(ინგლისელი ვაჭრები და ჩალაბხანი გადიან. დარბაზი მცირე ხანს ცარიელი რჩება. საუბრით შემოდიან ჩალაბხანი და ციციშვილი).
დაგვიანება, როგორც ჰხედავ, ჩვენს გეგმას ჰფუშავს,
ამიტომ ეხლავ, ამ ღამესვე უნდა წახვიდე.
პაატას უთხარ, თუ სწადია ქართლის მეფობა,
ფეხს ნულარ ითრევს, თორემ თუკი ერეკლემ ბეჭდით
ხელშეკრულება დაამოწმა რუსთა მეფესთან,
მერე გინდ გახდეს და გინდ არა პაატა მეფედ, —
იმ ბეჭდის ძალით რუსეთი ჩვენ ხელებს შეგვიკრავს!..

ციციშვილი — რაღა თქმა უნდა! დღესვე წავალ, რაკი ეგრეა...

ჩალაბხანი — გარდა ამისა, თუ პაატას ნამდვილად უნდა
ქერიმხანს თავის ერთგულება საქმით უჩვენოს,
ჩახვალ თუ არა, სამ-ოთხ დღეში და არა გვიან,
თორმეტი ქალი — თორმეტივე ქართლის მშვენება,
როგორც ყოფილა დღემდე წესად, გამოუგზავნოს!..

ციციშვილი — (ლაქუცით) გონჯნი-ღა დარჩნენ, დიდო ხანო, ქართლში ქალები,
ვინც კარგი იყო, რახანია სპარსეთს გავგზავნეთ...

ჩალაბხანი — საქართველოში ტურფა ქალი არ დაილევა,
როგორც ვენახში შემოდგომით სავსე მტევანი!..
მონახეთ, თვითონ დაიარეთ ყველგან კარიკარ;
ქერიმხანს უყვარს ჩანგზე მღერა ქართველ ქალისა,
მერე სავნებო, მათრობელა მისი ალერსი...

ციციშვილი — თვითეულ სოფელს ჩამოვივლი, თვითეულ ეზოს,
თუ სადმე დარჩა გლეხის ქალი ფერხორციანი,

თარჯიმანი — (ციციშვილს მოულოდნელად თავს წაადგა)
ცხვრის ხორცს ხოხბისა სჯობიაო, ასე ამბობენ...
გლეხის ქალი თუ არ იქნება, განა ქერიმხანს
თავადის ქალი უფრო წამლად არ შეერგება?..

ციციშვილი — (სიტყვა აერია)
რატომაც არა... მაგრამ... დიახ... რატომაც არა!

ჩალაბხანი — არა და, შაჰის რისხვას ველარ გადაურჩებით...
ერეკლე მეფეს ვაცნობებო მაგათ მზაკვრობას, —
აი, რა მითხრა ამას წინათ განრისხებულმა!
იცოდეთ, იზამს... ამდენ ყოყმანს აღარ დაგაცლით,
მერე ერეკლე რას დაგმართებთ. — შენ თვითონ იცი!..

ციციშვილი — (შეწუხებული)
მეტი რაღა ვქნა, საკუთარი ქალი მივართვი!..
ამაზე მეტი ერთგულება რაღა იქნება?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲗᲐᲠᲯᲘᲛᲐᲜᲘ — (მოურიდებლად) რასა ცბიერობ?.. უკეთესი შინ რომ დამალე!?

(ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲡ, თითქოს დანაშაულზე მიუსწრესო, მოიბუზება).

ᲩᲐᲚᲐᲑᲮᲐᲜᲘ — (ცბიერად) მართლა! ამბობენ უკეთესი შინ დაგრჩენია, ჩემს სიძობაზე, დავიჯერო, უარს იტყოდი?!.

(თვალებში მიაჩერდა).

ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ — (თავგზააბნეული) არ დაიჯერო, დიდო ხანო... მე ის შარშანვე გარდამეცვალა უბედური... სახადისაგან!..

ᲗᲐᲠᲯᲘᲛᲐᲜᲘ — გარდაგეცვალა ის კი არა, მეორე ცოლმა ამირაჯიბის შვილი გერად რომ მოგიყვანა!

ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ — (აენთო) რას ჩამაცივდი!?

ᲗᲐᲠᲯᲘᲛᲐᲜᲘ — (ენამწარედ) მოწამლაო, — შენზე ამბობენ!..

ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ — (ხანჯალზე გაიკრა ხელი) ხმა! თორემ აქვე გაგათავე! (ჩალაბხანს) ვინ ოხერია?! ჩემზე უკეთეს როგორ იცის ჩემი ოჯახი!!!

ᲩᲐᲚᲐᲑᲮᲐᲜᲘ — ნუ გაცხარდები... ჩემს თარჯიმანს იმით ვაფასებ, ენასთან ერთად — იგებს გულის საიდუმლოსაც!.. (ცივად) გამომიგზავნე შენი ქალი... ხეირსა ნახავ... სამაგიეროდ... (რაღაც გაახსენდა) მომიცადე, (მიდის) ეხლავე მოვალ...

ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ — (თარჯიმანს მივარდა) მითხარ, ვინა ხარ, ან საიდან იცნობ ჩემს ოჯახს?!

ᲗᲐᲠᲯᲘᲛᲐᲜᲘ — (გესლიანად) სამშობლოს ჰყიდი და თავს მაინც ქართველს ეძახი?! შვილებით ვაჭრობ, — თავი მაინც მამა გგონია? ფუ, შენს კაცობას, წელზე ხანჯალს რაღას ატარებ?!

ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ — (საყელოში სწვდა) ვინა ხარ-მეთქი!.. მითხარ, თორემ შუა გაგაპობ!

ᲗᲐᲠᲯᲘᲛᲐᲜᲘ — (დინჯად) ქართველი ვიყავ, მაგრამ რადგან აღარ ვქართველობ, პირდაპირ ვამბობ, რომ სპარსელი ვარ გვარეულად... შენსავით ჩოხა არ მაცვია, ხალათს დავათრევ, მაჰმადს ვფიცულობ, წვერი ჰინით მაქვს შეღებილი და შენზე მაინც ვარ ათასჯერ პატიოსანი!..

ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ჩალაბხანს ვეტყვი, რომ ეხლავე თავი მოგკვეთოს!

ᲗᲐᲠᲯᲘᲛᲐᲜᲘ — მაგას არ იზამს... შენ კი, ისეც თავმოჭრილი ხარ!

(შემოდის ᲩᲐᲚᲐᲑᲮᲐᲜᲘ, ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲡ სავსე ქისას გადაუგდებს).

ᲩᲐᲚᲐᲑᲮᲐᲜᲘ — აჰა, ეს ოქრო! ზოგი შენ და ზოგი პაატას, შენს ქალიშვილსაც უწილადე, რაც მზითვად უნდა!

ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ — (ქისა უბეში ჩაიდო) მადლობა განჯის მბრძანებელო!.. აი, ეს კაცი

(ᲗᲐᲠᲯᲘᲛᲐᲜᲖᲔ აჩვენებს).

მოღალატეა... და უბრძანე...

ᲩᲐᲚᲐᲑᲮᲐᲜᲘ — (სიცილით) თავი მოჰკვეთონ?..

ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ნამდვილად ვამბობ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — (მტკიცედ) არა, მაგას ვერ დავიჯერებ!..
ერთხელ სხვამ მითხრა კიდევ ეგრე და იმის შემდეგ
ორჯერ დამიხსნა სიკვდილისგან ცხარე ბრძოლაში,
მესამედ — შხამით მოწამლული გადამარჩინა...
მიტომ შენს თხოვნას, ბევრიც მთხოვო, ვერ შეგისრულებ!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — (გაწბილებული) თქვენი ნებაა!

თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — (ენამწარედ) ქურდს სუყველა ქურდი ჰგონია!

ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — (არამკაცრად)
ბევრი ლაყბობა ნუ ისწავლე, ენას მოგაჭრი...

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — (ჩალაბხანს მდაბლად დაუკრა თავი)
მშვიდობით გნახეთ, დიდო ხანო!

(ცერად უცქერის თ ა რ ჯ ი მ ა ნ ს. მიდის).

ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — გზა მშვიდობისა!

თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — რა გესწავლება, მბრძანებელო, თვითონ ბრძენი ხარ,
შვილით მოვაჭრე რა მეგობრად გამოგვადგება!..

ფ ა რ დ ა

სურათი მეოთხე

ფერდოზე შეფენილი ქართლის სოფელი ბანური სახლებით. სოფლის თავში რამდენიმე მაღალი კოშკი. კოშკებს უკან გორაკზე — გალავანშემოვლებული მაღალგუმბათიანი ტაძარი. წინ — გლეხის ბანური სახლი საჩეხით. ეზოს შემოვლებული აქვს აქა-იქ ჩატეხილი წნული ღობე. ღობის ძირას ნასხმოარე ხეხილი ჩამწკრივებულა. შუა ეზოში — დიდი, საჩრდილობელი კაკლის ხე, რომლის ქვეშ, სკამების მსგავსად კუნძებია მიყრილი. მარცხნივ ეზოში — თონე, თონესთან ვარცლი; ეტყობა, პურს აცხობენ.

ფარდის ახდისას, საჩეხში, ლასტის საწოლზე ჩამომჯდარ ს ე დ ო ვ ს მ ა ი კ ო მკლავზე ჭრილობას უხვევს.

ს ე დ ო ვ ი — მაიკო, ნელა, თუ ღმერთი გწამს, იარა მეწვის!

მ ა ი კ ო — რაც უფრო ცხარე წამალია, ისა სჯობია,
პირველად დაგწვავს, მერე ტკივილს უცებ აყუჩებს!

ს ე დ ო ვ ი — ნეტავი შენი გულიც ასეთ წამლად გამიხდეს,
ეხლა რომ მდაგავს...

მ ა ი კ ო — (სიტყვა გააწყვეტინა. ნახევრად ალერსით)
დადექ, რუსო, თორემ იცოდე,
მახარეს ვეტყვი მოგაშოროს ჩვენი სახლიდან!

ს ე დ ო ვ ი — (ღიმილით) არა მგონია გაგიგონოს... შენი თუ ძმაა,
ჩემი ძმაც [illegible]ის, მეგობარიც, — ორივე ერთად!

მ ა ი კ ო — (ნიშნის მოგებით) დედაჩემს ვეტყვი!

ს ე დ ო ვ ი — (ალერსით) დედაშენი ორივეს გაგვყრის
და რაკი ქართლში არ გვექნება აღარსად ბინა,
რუსეთს წაგიყვან, იქ გაცხოვრებ ჩემს სამშობლოში!..

მ ა ი კ ო — (შემკრთალი) უი, არ მინდა... შენ რომ მითხარ — ყინვა იცისო?!

ს ე დ ო ვ ი — სადაც სიყვარულს ტახტი უდგას — ყინულიც თბება,
დიდი ზამთარი დიდ ზაფხულად იქცევა უმალ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ ვოლგის პირას, ლელიანში, განთიადისას
ღალღა ეძახის ფშანში ღალღას, ბულბულს — ბულბული,
რომ მზის ამოსვლას ერთად უთხრან ქებათაქება!
(გატაცებული) რა ლამაზი და წარმტაცია ჩემი სამშობლო!

მ ა ი კ ო — მართლა თუ ასე ლამაზია, რატომ დასტოვე?

ს ე დ ო ვ ი — დღისით მინდორში სულსა მხდიდა ჩემი ბატონი,
ღამით — ზარბაზნის სამჭედურში ცეცხლზე მდაგავდა...
მჭედელიც ვიყავ, გუთნისდედაც... ხან საქონელიც,
როცა უღელში შემაბამდა ხარების გვერდით...
ჰოდა, — გავექეცი... მეტივეებს გამოვყევ ღამით,
ზღვას მივადექი, მერე მთები გადმოვიარე...

მ ა ი კ ო — (სევდიანად) აქაც ფოლადი... სამჭედური, ისევ ბატონი!

ს ე დ ო ვ ი — აქ მირჩევნია... პაატა თუ ზოგჯერ მიწყრება,
სამაგიეროდ თვითონ მეფე ერეკლე მწყალობს...
მიწას დამპირდა, სახლსაც, ოღონდ ფოლადი ვადნო,
თოფ-ზარბაზანი ჩამოვუსხა, რამდენიც უნდა!

მ ა ი კ ო — (გახარებული) მიწას მოგცემო?.. რა იქნება, მართლა რომ მოგცეს!..

ს ე დ ო ვ ი — ნამდვილად მომცემს, მეფურ სიტყვას როგორ გადავა?

მ ა ი კ ო — (თითქოს არ სჯერა) მიწას, საკუთრად?! ესე იგი, რასაც მოიყვან,
ხილსა თუ ხორბალს, ყველაფერი შენი იქნება?!

ს ე დ ო ვ ი — ჩემი იქნება!

მ ა ი კ ო — (ოცნებით) არავისი ყმა არ იქნები?!

ს ე დ ო ვ ი — მარტო შენი ყმა... შენ იქნები ჩემი ბატონი!

მ ა ი კ ო — (გაბუტული წამოიჭრა) ოლეგ, დადექი... ხმას არ გაგცემ...
მართლა, ღმერთმანი!.

(ეზოში შემორბის დაფეთებული მ ზ ე ქ ა ლ ა. იგი მ ა ი კ ო ს თ ა ნ მიიჭრა, განზე გაიყვანა. ს ე დ ო ვ ი შინ შევიდა).

მ ა ი კ ო — რა იყო, ქალო? მგელი მოგდევს? რამ დაგაფეთა?

მ ზ ე ქ ა ლ ა — (სულს ძლივს ითქვამს)
მახარემ შენთან გამომგზავნა, ჩვენი ბატონი
თუ აქ მოვიდა, არ გამოჩნდე... არამც და არამც!

მ ა ი კ ო — მერე? რა მოხდა? რას კანკალებ?

მ ზ ე ქ ა ლ ა — რაღა რა მოხდა?
თვალი მოვკარი, ორივენი აქეთ მოდიან!

მ ა ი კ ო — თავში ქვა იკრას!.. ხომ არ შეგვჭამს? დაე, მოვიდეს!

მ ზ ე ქ ა ლ ა — ნეტავ შეგვჭამდეს... ტყვეობას ეს არ გვირჩევნია?

მ ა ი კ ო — რომელ ტყვეობას?! მითხარ, ქალო, ნუ გადამრიე!

მ ზ ე ქ ა ლ ა — ყური დამიგდე. აგრემც ჩვენი ბატონი მოკვდეს,
მთელ დღეს კარიკარ დაეთრევა და სადმე ქალი
ოდნავ თვალში თუ მოუვიდა...

მ ა ი კ ო — (შეღონებულმა გააწყვეტინა) რა ჭირი უნდა?

მ ზ ე ქ ა ლ ა — თურმე სპარსეთში გასაგზავნად ფარულ ამზადებს!

მ ა ი კ ო — ტყუილი არის! რაც ერეკლე ქართლში გამეფდა,
არც ერთი ქალი სპარსეთისკენ აღარ წასულა!

მ ზ ე ქ ა ლ ა — ღმერთს გეფიცები. რევაზს თვითონ უთქვამს სიმთვრალით,
იასე ხაბაზს თავის ყურით გაუგონია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა ი კ ო — ეგრეც რომ მოხდეს, შენ რა გიჭირს, ხვალე ჯვარს იწერ!
მ ზ ე ქ ა ლ ა — შენა გგონია გასათხოვრებს არჩევენ მარტო?!
მ ა ი კ ო — რაღა თქმა უნდა! მიტომ იყო უწინ, რომ ქალებს
ცამეტ-თოთხმეტი წლის უმალვე აქორწინებდნენ!
მ ზ ე ქ ა ლ ა — ვთქვათ, მე გადავრჩი... შენა?
მ ა ი კ ო — ჩემი ნუ გედარდება!
მანამ ნურაფერს ნუ მიირთმევს ჩემი ბატონი,
სანამ სპარსეთში არ გამგზავნოს!
მ ზ ე ქ ა ლ ა — რის იმედი გაქვს?
მ ა ი კ ო — რის იმედი და, (მტკიცედ) თოკისა და ჩემი კისრისა!
(ერთბაშად გზას გახედა).
აგერ მახარე! (შემკრთალი) უი, მასთან ჩვენი ბატონიც!
მ ზ ე ქ ა ლ ა — (გზისკენ იხედება) აკი გითხარი!
მ ა ი კ ო — ჭირი ეცეს! არ დაგვინახოს!
(ღობის ძირას გაბარდულ ხეხილებში ჩაიმალნენ. ეზოში შემოდიან ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, მისი მ ო ურ ა ვ ი და მ ა ხ ა რ ე).
ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — (ეზოს ათვალიერებს)
მიყვარს, როდესაც ყმის ოჯახში სიკეთეს ვხედავ,
სახლი კარგი გაქვს, ეზო-კარიც... (თვალი გაუსწორა) დასაც
გიქებენ!..
მ ზ ე ქ ა ლ ა — (მაიკოს) ხომ გაიგონე?
მ ა ხ ა რ ე — (თითქოს მიუხვდა) შორით სწორედ ჰხიბლავს მოკეთეს,
ახლოს გულს უკლავს!..
ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — რათა, რა სჭირს?
მ ა ხ ა რ ე — (ნაძალადევი წუხილით) მოისულელებს,
ავ-კარგს ვერ არჩევს... ბეჩავია, დიდო ბატონო!
მ ა ი კ ო — როგორ შემამკო?!
ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — ქალს დიდი ჭკვა არა სჭირდება,
ოღონდ სიტურფით, სიკეკლუცით კაცსა ჰხიბლავდეს...
მ ა ი კ ო — აღარა ხუმრობს, სჯობს ნამდვილად გიჟი ვეგონო!
(ც ი ც ი შ ვ ი ლ ი თონესთან მივიდა, შიგ ჩაიხედა).
ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — რა ნაზუქები! (ვარცლს წაფარებული სუფრა გადაჰხადა)
ეს რამდენი შოთი პურია!..
ყმაც ამას ჰქვიან!.. (მოურავს) კოდი პური გადაიხადა?
მ ო ურ ა ვ ი — არა, ბატონო, ათიოდე დღეში დამპირდა!
მ ა ხ ა რ ე — ჩემო ბატონო, ხვალ ქორწილი მაქვს და ამიტომ,
თორემ ნაზუქი ყმას ვინ მისცა ამ ქვეყანაზე!
ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — (მკაცრად) არა, ჯერ უნდა საბატონო გადაგეხადა,
მერე გეფიქრა გინდ ქორწილზე, გინდა ქელეხზე!
(ნ ე ნ ე და ს ე დ ო ვ ი საჩეხში გამოვიდნენ).
მ ა ხ ა რ ე — ბატონო ჩემო!
ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — (უფრო მკაცრად) მოურავო, თონეს მოხადე,
არც ერთი შოთი, არც ნაზუქი, ყველა უკლებლივ!..
ნ ე ნ ე — (მოკრძალებით მიუახლოვდა ბატონს)
ჩემს ჭაღარას დასდე პატივი!..
მ ა ხ ა რ ე — რასაც აქ ხედავ, მეზობლებში სესხად მოვკრიბე!..

ციციშვილი — ჩემთვის ერთია, სესხი არის თუ ააკუთარი!
(მოურავს) სხვენი გასინჯე, საბრძელ-კალოც, თუ რამ მოხელო
მარცვალი სადმე, არ გაუშვა არსად სათესლეც!

ნენე — (ციციშვილს მუხლებში ჩაუვარდა) ცოდვაა ბიჭი, თავს ნუ მოსჭრი
სწორ-ამხანაგში!

მახარე — (დაუჩოქა) მაგას ნუ მიზამ, ბედნიერ დღეს ნუ გამიმწარებ!

(გზისკენ ზურგშექცეულმა ციციშვილმა და სხვებმაც ვერ შენიშნეს, მეფე ერეკლე და ლევან ბატონიშვილი თავისი ამალით როგორ მოულოდნელად მოადგნენ ღობეს. ერეკლე მეფე ცდილობს შეუმჩნევლად დარჩეს. ივი მკაცრად, მაგრამ მდუმარედ მისჩერებია გაგულისებულ ციციშვილს).

ციციშვილი — ცეცხლი და ძმარი მაგ ცხვირიდან უნდა გადინოთ,
რომ სამსახური ბატონისა არ დაგავიწყდეთ!
(მოურავს) რაღას უყურებ?

(მოურავმა მახარეს მათრახი დაუშინა)

მახარე — (წინ გადაეღობა) მოურავო, შენს ღმერთს შეხედე!

ციციშვილი — (გაცეცხლებული) მათრახი მაგას, რომ ენაზე კბილი
დაიდგას!

(მოურავი სახლისკენ გაემართება).

ერეკლე — (მოთმინებადაკარგული)
მაგრა დაჰკარი... უფრო მაგრა... თავში დაჰკარი!

(ყველა მისკენ მიტრიალდა: „ერეკლე მეფე!").

ლევანი — (მოურავს მივარდა, მათრახი გამოსტაცა და მის თავზე შემართა)
ეგრე კი არა, აი — ეგრე!

ერეკლე — (მკაცრად) ლევან, არ დაჰკრა! (მათრახი ჩამოართვა,
გადატეხა, განზე გაისროლა. ციციშვილს)
შე დალოცვილო, ხარს უღელში არ სცემენ ეგრე!..
აკი გიბრძანეთ, — ყმათა ცემა აღარ მენახა!
რა დააშავა?

ციციშვილი — (მოკრძალებით) კოდი პური არ მოუცია!

ერეკლე — ცემით რომ მოჰკლავ, იმ კოდი პურს მკვდარი მოგიტანს?

მახარე — დიდო მეფეო, ათიოდე დღეში მივართმევ!

ერეკლე — (ციციშვილს) მეტი რა გინდა?

ციციშვილი — ჩვენი მეფე იყოს დღეგრძელი!

ერეკლე — (მკაცრად) მაგრამ თუ კიდევ გნახე სადმე, ან გავიგონე,
ყმაზე მათრახი შეგემართოს, — მამულს წაგართმევ,
ერთ მტკაველ მიწას, ერთ კომლ ყმასაც აღარ შეგარჩენ!

ციციშვილი — დიდო მეფეო!..

ერეკლე — (სიტყვა არ დააცალა) კმარა.. მოწმე ეს ხალხი იყოს!

(მახარეს მიუბრუნდა).

ის ჩვენი რუსი მეფოლადე, გვარად — სედოვი,
მე არ ვიცოდი, თურმე შენი მდგმური ყოფილა!

მახარე — დიახ, მეფეო!

ერეკლე — ასე მითხრეს, მდუღარე რკინა
დასხმია ხელზე, და მაშინვე აქეთ წამოველ...
სად არის ეხლა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ე დ ო ვ ი — (მოწიწებით წარსდგა მის წინაშე)
აქ გახლავართ მეფე-ბატონო!

ე რ ე კ ლ ე — ბიჭო, როგორ ხარ? ძადლობა ღმერთს, სულ ერთიანად
არ გადაგესხა, თორემ მერე რა გიშველიდა?
ძლიერ გაწუხებს?
(ტყავში შეხვეული ხელი გამოართვა).

ს ე დ ო ვ ი — დიახ, ზოგჯერ... მაგრამ, არც ისე...

ე რ ე კ ლ ე — აი, ექიმი მოგიყვანე, მისი მალამო
გველნაკბენსაც კი ორიოდე დღეში ამრთელებს...
(ექიმს) აბა, წაიყვა! სანამდის ჩვენ დავისვენებდეთ,
ნახე, უწამლე, თუ სიკეთით გინდა აგავსო!
(ექიმმა ს ე დ ო ვ ი სახლისკენ წაიყვანა. მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე, ლ ე ვ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი და მათი მხლებელნი კაკლის ქვეშ კუნძებზე ჩამოსხდნენ. მ ა ხ ა რ ე მ სახლიდან ჯეჯიმი გამოიტანა და მეფის წინ გაშალა. ნ ე ნ ე მ თონეზე ცხელ-ცხელი ლავაშები და შოთები მოხადა, ჯეჯიმზე დააწყო).

ნ ე ნ ე — კეთილი გულით მორთმეული, მეფეევ-ბატონო,
ყმის პურ-მარილი ზოგჯერ მეფურ სუფრას სჯობია!
(მ ა ხ ა რ ე მ ღვინით სავსე დოქი და ჯამები გამოარბენინა სახლიდან).

მ ა ხ ა რ ე — ხვალ ქორწილი მაქვს, დამილოცე, მეფეევ, გვირგვინი!

ე რ ე კ ლ ე — (ციციშვილს) რევაზ, დაჯექი, თუმცა ერთი სიტყვა გითხარი,
ნუ გეწყინება, შენს საყმოში შენ ხარ ბატონი!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — რა ბრძანებაა, თქვენი რისხვაც ღვთის წყალობაა!

მ ა ი კ ო — (მზექალას) ნამდვილად გიჟი რომ ვეგონო ჩვენს წყეულ ბატონს,
უფრო უკეთეს დროს როდისღა ვნახავ, მითხარი!
(ტოტს რამდენიმე მწიფე ქლიავი მოსწყვიტა და სუფრას ზედიზედ ესროლა).

მ ზ ე ქ ა ლ ა — ქალო, რას სჩადი?! სირცხვილია, მეფეს არ მოხვდეს!

მ ა ი კ ო — სწორედ ეს მინდა!
((სროლას განაგრძობს).

მ ზ ე ქ ა ლ ა — ნუ, მაიკო... ქალო, დადექი!
(ღობეზე გადახტა, მიიმალა).

ე რ ე კ ლ ე — (პური გატეხა)
ღმერთმა დალოცოს ქართლის პური, კახეთის ღვინო!
(ქუდში ზედიზედ მოხვდა ქლიავები. მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე წამოიჭრა, ხალხი წაბოდიშალა. მ ო უ რ ა ვ მ ა მ ა ი კ ო ს თვალი შეასწრო, ხელი სტაცა და მეფესთან მიათრია).

მ ო უ რ ა ვ ი — როგორ შეჰბედე, შე ალქაჯო, ჩვენს ძვირფას მეფეს?

მ ა ი კ ო — (მოურიდებლად) ჩვენი თუ არის, მაშ სპარსული ქუდი რად
ჰხურავს?!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — დიდო მეფეო, არ შერისხო... ხედავ? — გიჟია!

ე რ ე კ ლ ე — გიჟი კი არა, — არ გეწყინოს, შენზე ჭკვიანი!
ყოჩაღ გოგონავ! ამ ქუდს ვიხდი, — შენ მართალი ხარ.
(ქუდი მოიხადა).
ქართველთა მეფეს უნდა ჰქონდეს ქუდიც ქართული!..
აჰა, ეს ქისა, შენს მეშვიდე ვაჟს შეუნახე,
გატყობ, იქნები სასახელო ქართველი დედა!

ფ ა რ დ ა

———.———

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე მოქმედება

სურათი მესამე

ციხეგალავანშემოვლებული ტაძრის ეზო პ ა ა ტ ა ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს სამფლობელოში. ეზოში, მარჯვნივ — ციხის ბურჯზე დაშენებული მაღალი სამრეკლო. სიღრმეში ჩამოთოვილი მთაგრეხილი უერთდება ღრუბლიან ცას. მთის კალთაზე ქართლის სოფელი შეფენილა.
ფარდის ახდისას პ ა ა ტ ა ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, სახლთუხუცესი ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი და რ ე ვ ა ზ ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — საფლავის ქვებზე ჩამომსხდარნი, საიდუმლოდ ბაასობენ.

პ ა ა ტ ა — ბატონო ჩემო, მე სამეფო ტახტს კი არ ვჩივი,
თქვენს ბედზე ვწუხვარ, — აბუჩად რომ აგიგდოთ ყველა...
ბატონს რომ ყმასთან სახელს უტეხს, ეს მაბოროტებს!
ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — სწორედ ეგრეა!
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — მალე ჩვენს ყმებს ხმას ვერ შევძრახავთ!
პ ა ა ტ ა — ეგ ხომ ეგრეა! ვთქვათ, რუსეთთან კავშირი დასდო,
მაშინ ერეკლე ხომ ათასჯერ მტკიცე გახდება...
მთელს საქართველოს ერთ სამეფოდ მოუყრის თავსა
და ჩვენ, თავადებს, დღეს თუ თითქმის არაფერს გვკითხავს,
თქვენ მაშინ ნახეთ, ერთიანად ამოგვდებს ლაგამს...
და რაკი სპარსეთს სძულს ერეკლე, ჩვენ და სპარსელნი
ერთ საქმეს უნდა ვაკეთებდეთ მის დასამხობად!..
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — ეგაც არ იყოს, კახელს ქართლში რა ესაქმება?
სწორედ ამიტომ, რაც კი ქართლში თავადი არის,
ყველა ერთპირად, უყოდმანოდ ჩვენს მხარეზეა!
პ ა ა ტ ა — იქნებ გგონია, მე არ ვიცი მათი ამბავი?
ჩვენს მხარეზეა, რადგან ყველა გულნატკენი ჰყავს...
მაგრამ ჩვენ სამნი რასაც ვფიქრობთ, ის სხვა საქმეა...
მისი განდობა საშიშია, ვინც უნდა იყოს,
რადგან ერეკლეს ასასები ყველგან დაძრწიან...
ამიტომ ფრთხილად, არაფერი არსად წამოგცდეთ!
გარდა ამისა, რაკი ნადირს ჩვენ, სამნი მოვკლავთ,
ხორციც, საისრეც ჩვენ შეგვხვდება ყველაზე მეტი!..
ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — (უცებ გაახსენდება) მართლა! ჩალაბხანს შეუტყვია
თურმე რუსეთის
სხვადასხვა მხარეს ათასობით ყმანი აშლილან,
რომ ბატონყმური ხარკ-ბეგარა ძალით მოშალონ.
თუ დარიალი არ ჩაჭეტეთ, ეს ცეცხლი მალე
ქართლის მიწასაც დასუნთქავსო, აი, რა მითხრა!
პ ა ა ტ ა — ჰოდა, ხომ ხედავთ!
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — მერე? რაღას უცდი, პაატავ?
ტახტისმემკვიდრე შენ ბრძანდები, შენ უნდა გვიხსნა!
პ ა ა ტ ა — ამილახვარო, შენ ის გინდა ფლავი მოგართვან,
თვითონ კი — კოვზის ამოღებაც არა გწადიან!
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — მაგას რად ბრძანებ? რასაც მეტყვი — მუდამ მზადა ვარ!
პ ა ა ტ ა — რაკი ეგრეა, ყური მიგდე! ერეკლემ იცის,
რომ ქართლის ყველა დიდებული მისი მტერია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ყმანი კი — აღმერთებენ ყველა ერთპირად...
ამიტომ მისი მკვლელი სწორედ ყმა უნდა იყოს!

ციციშვილი — (აღტაცებული) ბრძენი ხარ, ბრძენი!

ამილახვარი — ქართლის ტახტზე მიტომ გვინდიხარ!
ყმა თუ გაება, — დიდებულნი მშრალზე დავრჩებით!..

პაატა — (ამილახვარს) ჯერ დამაცალე!.. ჰოდა, რახან მოგწონს ეს აზრი,
შენს ყმებში ვინმე გამონახე ისეთი კაცი,
გინდა ჯვარს აცვან, — ერთი სიტყვაც არსად წამოსცდეს!

ამილახვარი — (ერთბაშად, შეშინებული)
ასეთი კაცი... ყმებში... აბა, სად! ვინ?!

პაატა — აკი გითხარი,
შენ ფლავი გინდა, საქმე — არა!..
(შემოდის მებორნე. იგი პაატას წარუდგა).

მებორნე — თქვენთან, ბატონო!
(პაატამ იგი განზე გაიყვანა, ამილახვარი და ციციშვილი საუბარს განაგრძობენ).

პაატა — რის მთხრობელი ხარ?

მებორნე — წუხელ მტკვარზე კაცი მოვკალი,
რადგან საბუთი რომ მოვთხოვე, გაქცევა სცადა...
უბე-გულჯიბე გავუსინჯე და ეს ვუპოვე!..
(ბარათი მისცა).

პაატა — (წერილს კითხულობს, მებორნეს ეჭვით გახედა)
შენ წიგნი იცი?

მებორნე — დიახ, ვიცი!

პაატა — (დიდებულებს) მოურავს მიხმეთ!
(ციციშვილი უმალ გავიდა, მოურავი შემოიყვანა. მას მებორნეზე მიუთითა).
თოფი აართვით და ეხლავე ჯურღმულს ჩააგდეთ,
ერეკლე მეფის კაცი მოჰკლა ამ უწმინდურმა!
(ამილახვარი და ციციშვილი გაოცებულნი არიან).

მებორნე — დიდო ბატონო!..

პაატა — ვთქვი და მორჩა!
(მოურავმა მებორნეს თოფი აართვა).

მებორნე — (გაოგნებული) რაც მიბრძანეთ...
(სიტყვა აღარ დააცალეს, გაიყვანეს).

პაატა — აკი გითხარით — დღეცისმარე სიფხიზლე გვმართებს,
ერეკლე მეფის ჯაშუშები დაძრწიან ყველგან...
ჩალაბხანთანაც რომ ჰყოლია თავისი კაცი?!

ციციშვილი — (შეშინებული) ჩალაბხანთანაც?!

პაატა — (წერილს კითხულობს) „ციციშვილი აქ ბრძანდებოდა.
ამილახვარიც. თქვენი ბიძაც შეთქმული არის,
პაატას უნდა ქართლის ტახტის ხელში ჩაგდება“!..
(დიდებულებს მიუბრუნდა).
ბეწვზე გადავრჩით! ეს წერილი მას რომ ხელთ ეგდო,
ხვალვე ჩვენს თავებს ჩვენს კოშკებზე გადმოჰკიდებდა.
ჩემმა მებორნემ ალალბედზე გადაგვარჩინა!

ამილახვარი — შე დალოცვილო, ჯილდოს ნაცვლად ჯურღმულში
აგდებ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაატა — წიგნი სცოდნია, წაიკითხა ალბათ წერილი
და რომ წამოსცდეს ერთი სიტყვაც, მერე სად წახვალ?
მისი დაღუპვა ჩვენს დაღუპვას არა სჯობია?

ამილახვარი — სწორედ ბრძენი ხარ, შენს მეფობას ღმერთმა შემასწროს!

ციციშვილი — (შეშფოთებული) ნეტავ ვინა ჰყავს ჩალაბხანთან?..
იქნებ ის არის,
ჩემს ქალიშვილს რომ ჩააცივდა?! მაშ, ვინ იქნება?
მაგრამ მაშინვე აკი ვუთხარ, — არ დამიჯერა!..

პაატა — აბა, აქედან რას გავიგებთ? ის კი ცხადია,
თუ დავაყოვნეთ ჩვენი საქმე, თავებს წავაგებთ...
ეგრე არ არის?

(შორი მაყრული მოისმა).

ციციშვილი — რა თქმა უნდა?

ამილახვარი — რა მაყრულია?

პაატა — თქვენს ყმებს, ჩემს ყმებსაც, ჩემი კარის ეკლესიაში
ნება მივეცი ნათლობის თუ ჯვარისწერისა...
თან გულს მოვუგებ, თან იმ ქალებს მალე შევარჩევ,
თორემ ქერიმხანს ეწყინება...

ციციშვილი — (სიტყვა ჩამოართვა) ჩინებულია!..

ამილახვარი — თითქოს გაწყდნენო, ერთი ქალი ვერსად მოვნახე!

ციციშვილი — ხმა გავარდნილა და ამიტომ იმალებიან!

(სიმღერა და ყიჟინა ციხე-გალავანს მოადგა, მკაფიოდ ისმის მაყრული).

დედალ-მამალი ხოხობი
მოგვყავს და მოგვიხარიან,
ქალი სიტურფით მზე არი,
ვაჟიც მნათობის დარია.
ჰფარავდეთ ძმადშეფიცულთა
ტოლთა ფარი და ხმალია.
მეფის ირაკლის დროშის ქვეშ
მოვდივართ, მოგვიხარიან!

(ტაძრის ეზოში მათრახზე ფერად ბაღდადაფრიალებული მახარობელი შემოიჭრა).

მახარობელი — მეფის ირაკლის დროშის ქვეშ
მოვდივართ, მოგვიხარიან!

ამილახვარი — (პაატას)
მეფის ირაკლის დროშის ქვეშო... აი, მეფობა
ამასა ჰქვიან, — ლამის ხატად აიკრან გულზე!

პაატა — მაგ ხატს ეხლავე ვაწყევლინებ! ისე მოვწამლავ,
ერეკლეს სახელს ზედ აფურთხონ... ოღონდ პატარძალს
ერთი შევხედო — რა ქალია, ვარგა თუ არა!..

(შემოდიან საქორწილოდ მორთული მზექალა და მახარობელ, რომლებსაც ჩოხა-შემოკვალთული პატარა გლეხის ბიჭები და გოგონები ზეადგზა ყვავილებს უფენენ. უკან — მაყრები, მათ შორის მაიკო, სედოვი. სულ უკან — ნაბარძალ-მული მესტვირე გაბერილი გუდითა და ლამაზად მოჭედილი ქალაქანდ...)

ციციშვილი — (პატარძალს გახედა) უჰ, რა ქალია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამილახვარი — თითქოს კალმით არის ნახატი!
(მაიკოს გახედა).
აგერ მეორეც, — ერთმანეთის მჯობნი არიან!..
I მაყარი — ჩონგური, ცეკვა! სანამ მნათე კარს გაგვიღებდეს!..
(უმალ წრე გაჩნდა, აეღერდა ჩონგური).
II მაყარი — ტაში, ბიჭებო... ტაში, ტაში!.. (პატარძალი გამოიწვია).
მაყრები — (ტაში გააჩაღეს) ტაში პატარძალს!
პაატა — (ამდენ ხანს ამილახვარსა და ციციშვილს მეტად საიდუმლოდ ეჩურჩულებოდა)
ამილახვარო, აბა, ჩქარა, შენი ოსები,
თორემ ჩემს ჩაფრებს ყველა იცნობს, არ ეკარგება!
(ამილახვარმა წასვლა დააპირა).
მოიცა! — მეფის ბრძანებით-თქო, არ დაგავიწყდეს!
ამილახვარი — რა დამავიწყებს? მეფე არის თავი და ბოლო!
(ჩქარი ნაბიჯით გადის).
პაატა — (თვალი გააყოლა) ამილახვრული ორპირობით სურს ფონს გავიდეს, —
რაც დავავალე, ყველაფერზე უარი მითხრა,
რომ თუ ჩავცვივდით, მშრალზე დარჩეს!
ციციშვილი — სწორედ ეგრეა!
პაატა — ეხლა კი, ქალებს რახან მისი ხალხი იტაცებს,
საქმის ნამდვილი მონაწილე ხდება დღეიდან
და რასაც ვეტყვი, — თუ ბიჭია, ნუ შეასრულებს!
(უცებ გაახსენდა) მართლა, კინაღამ დამავიწყდა!
ციციშვილი — დიახ ბატონო!
პაატა — მექორწილენი რაკი შენი ყმანი არიან,
აქაურობას გაეცალე ეხლავე, თორემ
ამ ხალხის თვალში ყველაფერი შენ დაგბრალდება!
მერე ერეკლემ გინდ შეიტყოს, ხატს დაიფიცავ,
რომ ამ საქმისა არაფერი შენ არ იცოდი!
ციციშვილი — გმადლობ, პაატავ, ჩემზე მუდამ ასე რომ ზრუნავ!
პაატა — ჩვენ ორივენი ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი
ვართ, ჩემო რევაზ, და თუ ბედმა ერთ-ერთს გვიმუხთლა,
მეორეც იმავ თოკში გავყოფთ ცოდვიან კისერს...
მაგრამ ერეკლე ამ დღეს ვერა, ვერ მოესწრება,
ოღონდ გლეხობას გავუმწაროთ მისი სახელი...
(ხელს ართმევს).
გზა მშვიდობისა! წადი, თორემ საცაა მოვლენ.
ციციშვილი მიდის. ტაშ-ფანდური შესწყდა, მესტვირემ გუდას ჩაბღერა).
მესტვირე — (ნეფე-პატარძალს უმღერის)

პატარძალი ქვეყნის თვალი,
ნეფე — ცეცხლის ნაპერწკალი.
ორთავ მოგცეთ გრძელი დღენი,
მტერი — მცირე, მოძმე — ბევრი,
პირმოხდილი მუდამ ქვევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზავრად მზე და მთვარე გზაში,
წყალზე — ხიდი, ნავი — ზღვაში.
ვაჟს ბრძოლაში ფიცხი რაში,
ქალს — თორმეტჯერ ტყუპი ვაჟი!

პ ა ა ტ ა — ცეკვა-სიმღერა შეგეცვლებათ ოხვრად და ცრემლად,
საშვილიშვილოდ რომ სწყევლიდეთ მეფე ერეკლეს, —
ვისი სახელიც დღეს საფიცრად გაქვთ მიჩნეული!..
(ერთხანს დაფიქრდა).
ტახტი წამართვი!? დასტკბი სანამ ეს დრო შენია,
მაგრამ განანებ, ამ ტახტს მალე სამარედ გიქცევ!..
(მაყრიონი ტაძრისაკენ გაემართა, ეზოში მოულოდნელად შემოიჭრნენ იარაღ-ასხმული ჩაფრები და მაყრიონს გარს შემოერტყნენ. ორ-ორი ჩაფარი მისცვივდა მ ა ხ ა რ ე ს, მ ზ ე ქ ა ლ ა ს ა და მ ა ი კ ო ს, ხელები შეუბოჭეს, მაყრებმა ხანჯლები იშიშვლეს).

I ჩ ა ფ ა რ ი — ხელი არ დასძრათ... თვითონ მეფე ერეკლემ ბრძანა!

მ ა ყ რ ი ო ნ ი — (ერთხმად) ერეკლე მეფემ?..
(ხანჯლები უმალ ჩააგეს).

მ ა ხ ა რ ე — (გაოგნებული) თვითონ მეფემ?! (ერთბაშად) არ დაიჯეროთ!..

მ ა ი კ ო — (მტკიცედ) არ დაიჯეროთ... ტყუილია, ცილსა სწამებენ!

მ ა ხ ა რ ე — გუშინ გვირგვინი დამილოცა, დღეს დამიწყევლა?!
გამიშვით-მეთქი!..
(ამაოდ ცდილობს ხელების განთავისუფლებას)

მ ზ ე ქ ა ლ ა — (უმწეოდ) შეგვიბრალეთ... ხალხო, გვიშველეთ!..

მ ა ი კ ო — (ჩაფრებს უძალიანდება, მაყრიონს მკაცრად)
ფუ, თქვენს კაცობას! მაშ ხანჯლები რისთვის გარტყიათ?!
(მაყრიონი შეირხა, ხელმეორედ იშიშვლეს ხანჯლები, მარჯვენაშეხვეული ს ე-დ ო ვ ი მ ა ი კ ო ს ა კ ე ნ გაქანდა. მის წინ ჩაფარი აღიმართა).

პ ა ა ტ ა — (უმალ მაყრიონთან გაჩნდა)
ჰეი, რას სჩადით? დაგავიწყდათ მეფე ბატონი?!
გინდ ცოლს წაგვართმევს, გინდა სახლ-კარს, რაცა სწადიან!..
(ჩაფარს) ვინ გამოგგზავნათ?

I ჩ ა ფ ა რ ი — თვითონ მეფემ, დიდო ბატონო!

მ ა ი კ ო — არამც და არამც... ტყუილია, არ დაიჯეროთ!

პ ა ა ტ ა — როგორა ჰბედავთ, მის ბრძანებას წინააღუდგეთ?!
ეხლავ ჩააგეთ ეგ ხანჯლები, თორემ მის რისხვას
ვერც თქვენ, ვერც თქვენი მოდგმის მოდგმა გადაურჩება!
(მაყრებმა ხანჯლები ისევ ჩააგეს. ჩაფრებს ქალები მიჰყავთ).

I მ ა ყ ა რ ი — (ხანჯალს არ აგებს) ერეკლე მეფე არ იზამდა, ვერ
დავიჯერებ!..

პ ა ა ტ ა — (მაყარს) ჩააგე-მეთქი ეგ ხანჯალი, რაებსა ჰბოდავ?..
(მაყარმა ხანჯალი უმალვე ჩააგო)

მ ა ხ ა რ ე — გამიშვით-მეთქი... ერთხელ კიდევ მაინც შევხედო!
(ჩაფრებმა იგი წამოაჩოქეს).

ᲗᲖ ᲔᲥ ᲐᲚ Ა — (ლონემიხდილი) ჩემო მახარეევ... უბედურო ჩემო ქალობავ!
(ქვითინებს, გაჰყავთ).

მ ა ი კ ო — (უძალიანდება) ხალხო, გვიშველეთ!.. (ჩაფრებს)
თქვე ძაღლებო! ოლეგ, მშვიდობით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ე დ ო ვ ი — ღმერთი არა გაქვთ?
(ჩაფრებს წინ გადაეღობა, მას ხელი ჰკრეს).

I ჩ ა ფ ა რ ი — (დამბაჩას ატრიალებს) განი, განი, არ მიეკაროთ!

მ ა ი კ ო — (ხელი გაითავისუფლა, დამბაჩიან ჩაფარს უცებ ხანჯალი ამოართვა ქარქაშიდან, მოუქნია!) აჰა, ესეც შენ!..

I ჩ ა ფ ა რ ი — (მაჯაში ხელი სტაცა, ხანჯალი წაართვა) გაათრიეთ, ეს რა ყოფილა?
(ჩაფრებმა ქალი ძალისძალით გაიყვანეს).

ს ე დ ო ვ ი — (პაატას მივარდა) დიდო ბატონო, ეს რა ხდება?! ამ უბედურებს უშველეთ რამე... მეფეს სთხოვეთ... დიდი ცოდვაა!..

პ ა ა ტ ა — სანამდის მეფეს ხმას მივაწვდენ, ამ ცოდვისშვილებს სპარსეთში კიდეც ჩაიყვანენ... რაღას ვუშველი?!
(ს ე დ ო ვ ი მიმავალ ხალხს აედევნა).

ნ ე ნ ე — (ქვითინით მიჰყავთ) ვაი თქვენს დედას... ვაი, შვილო...

მ ა ხ ა რ ე — გამიშვით-მეთქი!
(ცდილობს ჩაფრებს ხელიდან გაუსხლტეს).

პ ა ა ტ ა — (ჩაფრებს შეუტია) ამ უბედურს სადღა მიათრევთ?! განა მას კიდევ ცეცხლზე ცეცხლის დება სჭირდება?!
(ჩაფრებს ხელი გააშვებინა. ხალხი გადის, ეზოში მხოლოდ პ ა ა ტ ა და **მ ა ხ ა რ ე** რჩებიან).

მ ა ხ ა რ ე — (მუხლებში ჩაუვარდა) დიდო ბატონო, ან მიშველე, ან აქვე მომკალ...
რაღა კაცი ვარ? ქვეყანაზე როგორ ვიარო?!

პ ა ა ტ ა — (წამოაყენა) ხელი მომეცი... (ხელებს უთავისუფლებს) არსად ფეხი არ მოიცვალო.
თორემ იმ ქალებს, ეს იცოდე, უფრო დაღუპავ!

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — (ჩქარი ნაბიჯით შემოდის, ნაძალადევი მწუხარებით) საცოდავები, შებოჭილნი ცხენებს დააკრეს და ყაჩაღურად გაიტაცეს!..

მ ა ხ ა რ ე — (გულზე მჯიღს იცემს) ფუ, ჩემს კაცობას!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — (შემოდის, ვითომ აღშფოთებული) ეს რა მომხდარა? ჩემს საყმოში მე არა მკითხავს?! რის ბატონი ვარ, ვინა მქვიან? — **გამაგებინეთ?!**

პ ა ა ტ ა — (მახარეს) აჰა, აბა ეხლა? ეგაც თქვენი მეფე ერეკლე!

მ ა ხ ა რ ე — ერეკლე არა... რა ვქნა, მაგას ვერ დავიჯერებ...

პ ა ა ტ ა — არ დაიჯერო, სანამ სული არ ამოგხადოს!

მ ა ხ ა რ ე — მაგას ნუ ბრძანებ... (ციციშვილს) გუშინ თვითონ არ მოიხილეთ? რა პატივი მცა... თქვენს წინაშეც გამომესარჩლა!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — შენთვის თვალი რომ აეხვია, შე უბედურო!

მ ა ხ ა რ ე — ჩემს დას, საცოდავს, ათი ოქრო რაღად აჩუქა?

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — (მწარედ) დღეს რომ ორასად მიეყიდნა ქერიმხანისთვის.

პ ა ა ტ ა — რა ვერაგია! (ციციშვილს) როგორ? გუშინ ამასთან იყო?

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — ვითომ იმ რუსის სანახავად...

პ ა ა ტ ა — (იცინის) კმარა, ცხადია!
(მახარეს) გუშინ დაგზვერა. — პატარძალიც, დაც შეგიმოწმა, დღეს ვერაგულად ასე თვალწინ ორნივ მოგტაცა!

ერთის ხელით რომ სპარსეთს ვითომ ურჩობას უწევს,
მეორე ხელით კვლავ სპარსეთზე ჰყიდის ქვეყანას...
(ცბიერად) ღმერთო მაღალო, ქვეყნად გველი რად გაჩინე?

მ ა ხ ა რ ე — (თითქოს ერთბაშად თვალი აეხილა, ხანჯლის სადავეზე ხელი იტაცა)

მეფე კი არა, ცოფიანი მგელი ყოფილა...
მოვკლავ ღმერთმანი!..

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — (შეუტია) რას მიჰქარავ?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — გულს ნუ აჰყვები,
თორემ საცოლეს მალე თავსაც გადააყოლებ!

მ ა ხ ა რ ე — (გამწარებული) მოვკლავ, ღმერთმანი, ჩემი ხელით გულს გავუფატრავ,
ამდენ შერცხვენას, რაღად მინდა თავი ვიცოცხლო?

პ ა ა ტ ა — კაცი ჰყოფილხარ... მომეწონე!.. მაგრამ, იცოდე,
როდესაც ლომზე ნადირობენ, იმას ცდილობენ,
გულში მოარტყან, თორემ დაჭრილს ვერსად წაუვლენ...

მ ა ხ ა რ ე — ჩემი მზექალა მან მომტაცა, ჩემი მაიკო...
ნეტავ მაჩვენა, მერე ნახეთ ჩემი ნასროლი!

პ ა ა ტ ა — (ცბიერად) რევაზ ბატონო! (მახარეზე აჩვენებს)
გულს მიკოდავს ეს ცოდვის შვილი,
მოდი, ჩვენ მაინც მოვუნახოთ მცირე წამალი,
რომ ქვეყანაზე სანუგეშო გაუჩნდეს რამე!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — მზად ვარ, ბატონო!

პ ა ა ტ ა — ამის ნაცვლად სხვა ყმას გაჩუქებ
თავის სახლ-კარით, სულადობით, — მთელი ოჯახით;
ეს საწყალი კი, რახან მეფემ ასე დაჩაგრა,
ამიერიდან იყოს გლეხი — თავისუფალი!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — სამაგიერო ყმა რად მინდა? საშვილიშვილოდ
ვათავისუფლებ დღეიდანვე და თუ რამ ჰმართებს,
ან კოდიპური, ან ბეგარა, უარს ვაცხადებ!

მ ა ხ ა რ ე — (მუხლებში ჩაუვარდა)
გმადლობთ ბატონო, თუ ამ ქვეყნად კიდევ ვიცოცხლე,
ყმაზე ერთგული, ყურმოჭრილი ვიქნები შენი...
(ცალთას უკოცნის).

პ ა ა ტ ა — (აყენებს) ეხლა ადექი, ერეკლეზე კრინტი... ხმა... არსად!
სადაც მოგიხდეს, მარტო აქე!..

მ ა ხ ა რ ე — (აენთო) როგორ თუ ვაქო?!

პ ა ა ტ ა — (მკაცრად) რაკი გიბრძანებ, ერთი სიტყვაც არსად წამოგცდეს.
მეფეც რომ შეგხვდეს, იმ ქალებზე ხმა არ შესძრახო,
თითქოს შენს ახლო ნიავსაც კი არ ჩაუვლია...
როდესაც შენი ჟამი დაჭკრავს, მე თვითონ გეტყვი!
(ამილახვარს) შენთან წაიყვა. გზაზე კარგად გააგებინე,
რად მეწვის გული, როცა ვინმეს ერეკლე სჩაგრავს...
(მ ა ხ ა რ ე ს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე და რევაზი სიგელს დავწერთ და იქ მოგიტანთ...
როგორც გითხარი, — არსად კრინტი!..

მახარე — დიახ, ბატონო!

(ამილახვარი და მახარე გადიან).

ციციშვილი — მუდამ მჯეროდა შენი სიბრძნე, დღეს კი დავრწმუნდი,
რა ბედნიერნი ვიქნებოდით, შენ რომ გემეფნა!

პაატა — (თვითკმაყოფილი) კარგად მოვაწყე?

ციციშვილი — უკეთესად არ შეიძლება,
დღესვე რომ ნახოს, თავის ხელით გაუყრის ხანჯალს...

პაატა — რა უნდა გითხრა! ჩვენი რუსი ძლიერ შეწუხდა,
მეფე რომ შეხვდეს, არაფერი არ წამოროშოს!

ციციშვილი — მანამ მას ნახავს, მგონი ასჯერ დაავიწყდება,
იტყვის და, — ჩვენზე რა უნდა სთქვას?

პაატა — შენ მართალი ხარ!..
ეხლა ერთი რამ კიდევ მინდა ძმურად გაგანდო, —
იქნებ... ხალხნი ვართ, მე ჩავვარდე...

ციციშვილი — მაგას ნუ მეტყვი!

პაატა — ხალხნი ვართ-მეთქი, სამოთხეზე როდესაც ფიქრობ,
უნდა გახსოვდეს ჯოჯოხეთიც!

ციციშვილი — ეგ მართალია!

პაატა — ჰოდა, მისმინე: თუ ერეკლეს მახეში მოვხვდი,
გინდ შანთით დამწვან ორივ თვალი, შენ არ გახსენებ...
შენ ამ საქმეში ვითომ სრულაც არ გარეულხარ!
სამაგიეროდ, შეიძლება თვითონ ჩავარდე,
ერეკლეს ჯაშუშს, სხვა რომ კიდევ არა იყოს რა,
განჯის ციხეში უნახიხარ, ესეც გეყოფა...
თუ ასე მოხდა, მაშინ ჩემზე კრინტი არ დასძრა!
შენ თუ გადარჩი, შენ მოულებ ერეკლეს ბოლოს,
მე თუ გადავრჩი, დამერწმუნე, ვერსად წამივა!

ციციშვილი — ამილახვარმა თუ არ დაფქვა...

პაატა — ვინ დაუმოწმებს?
მოწმის გარეშე კაცის დასჯა არ შეიძლება!

(შორიდან მოისმა გაბმული ცხენის ფეხის თქარუნი. ცხენოსნები ეტყობა გალავანს მოადგნენ. გახარებული სედოვი შემოიჭრა).

სედოვი — ერეკლე მეფე აქეთ მოდის თავის ამალით!

(ისევ გარეთ გაეშურა).

პაატა — (შემკრთალი, დაფაცურდა) ერეკლე მეფე?! საით? როგორ?

ციციშვილი — (შეშინებული პაატას) იქნებ შეიტყო?

პაატა — (განზე გაიყვანა) არა მგონია... მაგრამ მაინც სიფრთხილე
გვმართებს, —
არსად, არავინ წამოროშოს!

ციციშვილი — პირს ვის შევუკრავთ?

პაატა — ყველას, ვინც ნახა, რაც აქ მოხდა!

ციციშვილი — როგორ, პაატავ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ა ა ტ ა — როგორ და, ეხლავ ალაყაფის კარი ჩაკეტეთ,
არც ერთი გლეხი გალავანში არ შემოუშვათ,
არც ერთი კაცი! ჩემო რევაზ, რაღას უყურებ?
(ციციშვილი სწრაფად გადის, ეზოში მეორე მხრიდან შემოდიან მეფე ერეკლე, ლევან ბატონიშვილი, ორბელიანი და სხვა დიდებულნი. პაატა მეფე ერეკლეს მიეგება).
ბედნიერი ვარ, უთვალავჯერ ბედნიერი ვარ...
მნათევ, ზარები! — ჩემი მეფე სტუმრად მეწვია!
(ფეხებში ფარისევლურად ჩაუვარდა, უნდა კალთაზე აკოცოს. ერეკლემ არ დაანება, წამოაყენა).

ე რ ე კ ლ ე — საყვარელ ბიძას, ჩემს პაატას არ ეკადრება!
(სამრეკლოზე ზარები აწკრიალდნენ).
ან ეს ზარები რისთვის გინდა? უთხარ — ნუ რეკენ,
ყიზილბაშები ჩვენს მამულს ხომ ჯერ არ დახსნიან?
მტერზე როდესაც გავიმარჯვებთ, ზარები — მაშინ!

პ ა ა ტ ა — (ლაქუცით)
მაგას ნუ შეტყვი. შენ მეფე ხარ, მე — მასპინძელი,
ამიტომ გკადრებ... რა დღიდანაც შენ გვყეხარ მეფედ,
ჩვენს გამარჯვებას წინ რა უდგას, დიდო ბატონო?
(მნათეს) მაგრა დარეკე! დე, შეიტყოს ხალხმა, ქვეყანამ,
საყვარელ მეფეს ეგებება მისი ერთგული!
(ერეკლეს) მობრძანდით, ჩემი სახლის ჭერი მაღლა აიწევს,
კედლებიც განზე გაიწევენ, მეფე-ბატონო!
ბაგრატიონებს ხმალიც უჭრით, ლხინიც იციან!

ე რ ე კ ლ ე — ვერა, პაატავ, მასპინძელი კარგი ხარ, მაგრამ
ალბათ მტერს უნდა ტკბილი ლუკმა არ დამაცალოს...
კახეთს ვიჩქარი, — გრემს ლეკების რაზმი დასხმია...
ხალხი ტიროდეს, მე სუფრაზე შენთან ვლხინობდე, —
აბა მითხარი, სადაური მეფე ვიქნები!
(შემოდის ციციშვილი, მეფე ერეკლეს მდაბლად მიესალმა).

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — დღეგრძელი იყოს დიდი მეფე!

ე რ ე კ ლ ე — იცოცხლე!
იმ დღეს რომ ყმასთან სიტყვა გითხარ, ხომ არ მემდური?

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — მაგას რას ბრძანებ, ჩემო მეფევ!..
(თვალს არიდებს).

ე რ ე კ ლ ე — გატყობ, გეწყინა...
ეხლა, აი აქ, გლეხთაგანი არავინ არის
და მინდა გითხრა გულახდილად, რაც სათქმელი მაქვს.
ნურავინ ფიქრობთ, ბატონების ორგული ვიყო,
ან გლეხი თქვენს თავს ვამჯობინო, წინ დავაყენო,
როგორც სპარსეთის მოციქულნი ჭორს მიქსელავენ...
არა, მე ის მწყინს, რომ გლეხობის ფასი არ იცით.
გლეხობა არის ჩვენი ქვეყნის სიმტკიცის ძალა,
თქვენ კი მას...

ლ ე ვ ა ნ ი — (ვერ მოითმინა) სცემენ, დასცინიან, ფეხქვეშ სთელავენ!

ე რ ე კ ლ ე — დამაცა, შვილო! (ციციშვილს) გლეხი არის ჩვენი მარჯვენა.
შინ — გუთნისდედა გამრჯე, ომშიც — გამრჯე მხედარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ კი მას ურტყამთ, პირუტყვივით ბაზრებზე ჰყიდით,
ჭირნახულს სტაცებთ, ნამუსსა ჰხდით ურცხვენთ კაცობას
და მერე ქვეყნის დასაცავად გინდათ იბრძოლოს?!
რისთვის იბრძოლოს? — იმისთვის, რომ მათრახი ურტყათ?!
ან იქნებ მისთვის, რომ შიმშილში სული ამოხდეს?!
ესა ჰლუპავდა საქართველოს უწინაც, მერმეც,
მიტომ დაჩლუნგდა მისი ხმალი დაუსვენარი...

ორბელიანი — აბა, კაცური გლეხკაცობას ვაჩვენოთ გული,
და მერე ნახეთ შინ — შრომაში, გარეთ — ბრძოლაში!

პაატა — სიბრძნეს მეტყველებს დიდი მეფე!

ლევანი — (ორბელიანს) რაღაც არ მომწონს, —
სულ სიბრძნე, სიბრძნე!.. ასე რისთვის ელაქუცება?
ის რა სიბრძნეა, თვითონ მე რომ ყოველ ჟამს ვიტყვი?

ერეკლე — (ყური მოჰკრა) რას ამბობ, ლევან?

ლევანი — პაატაზე ვუთხარ სპასალარს,
რომ მეტისმეტად ჰყვარებიხარ...

ერეკლე — მეც მიყვარს, შვილო!..
ორბელიანო, ხმალი მომეც! (ორბელიანმა
გაუწოდა) ჩემო პაატავ,
აი, რისათვის გეწვიე შენს მამულ-დედულში!
შენ რომ ზარბაზნებს ასხმევინებ ძველს თოფხანაში,
ნამდვილად გეტყვი, მტრისთვის სწორედ რისხვაა ღვთისა.
შენს საციხოვნე ზამბურაკებს ვერავინ უძლებს,
სპარსნი გარბიან, ლეკები წამს იარაღს ჰყრიან.
გუშინ ახალი ზარბაზანი პირველად ვცადე,
ტაბახმელიდან შავნაბადა ლამის შეგლიჯა...
ღმერთმა მარჯვენა დაგილოცოს!

პაატა — ღირსი არა ვარ!

ლევანი — (ორბელიანს) მართალი არის, ეგ დიდება მას არ ეკუთვნის,
თუ რამ გაკეთდა, სულ იმ რუსი კაცის ხელია!

ერეკლე — (ხმალი გაუწოდა) აი, ეს ხმალი ნადირშაჰის ნაქონი არის,
ბრძოლაში კაცს არ უღალატებს, რკინის მთელია.
ოქრო-ნაჭედი ქარქაში აქვს გველის თავებით,
რომ ვერც შელოცვამ, ვერც ბოროტმა თვალმა მონუსხოს...
აჰა, მიიღე, როგორც მთელი ქვეყნის მადლობა!

პაატა — მადლობა, მეფევ, შენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა,
რომ სიკვდილამდე გემსახურო ეგრე ერთგულად!

ერეკლე — ის სადღა არის, შენი რუსი?

პაატა — (მისი ხსენება არ ეამა) დღეს არ მინახავს,
მგონი შეუძლოდ არის ისევ, ხელი აწუხებს!

ერეკლე — რის ხელი! ეხლა თვალი მოვკარ გალავანს გარეთ.

პაატა — (დაფაცურდა) მე არ მინახავს... (ციციშვილს) ჩქარა რუსი!

ციციშვილი — ეხლავ, ბატონო!
(გადის).

ერეკლე — კარგი ხელი აქვს... ჩვენს ხალხს ცოტა რამ ვერ ასწავლა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ა ა ტ ა — სამი ისეთი მეფოლადე დაგვიოსტატა,
მათი ნაჭედი თოფ-დამბაჩა თვალს უხარიან!

ე რ ე კ ლ ე — ყოჩაღ, ბიჭებო! აი, ერთმა კეთილმა ხელმა
რამდენი ხელის სასიკეთო ნაყოფი მოგვცა!
ეგრე ყოფილა, ერთ მარცვალს რომ ჩააგდებ კვალში,
ოცჯერ, ორმოცჯერ გამრავლდება, თუ ხელს მიატან.
ქართველმა კაცმა მიწა იცის, მხედრობა იცის,
იცის ბრძოლაში ჩონგურივით ხმლის აჟღერება,
მაგრამ ძველთაგან ხელოსნობა რაცა სცოდნია,
მტრისგან აკლებულს, ხელმოცარულს დავიწყებია
და ეხლა დროა, კვლავ სამჭედურს მოჰკიდონ ხელი,
თორემ ამ ქვეყნად ფონს ვერ გავა მარტო სახნისით...

ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — სწორედ ეგრეა რუსეთსა და უცხო ქვეყნებში,
დღითიდღე რკინის და ფოლადის დროება მოდის...
(შემოდიან ციციშვილი და სედოვი).

ს ე დ ო ვ ი — (მდაბლად მიესალმა)
დიდხანს სცოცხლობდეს ჩვენი მეფე!

ე რ ე კ ლ ე — ღმერთმა გაკურთხოს...
შენი ახალი ზარბაზანი გუშინა ვცადეთ
და, უნდა გითხრა, გაგვაკვირვა როგორც სისწორით,
ისე ადრინდელ სამს სჯობია თავის ძალითაც, —
ოცგოჯიანი კედლის ძირი ლამის შეგლიჯა!
ეხლა მითხარი, ოცდახუთი ოქრო გაჩუქო,
თუ სახლი თავის მიწითა და ყევარი ხარით?
(სედოვი ყოყმანობს, თქმა უპირს).

ს ე დ ო ვ ი — არც ერთი მინდა, დიდო მეფევ, და არც მეორე...
(ეტყობა რაღაც სათქმელი აქვს, ვერ ბედავს).

ე რ ე კ ლ ე — მითხარი, შვილო, რა გაქვს გულში, ნუ გერიდება.
(სედოვი სდუმს, პაატამ ხელი წაავლო, შეარხია).

პ ა ა ტ ა — ხმა ამოიღე, ხედავ? ბედი კარს მოგდგომია!

ს ე დ ო ვ ი — (თავს მოერია, წელში გასწორდა)
თქვენი ბრძანებით დღეს რომ ორი ქართველი ქალი
სპარსეთს გაგზავნეს, ის ქალები შინ დააბრუნეთ...
ყველა საჩუქარს, დიდო მეფევ, ეს მირჩევნია!
(პაატა და ციციშვილი სახტად დარჩნენ).

ე რ ე კ ლ ე — (აცქერდება ხან პაატას, ხან ციციშვილს)
ჩემი ბრძანებით... ორი ქალი... სპარსეთს გაგზავნეს?!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — (ჩურჩულით პაატას) როგორ დაგვღუპა არამზადამ!

პ ა ა ტ ა — ნუ გეშინიან!

ე რ ე კ ლ ე — (მკაცრად) პაატავ, რევაზ... გესმით, სპარსეთს?! ჩემი ბრძანებით?!

პ ა ა ტ ა — (უტიფრად) დიახ, მეფეო!.. აქ ვიყავი, თვითონ მოწმე ვარ,
საცოდავები ჯვარს იწერდნენ... ცეკვა, ფანდური...
უცებ, სად იყვნენ, ისე სწრაფად გარს შემოერტყნენ!

ე რ ე კ ლ ე — (გააწყვეტინებს) ვინ შემოერტყნენ? — სთქვი პირდაპირ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ა ა ტ ა — (მშვიდად) ვინ და — ჩაფრები.
ოსები იყვნენ, ეტყობოდათ სიტყვა-პასუხზე, —
ერეკლე მეფის ბრძანებითო. — გაიძახოდნენ...
ხმა ვერ შევძრახე, მეფის ჩაფრებს რასა ვკადრებდი?!
ე რ ე კ ლ ე — (იჭვით) და შენ, პაატავ... დაიჯერე ეს მოჩმახული?!
პ ა ა ტ ა — ღმერთო მაღალო, კაცი როცა გულმართალია,
რარიგ ბალღივით მოტყუვდება თურმე ადვილად!..
(ერთბაშად. მუქარით).
მაშ, ვინ გაბედა ეთამაშნა მეფის სახელით?!
ე რ ე კ ლ ე — (გამომცდელი თვალით აცქერდება ხან პაატას, ხანაც ციციშვილს) მალე გავიგებ...
(მკაცრად) ქვესკნელშიც რომ ჩაძვრეს, გავიგებ...
ფრთხილად. პაატავ. აქ სპარსული ოქრო ტრიალებს,
ჩანს, საქართველოს უპირებენ ისევ გაყიდვას!
უნდათ ამ წმიდა მიწა-წყალზე კვლავ ცეცხლის კალო
ილეწებოდეს, როგორც უწინ, და ქართველ ქალებს
ყიზილბაშები ჰარამხანის კახპებად ჰყიდდნენ!
არა, ჩვენი გზა სპარსეთისას ვეღარ გაჰყვება,
ის გზა შავია, უკეთილმართი და სისხლიანი.
ჩვენ ერთი გზა გვაქვს, — რუსეთისკენ! გზა მომავლისა,
ამ კურთხეულ გზას ძალუძს იხსნას ქართველი ერი.
მან უნდა ნათელს აზიაროს ჩვენი გონება,
სწავლას და სიბრძნეს დაგვაწაფოს, ვით უშრეტ წყაროს;
ჩვენს დაღლილ ხმალსაც კვლავ დააგოს ბასრი ფოლადი!
პ ა ა ტ ა — (შეპარვით) სიბრძნეს ჰმეტყველებ, დიდო მეფევ, მაგრამ
არა სჯობს.
ნელა და ფრთხილად ვიმოქმედოთ ისე, რომ ვიდრე
რუსის ჯარი ჩვენ ამ სიშორეს მოგვეშველება,
სპარსეთის ლომმა ერთის ტორით მტვრად არ გვაქციოს?
ე რ ე კ ლ ე — სპარსეთის ლომმა? (არ ეჭაშნიკა) რატომ სპილოს არ დაუძახებ?!
ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — ჩვენ გავალომეთ ქართველებმა მშიერი მგელი!
ძმა — ძმას ვღალატობთ, გლეხი — ბატონს, ორივე — მეფეს...
ე რ ე კ ლ ე — და ბევრი მეფეც საქართველოს თვითონა ჰყიდდა...
აბა, გავერთდეთ! მხარი მივცეთ საქვეყნო საქმეს,
სამშობლო იყოს ჩვენი ერთადერთი მიზანი
და მაშინ მაგ ლომს სხვა ოთხფეხის სახელს დაარქმევ!
პ ა ა ტ ა — მართალსა ბრძანებ, ჩემო მეფევ!
ლ ე ვ ა ნ ი — (ერთბაშად პირში მიახალა) მაშინ შენ სტყუი!
რუსეთს და სპარსეთს — ორსავ ერთად ვერ უერთგულებ,
ორ ხატზე ერთად ლოცულობდე, — არ შეიძლება!
ე რ ე კ ლ ე — დაგვაცა, შვილო. უფროსები საქმეს რომ სჯიან,
უმცროსებს ჰმართებთ მოკრძალებით უსმინონ მხოლოდ...
ლ ე ვ ა ნ ი — იქნებ უმცროსსაც შეუძლიან სიმართლის პოვნა!
აი, მე ვამბობ... გული მიგრძნობს, — აზრითაც ვხედავ,
იმ ქალთა სპარსეთს გატაცება ვისი საქმეა...
ღმერთმანი, ვხედავ!

ერეკლე — ვისი, შვილო?
ლევანი — აქაური... ბატონებისა!
მათს მიწა-წყალზე მეფის ჩაფრებს ან რა ხელი აქვთ,
(ერეკლეს) ან შენ, ვინ, როდის, გაიტაცე მათს უკითხავად?
როდის ყოფილა, თუნდა ერთხელ, აბა ახსენონ!..
ორბელიანი — ბატონიშვილი მართალს ამბობს, არა ყოფილა...
პაატა — (ცოტა შემკრთალი, მაგრამ ნირს მაინც არ იტეხს)
არა ყოფილა... მართალია... მეც ეს მაფიქრებს...
მეფე ბატონო, მე მოვძებნი, თუ დამავალებ,
ამ საეჭველი, შავი საქმის თავსა და ბოლოს!
ერეკლე — შენზე უმეტეს ვის ვენდობი, ჩემო პაატავ?
დღესვე შეუდექ, იმედი მაქვს შენი ჭკუისა!
ლევანი — (ეტყობა, არ მოეწონა)
ყველას სჯობია, მე თუ მკითხავთ, ეხლავ მდევარი...
ერთი ჩაფარი მაინც თუ ხელთ ვიგდეთ როგორმე,
მერე სიმღერით ვათქმევინებთ — ვისი კაცია!..
ნება მომეცი, მამაჩემო, მდევარს გავუძღვე...
პაატა — (ჭკუაში არ დაუჯდა)
ბატონიშვილო, უფლისწული არ შევაწუხოთ,
ჩვენ აქ არა ვართ?! ქართლში განა გაწყდნენ ვაჟკაცნი?!
აი, რევაზი, სპარსეთის გზებს ისე დაგიწყობს,
როგორც მეცხვარე თრიალეთის გზებს და ბილიკებს!
ციციშვილი — მიბრძანე, მეფეე, ასი კაცით ეხლავ მზადა ვარ!
ერეკლე — (წამით დაფიქრდა)
არა, ჩემს ლევანს რაკი თვითონ უნდა გვაჩვენოს
თავის კაცობა, ეგრე იყოს, უარს ნუ ვეტყვით...
სედოვი — (ერეკლეს მოკრძალებით) მეფე ბატონო, გეხვეწები,
შენი ჭირიმე.
მეც თან გავყვები ბატონიშვილს, თუ შეიძლება!
ერეკლე — (მკლავზე დაჰხედა) შენი იქ წასვლა ემაგ ხელით?
არამც და არამც!
ორბელიანი — ცალხელა კაცი რა მდევარზე გასაგზავნია?!
სედოვი — არა მიშავს რა, მეორე ხელს რაც შეუძლიან,
ისიც მეყოფა, თუ კი სადმე მტერი შეგვხვდება!
ერეკლე — როცა გონებაც არის გულთან, გულს მაშინ ენდე,
თორემ ადვილად მოგატყუებს, იგი ჩქარია...
შენ, ეხლა ვხედავ, მარტო გული გალაპარაკებს!
ეგ ერთი ხელი არ გივარგა, ხომ მართალია?
მეორე — მარტო აღვირსა და ცხენსა სჭირდება...
მესამე ხელი ვინღა მოგცეს, როდესაც მტერთან
თოფი და ხმალი დაიწყებენ სისხლით ანგარიშს?
ორბელიანი — შენ მოგიაროს მდევარმა თუ იმ ჩაფრებს სდიოს?!
სედოვი — მეფე ბატონო, გეხვეწები, უარს ნუ მეტყვი... (დაუჩოქა)
იმ ქალებისთვის... (ეტყობა, რაღაც აქვს სათქმელი, უჭირს)
მეგობრობა მაქვს შეფიცული...
ის, ერთი... ჩემი საცოლეა... ფიცით შეკრული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეკლე — (წამოაყენებს) მათი ამბავი რაკი დროზე გამაგებინე,
განა ეს შენი მეგობრული ფიცი არ არის?
მდევარს რომ ვგზავნი, ესაც შენი გაგზავნილია...
გულს ნუ აჰყვები, დანარჩენი მე დამაცალე!
(ლევანს) ნულარ აყოვნებ... წადი, შვილო, დამილოცნიხარ...

ლევანი — (ყველას) მშვიდობით გნახეთ!
(მიდის, ორი დიდებულთაგანი მისდევს).

ციციშვილი — (პაატას ჩურჩულით) რომ დაეწიოს?

პაატა — (აგრეთვე ჩურჩულით) არა მგონია!
(ლევან ბატონიშვილს ალაყაფთან ეტყობა გლეხობა შეეგება).

ძახილი გარ ედან — ბატონიშვილო, მეფე გვინდა... ერეკლე მეფე!
(ძახილი და ხმაური მატულობს).

ერეკლე — რა ძახილია?

ლევანი — (უკან დაბრუნდა) მამაჩემო, ხალხი გკითხულობს...
უნდათ გნახონ და არ უშვებენ, კარს არ უღებენ!

ერეკლე — გაუღეთ კარი!

პაატა — ვინ დაკეტა? (ლევანი გადის, პაატა გაჰყვა, გზიდან გასძახა)
გააღეთ კარი!
(შემოდის ხალხი, წინ — მოხუცი გლეხი. ერეკლე მეფეს გარს ერტყმიან).

ხალხი — (ერთად) დღეგრძელობა და გამარჯვება ერეკლე მეფეს!

ერეკლე — ღმერთმა გაცოცხლოთ!..

მოხუცი გლეხი — (წინ წადგა) ჩვენს სიცოცხლეს რაღა ფასი აქვს?
ვისაც სიკეთე უნდა ჩვენი, მეფევ, დაგვწყეველოს,
რომ ბარემ ერთ დღეს ყველა გავწყდეთ, შე დალოცვილო!

ერეკლე — რათა? რა მოხდა? რამ გაგტეხა ეგრე მოხუცო?

მოხუცი გლეხი — რამდენი შვილი გყავს ეს მითხარ, მეფე ბატონო,
და მერე გეტყვი, რამ გამტეხა მე უბედური...

ერეკლე — რად გინდა? ოთხი, ხუთი... ბევრი!..

მოხუცი გლეხი — ღმერთმა გიცოცხლოს...
ჰოდა, იმ ხუთში ყველაზე კარგს ხელი რომ სტაცონ,
შენს თვალწინ შეჰკრან და სპარსეთში ხასად გაგზავნონ,
მითხარ, სიცოცხლეს ირჩევდი, თუ კაცურად სიკვდილს?

ერეკლე — კაცურად სიკვდილს, რა თქმა უნდა?!

მოხუცი გლეხი — მე რომ არ ძალმიძს
კაცურად მოვკვდე? ბებერი ვარ, რა შემიძლია?
ამიტომ ჯავრმა გამათავა, უცებ გამტეხა!

ერეკლე — შენს ჯავრს ჩვენ ვიყრით, ბერიკაცო, გულს ნუ იღონებ!

მოხუცი გლეხი — აკი ამბობდნენ, რაც ერეკლე ტახტზე ავიდა,
სპარსეთის გზები დაკეტაო საშკილიშვილოდ.
შე დალოცვილო, ნულარ გახსნი იმ წყეულ გზასა,
ცოდვაა ხალხი, შეგვიბრალე!

ხალხი — (ერთხმად) მეფევ, გვიხსენი!

მოხუცი გლეხი — (წინ წამოვიდა) შინ, როგორც ხარი, უღელშია
ხალხი შებმული,
გარეთ — სპარსეთში გვიყიდიან რძლებსა, და ქალებს!
მეფევ, რად გინდა უბედური ხალხის მეფობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ჩვენ რად გვინდა დაწყევლილი ესე სიცოცხლე?
ან დაგვიხსენი, ან გაგვწყვიტე, შენი ჭირიმე!

ხალხი — (ერთხმად) მეფევ, გვიხსენი!

პაატა — (შეუტია) ჩუმად, ხალხო, მეფეს აცალეთ!

მოხუცი ქალი — ჩვენი ქონება ბატონს რჩება, შვილები — სპარსეთს!

პაატა — (გულმოსული) გაჩუქდით-მეთქი!.. ნუ დაღალეთ მეფე ბატონი.

ერეკლე — (პაატას) რისთვის აჩუმებ? (ხალხს) სთქვით, რაც გულში გაქვთ საწუხარი!

ხნიერი გლეხი — ცაზე ვარსკვლავნი უფრო მალე დასათვლელია,
ვიდრე გლეხობის საწუხარი, მეფე ბატონო,
ამიტომ აღარ შეგაწყენ თავს მეტი საჩივრით...
მარტო ერთი რამ მინდა გკითხო!

ერეკლე — ბრძანე, მითხარი!

ხნიერი გლეხი — ხალხში ხმა დადის, მეფევ, თქვენზე, რომ ვითომ მალე
რუს ხელმწიფესთან კავშირს ჰკრავსო სამუდამოსა,
მართალი არი?

ერეკლე — (იცინის) როგორ გითხრა? არც ტყუილია...
მაგრამ, ჯერ მაინც... ერთი სიტყვით, ეხლა ვერ გეტყვი...
შენ ეს მითხარი, რისთვის გინდა ამის გაგება?

ხნიერი გლეხი — შენ გაიხარე, რისთვისა და. — სიხარულისთვის...
რუსთან კავშირი ჩვენი ხალხის დახსნა იქნება!

ერეკლე — შენ რუსი კაცი სად გინახავს, საიდან იცი?!

ხნიერი გლეხი — ვიცი, — მამაშენს თეიმურაზს ვახლდი პეტერბურღს,
იმ თორმეტ კაცში მეც ერთ-ერთი მცველი ვიყავი...
ღმერთმა დალოცოს, რუსი მართლა კაცი ყოფილა,
თავს არ დაზოგავს კაცისათვის, გულს არ დაზოგავს...
გაჭირვებაში გაგიტანს დ ძმობას გაგიწევს!..

ერეკლე — (ღიმილით) ბიჭოს! შენ თურმე კარის მრჩევლად გამომადგები!

ხნიერი გლეხი — თვითონ ბრძენი ხარ, ჩემი რჩევა რაში გჭირდება,
მაგრამ ნუ მიწყენ, რუს კაცს შენზე უკეთ თუ ვიცნობ.

პაატა — (ენამწარედ) მეფეს რომ სპარსეთს წაეყვანე, სპარსს შეაქებდი!

ორბელიანი — მაგას ნუ ბრძანებ! სპარსელს კარგა ვიცნობთ ყველანი!

ხნიერი გლეხი — თვითონ ურჯულო ჩვენ გვეძახის ბილწს და ურჯულოს...
ჩვენს დაკლულს არ სჭამს, ჩვენს პურ-ღვინოს არ ეკარება.
ზიზღით გვიყურებს, ჩვენს გაწყვეტას ალლაჰს ავედრებს.
რუსი ჩვენსავით კაცი არი. ჩვენი რჯულისა,
სასმელ-საჭმელი, ზნე და წესი აქვს ჩვენებური.
რუსული ენა მე არ ვიცი. მაგრამ უენოდ
ვიგებდი, რასაც რუსი ძმურად მეუბნებოდა...
რუსს რომ შეხედავ, თვითონ გაძლევს გულის გასაღებს!

ერეკლე — ყოჩაღ, მე და შენ ერთნაირი აზრი გვქონია...
მეფემ და გლეხმა თუ ერთმანეთს ენა გაუგეს,
მაშინ სამშობლოს ბედ-ილბალიც გადაჭრილია!

პაატა — (ციციშვილს ხელი ჩაავლო. ჩურჩულით)
მეფე და გლეხი... მაშ, ბატონი აღარ ყოფილა!..

ერეკლე — (ხალხს) პირობას გაძლევთ, სპარსეთის გზა ისე მოვშალო,
რომ საქართველოს გზას ვერასდროს იგი ვერ შეხვდეს...
ჩვენ ერთი გზა გვაქვს, — რუსეთისკენ, გზა — მომავლისა!
მან უნდა მისცეს ჩვენს დალოცვილ მიწას ბარაქა
და ხმლის მაგიერ, ბარ-საკვეთის მადლით აავსოს!
(მოხუც გლეხს) შენ კი, მოხუცო, ნუ ინაღვლებ. მდევარს უცადე.
(განზე მდგომ სედოვს) ოლეგ, რა იქენ? აჰა, შენი ქისა არ გამყვეს...
(ქისა მისცა) რაკი იმ ქალთა გატაცება გამაგებინე,
მიწაც და სახლიც წინანდალში შენთვის მზადა მაქვს!
(ხალხს) ნუ გეშინიათ, გავიმარჯვებთ.. მშვიდობით ძმანო!

ხალხი — (ერთად) სცოცხლობდეს მეფე!

(ერეკლე მეფე მიდის თავისი ამალით. პაატა და ციციშვილი მიაცილებენ).

ბნიერი გლეხი — (სედოვს მივარდა, ხელზე ხელი დაჰკრა)
რუსო, „დრასტი“, შენი ჭირიმე!
იმ უბედურებს იქნებ შენმა სიტყვამ უშველოს.

ფარდა

მესამე მოქმედება

სურათი მეოთხე

ერეკლე მეფის სასახლის ეზო თბილისში. მარცხნივ სასახლის დაბალი აივანი მარადმწვანე სუროთი დაჩრდილული. მარჯვნივ — სათოფურებიანი გალავანი ბურჯებით. გალავანს რკინაჭედი კარი აქვს შებმული. სიღრმეში ქვის განიერ კიბეს სასახლის დარბაზში ავყევართ, შუა ეზოში ტოტებგანიერი მუხა და მის ქვეშ — ქვის სკამებშემოწყობილი ქვისავე მაგიდა. გალავანს იქით, კლდეზე ამართული მეტეხი მოჩანს.
ღღეა. ფარდის ახდისას მეფე ერეკლე და ლევან ბატონიშვილი მაგიდასთან საუბრობენ.

ლევანი — შუაღამისას მთვარე ჭედებს როს მიეფარა,
მტკვარს მივაღწიეთ, მყისვე ბორანს დავუწყეთ ძებნა,
ბნელში არ სჩანდა არაფერი. მტკვარს გაღმა ოდნავ
რაღაც ბჟუტავდა ცეცხლის მსგავსი. ორაერ გავძახე,
ხმა არვინ გამცა და ის ცეცხლიც უმალ ჩანელდა,
მაშინ კი მივხვდი, ეს საეჭვო ნიშანი იყო,
და მდინარეში წამს შევყარეთ ჩვენი ცხენები...

ერეკლე — ბიჭო და, ფონი ვერ მონახეთ? ბორნის ადგილას
ცხენდაცხენ გასვლა მდინარისა სად გაგონილა?

ლევანი — შუა მდინარეს მივაღწიეთ, სროლა რომ ასტყდა, —
ორი ბოდბელი იქ მომიკლეს... რა ვაჟკაცები!
ის ერთი — ქერა, როგორც ფარი, წინ ამეფარა
და იმ დროს მოხვდა სწორედ გულში...

ერეკლე — ღმერთმა აცხონოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ე ვ ა ნ ი — ბოლოს გავუხდით, როგორც იყო, მაინც გაგვასწრეს,
ვდიეთ კვალდაკვალ, — რაც კი დაღლილ ცხენებს შეეძლოთ...
ყაზახის მიჯნას რომ გავცილდით, ეს ერთი ქალი
გზაზე გართხმული ეგდო მტვერში, გონდაკარგული...
იქვე მის გვერდით ეგდო ცხენიც, სისხლი სდიოდა, —
სჩანს, ჩვენი ტყვია მოხვდა, მტკვარზე რომ შევეჩეხეთ.
ის მეორე კი წაიყვანეს, ვერ დავეწიეთ,
გუშინ საღამოს განჯის ახლოს უნახავთ მწყემსებს...

ე რ ე კ ლ ე — მაშ, ვერც ჩაფარი იგდეთ ხელში, ვერც თვითონ ქალმა
გაიგო რამე, — ვისი ხელი ჰქსელავს ამ მახეს?

ლ ე ვ ა ნ ი — დიახ, ეგრეა... ჩაფარი ხომ მაშინვე მოკვდა,
ქალი კი, შიშით თუ ნამდვილად, არაფერს ამბობს...

ე რ ე კ ლ ე — წადი და ეხლავ მომიყვანე, ნე გამოვკითხავ!
(ლ ე ვ ა ნ ი ბურჯის კარით გავიდა).
ლევანის ეჭვი მეც მაეჭვებს... დიდოსტატურად
მოწყობილია გატაცება... ჩემი სახელიც
რა ვერაგულად აქვს, ვინც არის, შიგ ჩაქსოვილი!
(დაფიქრდა).
პაატა არ იზამდა... (ერთბაშად) ღმერთო, შეგცოდე,
მისი ხსენება ამ საქმეში მართლა ცოდვაა!..
ციციშვილს ჭკუა არ ეყოფა, — ეგრე მოაწყოს...
ამილახვარი მხდალი არის, ვერ გაბედავდა...
მაშ ვინ იქნება? ვისი ხელის შავი საქმეა?!
(შემოდიან მ ზ ე ქ ა ლ ა და ლ ე ვ ა ნ ი, ე რ ე კ ლ ე ქალს მიეგება).
აქ მოდი, შვილო... შე საწყალო, რარიგ დაგტანჯეს,
ბედნიერება მოგიშხამეს ეგრე ერთბაშად!
დაჯექი... (მზექალა ჩამოჯდა) მითხარ,
იმ ჩაფრებში ვერავინ იცან?

მ ზ ე ქ ა ლ ა — ვერავინ ვიცან, ჩვენებური არავინ იყო...

ე რ ე კ ლ ე — ან საუბარში ხომ არავინ უხსენებიათ?

მ ზ ე ქ ა ლ ა — უცხო ენაზე საუბრობდნენ...

ე რ ე კ ლ ე — რომელ ენაზე?

მ ზ ე ქ ა ლ ა — აბა რა ვიცი... ქართულს ერთი სიტყვაც არ ჰგავდა!

ე რ ე კ ლ ე — (დაბეჯითებით) სახელი მაინც არავისი გაგიგონია?..
აბა დაფიქრდი, მოიგონე!

მ ზ ე ქ ა ლ ა — (თავი აიღო) მგონია ერთხელ
პაატას სახელს მოვკარი ყური...

ლ ე ვ ა ნ ი — (წამოიჭრა) პაატას სახელს?!
ხომ გაიგონე, მამაჩემო?

ე რ ე კ ლ ე — დამაცა, შვილო!
იქნებ ახსენეს მართლა კიდეც, მაგრამ განა ეს
იმასა ნიშნავს, რომ ნამდვილად მისი ხელია?
იქნებ ახსენეს, როგორც ჩემი ახლო მოკეთე!

მ ზ ე ქ ა ლ ა — თქვენი სახელიც გავიგონე, მეფე ბატონო!

ე რ ე კ ლ ე — (გულზე მოეშვა. ლევანს) აჰა, ხომ ხედავ? მაშ მეც მასთან
წილი მქონია!

კაცის უბრალოდ გასჯას ბევრად ისა სჯობია,
დაძნაშავე რომ დაუსჯელი გაუშვა ქვეყნად...
(მზექალას) ეხლა ის მითხარ, — გზად თუ ნახეთ ვინმე ისეთი,
რომ პური მისცა, ან საგზალი სხვა რამ იმ ჩაფრეს,
ან იქნებ ცხენი შეუცვალა დაღლილი გზაში.

მ ზ ე ქ ა ლ ა — არა, არავინ.. მარტო ღამით ვიყავით გზაზე,
დღისით ან ტყეში, ან ხევ-ხევში სადმე გვმალავდნენ, —
ისე რომ კაცი არ გვინახავს ძე-ხორციელი!

ე რ ე კ ლ ე — ეჰ, ვერაფერი ვერ მითხარი, შვილო, ისეთი,
რაც თქვენს მტაცებლებს ან მათ კაცებს მაპოვნინებდა.
რომ ღირსეულად დამესაჯა...

მ ზ ე ქ ა ლ ა — (წამოდგა) მეფე ბატონო,
შენი ჭირიმე, რაკი მიხსენ, შინაც გამიშვი,
სანამ მამაჩემს ჩემი ჯავრი გაათავებდეს...

ე რ ე კ ლ ე — (ღიმილით) მართლა მამაშენს, თუ შენს საქმროს?

ლ ე ვ ა ნ ი — ორივეს ერთად!

ე რ ე კ ლ ე — (მზექალას) არა, ცოტა ხანს ჩემთან უნდა აქ დარჩე, მანამ
ამ შავი საქმის შხამიან ძირს ამოვაგდებდე...
თუმცა სასახლეს, ვიცი, შენი ღარიბი ქოხი
ათასჯერ გიჯობს, მაინც გირჩევ — ნუ აჩქარდები.
სანანებელი არ გაგიხდეს კვალად შინ ყოფნა...
აი, ეს სახლი, ეზო-კარი, ვითომ შენია,
ისე იყავი, შვილო, როგორც საკუთარ ჭერქვეშ!..

მ ზ ე ქ ა ლ ა — მადლობა მეფევ!.. ერთხელ თაგვმა ლომი დაიხსნა,
იქნებ მეც შევძლო... თუმცა ღმერთმა ნუ გაგიჭირვოს!..
(გადის).

ე რ ე კ ლ ე — ვერ მივაგენით... (ლევანს) ხომ გინახავს, გველი რომ შამბნარს
არხევს და არ სჩანს, მისცურავს და კვალს არა სტოვებს!
ეგრეა ეხლაც. — ვხედავ ქვემძრომს აქვე, ჩვენს გვერდით,
სისინიც მესმის გესლიანი, ორკაპი ენის
და ვერცა ვხედავ, რომ ულმობელ ხელით გავსრისო...

ლ ე ვ ა ნ ი — რაკი არა სჩანს, ის შამბნარი უნდა მოთიბო,
გველს თუ ვერ ნახავ, სოროს მაინც მიაგნებ მისას...

ე რ ე კ ლ ე — ვერ გამიგია, რა შამბნარი?!..

ლ ე ვ ა ნ ი — ბატონყმობისა,
მართლა შამბივით ჩვენს მიწა-წყალს ღალას რომ აცლის!..
მოსპე ეს შამბი, — დაისვენებს შენი სამეფო,
თავისუფალი გლეხი მიწას მადლს დაუბრუნებს
და თავცოცხალი მას არავის არ დაანებებს...
იცოდე, მამავ, ყველა გველი ამ შამბში ბუდობს!..

ე რ ე კ ლ ე — ჭკვიანი მყევხარ, ლევან, შვილო, მაგრამ ბალღი ხარ
ჯერ და ამიტომ ცოტას ჩქარობ...

ლ ე ვ ა ნ ი — (უკმაყოფილო) სულ ბალღი, ბალღი!

ე რ ე კ ლ ე — ხილს დამწიფება უნდა, თორემ მკვახე კაცს აწყენს...

ლ ე ვ ა ნ ი — ზოგჯერ მებაღემ დაჩქარება იცის მწიფობის!

ერეკლე — ვთქვათ, დაგიჯერე, ხვალიდანვე მოვშალე ყმობა,
ვინ გამოიყვანს მტერზე ლაშქარს, საგზალს ვინ მისცემს?
ლევანი — მორიგე ლაშქარს თუ დავაწყობთ, თვითონ ექნება
თავის სამყოფი საგზალი და თოფ-იარაღი!
ერეკლე — ვინ ეყოლება სათავეში თემსა და სოფელს,
გადასახადი ან ბეგარა ვინ გააწეროს?
მორიგე ლაშქარს რომ აპირებ, თავთავის დროზე
ვინ დაუძახოს გლეხს თუ თავადს სამორიგეოდ?..
ეგაც არ იყოს, შვილო, აბა, თვითონ გაზომე,
რამდენ მოსისხლე მტერს გავუჩენთ ამით სამეფოს?..
ეხლა, როდესაც ირგვლივ მგლების ხროვა გვარტყია,
ჯერ საქართველოს სიცოცხლეა გადასარჩენი!
(შემოდის დედოფალი).
დედოფალი — (კრძალვით) მეფე ბატონო, რუსთა ელჩის პატივსაცემად
რაც კი მიბრძანე, ყველაფერი თავის რიგზეა.
ერეკლე — სტუმრები ჯერ ხომ არ მოსულან?
დედოფალი — ზოგნი გეახლნენ,
ამილახვარი და პაატა ყველაზე უწინ.
ერეკლე — (დაფაცურდა) ვაი, სირცხვილო... რას იტყვიან? (ლევანს)
წავიდეთ, შვილო.
თორემ, ხომ იცი, მასპინძლობას დაგვიწუნებენ!
ლევანი — (დამცინავად) ამილახვრის სტუმრობაო — არ გეგონოს
ხუმრობაო...
(ყველანი გადიან, ეზო ცარიელდება. შემოდის მზექალა).
მზექალა — (ვიღაცას ეძებს. ცერებზე შემდგარი ეზოს იქით იცქირება).
ის არის მგონი, — ჩვენი რუსი (თვალს არ აშორებს) ის არის
სწორედ!
იქნებ მახარეც?.. ღმერთო, ლამის გული გამისკდეს...
ვინ იცის, იქნებ დამივიწყა!.. (თითქოს შეშინდა)
ეს რა მოვჩმახე?!
საწყალი, ალბათ იტანჯება ჩემზე უმეტეს...
ჩემო მახარე!.. ნუთუ კიდევ გნახავ როდისმე?..
(იცქირება).
აქეთკენ მოდის... (ხელს უქნევს) ოლეგ, აქეთ!..
სედოვი — (გახარებული შემოიჭრა, მზექალას ორივ ხელი ჩასტაცა...
უცქერის, თითქოს არა სჯერა, რომ იგი არის) ნუთუ შენა ხარ?
მითხარ, მაიკო სადღა არის?
მზექალა — (გულდაწყვეტილი) ბედმა უმუხთლა,
იმ ბნელ ღამეში მისი ცხენი ტყვიას გადარჩა...
ეხლა განჯაში...
სედოვი — (გულმოკლულმა გააწყვეტინა)
კმარა... ნულარ მეტყვი ნურაფერს...
მზექალა — მითხარ, მახარეც შენთან ერთად აქ ხომ არ არის?
სედოვი — (გულმოკლული) იმ დღიდან, თქვენ რომ გაგიტაცეს, უკვალოდ
აღარც ცოცხალი, აღარც მკვდარი ჟნახავს ვინმეს...
საწყალი ქალი, — დედამისი, მოთქმით დაეძებს...

 გაჰქრა,

მ ზ ე ქ ა ლ ა — (გულამომჯდარი) ალბათ ცოცხალი აღარ არის... ვაი, მახარე!
(ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი და პ ა ა ტ ა აივანზე გამოჩნდნენ, კიბეზე ჩამოდიან. მ ზ ე ქ ა ლ ა მ თვალი შეასწრო, შეკრთა. უმალვე აივნის გაბარდულ სურეში ჩაიმალა
ს ე დ ო ვ ი ხის ქვეშ გაშტერებული დარჩა).

პ ა ა ტ ა — (სედოვი შენიშნა, ცერად შეავლო თვალი) მამა გიცხონდა,
სასახლეში ისე დადიხარ.

საჯინიბოში ყოფნა თითქოს არ გეკადრება...
გასწი და შენი შესაფერი ადგილი ნახე!
(ს ე დ ო ვ ი ჩქარი ნაბიჯით გავიდა).
ბიჭოს, ეს რუსი თანატოლად ლამის გამიხდეს,
ერეკლემ ისე მეტისმეტად გამითამამა!
(ეზოს ყოველმხრივ ფრთხილად მიმოავლო თვალი).
ჰო, რას ვამბობდი?.. მახარეზე გეუბნებოდი.
ისე ჩავკეტე, კაცის შვილი არ შევახვედრე,
რომ არ გაეგო არსაიდან მდევრის ამბავი!
ეხლა აქა მყავს, საგანგებოდ წამოვიყვანე,
იქნება ბარემ შევისრულოთ გულის ნადები...

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — ჩინებულია, მაგრამ მეტხანს ცდა თუ დავიწყეთ,
საშიში არის...

პ ა ა ტ ა — რა თქმა უნდა, მეტად საშიში!
ესაც არ იყოს, რას ვუცადოთ? ვის-ღა ვუცადოთ?!
ხედავთ? — რუსთა ელჩს ლამის ხელის გულზე ატარებს!
იქნება დღესვე დაუწეროს ხელშეკრულებაც,
მერე გათავდა ყველაფერი, რაღას ვუშველით!

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — ხელშეკრულება თუ მოასწრო, მართლაც მშვიდობით!..

პ ა ა ტ ა — აღარც ქერიმხანს ვენდომებით, აღარც ერეკლეს,
ბოლოს შეიტყობს ჩვენს ამბავს და...

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — მაგას ნუ იტყვი!

პ ა ა ტ ა — ჰოდა, მანამდე თავებს დაგვჭრის, არა სჯობია,
თვითონ დავასწროთ და მის ჭერქვეშ... დღესვე გავთანგოთ?

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — (ყოყმანით) როგორ თუ დღესვე?
(მ ზ ე ქ ა ლ ა დაძაბული უსმენს).

პ ა ა ტ ა — დიახ, დღესვე... თვით ამ ნადიმზე!..

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — შენ მეფობა მთელი ტახტისა!

პ ა ა ტ ა — შენ გლეხობა მთელი ქართლისა!

(ეზო კვლავ ფრთხილად მოათვალიერა).

ყური დამიგდე, ყველაფერი უკვე მოვზომე!..
როგორც ყოველთვის, თამადობა არც დღეს ამცდება...
რაწამს დედოფალს ვადღეგრძელებ, მახარე მყისვე
იმ ჩვენს ზედაშეს შემოგიტანს, შენ კი — ერეკლეს
სახლთუხუცესის წესისამებრ ყანწით მიაწვდი...

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — (ელდანაცემი) ესე იგი... მე უნდა მოვკლა?!.

პ ა ა ტ ა — რამ შეგაშინა?..
თვითონ მახარე სამართლის წინ ფიცით იკისრებს,
იტყვის, რომ იგი მან მოწამლა, რადგან საცოლე
წაართვა მეფემ... ჩვენ არ გაგვცემს, გინდა აწამონ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მზეჭალა ხან მიიმალება, ხან გამოჩნდება სმენადქცეული).

ამილახვარი — (ისევ ყოყმანით) ჰო, ესე იგი...

პაატა — (გულმოსული) ესე იგი, — თავს მას მოსჭრიან,
შენ კი დარჩები ისევ მშრალზე... ეხლა, გაიგე?
(ენამწარედ) მაგ ვაჟკაცობით ერეკლესთან აპირებ ჭიდილს?!.
პირდაპირ მითხარ, თუ არ გინდა, რას ქალაჩუნობ?..

ამილახვარი — (შემკრთალი თვალებში შესცქერის)
როგორ თუ არა!.. როგორც მეტყვი, ჩემო ბატონო!

პაატა — (ბრძანების კილოთი) რაწამს დედოფალს ვადღეგრძელებ, —
ხომ გაიგონე?..

ამილახვარი — (მორჩილებით) დიახ, დედოფალს...

პაატა — (მიდის) ეხლა დროა, ალბათ გვიცდიან.
(ქვის კიბეზე საუბრით ავიდნენ, დარაჯმა დარბაზის კარი შიგნიდან გაუდო, ეზო დაცარიელდა).

მზეჭალა — (ფრთხილად გამოვიდა, ეზო გულდასმით მოათვალიერა)
რაწამს დედოფალს ახსენებენ, მახარე მყისვე
მოწამლულ ღვინოს შემოიტანს? — სჩანს აქ ყოფილა!
სიზმარია თუ ცხადლივ ხდება?.. (ჩურჩულით) ჩემი მახარე
ჩემს დამხსნელ მეფეს თვალაბმული ქურდულად მოჰკლავს...
მერე მას თვითონ თავს მოჰკვეთენ... ღმერთო მაღალო,
რა დავაშავე?.. ეს სასჯელი რად ღამაკისრე?..
(ხეს უმწეოდ მიეყრდნო, მაგრამ უმალვე თითქოს გაიღვიძა, თვალებანთებული სწრაფად შემოტრიალდა).
არა, ჩემს მეფეს, ჩემს მახარეს, — ორთავ დავიხსნი!
(ქვის კიბე აირბინა, დარბაზის კარი შეაღო, წინ დარაჯი გადაეღობა).

დარაჯი — არ შეიძლება!

მზეჭალა — მეფე უნდა ვნახო სასწრაფოდ!

დარაჯი — მეფე ბატონი სტუმრებს ელის, არა სცალიან!

მზეჭალა — მეტად სასწრაფო საქმეზე ვარ!

დარაჯი — არ შეიძლება!
(კარს ექვსი ჯაჭვის პირბადიანი ხევსური მოადგა, დარაჯმა უყოყმანოდ მისცა გზა).

მზეჭალა — ხევსურებს თუკი გზა მიეცი?

დარაჯი — მათ გზა რად უნდათ?
ეს ხევსურები თვითონ მეფის რაზმში არიან, —
ამ გალავანში მათთვის ყველა კარი ხსნილია!
(მზეჭალას კარი მიუხურა, ქალი ერთხანს გაშტერებული დარჩა).

მზეჭალა — ვთქვა და, როგორ ვთქვა?.. იმის შემდეგ, რაც აქ გავიგე,
ვის ვენდო, როცა პაატაც კი მეფის მტერია?
ხევსურს ვუთხრა და, — იქნებ ისიც ფულით იყიდეს?!
არამც და არამც... ვიდრე მეფეს თვითონ არ ვნახავ!..
(კიბეზე ჩამოდის ნელ-ნელა, უკანასკნელ საფეხურთან შესდგა).
რა გზით და როგორ? ნუთუ ბედი ისე გამწირავს,
ვერც მეფე ვნახო, ვერც მახარე?.. (ერთბაშად იმედგადაწყვეტილი)
აკი გამწირა!
(მუხლები მოეკვეთა, ძირს დაეშვა, აქვითინდა).

ხევსური — (რკინის კარი შემოაღო, ატირებულ ქალს დააცქერდა,
მისკენ გაეშურა)

ქალო, რად სტირი? (წამოაყენა) ტყვეობიდან ხომ დაგაბრუნეს,
და მაინც მოსოქვამ?

მ ზ ე ქ ა ლ ა — (ცრემლიანი თვალები შეანათა) ნეტავ იქვე ტყვეობით მოვკალ
და ეს შავი დღე არ მენახა, რასაც მოვესწარ...

ხ ე ვ ს უ რ ი — სპარსთა ტყვეობა თუ გერჩია, გიჟი ყოფილხარ!

მ ზ ე ქ ა ლ ა — გიჟი არა ვარ, თუმცა იქნებ მალე გავგიჟდე,
თუ ვერ დავიხსენ სიკვდილისგან, ვინც უნდა ვიხსნა!

ხ ე ვ ს უ რ ი — რა? სიკვდილისგან?!

მ ზ ე ქ ა ლ ა — (გულმინდობილი) შენ — ძმა, მე — და! პირდაპირ გეტყვი.
დღეს რომ შეგეძლოს ორი კაცის სიცოცხლის დახსნა.
თუკი ორივე ალალი და უცოდველია.
უარს იტყოდი?..
(თვალებში მისჩერებია).

ხ ე ვ ს უ რ ი — მე ვინ მკითხავს კაცის სიცოცხლეს?

მ ზ ე ქ ა ლ ა — (დაბეჯითებით) ვთქვათ, რომ შეგეძლოს გადარჩენა.
უარს იტყოდი?

ხ ე ვ ს უ რ ი — უარს ვინ იტყვის, კაცი მართლა თუ ალალია!

მ ზ ე ქ ა ლ ა — (მუდარით) მაშ დაიხსენი, აი, ამ წუთს სიკვდილს რომ
ელის, —
ის ორი კაცი უბრალო და ღმერთთან მართალი!

ხ ე ვ ს უ რ ი — ჯერ ის მითხარი, ვინ არიან?

მ ზ ე ქ ა ლ ა — მაგას ვერ გეტყვი!

ხ ე ვ ს უ რ ი — როგორ თუ ვერა?

მ ზ ე ქ ა ლ ა — (მტკიცედ) ნუ იწყენ და, რა ვქნა, ვერ გეტყვი!

ხ ე ვ ს უ რ ი — მაშ თუ ვერ მეტყვი, ვინ დავიხსნა, როცა არ ვიცი?!

მ ზ ე ქ ა ლ ა — შენ მხოლოდ მეფეს შემახვედრე, მეტი არ მინდა!

ხ ე ვ ს უ რ ი — ეხლა მეფესთან შენი შესვლა არ შეიძლება...
ხვალ, ან საღამოს...

მ ზ ე ქ ა ლ ა — საღამოზე გვიან იქნება!

ხ ე ვ ს უ რ ი — ვთქვათ, შეხველ კიდეც, უმალ გარეთ გამოგიყვანენ.
მეფესთან ეხლა სტუმრად რუსთა მეფის ელჩია!..

მ ზ ე ქ ა ლ ა — (იმედგადაწყვეტილი) ღმერთო, მაშ რა ვქნა? აქ ვიდგე
და სიკვდილს ვუცადო?..
(ერთბაშად ხევსური თავით ფეხებამდე შეათვალიერა, თვალები უეცარმა იმედის სხივმა გაუნათა, თითქოს გამოსავალი იპოვნა, თავისთვის ჩაილაპარაკა).
ამ გალავანში მათთვის ყველა კარი ხსნილია...
(ხევსურს ხელი წაავლო).
ერთ გზას მივაგენ, იმ გზით ვერვინ ვერ დამინახავს.
მომყევ, თუ კაცი ხარ მართლა და ქუდი გხურია.
ნულარ ყოყმანობ, ჩქარა, თორემ გვიან იქნება!..

ხ ე ვ ს უ რ ი — (ხელი გააშვებინა) ნება არა მაქვს... ღმერთი. რჯული,
არ შემიძლიან!

მ ზ ე ქ ა ლ ა — (გამწარებული)
ფუ, შენს კაცობას... მაშინ ჩემს თავს თვითონ ვუშველი!
(ეზოდან გავარდა).

ფ ა რ დ ა

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ

ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲛᲔᲤᲘᲡ სასახლის სანადიმო დარბაზი. დარბაზის სიღრმეში — მაღალსვეტებიანი, ნაირი ჩუქურთმით შემკული აივანი ნარიყალასა და აქა-იქ ტყით დაბურულ კოჯრის გზას გასცქერის. შუა დარბაზში გრძლად გაშლილ სუფრაზე ღვინის მაღალი გოზაურები და ჩინურად მომინანქრული დოქებია ჩამწკრივებული, მრავალფერი ხორაგი და ხილია გაფენილი. სუფრის შუაში ᲛᲔᲤᲔ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ და ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ, მათს გვერდით რუსთა ელჩი თავისი მხლებლებით, სუფრის თავში — ᲞᲐᲐᲢᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ და ᲐᲛᲘᲚᲐᲮᲕᲐᲠᲘ, შემდეგ — სხვა დიდებულნი, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ და ᲡᲐᲘᲐᲗᲜᲝᲕᲐ. დიდებულებს თავთავისი მერიქიფენი უვსებენ სასმისებს. დარბაზის გასასვლელებში ჯაჭვის პირბადიანი, იარაღასხმული ხევსურები სდგანან.

ფარდის ახდისას გრძელი სუფრული მრავალჟამიერი გუგუნებს. მკაფიოდ ისმის მოძახილი:

ხმალო, ხევსურეთს ნაქებო,
ალვანში თუშმა დაგფერა,
გაკურთხა ᲛᲔᲤᲔ ᲔᲠᲔᲙᲚᲔᲛ,
საომრად ჯვარი დაგწერა.

(სიმღერა შეწყდა).

ᲔᲠᲔᲙᲚᲔ — (წამოდგა) დაე, იცოდეს ჩემმა ხალხმა, დიდმა-პატარამ,
ჩვენმა სტუმარმა — რუსთა ელჩმა თავის ამალით.
ამ სიშორეზე სამეგობროდ რაც მოგვიტანა:
თორმეტი ლულა ზარბაზანი — ახალთახალი!

ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ — (ერთხმად) ღმერთმა ააშენოს!

ᲔᲠᲔᲙᲚᲔ — ორასი ლულა თოფ-დამბაჩა ჩახმახიანი!

ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ — ააშენოს!

ᲔᲠᲔᲙᲚᲔ — თორმეტი ლიტრა ზარბაზნის და თოფის წამალი!

ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ — ააშენოს!

ᲔᲠᲔᲙᲚᲔ — ორმოცი ტყავი კვერნისა და სიასამურის!

ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ — ააშენოს!

ᲔᲠᲔᲙᲚᲔ — და რაც ყველაზე ძვირფასია და სანუკვარი, —
გმირი და გამრჯე რუსი კაცის კეთილი გული!

(ჯამი ასწია).

იყოს დღეგრძელი დიდებული ჩვენი სტუმარი!

ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ — (ჯამები ასწიეს) იყოს დღეგრძელი დიდებული ჩვენი სტუმარი!

(ისევ სუფრული, მკაფიოდ ისმის მოძახილი).

სჯობს მოყვარე მოყვრისათვის,
თავი ჰირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად.

(სიმღერა შეწყდა).

ᲔᲚᲩᲘ — (ადგა) ჩვენ რომ მოგართვით, ნობათია მეგობრობისა,
მხოლოდ ნაწილი, რაც ხელმწიფემ გვირგვინოსანმა
ერეკლე მეფის ძღვნად მოსკოვით გამოგვატანა,
მაგრამ ვერ ზიდეს ვერცა ცხენთა, ვერც მენავეთა
და ვოლგის პირას, ასტრახნამდე გზაში გავწირეთ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ — აგაშენოს!

ელჩი — რჯული ერთი გვაქვს, გულიც უნდა გვქონდეს მოყვრული
და ჩვენც სამოყვროდ გეახელით შორი ქვეყნიდან,
სადაც გვსმენია საქართველოს შვილთა გმირობა,
მოსისხლე მტერთან სამშობლოსთვის ცხარე ბრძოლაში,
თქვენს მტრებს ჩვენდამიც გულში მტრობა აქვთ დამალული,
სპარსეთს, ოსმალეთს, რუს-ქართველთა სისხლი სწყურიათ,
რაკი ორთავეს ერთი ფიცი გვაქვს საფიცარი!

ერეკლე — ამიტომ ჩვენი ხმლები ძმობით უნდა შეიკრან,
რომ ქარქაშიდან ხმაშეწყობით ამოიმღერონ,
როდესაც დაჰკრავს ორთა ძმათა ბრძოლის საათი!

ელჩი — იქნებ ამ საათს არ დასჭირდეს ბევრი ლოდინი, —
გზაში შევიტყვე — განჯის ხანი ლაშქარს ამზადებს,
რომ საქართველო ერთის დარტყმით წელში გატეხოს...

ერეკლე — გზაში შეიტყვე?

ელჩი — დიახ, გზაში... ჩვენმა ვაჭრებმა
ბერძენს სოვდაგრებს ათქმევინეს თურმე სიმთვრალით...
ამიტომ უფრო ვიჩქაროდი, მეფევ, აქეთკენ!

ერეკლე — ეს, რაც გვითხარი, საჩუქარზე უფრო მეტია,
სხვა მეგობრობა ქვეყანაზე რაღა იქნება?

პაატა — (ამილახვარს) ამ რუსებს ლამის ფიანდაზად ფეხქვეშ გაეგოს!..

ლევანი — (ყური მოჰკრა, პაატას ცერად გახედა, საიათნოვას ჩაულაპარაკა)
საიათნოვავ, გაიგონე?..

საიათნოვა — მეფეს უჩხვლიტა!

ლევანი — თუ ჩხვლეტაზეა, შენებურად შეამკე ერთი!..
(წამოდგა, ერეკლეს).
მეფევ, შენს მგოსანს უნდა სუფრის ლექსით დატკბობა!

ერეკლე — ბულბულს სიმღერას ვინ დაუშლის, თუ ემღერება!

საიათნოვა — (წამოდგა, დაირა შეათამაშა, მოხდენილად დაამღერა)

ზოგ-ზოგი კაცი მეტად უღონო
ღონიერი კაცის ძალას დაიწუნებს...
ჯიბეში არა აქვს ჟანგიანი დანა,
ხორასნის ჯავარდენ ხმალს დაიწუნებს.
ზოგ-ზოგსა კაცსაც არა აქვს ბინა,
ისე დააღამებს, არ შევა შინა...
ინდის ხურმა მუხის რკო ჰგონია,
ბაღში შევა, მწიფე ბალს დაიწუნებს!
ღორი ხეზე როგორ უნდა ავიდეს?
ვი კაცი ამ ქვეყნიდან გავიდეს...
საიათნოვა მეჯლისებში შავიდეს,
ლხინი უყვარს, ბოროტ კაცს დაიწუნებს!
(პაატას გადახედა, დაჯდა).

პაატა — (ნაწყენი წამოდგა) უნდა ბოდიში მოვიხადო ძვირფას სტუმართან.
მართლა მგოსანი არ გეგონოთ მეფის მასხარა...
როგორც ეტყობა, ღვინო წრუპა და ჭკვა დაკარგა,
ამიტომ, რასაც წამოროშავს, ყურს ნუ ათხოვებს!

ერეკლე — (არ მოეწონა, ცდილობს სტუმრებს არ შეამჩნევინოს)
ჩემო პაატავ, თამადა ხარ... ლხინი, სიმღერა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ა ა ტ ა — ღვინო დავლიოთ, თვითონ მოვა ლხინიც, სიმღერაც...
(წამოდგა, ყანწი ასწია) ჩვენი ძვირფასი დედოფალი ღმერთმა
გვიცოცხლოს!

ამილახვარო, მეფეს ყანწი... ყანწები ყველას!

(მ ა ხ ა რ ე მ ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ს სავსე სურა შემოუტანა, ყანწი აუვსო და უმალვე გავიდა. ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ მ ა ყანწი მ ე ფ ე ს მიართვა. დარბაზში მეორე მხრიდან შემოვიდა ჯაჭვის პირბადიანი ხევსური, რომელსაც სხვა ხევსურებისაგან განსხვავებით, ხამის პერანგის მკერდზე და ზურგზე დიდი თეთრი ჯვრები აქვს ამოქარგული. იგი დარბაზში გაფაციცებით ეძებს ვიღაცას).

ე რ ე კ ლ ე — (დედოფალს) შენა ხარ დედაც, დედოფალიც, ჩემი მეუღლეც.
ღმერთსა ვთხოვ, ამ ძნელ ტვირთის ზიდვა შეგაძლებინოს,
რომ მაგალითი იყო ყველა ქართველ ქალისა!

(ყანწი ასწია და ის იყო პირთან მიიტანა, თეთრჯვრებიანი ხევსური უმალ ძასთან გაჩნდა, მკლავზე ხელი დაჰკრა, ყანწი გააგდებინა. ე რ ე კ ლ ე სახტად დარჩა. სუფრა აიშალა).

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — (ელდანაცემი, პაატას) გაგვცეს ნამდვილად!..

პ ა ა ტ ა — (მკაცრად) ჭკუით იყავ!.. ჰეი დარაჯნო,
ეხლავ შებორკეთ ეს თავხედი ვიღაც ხევსური!
(ხევსურს მივარდა) როგორ გაჰბედე, არამზადავ, მეფის შეხება?!

ე რ ე კ ლ ე — (მიხვდა, რომ ხევსურმა უბრალოდ არ გააგდებინა ყანწი).
ხელი არ ახლოთ... ალბათ ღვინომ გაათამამა...

(ხევსურთან მივიდა).

მე თვითონ დავსჯი დღესვე, რაწამს გამოფხიზლდება...
დაჯექ, პაატავ, შენ სტუმრები არ მომიწყინო!

(ხევსური განზე გაიყვანა).

გოგოთური ხარ?! (ხევსური სდუმს) რას დამუნჯდი? ხმა ამოიღე!..

(ხევსური ისევ სდუმს. ე რ ე კ ლ ე მ მაჯაში ჩაავლო ხელი, ჯაჭვის პირბადე აუწია. მ ზ ე ქ ა ლ ა იცნო და პირბადე უმალ ჩამოუშვა, რადგან არ უნდოდა ქალი ვინმეს დაენახა. ცერიდან ბეჭედი წაიძრო, ხევსურს ხელში ჩაუდო).

აჰა, ბეჭედი! აჩვენებ და ჩემთან შემოხვალ,
გინდ შუაღამე გადავიდეს, ხალხი რომ წავა!

(ხევსური გავიდა).

პ ა ა ტ ა — (ამილახვარს) მკერდზე ჯვარი აქვს, ზურგზეც ჯვარი...
არ დაგავიწყდეს...

(სუფრას) აბა, ყანწები... დღეგრძელობა ძვირფას დედოფალს!
მრავალჟამიერ ჩვენს დედოფალს!.. ჰაიდა, მრავალჟამიერ...

(სუფრული დაიწყო, სიმღერა აგუგუნდა).

ლ ე ვ ა ნ ი — (ერეკლესთან მივიდა) ნება მომეცი, მამაჩემო, იმ ხევსურს გავყვე.
აქ რაღაც ხდება... ჯავრი მომკლავს, თუ არ შევიტყვე...

ე რ ე კ ლ ე — არამც და არამც, შენ დაჯექი, იმ ხევსურს, შვილო,
ნუ გეფიქრება, თან გაჰყვება თავის გამყოლი...

(აივანზე და დარბაზში ჩამობინდდა. ჩირაღდნები აანთეს. ე რ ე კ ლ ე და ლ ე ვ ა ნ ი თავთავის ადგილას დასხდნენ, სიმღერა გრძელდება. დარბაზში შიკრიკი შემოვიდა, ე რ ე კ ლ ე ს გადასცა ბარათი, რომელიც მან სწრაფად ჩაიკითხა. მეფე ზეზე წამოდგა, სუფრას ხელით ნიშანი მისცა, სიმღერა უმალ შეწყდა).

მტერი არ მაცლის ვინადიმო ძვირფას სტუმრებთან!

პ ა ა ტ ა — ზეფევ, რა მოხდა?

ერეკლე — რაც ეხლახან ელჩმა აქ ბრძანა,
აი, ბარათმა სხვა გზებითაც დამიდასტურა,
ჩალაბხანს ჯარი კახეთისკენ უკვე დაუძრავს!

ორბელიანი — მაშ, მეც მიბრძანე ჩემო მეფევ, დავძრა ლაშქარი.
თორემ მცირედი, ერთი სუფრით დაგვიანებაც,
ზოგჯერ ბრძოლის ჩარხს ხელუკუღმა დაატრიალებს!..

ერეკლე — ორბელიანო, შენ და ლევანს გავალებთ — ეხლავ
ცხენოსან ლაშქრით ჩათმისაკენ წახვიდეთ სწრაფად,
რომ სანამ მტერი მოასწრებდეს სამუხთან მოსვლას.
თქვენ უმალ შესძლოთ დასანგრება ივრის ნაპირას.
მე კი ამღამვე განჯისაკენ გავწევ საჩქაროდ,
რომ ჩალაბხანი ჩავითრიო ცხარე ბრძოლაში
და ვეღარ შესძლოს კახეთისკენ წამოსულ ლაშქარს
თუნდ ერთი კაცი მიაშველოს, როცა თქვენ დაჰკრავთ.
შემდეგ პირდაპირ განჯისაკენ წამოხვალთ სწრაფად,
რომ იქ შეერთდეს ჩვენი ჯარი ძლევამოსილი!
(მტკიცედ).
ვთქვი და — გათავდა... მტერი მოგცეთ დამარცხებული!..
(ორბელიანი და ლევანი წასასვლელად მოემზადნენ).

ორბელიანი — თქვენიც გვენახოს გამარჯვება!.. ბატონო ელჩო!
გრაფ პოტიომკინს გადაეცით ჩემი სალამი
და გაახსენეთ პეტერბურღის ტკბილი დღეები,
ჩემ მიერ მასთან მეგობრულად გატარებული...
იქნებ შავს ზღვაზე შევხვდეთ მალე მტერთან ბრძოლაში!

ლევანი — მაშ, გამარჯვებით!
(ორივე გადიან).

ერეკლე — გზა გქონოდეთ გამარჯვებისა!
(ელჩს) ბოდიში თქვენთან... მაგრამ, რა ვქნა? აი, ჩემი დღე!
პურის საჭმელად არ გვცალიან ხშირად ქართველებს...
უნდა შევწყვიტო ეს ნადიმიც, თორემ განჯის ხანს
სწორედ ის უნდა, ხმლის მაგიერ ყანწი მეჭიროს!

ელჩი — მეფის ბოდიში მხოლოდ მასვე ამკობს დიდებით...
ერთი მაქვს თხოვნა, — თქვენს ლაშქართან ჩემი მხლებელი
ჯარიც, თუმც მცირერიცხოვანი, გაიყოლიოთ!

ერეკლე — თუმც ქართველს წესად არ ჰქონია მტერთან ბრძოლაში
სტუმრის წაყვანა, დღეს ამ წესზე უარს ვაცხადებ,
რომ ერთად ბრძოლა ჩვენი ძმობის ნათლობა იყოს!
(სუფრა აიშალა, პაატამ ამილახვარი განზე გაიყვანა).

პაატა — ხომ კარგად გახსოვს ის ხევსური თეთრჯვრებიანი.
ამ ღამვე უნდა მოკვდეს, სანამ მეფეს შეხვდება!

ფარდა

———.———

ს უ რ ა თ ი მ ე ე ქ ვ ს ე

სანახაობა იგივე, რაც მეოთხე სურათში. ავდრიანი, ღრუბლებით ჩამობნელებული ღამეა. ფანრის ახდისას მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე სასახლის აივანზე ს ე დ ო ვ ს ესაუბრება.

ე რ ე კ ლ ე — მაშ, ეგრე გითხრა, შენს რუსეთში წაეთრიეო?
ს ე დ ო ვ ი — პირდაპირ ეგრე... თქვენ რომ მასთან სტუმრად მობრძანდით, სწორედ იმ დღიდან ალმაცერად დამიწყო ცქერა!
ე რ ე კ ლ ე — (დაბეჯითებით) სწორედ იმ დღიდან, იქ რომ ვიყავ?
ს ე დ ო ვ ი — დიახ, იმ დღიდან...
ე რ ე კ ლ ე — (უფრო ნიშანდობლივად). ანუ იმ ქალთა გატაცება როდესაც გვითხარ?
ს ე დ ო ვ ი — ეგრე გამოდის...
ე რ ე კ ლ ე — და ვერ ხვდები, რად გაგირისხდა?
ს ე დ ო ვ ი — საქმეს თავს ვაკლავ, სხვა არ ვიცი — რა დავაშავე!
ე რ ე კ ლ ე — იქნება ენამ გიღალატა?
ს ე დ ო ვ ი — არა, მეფეო!
ე რ ე კ ლ ე — მაშინ მიზეზი მე ვყოფილვარ...
ს ე დ ო ვ ი — თქვენ რა ბრალი გაქვთ?!
ე რ ე კ ლ ე — მე რომ სტუმრად არ ვწვეოდი, არ შეგრისხავდა!
ს ე დ ო ვ ი — (შეწუხებული) მე ეგ არ მითქვამს!
ე რ ე კ ლ ე — (გასაქარწყლებლად) განა მართლა?.. ისე გეხუმრე...
(ერთბაშად შეიცვალა კილო) ეხლა რასა მთხოვ? სამშობლოში წასვლა თუ გინდა
ელჩი რომ წავა, გაგაყოლებ!..
ს ე დ ო ვ ი — მეფევ, ნუ მიზამ...
ჯერ ერთი — რუსეთს რომ ჩავიდე, ბატონი დამსჯის,
მეორეც...
ე რ ე კ ლ ე — კმარა, ვიცი შენი გულის ნადები,
იმ ქალმა მითხრა, მდევარმა რომ გადაარჩინა...
(ღიმილით) მაშ, გინდა განჯას წაგიყვანო?
ს ე დ ო ვ ი — (გახარებული) დიდო ბატონო!
ე რ ე კ ლ ე — აკი გითხარი, მახსოვს შენი გულის ტკივილი...
წადი, აისხი იარაღი და ჩემს ხევსურებს.
სადაც წავიდნენ, არ მოსცილდე!
ს ე დ ო ვ ი — რომ არ მიცნობენ?
ე რ ე კ ლ ე — (უბიდან მასრა ამოიღო) აჰა, ნიშანი... წაიღე და ერთ-ერთს მიეცი!

(ს ე დ ო ვ მ ა მასრა გამოართვა, მდაბლად დაუკრა თავი, სწრაფად გავიდა. ე რ ე კ ლ ე ფიქრს მიეცა).

რა შუაშია ჩემი ჩასვლა, რუსის დატუქსვა?..
იქნებ ქალების ამბავი რომ გამაგებინა,
სწორედ იმიტომ ალმაცერად დაუწყო ცქერა?!
გამოძიებაც რომ იკისრა ამ ბნელი საქმის
და სდუმს ამდენ ხანს?!. იქნებ ფიქრობს — გადამავიწყდა?
მაგრამ გიჟი ხომ არ ვგონივარ, ჩემი სამეფო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღირსების საქმე დავივიწყო ეგრე იოლად!..
ნუთუ პაატას ხელი ქსელავს ამ შავ-ბნელ მახეს?!
იქნებ ის ყანწიც...
(ერთბაშად, თითქოს შემკრთალი).
ღმერთო ჩემო, რაებსა ვბოდავ?!
ობობასავით თვითონა ვქსოვ და შიგ ვებმები...
(უნდა შავს ფიქრებს თავი დააღწიოს).
დარეჯან!.. ქალო!..
(დ ე დ ო ფ ა ლ ი გამოვიდა).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — რას მიბრძანებ, მეფე ბატონო!
ე რ ე კ ლ ე — სად დაიკარგა ის ხევსურულ ჩაცმული ქალი?
დ ე დ ო ფ ა ლ ი — შენ რომ უბრძანე გვიან მოსვლა, ალბათ იმიტომ!
ე რ ე კ ლ ე — რას ვიფიქრებდი, დღესვე წასვლა მომიხდებოდა...
დ ე დ ო ფ ა ლ ი — ვიდრე არ მოვა, არ წახვიდე, გემუდარები,
ნუთუ არ გინდა იმ ყანწს ბნელი ძირი უნახო?..
ე რ ე კ ლ ე — ცოტას მოვიცდი კიდევ, მაგრამ თუ დაგვიანდა,
პირადისათვის ვერ გავწირავ საქვეყნო საქმეს...
დ ე დ ო ფ ა ლ ი — შენი პირადიც საქვეყნოა, ჩემო ბატონო!
ე რ ე კ ლ ე — ჩემს დახანებას შეუძლიან ქვეყნის დაღუპვა,
იმ ქალს კი, ბოლოს თუ გაჭირდა, შენაც მოუსმენ...
წადი, აბჯარი გამიმზადე... ჯვარი დასწერე!
დ ე დ ო ფ ა ლ ი — შენი ნებაა... მეფეცა ხარ, ჩემი ბატონიც...
(შინ შევიდა).

ე რ ე კ ლ ე — (მდუმარე მისჩერებია ღრუბლიან ცას. რომელსაც ხანგამოშვებით ელვა ანათებს)
ირგვლივ ღამეა, მეფობს ბნელეთი,
ლამის წყვდიადმა შთანთქას ხმელეთი...
ჩემი ქვეყანა მტრებით მოცულა,
შუქს ვთესავდი და, — ღამე მოსულა!
რამდენი ვკაფე მომდგარი მტერი, —
ვერ დავასვენე ქართველი ერი...
ვერ გავუწიე მშობელს შვილობა.
ვერ მოვურჩინე ძველი ჭრილობა.
დღესაც მივდივარ მკლავშემართული.
რომ ვასახელო ხმალი ქართული...
ჩალაბხანს გავტეხ, სპარსელებს დავძლევ.
მაგრამ ჩემს მამულს რა ნუგეშს ვაძლევ?
ახალი მტერი არ გვაცლის ლოდინს,
სპარსელის კვალზე — ოსმალო მოდის...
რა ჰქნას ქართველმა კაცმა ბედშავმა.
მისი გუთანი ჟანგმა შეჭამა!..
რა ჰქნან მწუხარე ქართვლის დედებმა.
მათ გულსაც ცრემლის ჟანგი ედება!
ჩრდილოეთს მიტომ მივაპყარ თვალი.
რომ ხარ-სახნისმა შესცვალოს ხმალი...
რომ აღარ იყოს ჩემი მამული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ ცრემლითა და სისხლით ნამული.
ღმერთო, შენ იყავ ჩემი მსაჯული,
იხსენ ქართველი ერი — ტანჯული!
როგორც ერთგულმა ხარმა უღელში —
შენს სამსახურში დავლიე დღენი,
სამშობლოვ ჩემო, მამულო ჩემო,
მეფე ვარ, მაგრამ მონა ვარ შენი!
(შორი ლაშქრული მოისმა, სმენად იქცა).
აი, ლაშქრული!.. იავნანა ჩემი — ეს იყო
პატარა ქართველს იგი ესმის დღესაც აკვანში...
როდისლა უნდა დაისვენო, ჩემო ქვეყანავ?
(ლაშქრული ახლოვდება, მკაფიოდ ისმის).

„ერეკლე ბატონიშვილი,
განა უბრალო კახია?
რკინის პერანგი ჩააცვეს,
გაჰკრა ხელი და გახია!"
(სწრაფად შემოტრიალდა).

გესმის? გეძახის, ჩემო თავო, შენი ლაშქარი...
ისევ ნაბადი, უნაგირი, ტეხა ღამისა...
ისევ ბრძოლაში დამშეული ხმლების ყიჟინა!
დარეჯან, ქალო... იარაღი, მიგვიანდება!
(შინ შევიდა, ლაშქრული უფრო ახლოს ისმის, იარაღასხმული ერეკლე ისევ მალე გამოვიდა, დედოფალმა გამოაცილა).

დედოფალი — (პირჯვარი გამოისახა) ღმერთმა მარჯვენა დაგილოცოს.
გიკურთხოს ხმალი!..

ერეკლე — შენ მართალი ხარ, არც ის ყანწი არის პირადი...
იმ ქალს უცადე, გინდა ღამე შემოგათენდეს,
როდესაც მოვა, სასახლიდან აღარ გაუშვა...
კაცნი ვართ, თუ მე ვერ დავბრუნდი, ლევან დაჰკითხავს.
აბა, მშვიდობით!
(შუბლზე აკოცა).

დედოფალი — ღმერთი იყოს შენი მფარველი!
(ერეკლემ მხრებზე ნაბადი მოიგდო, კიბეზე დაეშვა, ბნელს შეერია).
რამდენი მტერი ასევია შინა და გარეთ...
რომელ ერთს უნდა გაუმკლავდეს ეს ერთი კაცი?
(ლაშქრული თანდათან შორდება, მკაფიოდ ისმის მოძახილი).

ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს
ნადირსა მაღალ მთისასა.
ვინც დახვდა, იგივ დახვდება
გულდაგულ რაზმსა მტრისასა.

(სმენად ქცეული დედოფალი კარგა ხანს იდგა აივანზე, შინ შევიდა, სიმღერა მინელდა. ეზოში ელვის სინათლეზე აივნის გაბარდულ სუროში ჩამალული პაატას და მახარეს ლანდები გამოჩნდნენ. ისინი ისევ მალე ბნელმა დაჰფარა. მხოლოდ მკაფიოდ ისმის პაატას ნაცნობი ხმა).

პაატა — დამბაჩით არა, შეიყრება მთელი სასახლე,
ხმალიც საშიში არის, მკლავმა არ გიღალატოს. —

ხევსურის ხმალში ჯობნა მეტად ძნელი საქმეა...
მხოლოდ ხანჯალი, ისიც ზურგში, მოულოდნელად.
რომ ვერც შეგხედოს... ისე ჩაჰქრეს, როგორც სანთელი.

მ ა ხ ა რ ე — ვაჟკაცმა — ვაჟკაცს... ზურგში? რა ვქნა, მესიკვდილებ!

პ ა ა ტ ა — რასაც გიბრძანებ, გამიგონე... ნამდვილად ზურგში.
რომ იქვე მოკვდეს, ვერ მოასწროს ხმის ამოღება.
თორემ თუ გიცნო, ან დაჭრილი დარჩა მცირე ხანს.
შენც გაებმები და შენთან მეც დავიღუპები...

მ ა ხ ა რ ე — თქვენ მენანებით... ჩემს სიცოცხლეს რაღა ფასი აქვს?

პ ა ა ტ ა — ფასი ისა აქვს, — ჯერ ერეკლეს მოუღებ ბოლოს...
თუ სიკვდილია, მერე მოკვდი, გულს რომ მოიფხან!

მ ა ხ ა რ ე — ეგ მართალია...

პ ა ა ტ ა — (წასვლა დააპირა) როგორც გითხარ, პირდაპირ ზურგში.
მერე მტკვრის პირას და უმალვე ცხენს მოაჯდები...
(შეკრთა) მოიცა, თითქოს ფეხის ხმაა... (მიდის) აბა, შენ იცი!
(სიბნელეში გაჰქრა, მ ა ხ ა რ ე სუროში ჩაიმალა. ელვის სინათლეზე გამოჩნდა ეზოში მომავალი ჯაჭვის პირბადიანი ხევსური, რომელსაც ხამის პერანგზე თეთრი ჯვრები აქვს ამოქარგული. მან ჩაუარა აივნის გაბარდულ სუროს, ქვის კიბეზე დააპირა ასვლა და უეცრად ზურგიდან მ ა ხ ა რ ე ეძგერა, ხანჯალი ჩასცა).

მ ზ ე ქ ა ლ ა — (შეტორტმანდა, პირბადიანი თავსარქველი მოეხადა. მხრებზე ნაწნავები ჩამოეფანტა).
ვაიმე, დედავ... ველარ გნახავ, ჩემო მახარე...
(მუხლები მოეკვეთა).

მ ა ხ ა რ ე — ჩემი სახელი ვინ ახსენა?.. ვინ დამიძახა?
(ელდანაცემი შემოტრიალდა, მიწაზე ჩაკეცილი მ ზ ე ქ ა ლ ა იცნო, მასთან მიიჭრა).
ვაი, მზექალა!.. ვინ მოვკალი, მე უბედურმა?!
(დაიჩოქა მ ზ ე ქ ა ლ ა მკლავზე გადაისვენა).

მ ზ ე ქ ა ლ ა — (სახეზე ღიმილი მოეფინა)
ჩემო მახარე, ეგრე უცებ საიდან გაჩნდი?
აი, სიყვარულს რა ძალა აქვს... სად მოგიყვანა,
რომ სიკვდილის ჟამს სიხარულის წუთი მაჩუქო...

მ ა ხ ა რ ე — განა საშველად მოველ შენთან, მე უბედური?..
ქურდულად მოველ, რომ ხანჯალი დამეცა ზურგში!..

მ ზ ე ქ ა ლ ა — შენ... მე... ხანჯალი?.. ცხადია თუ შავი სიზმარი?
ეგრეც რომ იყოს... შენი ნახვა კიდევ მეღირსა...
ვკვდები და მაინც შენთანა ვარ... ბედნიერი ვარ...

მ ა ხ ა რ ე — ჩემმა ხანჯალმა ერთად ყოფნა არ დაგვაცალა.
დე, ამ ხანჯალმა სისხლიანი ჯვარი დაგვწეროს.
(ხანჯალი მკერდზე დაიბჯინა).

მ ზ ე ქ ა ლ ა — (მაჯაში სტაცა ხელი) არამც და არამც... ჯერ დაიხსენ მეფე ერეკლე.
ვინც მე დამიხსნა და პაატამ მტრად მოგაჩვენა...
ამილახვარმა და პაატამ ორივემ ერთად,
რომ შენი ხელით საწამლავი ჩაესხათ მისთვის...
შენ თავს მოგჭრიდნენ... საქართველო მათ დარჩებოდა...
აჰა, ბეჭედი.. ერეკლესი... წადი, უშველე...
(ბეჭედი მისცა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა ხ ა რ ე — (გაოგნებული) მაშ, შენც... მაიკოც...

მ ზ ე ქ ა ლ ა — პაატამ და ამილახვარმა...
შენი ხანჯალიც მათ გალესეს ჩემს მოსაკლავად...

მ ა ხ ა რ ე — (მწარედ მოტყუებული) რატომ ეს მიწა პირს არ გახსნის!..
შიგ არ ჩამიტანს?..

(ხანჯალ გადააგდო).

მ ზ ე ქ ა ლ ა — წადი, დაიხსენ... მან მაჩუქა ამ ერთი წუთის
ბედნიერება, თორემ... შენს თავს... ვინ მაჩვენებდა?..

მ ა ხ ა რ ე — (გულამომჯდარი) შე დალოცვილო ღმერთო, ეგრე რისთვის
დამსაჯე!..

მ ზ ე ქ ა ლ ა — (სულთმობრძავი) გესმის, მახარე?!. ზარებს რეკენ...
მაყრულს... მღერიან... (ხელს იწვდის)
აი, სანთლებიც... ჯვარისწერა... ესა... ყო...ფილა...

(სული დალია).

მ ა ხ ა რ ე — (მზექალა მიწაზე დაასვენა, ზედ დაემხო.. ნელა წამოდგა.
ხანჯალი აიღო).
ამილახვარო და პაატავ, რანი ჰყოფილხართ?
ქვემძრომთა მოდგმას კაცთა სახელს რად გეძახიან?!
შხამიან ნესტარს ამ გულში რომ ტკბილად მიყრიდით,
რა დაგიშავეთ?.. რად ჩამიქრეთ სინათლე მზისა,
რომ ამ მიწაზე მეც მეცხოვრა, თუმც ყმის სიცოცხლეს
ძაღლის სიცოცხლე ქვეყანაზე ბევრად სჯობია!

(ცას დააცქერდა).

რარიგ შავია და პირქუში ეს ბნელი ღამე!..
თითქოს ამოწყდა, რაც ღმერთს ქვეყნად გაუჩენია
და მარტო დავრჩი, რომ ნუგეშისმთქმელი არ მყავდეს...

(ისევ მ ზ ე ქ ა ლ ა ს დააცქერდა, ნელა დაიჩოქა).

მკვლელი ვარ... მერე ვისი?! ღმერთო! თუმცა, რის ღმერთი?
ამ ქვეყანაზე ღმერთი მართლა არა ყოფილა!..

(სწრაფად წამოდგა, სასახლის ეზო-კარს ხმამაღლა ვასძახა).

ხალხო, ვინა ხართ? კაცი მოჰკლეს, საწყალს მოჰხედეთ!..

(სიბნელეს შეერია. სასახლიდან ხალხი გამოიშალა ანთებული მაშხალებით. მ ზ ე-
ქ ა ლ ა ს ცხედარს შემოერტყნენ, მდუმარედ მუხლი მოიყარეს).

ფ ა რ დ ა

— . —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეოთხე

სურათი მეშვიდე

ერეკლე მეფის ჯარების ბანაკი მტკვრის ხეობაში. მარცხენა მხარეს მდინარის პირას მწვანედ ჩაყოლებული წნორები. წნორებთან — თვლებზე შემდგარი ორი ზარბაზანი. მარჯვენა მხარეს, სიღრმეში — პატარა ბორცვი, რომელზედაც ნაბდებგადახურული მეფის კარავი დგას. სიღრმეში — ტრიალი მინდორი და უფრო შორს — ცაში აზიდული შიშველი მთები. ღამეა, ცა ვარსკვლავებითაა მოფენილი.

ფარდის ახდისას ზარბაზნებთან თავმოყრილი რუსი ჯარისკაცები, მათი მაიორი და სედოვი ნაღვლიან სიმღერას მღერიან ხმადაბლა. წნორებთან და ბორცვის ძირას, ბალახზე, ქართველი მეომრები მიყრილან. ერეკლე მეფის კარავს ორი ჯაჭვის პირბადიანი ხევსური სდარაჯობს.

მაიორი — (ზარბაზანზე ჩამომჯდარი სედოვს ესაუბრება)
ეს რა კაცი ჩანს ქართველების მეფე ბატონი!
თითქოს უბრალო ვინმე იყოს, ისე ირჯება...
დილას ერთს თავის კოჭლ მცველთაგანს წამოეწია,
ხიშვი შერჭმოდა და მტკივან ფეხს ძლივს მოათრევდა.
დასვა, გააძრო ქალამანი და დანის პირით
ვეებერთელა თეგის წვერი ამოაცალა!

სედოვი — მააშ, ეგეთია ყველაფერში ის დალოცვილი,
დიდთან იქცევა დიდკაცურად, გლეხთან — გლეხია...
თვითონ მინახავს, — ყმასთან მჯდარა ფეხმოკეცილი,
ტიტველ მიწაზე და ცარიელ პურს შეჰქცევია!
ეს არაფერი, თურმე ბრძოლა იცის ისეთი,
რომ მტერს სანამდე ხმლით გასჭრიდეს, ძახილით აქცევს...
პირველი იწყებს ბრძოლას და სთმობს უკანასკნელი,
როგორც სჩვევიათ სახელგანთქმულ გმირებს ძველთაგან!

მაიორი — კაცი ყოფილა!

სედოვი — ამად უყვარს მთელ ქართველობას!..
ასე ამბობენ, თხუთმეტი წლის ბიჭს დაუწყია
მტერთან ჭიდილი და რაც დღემდე ბრძოლა ჰქონია,
სუყველა მისი გამარჯვებით დასრულებულა!

მაიორი — მიტომ აქებენ ქართველების ხმალსა და მაჯას...
შე კაი კაცო, თუკი მეფე წინ გამიძღვება, —
ისე ვიბრძოლებ, ერთმა ხუთი უკუვაქციო!

სედოვი — (თვალი შეასწრო)
აქეთკენ მოდის, ისე შეხვდით, მე რომ გასწავლეთ!..

ერეკლე — (მდინარის პირას გამოჩნდა, აქა-იქ მიყრილ ქართველ მეომრებს ჩამოუარა. მათ მეფე იცნეს, წამოიშალნენ. რუსი ჯარისკაცების სიმღერაც ერთბაშად შესწყდა).
რას წამოსცვივდით? დაასვენეთ მუხლი და ჯანი,
რომ თითო კაცი ასად იქცეთ, მტერს რომ შეხვდებით!

ელიბო — (მაღალი, განიერ მხარბეჭიანი, ერეკლეს გულდასმით ათვალიერებს. იქვე მდგომ თავჩაჩქიან მეომარს ხელი ჩააელო) მეფე ეს არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეომარი — ჰო, ეს არის... (გაკვირვებული იცინის) პირველად ხედავ?!
ელიბო — (ნაწყენი) რა იყო!... შენ თუ ადრეც ნახე, რითი მჯობიხარ?
მეომარი — (მკვახედ) რა დიდ გულზე ხარ? მჯობნის მჯობი არ დადგება!
ერეკლე — (ელიბოს შენიშნა, თვითონაც აათვალიერა)
(ელიბო ერეკლეს ცნობისმოყვარეობით უვლის ირგვლივ).
რა იყო, ბიჭო, გარეშემო რას დამტრიალებ?
ელიბო — (მოურიდებლად) რას და, დიდი გაქვს ქვეყანაზე მეფევ, სახელი,
თვალად კი დიდი არაფერი არა ჰყოფილხარ!
(მეომრები იცინიან).
ერეკლე — ჯერ ეს მითხარი, სადაური ხარ და რა გქვიან?
ელიბო — (თამამად) ქიზიყელი ვარ, ელიბოა, ჩემი სახელი!
ერეკლე — (ღიმილით) მაგ ხუმრობისთვის სხვას ენის ძირს დავუმოკლებდი,
შენ კი არ დაგსჯი, ქიზიყელი რაკი ჰყოფილხარ,
დაურიდებლად იცით ეგრე თქმაცა და ბრძოლაც!.
(იცინის) მაშ, არ მოგწონვარ?
ელიბო — რა ვქნა?! ქებას, ნახვა სჯობია!
ერეკლე — (ჩაცინებით) ცული თუ ერთი მუჭა არის, დიდ ხეს ვერ აქცევს?
ელიბო — (შეიშმუშნა) მეფევ, ნუ მიწყენ... მაგრამ ერთსაც გეტყვი
პირდაპირ, —
მოკლეტარიან ცულის ძალა სად გაგონილა?
ერეკლე — (მოეწონა) ყოჩაღ, ელიბო, აი, ეხლა სიტყვა მომიჭერ,
ნეტავ ხვალინდელ ბრძოლაშიაც ეგრე მაჯობო!
ელიბო — ვთქვათ და, გაჯობე! რას მაჩუქებ, მეფე ბატონო?
ერეკლე — რაც გინდა იმას... მე რად გითხრა? შენ აირჩიე!
ელიბო — მე ავირჩიო? — მართლა ამბობ, მეფევ ბატონო?
ერეკლე — მართლა, ნამდვილად... აი, ხალხი!.. მითხარ, რა გინდა?
მეომრები — (აქეთ-იქიდან) უთხარი, ბიჭო! თქვი, ბევრი თქვი!.. ბიჭო,
უთხარი!
ელიბო — იცი, რა მინდა, ჩემო მეფევ? (ძლივს გაბედა) რა და — მარილი...
რამდენსაც დავძრავ, ის მომეცი, მეტი არ მინდა!..
(მეომრებმა საერთო ხარხარი ასტეხეს).
ერეკლე — (გულიანად იცინის) შე კაი კაცო, მაგას ისეც მოგცემ,
წაიღე.
(მეომრებს) როგორც ეტყობა აღზევნის გზა მოჰბეზრებია!
(რუსი ჯარისკაცებისაკენ წავიდა ქართველი მეომრები ელიბოს ეხვევიან, იცინიან).
მეომარი — ბიჭო, მარილი რად გინდოდა? ოქრო ვერ სთხოვე?!
ელიბო — რა ოხრად მინდა?! ცხვარს და ძროხას ოქრო ვაჭამო?
უმარილობით ტკიპმა ფარა გამიტიალა!
(მეომრები იცინიან).
ერეკლე — (შუახნის ახოვან ჯარისკაცთან მივიდა, მხარზე ხელი დაჰკრა)
რუსს გაუმარჯოს!
რუსი ჯარისკაცები — (ერთად) გაუმარჯოს!
ერეკლე — ყოჩაღ, ბიჭებო!
რაკი ქართული „გაუმარჯოს“ მალე ისწავლეთ,
ჩვენს გამარჯვებას წინ ეშმაკიც ვერ დაუდგება...

(წასვლა დააპირა. სედოვს) აბა, თქვენ იცით... არაფერი
მოაკლოთ სტუმრებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სედოვი — რას ბრძანებ, მეფევ... ყველაფერი, — პური... ხორაგი...

ერეკლე — პური რას ჰქვიან? სტუმარს უნდა გული უჩვენო,
მაშინ უჭმელიც დაბრუნდება სახლში მაძღრისად!

პაატა — (მდინარის პირიდან ამოვიდა, ერეკლეს ლაქუცით მიესალმა)
ღმერთმა მიცოცხლოს შენი თავი! თუმც დავგვიანდი,
ხუთას ცხენოსნით და ორასი ქვეითი კაცით,
აი, ეს არის გეახელი, მეფე ბატონო!

ერეკლე — შვიდასი კაცი ჩემთვის ცოტა ხალხი როდია,
მაგრამ შენს ხალხზე შენი ნახვა უფრო მახარებს...
გუშინღამ სიზმრად, თუმც სიზმრები ქალთა საქმეა,
ვერცხლის ქამარი მომიტანე ვითომ საჩუქრად!..

პაატა — ვერცხლის ქამარი? სიხარული მომიტანია!

ერეკლე — (თვალებში უცქერის) ლამაზი იყო... თითებს შუა ვაგოგმანებდი
და უცებ ხელში გველი შემრჩა... ღმერთმა დასწყევლოს!

პაატა — (შემკრთალი) მერე... რა მოხდა?..

ერეკლე — (ცივად) არაფერი, ფეხით გავსრისე...

პაატა — (ნაძალადევი წუხილით) ხომ არ დაგკბინა?..

ერეკლე — ვერ მოასწრო!..

პაატა — მადლობა უფალს!..
რაკი გადარჩი, ვერცხლი მაინც სიხარულია!

ერეკლე — დღეს რომ ჩემთან ხარ, სიხარულად ესეც მეყოფა...

პაატა — გიჭირვებაში ჩემს მეფესთან... მაშ, სად ვიქნები?!
(შემოდიან ამილახვარი და ციციშვილი, მეფე რომ დაინახეს, წნორებთან შესდგნენ, პაატამ ციციშვილს თვალი შეასწრო).
ბოდიში, მეფევ, ჩემს მხედრობას უნდა მივხედო!
(ერეკლე კარავში შევიდა, პაატა ციციშვილს შეეგება, განზე გაიყვანა).
აქ რას აკეთებ? იმ კაცს თავი რად გაანებე?

ციციშვილი — საქმეც ის არის, მე ის კაცი აღარ მინახავს...
როგორც ეტყობა, სანამ ქალმა სული დალია,
თუ რამ იცოდა, ყველაფერი გააგებინა!

ამილახვარი — შე დალოცვილო, იქნებ ქალმა სიტყვაც ვერ უთხრა,
მაგრამ საცოლე მოჰკლა კაცმა ჩვენი მიზეზით
და ამის შემდეგ ისევ ჩვენთან რას მოვიდოდა?

ციციშვილი — სადმე რომ გვნახოს, ჩვენს სისხლს დალევს!

ამილახვარი — უეჭველია!

ციციშვილი — იქნებ ამიტომ წამოსულა ისიც აქეთკენ,
მებორნემ მითხრა, ყარაიას ტყესთან უნახავს;
მარტო ყოფილა, მოდიოდა თურმე ქვეითად...

პაატა — ქვეითად იყო და შენ ცხენით ვერ დაეწიე?

ციციშვილი — გზაში თუ ავცდი, ან ატეხილ ლიხს შეეფარა!

პაატა — ბევრი არ უნდა ამას ბჭობა... ასეთი მოწმე
მაინც სიცოცხლეს მოგვიშხამავს, ხმაც რომ არ დაძრას,
ამიტომ კიდევ ერთი ცოდვა უნდა ავიღოთ...
აქა თუ სხვაგან, ვინც შევხვდებით, სამში პირველად!

(პაატას გვერდით ელიბომ ჩაურა, უნებურად მხარი მოახვედრა, ხელიდან მათრახი გააგდებინა, ციციშვილი უმალ მათრახს დასწვდა, ელიბოს მადიდურად შეუყვირა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციციშვილი — ხი, შე მუდრეგო, ამ მინდორზე ვერ დაეტევ?

ელიბო — (შესდგა, თვალი ცერად შეავლო)
ხი და... ვერანავ, ეს გზა განა შენი საყმოა!

ციციშვილი — (ცხარედ) ერთი უყურეთ, ტილიანი გლეხი რას ბედავს,
ორასი კომლის ყმის ბატონთან.... ქართლის თავადთან!

ელიბო — (გულიანად იცინის) ბატონს დამიხეთ, უქნარობას როგორ იკვეხნის?
თავადი იყავ, მემრე რაო?! რის მაქნისი ხარ?
არც ყმა ვყოფილვარ, არც ბატონი, რადგან კაცი ვარ!

პაატა — (აენთო) ვისაც ყმები გვყავს, მაშ, კაცები აღარ ვყოფილვართ?

ელიბო — ვინც სხვის მონაგარ ლუკმასა სჭამს, ის რა კაცია?

(პაატამ, ამილახვარმა და ციციშვილმა ხანჯლები იშიშვლეს, ელიბო განზე გადგა,, ადლიანი ხანჯალი იძრო).

ხელი არ დასძრათ, თორემ გოგრებს დაგაყრევინებთ!

ერეკლე — (კარავიდან გამოვარდა) რა ამბავია?!

ციციშვილი — დიდო მეფევ, ვიღაც გლეხუჭა
გვათრევს, გვაგინებს... თავადობას ფეხით გვითელავს!

ელიბო — დიდო ბატონო, შინ როდესაც დაბრუნდებიან,
თავის ცოლ-შვილს და ყმებს ასწავლონ ქცევა-ზრდილობა...
მე აქ, განჯაში, სამაგისოდ არ ჩამოვსულვარ!
ტყვია მომეცი, დამითვალე და რამდენ ცალსაც
მომცემ, თუ იმდენ მკვდარ ყიზილბაშს არ ჩაგაბარებ,
საქართველოდან საშუდამოდ გადამასახლე...
მეტი რა გინდა!

ერეკლე — (ნაწყენი) ერთმანეთთან ჩხუბის მაგიერ,
დღეს ერთმანეთის ძმობა გმართებთ და სიყვარული...
ჯერ საქართველოს ვუპატრონოთ, მერე ჩვენს საქმეს!

ციციშვილი — სად გაგონილა, გლეხი ეგრე...

ერეკლე — (მკაცრად) ვთქვი და გათავდა!
ჩემო პაატავ, ეხლა დროა დავძრათ ლაშქარი...

(მეფეს კარავიდან სამეფო დროშა გამოიტანა. მეფემ მის წინ ქუდი მოიხადა, მუხლი მოიყარა, დიდებულებმა და მხედრებმა დაიჩოქეს).

ღმერთო მაღალო, არცა სხვათა დასამონებლად,
არც დასაპყრობად და საქელად უცხო მიწისა,
მშობელი ქვეყნის დასაცავად გვიკურთხე ხმალი!

(წამოდგა, ლაშქარს გადახედა).

ვინც ხართ ვაჟკაცნი ძალოვანნი, დღეს გამოჩნდება,
მამულისათვის ვისაც გული კაცურად გერჩით...
ერთს გეხვეწებით თქვენი მოძმე და თქვენი მეფე, —
თავშერცხვენილნი შინ ცოცხლები ნუ დაბრუნდებით!..

(დამის მყუდროება საყვირების ძახილმა დაარღვია).

ფარდა

———.———

სურათი მერვე

სანახაობა იგივე, რაც პირველ სურათში — ჩალაბხანის სასახლე განჯის ციხე-ქალაქში, შუალამეა გადასული.

ფარდის ახდისას ჩალაბხანი აბრეშუმის მუთაქებითა და ბალიშებით აფერადებულ ტახტზე ნებივრობს. იგი თვალით ეალერსება შუა დარბაზში მოცეკვავე ნახევრად შიშველ მზეთუნახავებს. მის ფერხთით ზის ფერმიხდილი მაიკო. კედლის ძირას მოკეცილი სპარსელი მომღერალი თარს უკრავს და დამტკბარი ხმით ბაიათს დამღერის.

მ ო მ ღ ე რ ა ლ ი

ყელი ბროლისა,
ბაგე ლალისა...
აი, რა მიყვარს
ქართველ ქალისა!
ამან, ამან!
ტანზე მოხვევნა
უსურვაზისა
და სანთელივით
დნობა ვაჟისა!
ამან, ამან!
გულის დაკოდვა,
ბნედა თვალისა...
აი, რა მიყვარს
ქართველ ქალისა!..
ამან, ამან!

(ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ მ ა მომღერალს სავსე ქისა გადაუგდო და იგი ფეხაკრეფით მიიმალა ჩაბნელებულ დარბაზში. მოცეკვავე ქალებიც ოთხივ კუთხივ მიიმალნენ. მ ა ი კ ო წამოდგა, წასასვლელად მოემზადა, ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი წინ გადაეღობა).

ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — შენც რომ მიდიხარ, ბნელი ღამე ვინ გამინათოს?
(თვალებში უცქერის. მ ა ი კ ო თავდახრილი მდუმარე დგას).
ძირს რას უყურებ? რა დაჰკარგე იმისი ფასი,
რომ განჯისხანმა ერთი ასად არ გაპოვნინო?
(ნადირის მინაზებული ხმით).
ოქრო გინდა თუ სხვა რამ თვალი პატიოსანი,
ან ფარჩეული ქირმანის თუ მაზანდარანის?
ანუ სანდლის და სუსამბარის უტკბეს სურნელით
ბურანში წასულს სარეცელზე სავნებო თრობა!
ხმა ამოიღე, გამაგონე, ერთი — რა გინდა?!

მ ა ი კ ო — (ზიზღით) რომ არ მესმოდეს ეგ შენი ხმა, აი, რა მინდა!
ბრმა რომ ვიყო და ვერ გხედავდე, აი რა მინდა!

ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — ჩემს თექვსმეტ ცოლში შენ იქნები პირველი ცოლი,
თექვსმეტი მონა ვარდის წყალში ყოველდღე გაგბანს!.

მ ა ი კ ო — განუკითხავი ქალთა შორის ვიყო ამ ქვეყნად,
მშიერი მონა, მხოლოდ შენგან ისე შორს ვიყო,
როგორც შორია ეხლა ჩემგან ბედნიერება!

ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — (ბრაზი ერევა, თვალებს ზოგჯერ მკვლელის უეცარი ელვა გაუნათებს, ხანაც ცბიერი სინაზით მილულავს)

ხან თარზე სიმთა ნელი თრთოლვა დაგიტკბობს სმენას,
ხან ჭიანურის მილეული გულივით კვნესა...
შვიდ ბულბულს ერთად გალიაში დავამწყვდევ შენთვის,
რომ თვითეულ დღეს გიგალობოს თითო მგოსანმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა ი კ ო — (გესლიანად) მე რომ მნახავენ დამტკბარს შენთან ბედნიერებით,
გველივით წივილს დაიწყებენ ყველანი ერთად!

ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — (თითქოს გაავებული ნადირი გამოიჭრა გალიიდან)
კახპავ, ძუ ძაღლმაც ეგრე იცის ყეფა და ღრენა,
სანამ ატეხილ მძუნვარებას არ დაიყუჩებს!

მ ა ი კ ო — ალბათ ცოლებმა თუ გასწავლეს ეგ ძაღლთა წესი!

ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — ჭკუიდან შემშლის ეს წყეული... (ყვირის) გასწი, გამშორდი!..

(მ ა ი კ ო ამაყად, თავაწეული გადის. გაავებული ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი დარბაზში ავ-ზნიანივით წაღმა-უკუღმა დადის. ერთბაშად შესდგა).

მართლა, წერილი! (უბიდან რაღაც ბარათი ამოიღო) იქნებ
ამ ქალს ერეკლე მეფის
გზა და გეგმები ერთხანს მაინც ავარევინო,
მე კახეთისკენ დავძარ ჯარი, ის ქართლს დაიცავს...
კახეთს რომ გავტეხ, ქართლი თვითონ დაჰყრის იარაღს!

(გავიდა, მ ა ი კ ო უკანვე შემოიყვანა. ცბიერად ეფერება).

რატომ არ მითხარ, ქალო, შენი გულის ტკივილი?
აი, ბარათი, ფარულად რომ საქმროს მისწერე!

მ ა ი კ ო — (შემკრთალი) ჩემი ბარათი... შენ... საიდან?!

ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — შენს საქმროს ნაცვლად,
ისე მოეწყო, მე მივიღე... ჩემს სასახლეში
ყველა წერილი ჩემთან მოდის... მერე გზას ვაძლევ...
რატომ თავიდან არ მითხარი, რომ საქმრო გყავდა?
ეხლა გავიგე, რად სცხარობდი... ეგრე რომ გეთქვა,
თუმცა გულს მტაცებ, ზეცის მადლმა, ხმას არ გაგცემდი!

მ ა ი კ ო — (ხელებში ეცა) მომეც წერილი!

ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — (მშვიდად) სწრაფი ნუ ხარ, განა ამ ბარათს
დავწვავ ან დავხევ?! არა, დღესვე ქართლში გავგზავნი.
ოღონდ ბოლოში მიაწერე ორი სტრიქონი...
მეტი არ მინდა, ორად-ორი! ვითომ შეიტყვე,
რომ ჩემი ჯარი ხუთ-ექვს დღეში ქართლს დაეცემა
და თვით თბილისზე გალაშქრებას უკვე ვაპირებ...

მ ა ი კ ო — მე შენი ჯარის არაფერი არ შემიტყვია...

ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — (დაბეჯითებით) შენ კი დასწერე, რომ შეიტყვე
დანამდვილებით...
სამაგიეროდ ეს წერილი შენს რუსს მიუვა,
თანაც დღეიდან საპატიმროს კარებს გაგიღებ!

მ ა ი კ ო — შენ საქართველოს სასიკეთოს არაფერს მეტყვი...

ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — აბა, მითხარი, რა წახდება ამას რომ მისწერ?
პირიქით, მეფე რომ შეიტყობს, მადლობას გეტყვის,
რაკი წინდაწინ გააფრთხილებ...

მ ა ი კ ო — (ჯიუტად) არა, არ დავწერ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — შე კაი ქალო, ორი სიტყვა, მეტი არ მინდა...
მე წამალს გაძლევ შენი ხალხის გადასარჩენად!
შ ა ი კ ო — თუმცა არ ვიცი, რას აპირებ, ერთი კი მჯერა, —
შენი წამალი ჩემი ხალხის საწამლავია!
ამიტომ, სანამ მაგას დავწერ, ხელი მომტყდება!
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — რაც გინდა, მთხოვე...
შ ა ი კ ო — არაფერი შენი არ მინდა!
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — კარგა დაფიქრდი... ლამაზი ხარ, ახალგაზრდა ხარ...
საქმროც გყოლია, გელის მხოლოდ ბედნიერება!..
შ ა ი კ ო — ბედნიერებას შენ რომ მაძლევ, ღმერთმა დასწყევლოს!
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — (მოთმინებას ჰკარგავს) გირჩევ, დასწერო!
შ ა ი კ ო — (ცივად) მუქარისა არ მეშინიან!
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — (გაცოფებული) არც სიკვდილისა?
შ ა ი კ ო — (ურფო მშვიდად) სიკვდილს თვითონ ღმერთს ვეხვეწები...
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — (აწყვეტილი მხეცი) ენას ამოგჭრი, ძუძუებზე გველებს
მოგკიდებ!
შ ა ი კ ო — ემაგ ჟამს ვნატრობ, სიხარული მე სხვა არ მინდა!
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — მაშ, საქართველოს ცეცხლითა და მახვილით მოვსრავ,
რომ ამოვარდეს ქვეყნად მისი სახსენებელი...
ტყვედ წამოვასხამ შენს დედ-მამას და თვალებს დავთხრი!
შ ა ი კ ო — (სიცილით) ბევრმა მტარვალმა სცადა ჩემი ქვეყნის მოსპობა,
მაგრამ სამარედ ექცა მისი ტურფა — მთა-ბარი...
შენც იქ ჩალპები, საქართველო მარად იცოცხლებს!
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — (ბრაზისაგან კანკალი აუვარდება)
ეს რა ალქაჯი გადამკიდეს!...
(ისტერიულად გაჰკივის).
ჰეი, ვინა ხართ!
ეხლავე გარეთ გაათრიეთ და ხალხის თვალწინ
დედიშობილა ნაწნავებით ცეცხლზე დაჰკიდეთ!
შ ა ი კ ო — ნუ გაცოფდები... დღეს სიკვდილი ჩემთვის მხსნელია..
სხვას რას ეძახი, შენვე მომკალ თვითონ, ჯალათო!
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — (თმენადაკარგული)
ვინა ხართ-მეთქი? მომაშორეთ ეს ქაჯის მოდგმა!
(გიჟივით გარეთ გავარდა. მეორე მხრიდან თ ა რ ჯ ი მ ა ნ მ ა ფრთხილად შემოჰყო თავი, მ ა ი კ ო ს თ ა ნ მივიდა).
თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — იცოცხლე, შვილო, ქართველობის ღირსი ჰყოფილხარ,
შენს გამზრდელ დედას დაელოცოს ტკბილი ნანინა!
შ ა ი კ ო — (ალმაცერად შეათვალიერა, განზე გადგა) ვინ ხარ? გამშორდი.
თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — ჩუმად, შვილო... ყური დამიგდე!
ჩალაბხანს ვიცნობ, თუ გაცოფდა, აღარ დაგინდობს
და რომ კოცონზე ტანჯვით სიკვდილს მაინც გადარჩე,
აჰა, ეს შუშა... დალიე და...
(უბიდან პატარა ჭიქა ამოიღო).
შ ა ი კ ო — (გამოსტაცა) გმადლობ, მოხუცო...
(შემოდის ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი, უკან ო მ ა რ ბ ე გ ი მოსდევს. თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი კედელს ამოეფარა, მ ა ი კ ო თავაღებული ამაყად დგას).
ჩ ა ლ ა ბ ხ ა ნ ი — ოხ, იმ ციციშვილს თვალებს დავთხრი, სარზე ავაგებ...

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეს დაწყევლილი ალბათ განგებ გამომიგზავნა,
რომ ათი ღამე გულმოშხამულს ეგრე მეთია!
(ომარბეგს მაიკოზე უთითებს).
ეხლავ ეზოში წაათრიე... თმებით კოცონზე!
(ომარბეგმა ხელი ჩაავლო მაიკოს. ქალმა ხელი გაითავისუფლა, ომარბეგს ამაყად თვითონ გაუძღვა წინ).

მაიკო — (ჩალაბხანს ზიზღით გადახედა)
ქალთან ვაქკაცი — ვაქკაცებთან დედაკაცია!

ჩალაბხანი — (ომარბეგს)
ჩქარა წაიყვა, თორემ ლამის გულზე გამხეთქოს!..
(ომარბეგი და მაიკო გადიან. გაავებული ჩალაბხანი ბოლთასა სცემს).
ოხ, ციციშვილო... გაწყევლინებ შენს დაბადებას!

თარჯიმანი — (ნაძალადევი ღიმილით კედელს იქიდან გამოყო თავი)
ამას იტყვიან სწორედ, ძაღლი ხსენებაზეო, —
ციციშვილია, შენი ნახვა უნდა საჩქაროდ...

ჩალაბხანი — (თითქოს არ სჯერა)
ციციშვილია?! თავის ფეხით ჰხლებია სიკვდილს...
უთხარ — მოვიდეს, სხვა არავინ არ შემოუშვა!
(ჩალაბხანი გადის).
თვითონ შაჰ-აბასს თუმცა დედა ქართველი ჰყავდა,
ქართველთა მოდგმის ამოგდება უნდოდა, რადგან
ვერც გატეხა და ვერც მოხარა ეს კერპი ხალხი...
ქალი რომ ასე გაქვავდება, კაცი რას იზამს?!
(ციციშვილი შემოვიდა, ჩალაბხანს მდაბალი სალამი მისცა).

ციციშვილი — სალამი, განჯის მბრძანებელო!

ჩალაბხანი — შენი სალამი
თავში იხალე... ჩემგან მხოლოდ სიკვდილს ელოდე.

ციციშვილი — მე კი მოვედი, რომ დაგიხსნა სიკვდილისაგან!

ჩალაბხანი — (ერთბაშად მოლბა) რა ენისა და საქციელის ხართ ქართველები,
ხან ბრძენს გადარევთ, ხან დასაბმელ გიჟს გააბრძენებთ!

ციციშვილი — ხანო, იჩქარე! საცა არის, მეფე ერეკლე
შენს ციხექალაქს მოადგება თავისი ლაშქრით!

ჩალაბხანი — (გაშტერებული) ჰხუმრობ, თუ ჰბოდავ?!

ციციშვილი — ნამდვილს ვამბობ?

ჩალაბხანი — თუ ნამდვილს ამბობ
და მოკეთე ხარ მართლა ჩემი, დღემდე სად იყავ?
რატომ გუშინვე არ მაცნობე, ან უფრო ადრე?

ციციშვილი — განა არ იცნობ მეფე ერეკლეს, რარიგ ფრთხილია?
სადაც რა იყო, ყველგან შეჰკრა გზა თუ ბორანი...
ხუთი ღამეა მტკვრის ხეობით მოდის ქურდულად;
ვინც გზაში შეხვდა, დაატყვევა, რომ ამბისმთქმელი
შენთან ვერასგზით ერთი კაციც ვერ მოსულიყო!

ჩალაბხანი — (ფანჯარას მივარდა, ეზოში გასძახა) ჩქარა ომარბეგს
დამიძახეთ, ეხლავ აქ გაჩნდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციციშვილი — ეს არაფერი! შენს კახეთში გაგზავნილ ჯარსაც
განადგურება ელის, რადგან ივრის ნაპირას
ოავს დაატყდება ქართველობა დასაფრებული!
ჩალაბხანი — მან რა იცოდა ჩემი ჯარის კვალი და გეზი?!
ციციშვილი — საქმეც ეგ არის, დიდო ხანო!.. რაღა არ იცის?
შენთან ფარულად ჯაშუში ჰყავს შემოგზავნილი!
ჩალაბხანი — (გაოცებული) რაო, ჯაშუში?!
ციციშვილი — მაშ, ჯაშუში!
ჩალაბხანი — (თვალებში შესცქერის) საიდან იცი?
ციციშვილი — ნამდვილად ვიცი... თუ არ გჯერა, აი, საბუთი!
(უბიდან წერილი ამოიღო, ჩალაბხანს მისცა, ომარბეგი შემოვიდა)
ომარბეგი — შენ მეძახოდი, დიდო ხანო?
ჩალაბხანი — ეხლავ განგაში!
ციხის ბურჯებზე ჩაამწკრივეთ ზამბურაკები,
მეციხოვნენი აშალეთ და გზები შეჰკარით!
მწარე ვახშამი დავახვედროთ მეფე ერეკლეს...
აბა, სასწრაფოდ... ვიდრე თოფი გავარდებოდეს!.
(ომარბეგი უმალ გავიდა. ჩალაბხანი წერილს ხელში ატრიალებს, ისევ ციციშვილს მისცა).
შენ წამიკითხე, მე რა ვიცი თქვენი ქართული!
ციციშვილი — აი, რასა სწერს! (ბარათს კითხულობს) „ციციშვილი
აქ ბრძანდებოდა,
ამილახვარიც, შენი ბიძაც შეთქმული არის...
პაატას უნდა ქართლის ტახტის ხელში ჩაგდება“.
მე რომ დავბრუნდი, ეს წერილი კვალდაკვალ მომყვა,
ერეკლეს კაცი ალალბედზე მოჰკლა მებორნემ!..
ჩალაბხანი — მანდ ჩემს ლაშქარზე არაფერი არა სწერია!
ციციშვილი — რუსთან ნადიმზე სხვა ბარათი მოსვლია კიდევ,
მე იქ არ ვიყავ, თავის თვალით ნახა პაატამ...
ჩალაბხანი — სწორედ ჯაშუშის საქმე არის...
ციციშვილი — მე ისიც ვიცი,
ვისი ხელია, ეს ქვემძრომი ვინ უნდა იყოს!
ჩალაბხანი — ვიზე გაქვს ეჭვი?
ციციშვილი — აქ საეჭვოც არაფერია,
შენს სასახლეში ერთადერთი ქართველი დადის...
გახსოვს, მაშინ რომ ჩამაცივდა ჩემს ქალიშვილზე!
ჩალაბხანი — (ყოყმანით) თარჯიმანს ამბობ... ქართველია და არ
ქართველობს,
აღარც რჯული აქვს თქვენებური, აღარც ადათი!..
ციციშვილი — არ დაიჯერო, თვალთმაქცია, ხანო, ნამდვილად,
შემოიყვანე და ეხლავე მკერდი ვუნახოთ!
ჩალაბხანი — მაშ, სიკვდილისგან სამჯერ რისთვის გადამარჩინა?
ციციშვილი — რომ ერთის ნაცვლად გაეჭლიტა ასი ათასი
და მეოთხეჯერ თავის ხელით შენც მოეკალი!
ჩალაბხანი — (დაეჭვებული) ნუთუ წყეული?! (ხმამაღლა გასძახის)
თარჯიმანო, სად დაიკარგე?

ციციშვილი — მე დამაცალე, დიდო ხანო...

ჩალაბხანი — არა, მე თვითონ!

(თარჯიმანი შემოვიდა, ჩალაბხანი მაშინვე მივარდა, წვეროში ხტაცა ხელი, თვალებში ჩასცქერის).

მკერდი გაიხსენ! გესმის? ჭქარა გაიხსენ მკერდი!

თარჯიმანი — (მიუხვდა, უხალისოდ) მესმის, ბატონო...

ჩალაბხანი — (საყელოში სწვდა) ჭქარა-მეთქი, რამ დაგაყრუა!

(ხალათის სამკერდული შემოაგლიჯა, გულისპირი გაუღეღა, თვალებანთებული, როგორც უეცარი საშინელების წინაშე, ერთბაშად გაქვავდა: თარჯიმანს მკერდზე ჯვარი დაუნახა, ჭირვეულმა თრთოლვამ აიტანა).

ჯვრიანი გველი... სასიკვდილოდ რომ დავეკბინე!

ციციშვილი — აკი გითხარი!

ჩალაბხანი — (გაცეცხლებული) წაიყვანეთ... ჰეი, ომარბეგ!

(ომარბეგი შემოდის, ჩალაბხანი წაღმა-უკუღმა დადის, ომარბეგს თარჯიმანზე აჩვენებს).

ის ქალი მერე, ამას მოსჭერ პირველად თავი!

გესმის? ეხლავე! ჭქარა, წამიც არ დაახანო!

(ომარბეგმა თარჯიმანს კისერში ჩაავლო ხელი, მიჰყავს).

თარჯიმანი — (ფეხი შეანელა, ჩალაბხანს დაცინვით)

ვიცი, რად ჭქარობ, გსურს ვახარო საიქიოში,

რომ თქვენც ორივე დღესვე ჩემთან წამობრძანდებით...

(ზარბაზნის ქუხილმა ზედიზედ შეაზრიალა ფანჯრები. ჩალაბხანი და ციციშვილი შეკრთნენ).

გესმით? მოვიდა თქვენი დიდი სულთამხუთავი,

არ გეთხოვებით, ბატონებო, მალე ნახვამდის!

(ომარბეგს თარჯიმანი გაჰყავს. ზარბაზნის ქუხილს თოფის გაბმული ხმა შეუერთდა, შიკრიკი შემოვარდა).

შიკრიკი — ქართველმა ჯარმა ციხის კარი შემოანგრია,

სანამ შიგნიდან მოვასწრებდით მის გამაგრებას....

ყველა კუთხიდან ზარბაზნები უშენენ ციხეს!

ჩალაბხანი — ლეკების რაზმი ჩაასაფრეთ ორივე გზაზე,

მდინარის პირი ზარბაზნების ცეცხლით ჩაღობეთ.

ჭქარა! მეც ჩემი ავლანებით თქვენთან გავჩნდები!

(შიკრიკი გარბის, ჩალაბხანმა წელში დამბაჩა გაირჭო, ხმალი იშიშვლა, ციციშვილთან ერთად გაეშურა დარბაზიდან. ზარბაზნისა და თოფის სროლა გახშირდა. მოახლოებული ხელჩართული ბრძოლის ჩახჩუხი და ყიჟინა მოისმის. უკაცურ დარბაზში უკან ხელებშეკრული მაიკო შემოიჭრა, ფანჯარას მივარდა, ეზოს გასძახა).

მაიკო — ტყვეებო, ჭქარა!.. ქართველები, მეფე ერეკლე...

თავისუფლება, სანატრელი თავისუფლება!

(სიბნელეს შეერია. ხელჩართული ბრძოლის ყიჟინა და ხმაური ახლოვდება. ორი ხევსური ხმალდახმალ ბრძოლით დარბაზში შემოჰყვა ორ სპარსელ მეომარს, ისინი ბრძოლითვე მიიმალნენ სიბნელეში. მათ კვალდაკვალ სედოვი და ერთიც სხვა რუსი მეომარი მოჰყვნენ, რომელნიც ხმალდახმალ მოსდევენ სპარსელებს. სედოვმა მარჯვედ მოქნეული ხმლით განგმირა სპარსელი, სიბნელეს მიეფარა. სასახლეში სპარსელ და ქართველ მეომართა მთელი გუნდი შემოიჭრა. ჩაბნელებულ დარბაზს ხმლების ხშირი ელვა ანათებს მხოლოდ. ფიცხელი, ხელჩართული ბრძოლით დარბაზში შემოიჭრნენ ელიბო და ჩალაბხანი).

ელიბო — ღორის ხორცს თუ სჭამ, მე და ჩემმა ღმერთმა, არ მოგკლავ...

რამდენს დახტიხარ, დაიღლები საიქიომდე!

(თავგამეტებული ორთაშუა ბრძოლა დიდხანს გრძელდება. კატასავით სწრაფი ჩალაბხანი ცდილობს მოულოდნელი ნახტომით დაასწროს ელიბოს, მაგრამ ელიბომ თვითონ დაასწრო მას, ხმალი აძგერა მკერდში. ჩალაბხანი ერთი შექანავდა და უსულოდ დაეცა. ელიბო ჩაბნელებულ თაღებს მოეფარა. ისმის ძახილი).

არსად მოამბე!.. კაფეთ, მუსრეთ, ძირბუდიანად!

(თენდება, განთიადის მკრთალ სინათლეზე დარბაზის სიღრმეში ს ე დ ო ვ ი ს ა და მ ა ი კ ო ს ერთმანეთს გადახვეული ჩრდილები გამოჩნდნენ).

მ ა ი კ ო — ეხლა გინდ მოკვდე, ჩემი თავი არ მენანება!

ს ე დ ო ვ ი — სიკვდილს რა უნდა ჩვენთან, მაგრამ თუ მაინც მოვა,
შენს მაგიერაც მე მოვკვდები, ჩემს მაგიერაც!..

(ბრძოლის ხმაური და შორი ყიჟინა გრძელდება. ხანძრის ალმა თუ მზის პირველმა სხივებმა სასახლის ფანჯრებში შემოანათეს. გარედან ღია ფანჯარაში ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი და ც ი ც ი შ ვ ი ლ ი გამოჩნდნენ, ისინი ვიღაცას ეძებენ გაფაციცებით).

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — ხიდთან აშკარად დავინახე მახარე იყო...
ფიცხლად იბრძოდა, ხმლით გააპო ერთი სპარსელი,
მეორეს თავი წააცალა ერთი მოქნევით!

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — მეც დავინახე, სულ ერეკლეს გვერდით იბრძოდა,
სროლა მინდოდა და ვერასგზით ვერ მოვახერხე!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — ეხლა აქეთკენ წამოვიდა მეფე ერეკლე,
და თან გამოჰყვა...

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — (ეტყობა, თვალი შეასწრო) აგერ, მოდის!

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი — არ დაგვინახოს!

(ფანჯარას მოეფარნენ).

მ ა ხ ა რ ე — (შემოდის, ვიღაცას ეძებს. ხევსურს წამოეწია)
ძმობილო, მეფე ხომ არ იცი, საით წავიდა?

(ხევსურს უკან არც კი მოუხედავს, გავიდა, უკან მიჰყვა მ ა ხ ა რ ე ც. შემოდის ხმალამოწვდილი, ნაომარი ე რ ე კ ლ ე, იგი ფანჯარასთან შესდგა).

ე რ ე კ ლ ე — შენი ჭირიმე, ჩემო ხალხო, რა დევ-გმირი ხარ!..

(ფანჯარას მოშორდა, შუა დარბაზზე წავიდა. მას კვალდაკვალ ასდევნებია დამბაჩამომარჯვებული ო მ ა რ ბ ე გ ი. მეორე მხრიდან ე რ ე კ ლ ე ს თვალი შეასწრო მ ა ხ ა რ ე მ და მისკენ გაეშურა. ო მ ა რ ბ ე გ მ ა დამბაჩა დაუმიზნა ე რ ე კ ლ ე ს. მ ა ხ ა რ ე მ სპარსელი რომ დაინახა, ეტი ვეღარაფერი მოახერხა, ე რ ე კ ლ ე ს მკერდით აეფარა. დამბაჩა გავარდა, ე რ ე კ ლ ე სწრაფად შემოტრიალდა, მის ფეხებთან ულონოდ ჩაიკეცა სასიკვდილოდ დაჭრილი მ ა ხ ა რ ე. მ ე ფ ე მ უმალ ჩაიჩოქა, მას ხელი შეაშველა, მუხლზე დაისვენა).

შენი სახელი მაინც მითხარ, შვილო, ვინა ხარ!

(უმალ ე რ ე კ ლ ე ს გვერდით გაჩნდნენ მ ა ი კ ო და ს ე დ ო ვ ი. მ ა ხ ა რ ე ს თავთან ჩაიჩოქეს).

მ ა ხ ა რ ე — ჩემი სახელი? — დაწყევლილი, რად გინდა, მეფევ?
სხვა მაქვს სათქმელი, სანამ სული არ ამომსვლია,
აჰა, ბეჭედი, შენ რომ იმ ქალს მაშინ მიეცი...

(გაუწოდა).

ე რ ე კ ლ ე — (ბეჭედს სინჯავს) ჩემი ბეჭედი... ის, ხევსურულ ჩაცმული ქალი!..

მ ა ხ ა რ ე — ის ქალი მოვკალ, ჩემის ხელით, რადგან შენ გიხსნა.
მოვკალი, რადგან საწამლავით ავსილი ყანწი,
რომ დაგელია, იმ საწყალმა არ დაგაცალა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ყანწი თვითონ მე ავავსე მოშხამულ ღვინით,
რადგან მიბრძანეს პაატამ და ამილახვარმა...
(ღონე ელევა).
მათ დამაბრმავეს, მეფეე, ვითომ ჩემი საცოლე
შენ გაატანე ქერიმხანთან მთიელ ყაჩაღებს...
მათ დამავალეს იმ ხევსურის სისხლის დალევაც,
ხევსურს დავკარი ხანჯალი და — მზეექალა მოვკალ!

ერეკლე — იუდის კერძნი! ეგრე ჯვარზე როგორ გაგაკრეს!
(სასახლეში შემოდიან განთავისუფლებელი ტყვეები, ნაბრძოლი ქართველი და რუსი მეომრები).

მახარე — (ენას ძლივს იმორჩილებს) ეხლა ის-ღა მაქვს სათხოვარი,
მეფე ბატონო...
აქ ნუ გამწირავთ... იქ წამიღეთ... შენი ჭირიმე...
და მის მეზობლად... მიმაბარეთ... ცოდვილი... მი-წას...
(სული დალია. მაიკო ჩუმად ქვითინებს).

ერეკლე — (მის თავთან წამით მუხლი მოიყარა. ნელა წამოდგა)
ეხლავ ნაბადი და საკაცე... მერე ურემზე!
(მეომრებმა უმალ შემოიტანეს საკაცე. მახარეს ნაბადი გადახურეს, საკაცეზე დაასვენეს, წაიღეს. სედოვი და მაიკო უკან გაჰყვნენ. სედოვმა გასასვლელამდე მიაცილა. ერეკლემ ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს პაატას ეძებსო).
ჩემს ტახტს უმიზნებს, — სიკვდილის ტახტს დავუდგამ მალე!
(ბრძოლის ხმაური სრულიად მისწყდა, სასახლეში ლევან ბატონიშვილი, ორბელიანი და მაიორი შემოვიდნენ).

ლევანი — როგორც გვიბრძანე, მამაჩემო, განჯაში გხვდებით
გამარჯვებულნი, მტრის მოამბეც არ გაგვიშვია!

ერეკლე — (პირმოღუშული) აკი მტრის საფარს წააწყდნენო?

ლევანი — აქვე განჯასთან
ავღანთა რაზმი შემოგვერტყა მოულოდნელად....
ბრძოლა გაჭირდა, რადგან მტერი რიცხვით გვჭარბობდა,
ვინ იცის, იქნებ გამარჯვებაც მას დარჩენოდა,
მაგრამ სად იყვნენ, — თავს დაატყდნენ უცებ რუსები...
ბრძოლა სცოდნიათ დალოცვილებს მართლა კაცური,
მტერი გატეხეს, მერე ერთად დავუწყეთ ქლეტა...
(მაიორზე უჩვენებს) აი, ეს არის, სპარსელებს რომ სისხლი ადინა!..

ერეკლე — ეს დღე დალოცოს, როცა რუსულ-ქართულმა ხმალმა
და წმიდა სისხლმა ამ მიწაზე ერთად დაღვრილმა,
დააკანონა ჩვენი ძმობა საშვილიშვილო!
(შემოდიან პაატა და ამილახვარი, ბოლოს ციციშვილი ცალკე)

პაატა — (ლამის ფეხქვეშ გაეგოს) მეფეე, გილოცავ გამარჯვებას
მოსისხლე მტერზე,
კვლავაც გვენახოს გამარჯვება, შენი მრავალი...
რას მოღუშულხარ? ლხინი გმართებს, მეფე ბატონო!

ერეკლე — მართალსა ბრძანებ, ლხინი გვმართებს, ჩემო დედისძმავ,
(ნაძალადევი ღიმილით) ამბობენ, — ღვინო უხდებაო ნაომარ
კაცსა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ა ა ტ ა — (დაფაცურდა) ღვინო — ეხლავე! ჩქარა, ღვინო მოართვით მეფეს!
(პ ა ა ტ ა ს მეაბჯრემ უმალვე შემოუტანა დოქი და ყანწი, პ ა ა ტ ა მ ყანწი პირთამდე აავსო, ე რ ე კ ლ ე ს მიართვა).

ე რ ე კ ლ ე — (პაატას თვალი თვალში გაუყარა!)
ღვინო კარგი სჩანს, მაგრამ მარტო ღვინო რას იზამს?
შიგ საწამლავის შერევა ხომ არ დაგავიწყდა?!
(ყანწი იატაკზე დააგდო. პ ა ა ტ ა ს და ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ს თითქოს მეხი დაეცათ. ც ი ც ი შ ვ ი ლ მ ა ვითომ ვერაფერი შეიტყო).

პ ა ა ტ ა — (თავგზააბნეული) რას ბრძანებ, მეფევ?!

ე რ ე კ ლ ე — (მკაცრად) კიდევ ჰბედავ ხმის ამოღებას?
შენ რაღას ბრძანებ, გაიძვერა ამილახვარო?
(ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი ხმაამოუღებლად ფეხებში ჩაუვარდა ე რ ე კ ლ ე ს. პ ა ა ტ ა-მ ა ც დაიჩოქა, თავი დახარა).

თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი — (ხალხი გაარღვია, უტიფრად გაჩერებულ ციციშვილს მივარდა)
ფეხზე რას დგეხარ? შენ ყველაზე დიდი გველი ხარ!
(ც ი ც ი შ ვ ი ლ მ ა ვერ გაუძლო თ ა რ ჯ ი მ ა ნ ი ს ულმობელ თვალებს, ისიც ფეხებში ჩაუვარდა მ ე ფ ე ე რ ე კ ლ ე ს).

ე რ ე კ ლ ე — (თარჯიმანი იცნო) მე კი მეგონა.... ჩემო სულხან...
შენ ცოცხალი ხარ?
(გადაეხვია. მეომრებსა და ტყვეებს გადაჰხედა).
სამი იუდა საქართველოს ჰყიდდა ოქროზე,
რომ კვლავ დაედგათ მისთვის ქედზე სპარსთა უღელი...
(პ ა ა ტ ა ს წელზე თავისი ნაჩუქარი ხმალი ააგლიჯა).
რარიგ მოვტყუვდი, ეს ხმალი რომ წელს შემოგარტყი!
კაცი მეგონე, — არაკაცი ჰყოფილხარ თურმე...
მე თუ გამყიდე, საქართველომ რა დაგიშავა?
(ხმალი მუხლის თავზე გადაიტეხა).
ასე გატყდება საქართველოს ყველა ორგული,
ვისაც სურს ჩემს ხალხს მოუშალოს გზა მომავლისა!
(ხმლის ნამსხვრევები ძირს გადაჰყარა).

ფ ა რ დ ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალე ბობოხიძე

სიმღერა საბჭოთა არმიაზე

☆

ლენინის შექმნილო,
    სტალინის შექმნილო,
დიადი ოქტომბრის
    მზის სხივით გამთბარო;
სამშობლოს ერთგულო,
    მამაცო, დევგმირო,
საბჭოთა კავშირის
    დამცველო ლაშქარო!
იმედად შობილო,
    არმიავ ცნობილო,
ბრძოლებით ნაზარდო,
    ქარცეცხლში ნატარო;
სტალინის წრთობილო,
    ჩაგრულთა ძმობილო,
ძმობის და მშვიდობის
    მძლე ბაირახტარო!
ვერავინ გედაროს,
    ვერც ვერვინ გედაოს,
სამშობლოს საზღვრები
    მტკიცედ გაქვს დაცული;
დიდ მიზნებს ისახავ,
    მტრებისთვის რისხვა ხარ,
გაქვს დიდი აწმყო და
    გმირული წარსული!
ვაშენებთ კომუნიზმს,
    ცხოვრება მონური
მოსპე და ქვეყნები
    ძმურ ხელებს გიწოდებს;
შენ ჩაგვრის მტერი ხარ,
    გმირი და ბრძენი ხარ,
და ხალხი მშობელი
    სტალინურს გიწოდებს!
სამშობლოს სახელად,
მშრომელთა სალხენად
დიდ ძალად იქეცი,
    ძალღონით იზარდე;
მშვიდობის დამცველად,
    ხალხების დამხსნელად
სულ მედგრად იარე
    დასახულ მიზნამდე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

ცრემლები და სიცილი

★

რა ლამაზია პირველი თოვლი

ვხედავ, რძისფერად გათენებულა,
ბუხრიდან გარბის ცისფერი ბოლი.
მთელი ქვეყანა გათეთრებულა,
— წუხელ ჩუმად მოსულა თოვლი,
პირველი თოვლი, სპეტაკი თოვლი.

საბძლის წინ აგებს მალხაზი მახეს,
ტოტებზე დახტის ბეღურა თრთოლვით.
თოვლის ქუდები ახურავთ სახლებს,
დახუნძლულია ხეები თოვლით,
პირველი თოვლით, უმტვერო თოვლით.

ბაღში ბავშვები დარბიან გუნდად,
ვინც სახლში დარჩა — მათი
სირცხვილი!
იქეთ და აქეთ დაფრინავს გუნდა
იქეთ და აქეთ ისმის სიცილი,
ბავშვთა სიცილი, ტკბილი სიცილი.

დარბიან ცინცხალ თოვლში
ხვანხვალით,
არ ეშინიათ ცელქებს სიცივის,
ვუმზერ, მახარებს თოვლი ახალი
და პირველ თოვლში მათი სიცილი,
გაზაფხულივით ლაღი სიცილი.
გულს სიხარულის მდინარე მივსებს
და ვთბები თოვლის პირველი ფიფქით,
მაგრამ ეს რაა?
უეცრად ისევ
ომის დღეებმა წამართვეს ფიქრი.
მე კვლავ ვიგონებ ნაღმების ფეთქვას
და მაპატიებთ, უთუოდ მეერა,
რა ვქნა, ფიქრები დენთიან დღეთა
ჩემს გულში არა კვდებიან ჯერაც.
... ჰქუხდნენ დღეები ორმოცდასამის,
დნეპრზე ცურავდა ქვემეხთა ბოლი.
წვიმდა და მერე უეცრად ღამით
სანგრებში ჩაწვა ფაფუკი თოვლი.
როცა რძისფერად ინათა დილით,
ბრძოლით ავიღეთ სოფელი დიდი;
იქ დაგვხვდა მხოლოდ ნაცარი თბილი,
ფაშისტებს ღამით დაეწვათ იგი.
ეძინათ ბუხრებს შიშვლად დარჩენილს,
არ ჭაჭანებდა სულდგმული სადმე.
— ეხ, ამ სოფელსაც გადავარჩენდით,
აქ ერთი დღით რომ მოგვესწრო ადრე.
უცნობ სოფელში სწუხან ბიჭები,
სხვადასხვა მხრიდან მოსულნი
ბრძოლით,
თოფშემართულნი მიაბიჯებენ,
თექის ჩექმებზე ადნებათ თოვლი.
მეც მივაბიჯებ და უცებ ვხედავ,
თოვლში წევს ქალი დასვრილი
სისხლით.
ეს — წყეულ ფაშისტს მოუკლავს
დედა,
დედის გვერდით წევს მალხაზი მისი,
მალხაზსაც შუბლზე აცხია სისხლი.

იქვე მოკლული ფაშისტი გდია,
სავსე აქვს თოვლით თვალები ღია.

ბავშვს დავაცქერდით, უხმოდ
დამდგარნი,
თითქოს-და შველას შეგვთხოვდა
მწოლი...
ტიროდა სპეტაკ სისხლზე დამდნარი
პირველი თოვლი, სპეტაკი თოვლი...
ახლა კი ბაღში ბავშვთა სიცილზე
ასე მგონია, თოვლიც იცინის.
თოვლს დაჰკარგვია თავის სიცივე
და ხის ტოტებზე დნება სირცხვილით.
დღეს უკრაინის სოფელშიც, ვიცი,

ასე დარბიან ბავშვები გუნდად,
პირველ თოვლს თავზე აყრიან სიცილს,
იქეთ და აქეთ დაფრინავს გუნდა.
ვხედავ, მშვიდობის ნათელი ბრწყინავს
და გულს მიხარებს სურვილი მისი:
მზე მოვა, თოვლი, მთვარე, თუ წვიმა
არასდროს დახვდეს მიწაზე სისხლი.
ვხედავ, საამოდ ბრწყინავს მზისთვალი,
თეთრი ღრუბელი იბნევა ცაში,
რა ლამაზია თოვლი ცინცხალი
და პირველ თოვლში სიცილი ბავშვის.
ოღონდაც მიწას არ ეცხოს სისხლი,
სხვა რამ ვერა რა დაგვაზიანებს.
ღრუბელიც, წვიმაც, თოვლიც და ნისლიც
მშვიდობის დროში ლამაზი არის.

—— . ——

ჩემი დის ცრემლი

★

იანვრის ქარი ბღაოდა დილით,
თოვდა და მიწა აღარსად ჩანდა.
მივდევდი უკვლო დათოვლილ ბილიკს,
მხარზე მეკიდა სამგზავრო ჩანთა.
მთებს იქით დენთი წვებოდა ნისლად,
ომი კვნესოდა ბომბის თხრილებთან...
ჩემი დაიკო, თოთხმეტი წლისა,
ჯარში მიმავალს მიმაცილებდა.
ეძნელებოდა ჩემი შელევა,
დამემშვიდობა ბოლოს დაღლილი.
უცებ ატირდა... მისმა ცრემლებმა
დამიდნო თოვლი, მხრებზე დაყრილი.
თოვლი დამიდნო, გამითბო გული,
— მხნედ იყავით!—მტირალემ მითხრა.
ეს სიყვარული, ცრემლებით თქმული
ფარაჯით მოსილს მათბობდა დიდხანს.
ამ სიყვარულით მიწას ვათბობდი,
მტერს ტყვიის ცეცხლში ვუწვავდი ზრახვას
და ომის გზაზე ხშირად ვნატრობდი
გახარებული დაიას ნახვას.
სახლში დავბრუნდი, იყო მაისი,
ვარდებით შემხვდა სოფელი მთელი,
მხოლოდ დაიამ, განა ხალისით,
ისევ ტირილით მომხვია ხელი.
მწვანე ხალათზე მისი თვალიდან
ჩამომეღვარა ცრემლები ცხელი.
დასამშვიდებლად რა უნდა მეთქვა,
ეს როდი ჰგავდა ძველებურ ტირილს.
მე არ მსმენია რაიმე ქვეყნად
ამ უტკივილო ტირილზე ტკბილი.
მე არ მინახავს რაიმე ქვეყნად
ამ უნაღველო ცრემლებზე ტკბილი.
ცრემლს ასე არსად მოულხენია,
სწორედ მზეობდა მისი ციმციმი.
არა, არასდროს არსად მსმენია
მე ამ ტირილზე ტკბილი სიცილი.
ღიმილს აფენდა მთებსა და ველებს
გამარჯვებული სამშობლოს დილა,
მზე იცინოდა, მღეროდა ღელე...
ჩემი დაიკო ტიროდა ტკბილად.
ამ ცრემლმა ისევ გამითბო გული
და გამამხნევა დაღლილი ბრძოლით.
ეს სიხარული, ცრემლებით თქმული,
იყო ათასი სიმღერის ტოლი.

—— . ——

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ატირდა ბავშვი

★

ნიავის ფრთებით შემოფრინდა საღამო ბაღში,
ზაფხულის სიოს აქ დაუხვდა მრავალი ბავშვი.
ზოგი ზის მშვიდად, ზოგიც დარბის სიცილით წყალთან.
ვზივარ და ვუმზერ, ძლიერ მიყვარს ყურება ბავშვთა.

აი, დედის წინ ციცქნა ბავშვი ბაჯბაჯით მიდის,
მოკლეკაბიანს თრევით მიაქვს თოჯინა დიდი.
უცებ წაიქცა და ხმამაღლა ატირდა ბავშვი.
იგი ტიროდა, ნიავი კი მღეროდა ბაღში.
მე ყოველგვარი ტირილი მძულს, როგორც ტკივილი,
მაგრამ, რა ვუყოთ, მიყვარს მხოლოდ ბავშვის ტირილი.
რად მიყვარს?
მოდი, გავიხსენოთ ომის სურათი,
დღეები, როცა სისხლში გასვრილ ხალათს ვწურავდით.
მდინარის პირზე მოკლულ ვაჟკაცს ეფარა ბოლი,
შინ მის ტანსაცმელს დასტიროდა დედა და ცოლი.
იყო ომი და ბევრი იყო ხვნეშა და ოხვრა,
უხმარად ეწყო საქორწინო კაბა და ჩოხა.
სააკვნე ხეებს ტანზე ეცვათ გლოვის სუდარა,
სააკვნე ხეებს კაცის ნაცვლად ჭრიდა ყუმბარა,
სახლშიც აკვნები ეწყო უხმარად.
ცა ყურს უგდებდა დედების და ცოლების ტირილს
და არ ესმოდა არსაიდან ტირილი ჩვილის.
ქვეყნად სიცოცხლის მოყვარულნი ვნატრობდით მაშინ,
რომ მოგვესმინა ტიკტიკი და ტირილი ბავშვის.
ჩვილის ტირილი, ეს — როდია რაში ტკივილი,
ჩვილის ტირილი, ეს — როდია გულის ტირილი.
ჩვილის ტირილი, ეს — სიცოცხლის სიცილი არის,
ჩვილის ტირილი, ეს — მომავლის სიმღერა არის.
სადაც კი ბავშვი არა ტირის, — იმედი ხვალის,
იქ მომავალი იცრემლება ორივე თვალით.
შვილის ყურება მშობელს ურჩენს ყველა იარას,
როგორც მომავალს, შვილებს ისე შეხარის დედა.
და მეც ბავშვებში, ჩემს საკუთარ წარსულს კი არა,
ქვეყნიერების მომავალს ვხედავ.
ომის დროს ვიცი, ამ ვარდებით ავსებულ ბაღში,
არც ვარდი იყო, არც დარბოდა პატარა ბავშვი.
ომს უნდა ქვეყნად, რომ სიცოცხლის მდინარე დაშრეს,
ომი ამცირებს და მშვიდობა ამრავლებს ბავშვებს.
ჩვილთა ტირილი მე მშვიდობის სიმღერად მესმის,
ჩვილის ტირილმა ამიმღერა ამიტომ ლექსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე მინდა ერთი სიხარული გადიქცეს ასად,
სხვენზე უხმარად აღარ იდვას აკვანი არსად.
და თუ ხანდახან ატირდება აკვანში ჩვილი,
დეე იტიროს,
მომავალში მოგვაფრქვევს ღიმილს.
ბავშვი ხომ მხოლოდ წუთით ტირის თვალთა ციმციმით,
ტირილის შემდეგ ის მთელი დღე ლაღად იცინის.
მე ყოველგვარი ტირილი მძულს, როგორც ტკივილი
და, ნუ დამძრახავთ, მიყვარს მხოლოდ ბავშვის ტირილი.

—— . ——

ლენინის სიცილი

★

ადრე შემოდის ჩემს ოთახში ნათელი დილის,
პირველი სხივით მზე ანათებს კედელზე ლენინს:
ირგვლივ ბავშვები ახვევიან ვლადიმერ ილიჩს
და გულიანად იცინის ბრძენი.
ლენინს სიცილი რომ უყვარდა, ქვეყანამ იცის,
და ეს სიცილი ბრა ჰგავდა უბრალო სიცილს.
ილიჩი ხშირად იცინოდა გრიგალურ რისხვით
და მტერს მარხავდა სამუდამოდ სიცილი მისი.
უფრო ხშირად კი იცინოდა ბელადი ტკბილად
და მოუხმობდა ამ სიცილით ოქტომბრის დილას...
დღეს ვუცქერ სურათს, სურათია უბრალო მუნჯი,
დიახ, მუნჯია ეს სიცილი ნახატი ფუნჯით,
მაგრამ ლენინის მარადიულ სახელთან ერთად
ქვეყნიდან ქვეყნად დღეს ილიჩის სიცილიც ისმის:
იგი ატომურ ყუმბარებად ფეთქდება მტრებთან
და ომის მზრახველს თავს ატყდება გრიგალურ რისხვით.
მოყვრებთან იგი უკვდავების ჰიმნად გაისმის,
მიაქვს სიცოცხლე, სიყვარული, მზე და ხალისი.
ვხედავ, მდინარე მხიარული უცინის კაშხალს,
ვხედავ, ლენინის დროშა მიაქვს ბრძოლაში ლაშქარს,
სკოლის ეზოში კისკისებენ გუნდები ბავშვთა,
სოფლის წყაროზე ქალიშვილი იცინის ვაჟთან.
მთა და ბარს ავსებს ნათურების ვარდებით ჰესი
და ყველგან, ყველგან მე ლენინის სიცილი მესმის.
სადაც იცინის კაცის გული მომავლის რწმენით,
სადაც მშვიდობის წრფელი გულით ხარობენ დღენი,
მე ყველგან ვხედავ მომავლისკენ მამზირად ლენინს,
მტრებს ტანში ჟრჟოლა განა ისე უბრალოდ უვლის,
ქვეყნად იცინის კომუნიზმი ლ ე ნ ი ნ ი ს გულით.
უფრო დ ი დ დ ე ბ ა საბჭოეთის მზის ბრწყინვალება,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბურჟუაზიას ბნელა მოსდის, ბოღმით გალეშილს.
სოციალიზმი კომუნიზმში მიემგზავრება,
კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი — მ ო უ ს ა ვ ლ ე თ შ ი...
ცოცხლობს ლენინი, მისი გული, სიცილი მისი,
და ეს სიცილიც კომუნიზმის სიმღერად ისმის.

—— . ——

ჩემი ლექსი, ჩემი გული

★

მძულს მტირალა პოეტები და ლექსები დარდიანი.
ეს ზეცა და ეს ქვეყანა ჩემი გულის ვარდი არი.
ლექსში უნდა იცინოდეს სიცოცხლე და სიყვარული,
არ მოსწყინდეს ლექსს ღიმილი და გულებში სიარული.
ლექსმა უნდა ხალხს მშვიდობა და სიცოცხლე შეაყვაროს.
ლექსმა უნდა მტრედის ფრთებით გადუფრინოს მთელ სამყაროს.
პოეტისთვის საკმაოა კარგი ლექსი ასიოდე,
მხოლოდ ლექსებს კეთილ გულის ცეცხლი უნდა ასდიოდეს.
და ქვეყანა რომ იცინის, ლექსიც უნდა იცინოდეს,
ლექსსაც უნდა უხაროდეს, ვით გულებს და ვით სიცოცხლეს,
იცინოდეს მადიანად, გემრიელად იცინოდეს.
ვინ არ იცის, ხალხს არასდროს ტირილი არ ჰყვარებია,
ჩვენში ახლა განა ცრემლის, სიხარულის ღვარებია.
ცაზე მზეა, ძირს — ვარდები და მშვიდობის დარებია,
ასე ძლიერ კაცს სიცოცხლე არასოდეს ჰყვარებია,
ასე ძლიერ კაცს ლექსები არასოდეს ჰყვარებია.
ჩემი გული, ჩემი თვალი მომავლისკენ იხედება
და გულიდან ლექსებს ვაფრენ სიმღერებად, იმედებად.
დღეს ხარაჩოს შევღიღინებ, გუშინ ბალში ვღიღინებდი.
ლექსებში და ცხოვრებაში ერთნაირად ვიღიმები.
ერთნაირად იცინიან ჩემი ლექსი, ჩემი გული,
საბჭოეთის კეთილ გულთან სიყვარულით გადაბმული.

—— . ——

პირჟუში მხატვარი

★

მე მყავდა ერთი ნაცნობი, კაცი განთქმული მხატვრობით,
სულ მუდამ იყო პირჟუში, მის გაღიმებას ვნატრობდით.
მიმოდიოდა კუსავით ყოველთვის თავჩაქინდრული,
თითქოს ამ ქვეყნად არ მყოფი და თვალებჩამობინდული.
რატომღაც კაცს და ქვეყანას უმზერდა გულდაწყვეტილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო საკუთარ გულში და ფიქრებში გამოკეტილი.
შრომობდა შეუსვენებლად დაბინდებამდე დილიდან,
უყვარდა ქალის დახატვა მკერდზე მიკრული შვილითა.
უყვარდა ხატვა ბავშვების, შემდეგ ყურება ნახატის,
ხატავდა, მაგრამ კმაყოფილს მხატვარს ვერასდროს ნახავდით.
ხშირად შეკრებდა პატარებს, დაურიგებდა საჩუქრებს,
ზოგს ჭრელკაბიან თოჯინებს, ზოგსაც უბელო აჩუებს.
მაგრამ პირგაღიმებული არვის უნახავს არასდროს,
ამიტომ ზოგი ამბობდა: ამ მხატვარს გული არ აქვსო.
ცოლი ჰყავდა და სახლ-კარში ცხოვრობდა კაცი ხალასად,
მას გულიც ჰქონდა კაცური, მაგრამ გულს აკლდა რაღაცა.
გავიდა წელი... ვნახე და...
ველარ ვიცანი, შეცვლილა,
გახარებული მხატვარი კრეფდა ვარსკვლავებს ზეციდან.
კაცი რა არის, ხეებსაც ესალმებოდა ხალისით,
ცა და უსაზღვრო ქვეყანა ეგონა მხოლოდ თავისი.
ვნახე ახალი კაცი და ვნახე ახალი ნახატი
და სურათიდან მომესმა მხატვრის გულისთქმის ღაღადი.
ვნახე კედელზე მაისის ვარდები ცოცხლად ვარდობდნენ,
ბალნარში მკვირცხლი ბავშვები ნამდვილად დანავარდობდნენ.
ვუმზერდი, დიდხანს ვუმზერდი, უკეთესს რაღას ვნახავდი,
დიდი სიცოცხლის სიმღერას მღეროდა ფუნჯით ნახატი.
ვიკითხე, ასე ძალიან რამ გაახარა მხატვარი,
მჩვრად იყო კაცი ქცეული, ვინ მისცა ცეცხლი ამგვარი?
— ოც წელს უშვილოდ იარა, კერა ცრემლებით აავსო,
ახლა აკვანი დასჭირდა ნანატრი ვაჟის მამასო...
დღეს ისევ ვნახე მხატვარი გულავსებული ლხინითა,
ახალ სურათსა ხატავდა დაბინდებამდე დილიდან,
ცოლი დახატა ბებიად შვილით და შვილიშვილითა.

დავდივარ მარტო

★

ბაღებში თბილა, გულებშიც თბილა
და სიყვარულის ვარდები ვარდობს.
ვისაც შევხედე, სეირნობს წყვილად
და მხოლოდ ერთი დავდივარ მარტო.
ჩემ წინ მაისის ვარდი ფეთქდება
და ვხედავ ბაღებს ათასვარდიანს.
ახალგაზრდებზე რაღა მეთქმება,
მოხუცებიც კი წყვილად დადიან.

მე მარტო ვუსმენ ფოთლების შრიალს
და მართობს მტკვარში ტივტივი
მთვარის.
ვისთანაც წყვილად დავდივარ ხშირად
ის დღეს მშვიდობის კონგრესზე არის.
იგი მშვიდობის დროშას დარაჯობს,
წყვილთა ბედნიერ სიყვარულს იცავს,
რომ აღარ იყოს ომი არასდროს
და მოემატოს ვარდები მიწას.

რომ დენთი ცის ქვეშ არსად იწვოდეს,
ომმა ვერასდროს გაყოს წყვილები
და ქვეყნად მუდამ მზე და სიცოცხლე
ალიმებოდნენ კმაყოფილებით.

მაისია და გულებში თბილა
და სიყვარულის ვარდები ვარდობს.
ვისაც შევხედე, სეირნობს წყვილად
და მხოლოდ ერთი დავდივარ მარტო.

მშვიდობა და სიყვარული

★

ჭაბუკს უნდოდა მსოფლიოს ნახვა,
სამოგზაუროდ გაიჭრა მერნით,
მიადგა მრავალ ქვეყანას ახალს
და ნახა ძველი ქვეყანა ბევრი.
აი იხილა მრუმე ქვეყანა
და დანგრეული სოფელ-ქალაქი.
გზაზე მშიერი ხალხი ეყარა
და სისხლიანი იდგა ჯალათი.
— ვინ დაანგრია ქვეყანა ასე? —
ხმა ჭაბუკისა გაისმა მკაცრი
და გულაგზნებულ მოგზაურს წამსვე
ომი და მტრობა დაუდგნენ თვალწინ.

შემდეგ მიადგა ქვეყანას გაშლილს,
ნახა ლამაზი ქალაქ-სოფელი.
ხალხი მღეროდა მთაში და ბარში,
მზე იცინოდა ჩაუქრობელი.
— ვინ გაამშვენა ქვეყანა ასე? —
ჰკითხა ჭაბუკმა ხალხს სიხარულით.
და მოგზაურის წინაშე წამსვე
წარდგნენ მშვიდობა და სიყვარული.
ჭაბუკის გული თაფლით აივსო
და გულკეთილმა შაქრიან ენით
დალოცა ქვეყნად სამარადისოდ
სიყვარულის და მშვიდობის დღენი.

გაზაფხულის და სიცოცხლის სიცილი

★

სასიხარულოდ იცრემლება ვენახში ვაზი,
ხოლო ვაზებთან იცინიან ქალი და ვაჟი.
პაპაც იცინის გულდამტკბარი იმათი ხილვით,
ეტყობა რაღაც აგონდება მწარე და ტკბილი.
მხიარულ ხარხარს არ ათავებს ტრაქტორი მინდვრად,
გიშრისფერ ნახნავს გამუდმებით უყურო გინდა.
წარბგახსნილია ტრაქტორისტი, ტანკისტი ძველი,
ველზე სიცოცხლე სტრიქონებს წერს ნატყვიარ ხელით.
შორს მოჩანს ქორი ისე, როგორც წერტილი მწუხრის,
ოქრო წიწილებს დაჰქოთქოთებს ეზოში კრუხი.
შენიშნა კრუხმა ავი ქორის თვალთვალი შორი
და ფხიზელ დედას ვერ მოსტაცებს წიწილას ქორი.
ბატებს მირეკავს წითელკაბა გოგონა მარდად,
გოგონა გარბის, თითქოს ფეხი აიდგა ვარდმა.
აი, ბიჭიკომ ბოჩოლასკენ გადადგა ბიჯი,
ხბომ ურჭომ რქენით წააქცია თამამი ბიჭი.
შაგრამ ხბო ყეფით გააქცია რაინდის ცუგამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბიჭიც წამსვე გაეკიდა გაქცეულს უკან.
გრილი ნიავი ცაში ფანტავს ყვავილთა ფურცლებს
და დედამიწას თბილი გული საამოდ უცემს.
ფრინველთა გუნდი დასჭიკჭიკებს ტყეებს და ყანებს,
ბებიას თვალწინ იქოჩრება ბოსტანი მწვანედ.
აი, გამოაქვს დედას ჩვილის აკვანი ბაღში,
დედა იცინის და ხითხითებს აკვანში ბავშვი.
ეტყობა ყმაწვილს, გაიზრდება ლომგული კაცი;
მამა ულიმის, მომავალიც ულიმის ყმაწვილს.
შვილიშვილს უმზერს, იღიმება ტკბილად ბებია
და მზის ღიმილზე ბაღში ხენი იღიმებიან.
მდინარე მთისა მოხარხარებს ვაჟკაცურ ლხენით
და მის ხარხარზე ხარხარებენ ჭიუხის კლდენი.
სკოლის ეზოდან მალხაზების სიცილი ისმის.
ღელე უცინის მორაკრაკე ელექტრო წისქვილს.
ჩუხჩუხებს წყარო, გოგონების კისკისის მსმენი.
ქალაქის ქუჩებს ნაადრევი ვარდები შვენის
იცინის გული,
იცინიან დღენი და თვენი.
ასე იცინის თვალუწვდენი სამშობლო ჩვენი.
გაზაფხულია. თვალს ახარებს სიუხვე ფერთა,
ქვეყნად იცინის სიცოცხლე და მშვიდობა ერთად.
ხე ხეს შეჰხარის და მერცხალი შეჰხარის მერცხალს,
ერთიმეორეს ულიმიან მიწა და ზეცა.
აი სიცილი კაცის, წყლისა, მზისა და მიწის,
მაგრამ ამ მიწამ განა მარტო სიცილი იცის;
მე მახსოვს, როცა შემოგვიხტა ფაშიზმის მგელი
და ჩემს სამშობლოს დაემუქრა სისხლიან ხელით
მტრის წინააღმდეგ რისხვად ადგა ქვეყანა მთელი.
ასეთი არის ცხელი გული კეთილი მიწის.
ჩვენმა ქვეყანამ ერთიანი სიცილი იცის
და განრისხებაც ასეთივე ძლიერი იცის,
მტერი ვერ უძლებს საბჭოეთის რისხვას და სიცილს,
ასეთი არის წმინდა გული კეთილი მიწის.
სიცოცხლის შვილებს გვიღიმიან მომავლის დღენი
და გვწამს არასდროს არ ჩაქრება სიცილი ჩვენი.
ასეთი ძალა სიმართლემ და სიკეთემ შექმნა;
ეს — მშობელ მიწის სიყვარული იცინის ქვეყნად.
ეს — სიცოცხლე და გაზაფხული იცინის ქვეყნად,
ჰეი, მსოფლიოვ, გზა მიეცი მშვიდობის სიცილს!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ჩიკვაიძე

კუნძულ ბელუხასთან

მოთხრობა

★

— მერწმუნეთ, ივან დიმიტრის-ძევ, ოდიშელი კარგი კაპიტანი დადგება. არ ინანებთ. ჩინებული მეზღვაურია. არ დაგვაღალატებს, — დაჟინებით გაიმეორა საზღვაო ოპერაციების უფროსმა მინაევმა.

— არ შევცდეთ, ხომ იცი, როგორი დროა. აი, დადგება 42 წელი, გაზაფხულზე ნაოსნობა გაცხოველდება. მტერი ძალ-ღონეს არ დაიშურებს, გამოიჭრას ჩვენს კომუნიკაციებზე. სწორედ აქ უნდა დაიჭიროს თვითეულმა კაპიტანმა მკაცრი საბრძოლო გამოცდა, — თქვა ივანე დიმიტრის-ძე რეშიმოვმა და თანამოსაუბრეს ეჭვიანი გამოხედვით შეავლო თვალი.

— ოდიშელი პირველი წელიწადი არ არის, რაც ჩვენთან მუშაობს, ივან დიმიტრის-ძევ! მან უკვე დიდი ხანია გამოიჩინა თავი, როგორც საუკეთესო შტურმანმა და დისციპლინის კაცმა, — უპასუხა მინაევმა.

რეშიმოვი სავარძლიდან წამოიჭრა და სწრაფად გაიარ-გამოიარა კაბინეტში. მინაევი ოდნავ მოჭუტული თვალებით უცქეროდა მის წინ მოსიარულე რეშიმოვს, რომლის ჩამოსხმული ტანის მოძრაობაში ენერგიის მოზვავება იგრძნობოდა. უცებ ივანე დიმიტრის-ძე სწრაფად შემოტრიალდა, ახლოს მივიდა მინაევთან, მხარზე მეზღვაურის მაგარი ხელი მოუთათუნა, გაუღიმა და უთხრა:

— ფიცხია! ერთიც ვნახოთ და აიშვას? ახლა კი ომია. მარტოოდენ განუსჯელი სიმამაცე საკმარისი არაა. აქ, ძმაო, კიდევ ზუსტი ანგარიშიანობა, მოთმინება, შეუპოვრობაა საჭირო. იქნებ სჯობდეს, ოდიშელს საშუალება მივცეთ კიდევ ერთი ნავიგაცია უფროს თანაშემწედ იცუროს, რას იტყვი, ა? კიდევ მრავალ ქარტეხილს გამოივლის, მიიხედ-მოიხედავს, გაბედულება შეემატება...

— ივან დიმიტრის-ძევ, ოდიშელი ქართული ტემპერამენტის კაცია, ეს მართალია, მაგრამ მე მას დიდი ხანია თვალ-ყურს ვადევნებ: სიდინჯე, მოთმინება და შეუპოვრობა მას იმდენი აქვს, რომ ჩრდილოეთ-ზღვისპირეთის ორ მკვიდრს ეყოფა. არა, ოდიშელი არ შეარცხვენს ჩვენი ჩრდილოელი კაპიტნების სახელს! — დამაჯერებლად თქვა მინაევმა და რეშიმოვს თავისი გაბრწყინებული თვალები მიაპყრო.

ივანე დიმიტრის-ძე გამოქანდა და თავის სავარძელში დაეშვა.

— მაშ კარგი, მინაევ, ეგრე იყოს, როგორც შენ გსურს!—თქვა მან,—ისიც მართალია, რომ ოდიშელი არაერთხელ გვყავს შემოწმებული. არქტიკული გამოცდილება მას აქვს, ნებისყოფაც არ აკლია. ვფიქრობ, საბრძოლო ვითარებაში არ დაიბნევა. რაღას ვაჭიანურებთ? მაგრამ, ვინიცობაა, მან ჩვენი იმედები ვერ გაამართლა, მაშინ ცოდვა ორივემ უნდა გავინაწილოთ!

— არა, ივან დიმიტრის-ძევ, — გადაიხარხარა მინაევმა, — თქვენ იმიტომ ხართ ჩვენი უფროსი, რომ შეგეძლოთ ყველა ცოდვის თავის თავზე მიღება!

— კეთილი, რა გაეწყობა! ჯერ კიდევ ათას ცხრაას ჩვიდმეტიდან ცოტა არ მაწევს კისერზე ასეთი „ცოდვები“, მაგრამ როგორმე ამიტანს დედამიწა, —

ბავშვური მხიარულებით გადაიხარხარა რეშიმოვმა. ერთი წუთის შემდეგ მის სახეზე მხიარული გამოცოცხლება სწრაფად გაქრა და აჩქარებულად დააჭირა თითი ელექტროზარის ღილაკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაღებულ კარებში გამოჩნდა ფლოტის ახალგაზრდა ლეიტენანტი.

— ამხანაგი ოდიშელი აქ არის? — ჰკითხა რეშიმოვმა.

— ნახევარი საათია, უცდის გამოძახებას, ამხანაგო კონტრ-ადმირალო, — უპასუხა ლეიტენანტმა.

— სთხოვეთ!

ჯერ კიდევ კარები არ დახურულიყო ლეიტენანტის გასვლის შემდეგ, რომ კაბინეტში შემოვიდა მაღალი, ბრგე, თაფლისფერთვალებიანი, შავგრემანი კაცი. მიუახლოვდა რეშიმოვს ოთხი-ხუთი ნაბიჯით, გამოიჭიმა მის წინ და მკაფიოდ უპატაკა:

— ყინულმჭრელ გემ „სიბირიაკის“ კაპიტნის უფროსი თანაშემწე, ანატოლი ოდიშელი ცხადდება, თქვენი გამოძახების თანახმად, ამხანაგო კონტრ-ადმირალო!

— დაბრძანდით, — თავაზიანად უთხრა რეშიმოვმა და მოწონების თვალით მინაევისაკენ გაიხედა: „მართლაც რომ ყოჩაღია, და მერე როგორი, არ შეგვარცხვენს!“ — მინაევმა კმაყოფილების ღიმილით ოდნავ თავი დააქნია, თითქოს რეშიმოვის დასკვნას ადასტურებსო.

— მაშ ასე, ამხანაგო ოდიშელო, — მიმართა კონტრ ადმირალმა მის წინ მჯდომ მეზღვაურს, — მე გადავწყვიტე, ჩაგაბაროთ თქვენ „სიბირიაკი“. რასაკვირველია, მოგეხსენებათ, თუ როგორი ხომალდია იგი. „სიბირიაკმა“ ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა არქტიკის ათვისებისათვის საბჭოთა ადამიანების ბრძოლის ისტორიაში.

ოდიშელი სულგანაბული უსმენდა რეშიმოვს. მის გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, — ხუმრობა არ არის, მიიღო ისეთი სახელმოხვეჭილი ხომალდის მეთაურობა, როგორიც „სიბირიაკია“, და ისიც არქტიკაში, სადაც ხომალდებს ანდობენ მხოლოდ ყველაზე მამაც და გამოცდილ კაპიტნებს. ისიც რეშიმოვისაგან, რომელიც არქტიკის ფლოტის თვითეულ სულ მცირე ნავჭურჭელსაც კი თვალის ჩინივით უფრთხილდება! დროც მერე როგორია: სამშობლო მთელი ძალღონის დაძაბვით ებრძვის მოსისხლე მტერს, რომელმაც მთელი დასავლეთი ევროპა შემუსრა! მხოლოდ ცივი ჩრდილოეთის ზღვის ნაპირებზეა შემონახული ერთადერთი გადასასვლელი, რომელიც ასე ეჭირვება ჩვენს ქვეყანას ამ მრისხანე ჟამს! რა დიდი პასუხისმგებლობაა და რა სახელი, სამეთაუროდ მიიღო ხომალდი ასეთ დროს და ისიც ასეთ ზღვაში! შეიძლება შენ გეშინია, ანატოლი, შეიძლება ოდნავ მაინც დაფრთხი?! — ელვასავით გაურბინა ოდიშელს თავში, მაგრამ მის სახეს ღრმა შინაგანი მღელვარების კვალიც კი არ ეტყობოდა.

რეშიმოვმა ოდიშელს თავისი გამჭრიახი თვალები კვლავ მიაპყრო და განაგრძო:

— ოთხ საუკუნეს ისწრაფოდა მამაც რუს პოლარულ ზღვაოსანთა თაობები, ერთი ნავიგაციის განმავლობაში ემოგზაურათ აღმოსავლეთისაკენ, თეთრი ზღვიდან იაპონიის ზღვამდე, ჩრდილოეთის გზით. არაერთხელ უცდიათ ეს უცხოელებსაც. მართალია, გადიოდნენ ამ გზას, მაგრამ რეისი ორი-სამი წელიწადი გრძელდებოდა. ჩუკოტკისა და კარსკის ზღვებზე იზამთრებდნენ... და აი, 1932 წელს ‘ხომალდმა, რომელიც ახლა თქვენ გბარდებათ, ისტორიული ‘ამოცანა შეასრულა’ — ეს გზა ერთი ნავიგაციის განმავლობაში განვლო! საბ-

ჭოთა ადამიანები იყვნენ პირველნი, რომელთაც მთელ მსოფლიოს დაუმტკიცეს, რომ შესაძლებელია ნორმალური ცურვა ჩრდილოეთის ზღვის გზით მთელ ტრასაზე... მართალს არ ვამბობ, მინაევ? — მიმართა რეშიმოვმა საზღვაო ოპერაციების უფროსს.

— ნამდვილად, ივან დიმიტრის-ძევ! — დაუდასტურა მინაევმა.

— მაშ ასე, ამხანაგო ოდიშელო, — მიმართა რეშიმოვმა ახალგაზრდა კაპიტანს, — თითქოს ყველაფერი გამორკვეულია! გაძლევთ თუმცა პატარა. მაგრამ ჩვენი არქტიკული ფლოტის ერთ-ერთ სახელოვან ხომალდს. აბა, შენ იცი, არ შეგვარცხვინო! — მამობრივად დაუმატა რეშიმოვმა, — თორემ, აგერ. მინაევი თუმცა ძლიერ გაქებს, მაგრამ მაინც იმუქრება, რომ ამ დანიშვნისათვის მთელი პასუხისმგებლობა მე უნდა ავიკიდო ზურგზე.

ოდიშელი წამოდგა და თქვა:

— დიდი პატივი დამდეთ, ივან დიმიტრის-ძევ... ვიძლევი საბჭოთა არქტიკული ფლოტის მეზღვაურის მტკიცე სიტყვას, არ შეგარცხვენთ! თუ საჭიროება მოითხოვს, სიცოცხლეს არ დავშურავ!

— სწორია, სწორი, ძმაო! მაგრამ ცოტაა, არ დაიშურო სიცოცხლე, საჭიროა, აზრიანად გასწირო თავი. ახლა შეგიძლია წახვიდე შენს ხომალდზე. დილიდანვე შეუდექი მის მიღებას. ერთი-ორი დღის შემდეგ რეისში გაემგზავრები.

— არის, ამხანაგო კონტრ-ადმირალო! — მკაფიოდ უპასუხა ოდიშელმა. გამოეთხოვა რეშიმოვს და მინაევს და კაბინეტიდან აუჩქარებლად გავიდა.

*
* *

ანატოლი ოდიშელმა, სანამ ის არქტიკული ხომალდის კაპიტანი გახდებოდა, ხიფათითა და შფოთით აღსავსე პოლარული ცურვის სკოლა განვლო. პირველად ის „სიბირიაკზე“ მივიდა, როგორც კაპიტნის უფროსი თანაშემწე, მანამდე კი შვიდი წელი ცურავდა არქტიკაში და გამოცდილი პოლარული ზღვაოსნებისაგან ყინულებში გემმძღოლის ხელოვნებას სწავლობდა.

როცა მივიდა „სიბირიაკზე“ კაპიტნის უფროს თანაშემწედ, ოდიშელმა შეძლო გაება თავის ხელქვეითებთან ურთიერთობისა და ნდობის უჩინარი ქსელი, რომელიც იქმნება ხოლმე არა ერთბაშად და არა ზემოდან ძალდატანებით. „სიბირიაკის“ ძველი კაპიტანი ანისიმოვი სრული ნდობით ეკიდებოდა თავის უფროს თანაშემწეს და სიამოვნებით ადევნებდა თვალ-ყურს, თუ როგორ იზრდებოდა ოდიშელის სახით საბჭოთა პოლარული კაპიტნების სახელოვანი ოჯახის კიდევ ერთი წევრი.

ნოემბრის ამ სუსხიან დღეს თავის ხომალდზე მიმავალ ოდიშელს ღრმა კმაყოფილების გრძნობას ჰგვრიდა ის აზრი, რომ ხომალდის დამოუკიდებელ მართვას იწყებს სწორედ იმ გემზე, სადაც ის მჭიდროდ შეესისხლხორცა მთელ ეკიპაჟს.

მეორე დღეს მან საჩქაროდ დაამთავრა „სიბირიაკის“ მიღება, ამასთან ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ხომალდის დატვირთვა და ჩრდილოეთის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მორიგი რეისისათვის სამზადისი.

ოთხი დღის შემდეგ ოდიშელი „სიბირიაკით“ გავიდა ზღვაში თავისი პირველი დამოუკიდებელი რეისით. მიუხედავად მძიმე ყინულოვანი პირობებისა,

ეს რეისი წარმატებით ჩატარდა. შემდეგ ერთმანეთს მიჰყვა პოლარული კაპიტნებისათვის ჩვეულებრივი რეისები ჩრდილოეთის ზღვის სხვადასხვა ნაწილში. კაპიტანი ოდიშელი თავის ეკიპაჟთან ერთად სასახელოდ ასრულებდა სარდლობის ყველა დავალებას და, ამავე დროს, ერთი წუთითაც არ ივიწყებდა, რომ ზღვაში ცურვის ჩვეულებრივ სიძნელეთა და საშიშროებათა გარდა არსებობდა კიდევ ყველაზე მრისხანე საშიშროება — დაძაბული ბრძოლა მოსისხლე და დაუნდობელ მტერთან, რომელმაც დარაზმა დასავლეთი ევროპის შავბნელი ძალები და აამოძრავა მთელი სამხედრო-სამრეწველო ძლიერება, რათა გაეტეხა საბჭოეთის დიადი ქვეყანა.

ბალტიის ზღვისა და შავი ზღვის თითქმის ყველა ნავსადგური მტრის მიერ იყო დაპყრობილი, ან ალყა შემორტყმული. ვლადივოსტოკი ათასობით კილომეტრით იყო დაშორებული ფრონტიდან. მხოლოდ ზოგიერთი ნავსადგური დარჩენილიყო ერთადერთ გამოსასვლელად. რომლის საშუალებითაც საბჭოთა კავშირს შეეძლო გარეშე ქვეყნებთან მიმოსვლა.

ფაშისტებს კარგად ესმოდათ ამ ნავსადგურის მნიშვნელობა და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, დაეხშოთ ისინი. მათი წყალქვეშა ნავები ახერხებდნენ თეთრ ზღვაში შესვლას, დარაჯობდნენ საბჭოთა ხომალდებს ბარენცის ზღვაში. მტრის საჰაერო ესკადრილიები არაერთხელ ცდილან, დაებომბათ და ცეცხლისათვის მიეცათ ქალაქები, მაგრამ ფაშისტებმა ერთი დღითაც კი ვერ შეძლეს მუშაობის ჩაშლა ამ ნავსადგურში.

1942 წლის ზაფხულში, როდესაც ფაშისტური ურდოების შემოტევამ უდიდეს გაქანებას მიაღწია, არხანგელსკი დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი ცხოვრება მთლიანად ფრონტის ინტერესებისათვის იყო დამორჩილებული. წინათ ქალაქი ასეთი გამოცოცხლებული და ხალხმრავალი არასოდეს არ ყოფილა. ჩრდილოეთის ზღვისპირეთის ძველი სატახტო ქალაქის ქუჩებში, მეტადრე სევერნაია დვინის სანაპიროებზე, მოისმოდა მრავალი ეროვნების ადამიანთა განუწყვეტელი ხმაური და საუბარი სხვადასხვა ენაზე. ნავსადგურში სატვირთო ოპერაციები არნახულ გაქანებას აღწევდა.

მტრის თვითმფრინავების საჰაერო შემოტევა ერთიმეორეს მოსდევდა. აღმუვდებოდნენ საჰაერო განგაშის საყვირები, სვასტიკებიან თვითმფრინავებს გზას უღობავდა საზენიტო არტილერიის მკაცრი და ზუსტი ცეცხლი. ქალაქიდან განდევნილი მტრის თვითმფრინავები უწესრიგოდ გარბოდნენ ყოველი მხრით და ბევრი მათგანი მამაცი სტალინური შევარდნების მსხვერპლი ხდებოდა.

არხანგელსკი შეეჩვია ამ თავდასხმებს და თითქოს დასცინოდა კიდეც ფაშისტური სვავების ამ უნაყოფო ცდებს, დაერღვიათ ნავსადგურისა და რკინიგზის გაცხარებული საქმიანობა. ისევე როგორც მშვიდობიან დროს, რიტმულად მუშაობდა ყველა ნავსაბმელი. სატრანსპორტო გემები ზუსტად დანიშნულ დროზე გადიოდნენ ადგილიდან. მათ დვინის სრუტეში ეგებებოდნენ სამხედრო ესკორტის ხომალდები და, ღილის ნისლში შეფარებულნი, მიეშურებოდნენ შორეული ადგილებისაკენ.

საბჭოთა გემები განაგრძობდნენ ჩრდილოეთის ზღვის წყლების გადასერვას და კვლავ განუხრელად ასრულებდნენ სარდლობის განკარგულებას.

ივლისის შუა რიცხვებში „სიბირიაკი“ მორიგი რეისიდან არხანგელსკში დაბრუნდა და ტვირთის მისაღებად დადგა სევერნაია დვინას ერთ-ერთ ნავ-

საბმელთან. იმავე დღეს კაპიტანი ოდიშელი კონტრ-ადმირალ რეშიმოვთან გამოიძახეს.

როდესაც ოდიშელი რეშიმოვის კაბინეტში შევიდა, ის ტელეფონით რომელიღაც შორეულ ნავსადგურს ელაპარაკებოდა და საუბრის შეუწყვეტლად მიუთითა კაპიტანს საწერ მაგიდასთან მდგარ სკამზე.

— გამარჯობათ, ამხანაგო ოდიშელო, — მიმართა რეშიმოვმა კაპიტანს და ტელეფონის მილი თავის ადგილას დადო, — როგორ ჩატარდა უკანასკნელი რეისი?

— ყველაფერი რიგზეა, ამხანაგო კონტრ-ადმირალო. დავალება შესრულებულია ზუსტად და დაწესებულ ვადაში, — მიუგო ოდიშელმა.

— ჩინებულია, ძამიკო... სარდლობა შენი მუშაობით კმაყოფილია. მე შენ აი რა საქმისათვის გამოგიძახე. „სიბირიაკს“ სერიოზული დავალება ეძლევა. დაწვრილებით ინსტრუქციას მინაევისგან მიიღებთ. აი რაზე მივაქცევ თქვენს ყურადღებას: ჩრდილოეთ ზღვაში მდგომარეობა საშიშია. უნდა მოველოდეთ მტრის დივერსიას ტრონჰეიმიდან.

— პასუხს ვაგებ ჩემი ეკიპაჟისათვის, ამხანაგო კონტრ-ადმირალო, არავითარ სიტუაციაში არ გვიმტყუნებს!

— კაპიტანისათვის კი პასუხს აგებ? — მოჭუტა თვალები რეშიმოვმა.

— სიცოცხლით, ამხანაგო კონტრ ადმირალო! — უპასუხა ოდიშელმა.

— შენ გესმის, ძამიკო, — თქვა რეშიმოვმა კვლავ მეგობრული კილოთი, — დრო მეტად მძიმეა! მინდა თვითეულ კაპიტანს მგზავრობის წინ პირდაპირ ჩავხედო თვალებში. ჩავხედო, რომ დავინახო, მშვიდად უცემს გული, თუ არა.

— მშვიდად სცემს გული, ამხანაგო კონტრ-ადმირალო, შეძრწუნების ნასახიც კი არ არის! — უპასუხა ოდიშელმა და რეშიმოვის გამომცდელ თვალებს თვალი გაუსწორა.

— კარგი თვალებია! — მოწონებით დააქნია თავი რეშიმოვმა, — ასეთი თვალები აქვთ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც არასოდეს არ შედრკებიან! მაგრამ, ამხანაგო ოდიშელო, — განაგრძო რეშიმოვმა ოფიციალური კილოთი, — გაბედულებისა და სიმამაცის გარდა ჩვენთვის ზუსტი ანგარიშიანობა და სიფრთხილეა საჭირო... არა მხდალის სიფრთხილე, არამედ სიფრთხილე ვაჟკაცური, როდესაც ადამიანი იღუპება, მაგრამ იღუპება მტრისათვის მაქსიმალური ზიანის მიყენებით. ხოლო სამშობლოსათვის მაქსიმალური სიკეთის მოტანით!

— „სიბირიაკი“ არ შეარცხვენს არც ჩვენ დიად სამშობლოს და არც საბჭოთა სახელოვან ფლოტს, — წყნარად და დაჯერებით წარმოთქვა ოდიშელმა.

— ამ დღეებში ინახულებთ მინაევს და მიიღებთ დაწვრილებითს ინსტრუქციას მომავალი რეისის შესახებ. გზა მშვიდობისა, ამხანაგო ოდიშელო! — რეშიმოვი ადგა, მივიდა კაპიტანთან და ხელი ჩამოართვა.

— კარგად გნახეთ, ამხანაგო კონტრ-ადმირალო! — უთხრა ოდიშელმა რეშიმოვს და კაბინეტიდან გავიდა.

ივლისის ღამე იდგა, როცა „სიბირიაკი“ ნავსადგურიდან გავიდა. ოც

აგვისტოს „სიბირიაკი“ კუნძულს მიადგა, რომ ტვირთი მიეღო და მომზადებული ყოფილ ძირითადი ამოცანის შესასრულებლად.

დიკსონში ოდიშელმა შეიტყო, რომ ოთხი დღით ადრე მისი მოსვლამდე იქიდან აღმოსავლეთისაკენ გავიდა დატვირთული საბჭოთა ტრანსპორტების დიდი ქარავანი, ხოლო ამას მოჰყვა კონტრ-ადმირალ რეშიმოვის ცნობა, რომ ფაშისტურმა მძიმე კრეისერმა „ადმირალმა შეერმა“ საიდუმლოდ დატოვა ჩრდილო ნორვეგიის ფიორდები, და მიმართულება აღმოსავლეთისაკენ აიღო.

23 აგვისტოს დილით საზღვაო ოპერაციების შტაბში ოდიშელმა უკანასკნელი ინსტრუქციები მიიღო. მინაევმა მას ხუთბეჭედდასმული პაკეტი ჩააბარა. ეს პაკეტი კაპიტან ოდიშელს მხოლოდ ზღვაში გასვლის შემდეგ უნდა გაეხსნა.

„სიბირიაკი“ ნავსადგურიდან 24 აგვისტოს ღამით გადიოდა. ეკიპაჟის გარდა გემზე იყვნენ მგზავრები.

ჩრდილოეთის გვიან ღამეს ნავსაბმელთან, საიდანაც „სიბირიაკი“ უნდა გასულიყო, თავი მოიყარა გამცილებელთა საკმაო რიცხვმა. კაპიტანის ხიდურიდან ქუდს აქნევს გემის კაპიტანი ანატოლი ოდიშელი. წინაერდოდან იღიმება გრძელულვაშებიანი სუდაკოვი, კაპიტნის უფროსი თანაშემწე, ძველი ზღვის მგელი. ჰიდროგრაფიულ ფლოტში მრავალი წლის სამსახურის მანძილზე მას დავლილი ჰქონდა დასავლეთ არქტიკის ურიცხვი სრუტე, ნავსადგური და კუნძულოვანი ნაპირები.

გემბანზე გამოირბინა თეთრ ხალათში გამოწყობილმა ხომალდის ექიმმა ვერიკომ. ურჩი ქერა თმები მეზღვაურის ქუდიდან უწესრიგოდ ჩამოსწოლოდა. ვერიკომ ამ რამდენიმე ხნის წინ დაამთავრა ინსტიტუტი და ექიმის დიპლომი მიიღო. და აი, ახალგაზრდა ექიმმა ქალმა პოლარულ გემზე სამსახურის მძიმე და მოუსვენარი გზა აირჩია. ასეთი მოულოდნელი და განსაცვიფრებელი რამ იმალება ამ გზაში, რომ ადამიანს პირდაპირ სუნთქვა შეეკვრის! ვერიკო ვიღაცას ხელს უქნევს. ხოლო ვის — არავინ იცის, შეიძლება ყველას, ვინც კი მძიმე და პასუხისმგებელ რეისში „სიბირიაკის“ გასაცილებლად არის მოსული. ვერიკოს შიშიც იპყრობს და უხარია კიდეც. აბა წარმოიდგინეთ, იგი მიემგზავრება შორეულ არქტიკულ რეისში და ისიც რა დროს! ჩრდილოეთის ზღვის გაშლილ სივრცეში, გარდა ქარიშხლისა, ბურუსისა, აისბერგებისა დ უთვალავი საზიფათო კლდოვანი კუნძულებისა, შეიძლება შეეჯახო ყველაზე დიდ საშიშროებას — ფაშისტ ყაჩაღებს, რომლებიც ჰაერში, წყალზე თუ წყლის ქვეშ ხარბად დაეძებენ მორიგ მსხვერპლს.

ალერსიანად აქნევენ ქუდებს, ცხვირსახოცებს, ხელებს კაპიტნის თანაშემწე პოლიტიკურ ნაწილში ელიზაროვი, უფროსი მექანიკოსი ბოჩკარენკო, რადისტი ანატოლი შირიაევი, მეზღვაურები, წითელფლოტელები, მგზავრები-პოლარელები.

ხომალდის გემბანზე საქმიანად ფუსფუსებს ჰიდროლოგი ზლატოგორეევი, ის კმაყოფილი მეურნის თვალით ათვალიერებს გემბანზე დამაგრებულ მორებსა და ძელებს. მორები და ძელები გამოთლილია დახელოვნებული დურგლების მიერ.

„სიბირიაკი“ ნავსადგურს გასცდა და ღია ზღვაში გავიდა. გემის მანქანა სრული სიჩქარით ამუშავდა. გემბანზე მყოფნი უკვე დაიშალნენ და ყველამ თავის საქმეს მოჰკიდა ხელი. დაიწყო გემის მობინადრეთა სალაშქრო ცხოვრება.

ლაშქრობის პირველმა დღემ მშვიდად ჩაიარა. ორი მესიგნალე განუწყვეტლივ იდგა საგუშაგოზე. ისინი ფხიზლად ადევნებდნენ თვალს ჰორიზონტსა და ზღვას. სწრაფსასროლი არტილერია და ტყვიამფრქვევები საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ.

კაპიტნის უფროსი თანაშემწე სუდაკოვი კაპიტნის ხიდურზე იდგა და ჩამავალ მზეს გასცქეროდა. ზღვა ირგვლივ წყნარი, მაცდუნებლად საამური და შორეული ჩრდილოეთისათვის უჩვეულოდ ანკარა იყო. არც ერთი ყინული. სრული სიწყნარე სუფევდა. ზღვის ზედაპირი დაეფარათ ნაზი იერის ვერცხლისფერ-მოყვითალო ბაც საღებავებს. მხოლოდ პოლარული წრის გადაღმა თუ შეიძლება შეხვდეს ადამიანი ასეთ უჩვეულოდ ნაზ ფერებს!

სუდაკოვს გუშაგობის გათავებამდე ნახევარი საათი-ღა დარჩენია. მალე მის გამოსაცვლელად კაპიტანი მოვა, თვითონ კი შეუძლია დაეშვას კაიუტაში და საწოლზე გაუხდელად გაიშხლართოს, რომ ცოტათი მაინც თვალი მოატყუოს ფხიზელი ძილით.

გემბანიდან ექიმ ვერიკოს წკრიალა სიცილი მოისმა. სუდაკოვმა უკმაყოფილოდ შეყარა წარბები: — გოგონაა და არა გემის ექიმი!.. მხოლოდ აცინე იგი! ნეტავი ასეთები რისთვის მოდიან არქტიკაში?

სუდაკოვი სწრაფად მოტრიალდა, თავიდან მოიშორა ამაღელვებელი ფიქრები, გადაიხედა ქვევით და ბოხი ხმით გასძახა:

— ჰეი, ბოცმანო!

— არის, ბოცმანი! — გასცა ხმა გემბანიდან ბოცმანმა პავლიუკოვმა.

— დგუშები შეამოწმე?

— ყველაფერი შემოწმებულია. და განა ერთხელ? ნუ სწუხართ, ამხანაგო უფროსო თანაშემწევ, ჩემი მეურნეობა სრულს წესრიგშია.

შეწყდა სუდაკოვის ძახილით დამფრთხალი ვერიკოს მხიარული სიცილი. გემბანი დაცარიელდა. კაპიტნის ხიდურზე ბოცმანი ამოვიდა და უხასიათოდ მიმოავლო თვალი წყნარ უნაპირო ზღვას.

— რას შეგიკრავს წარბები, ბოცმანო? — ჰკითხა სუდაკოვმა.

— რაღაც არ მომწონს მე დღეს ზღვა, ამხანაგო უფროსო თანაშემწე, — უპასუხა ფიქრებში წასულმა ბოცმანმა. — მშვიდობიანი ცურვისათვის უკეთესსაც კი ვერ ინატრებ, მაგრამ ახლა... — მართალი ხარ, ბოცმანო. არც მე მაქვს გული დაწყნარებული. ჩვენთვის კარგია ახლა ერთი რვაბალიანი ქარიშხალი, ამასთან თოვლის მუხტები და, რაც შეიძლება, მეტი ნისლი... მაშინ უსათუოდ შშვიდად დავძვრებოდით, — ჯავრიანად თქვა სუდაკოვმა, თავი მაღლა ასწია და ფოკმაჩტისაკენ გასძახა:

— ეი, მესიგნალეებ, იცქირე ორთავ თვალით... ხეედველობიდან არა გამოგეპაროს-რა!

— არის, ვიცქირო ორთავ თვალით! — ჩამოესმა ზევიდან მესიგნალე კოტლიარევის მხიარული ხმა, — ირგლივ სიწყნარეა, ამხანაგო უფროსო თანაშემწევ!

— აბა, ბოცმანო, გავაბოლოთ რაღა! მიმართა პავლიუკოვს სუდაკოვმა და ჯიბიდან სიგარეტების მთელი შეკვრა ამოიღო. მათ ვერც კი მოასწრეს ცეცხლის მოკიდება, რომ ანძიდან მესიგნალის ყვირილი მოისმა:

— გემის ცხვირიდან მარცხნივ ჰორიზონტზე თვითმფრინავია!

სუდაკოვს სიგარეტი ხელიდან გაუვარდა. მან ელვის სისწრაფით მიიდო თვალებზე ბინოკლი. შორს, ჩამავალი მზის სხივებში, გემის კურსის მარცხნივ, ჰორიზონტის ოდნავ ზემოთ, ცაზე გარკვევით მოჩანდა შავი წერტილი.

— ჩვენია თუ სხვისი? — გაუელვა თავში უფროს თანაშემწეს. მეორე წუთში მისმა ხელმა ინსტიქტურად დააჭირა თითი საბრძოლო განგაშის სიგნალის ღილაკს.

— გამოიძახეთ კაპიტანი და უფროსი არტილერისტი! — მოკლედ უთხრა მან ბოცმანს, მაგრამ ვიდრე პავლიუკოვი კიბის ჩარბენას მოასწრებდა, ხიდურზე კაპიტანი ოდიშელი ამოიჭრა, ხოლო მას უკან უფროსი არტილერისტი ლეიტენანტი მედვინსკი მოჰყვა. მედვინსკის ახალგაზრდული სახე მღელვარებას ვერ ფარავდა. ოდიშელმა ბინოკლი მოიმარჯვა. — რომელ რუმბზეა, ვინ არის?

— გემის ცხვირიდან მარცხნივ, თვითმფრინავი! — მოკლედ უპასუხა სუდაკოვმა და ხელით უჩვენა მიმართულება.

— ფაშისტია! — ერთდროულად წამოიძახეს ოდიშელმა და მედვინსკიმ.

შავი წერტილი ჰორიზონტზე სწრაფად იზრდებოდა და ერთი წუთის შემდეგ იქცა თვითმფრინავად, რომელიც პირდაპირ „სიბირიაკისაკენ“ მოეშურებოდა.

ოთხმა საზენიტო ტყვიამფრქვევმა დაჟინებით მიასვეს ხორთუმები შავ წერტილს და მოემზადნენ, რომ სიგნალის მიღებისთანავე გრიგალისებური ცეცხლი გაეჩაღებინათ. კიდევ ერთი წუთი და თვითმფრინავი ტყვიამფრქვევთა ცეცხლის ზოლში ამოყოფს თავს... მაგრამ აქ მოულოდნელი [illegible] მოხდა: თვითმფრინავმა უეცრად სწრაფად გადაუხვია კურსიდან, „სიბირიაკს“ გვერდი აუარა და ჩრდილო-დასავლეთისაკენ გაემართა.

კაპიტანმა ოდიშელმა ბინოკლი ჩამოიღო და უკვე მზად იყო მიეცა განგაშის შეწყვეტის ნიშანი, როდესაც გაისმა მესიგნალე კოტლიაროვის ძახილი:

— მარჯვნივ, ტრავერსიდან ოთხიოდე მილზე, პერისკოპია!

— მარჯვნივ ფერდზე!.. შეაკავე... ასე გეჭიროთ!.. — გაისმა კაპიტან ოდიშელის ბრძანება.

„სიბირიაკი“ გვერდზე ოდნავ გადაიხარა და სწრაფად მოხაზა წრე მარჯვნივ. გემმა ვერ მოასწრო, ახალი კურსი აეღო, რომ წინაერდოდან ორმა მსწრაფლმსროლმა ზარბაზანმა დაიგრიალა. უცნობი პერისკოპი გაქრა.

„სიბირიაკმა“ ისევ ძველი კურსი აიღო. ნახევარი საათის შემდეგ გაისმა განგაშის შეწყვეტის სიგნალი. კაპიტნის გვერდით ხიდურზე მდგომმა სუდაკოვმა შვებით ამოიხვნეშა და კაპიტანს მიმართა: — ეგრე, ანატოლი ალექსის-ძევ, ჩაიარა მაგრამ მაინც ვერ გამიგია, თუ თვითმფრინავმა რად არ მოიტანა ჩვენზე იერიში? წყალქვეშა ნავმა რომ ეს არ ჩაიდინა — გასაგებია: ჩვენ ის დროზე აღმოვაჩინეთ და მას ძალიან მცირე იმედი თუ ექნებოდა იმისა, რომ წარმა-

ტებით დაგვნალმავდა. თვითმფრინავს კი არც უცდია ჩვენთვის ყუმბარების დაშენა. საკვირველია!

— ა?.. რა თქვით? — გამოეხმაურა ღრმა ფიქრში წასული ოდიშელი. — თქვენ ამბობთ, საკვირველიაო? არაფერიც არ არის აქ საკვირველი, გიორგი პეტრეს-ძევ! ისინი მზვერავები არიან და განა ჩვენ დაგვეძებენ. ეჭვი არ არის, ისინი დაეძებენ ტრანსპორტის დიდ ქარავანს, რომელიც ოთხი დღის წინ გავიდა დიკსონიდან და ვილკიცკის სრუტისაკენ მიემართება.

— სწორედ რომ ეგრეა! მე კი როგორ ვერ მივხვდი, რატომ აზრად არ მომივიდა?! — წამოიძახა სახტად დარჩენილმა სუდაკოვმა.

— გიორგი პეტრეს-ძევ! გადაეცით რადიოთი საზღვაო ოპერაციების შტაბს თვითმფრინავთან შეხვედრის ამბავი. საჭიროა ვიფიქროთ ჩვენი შემდგომი კურსის შესახებ. ვგონებ, აჯობებს ბელუხასაკენ გადავხაროთ. ყველაფერი მოსალოდნელია, და ვინიცობაა, რამე მოხდეს, რაც არ უნდა იყოს, თავს შევაფარებთ.

— არის, ვაცნობო საზღვაო ოპერაციების შტაბს ჩვენი შეხვედრის შესახებ. კურსის შეცვლას თქვენ თვითონ შეუდგებით, თუ მე მიბრძანებთ?

— კურსს მე თვითონ მოვუვლი, — უპასუხა ოდიშელმა.

უფროსი თანაშემწე გაემართა რადიოჯიხურისაკენ და ერთი წუთის შემდეგ ეთერში გაფრინდა დაშიფრული ცნობა მტრის წყალქვეშა ნავსა და თვითმფრინავთან „სიბირიაკის“ შეხვედრის შესახებ.

გათენდა 25 აგვისტოს დილა. მზე ზღვის ზედაპირს თავისი ბრტყელი ცეცხლოვანი დისკოს ნაპირით შეეხო და წამით შეჩერდა, თითქოს ყოყმანობს — ჩაიყურყუმელოს ყინულოვან პოლარულ წყლებში, თუ არაო. შემდეგ ზანტად იწყო სვლა ცაზე.

უფროსმა თანაშემწემ სუდაკოვმა დილაადრიან ჩამოიარა სამსახურებრივი და საცხოვრებელი კაიუტები. სადგომზე თუ ლაშქრობაში იგი ჭირვეულად, თითქოს მიზეზს ეძებსო, თვითონ ჩამოივლიდა ხოლმე დილ-დილობით გემბანსა და კაიუტებს და დაათვალიერებდა მათ. აი ახლაც ის გაჯავრებული უსაყვედურებს დამლაგებელ ვარიას ნაგვის თვითეულ ნამცეცისათვის, ნახშირის მტვრის აქა-იქ შემორჩენილი კვალისათვის, პაპიროსის ნამწვავებისათვის პირსაბანის ბაკანში. ვარია ჩვეულებრივად თავს იმართლებს და შეურაცხყოფილის ხმით ბუზღუნებს:

— ყველას ვერ სდევ, გიორგი პეტრეს-ძევ!.. ისინი, ხომ ხედავთ, რამდენია, მე კი ერთი ვარ...

სუდაკოვმა ვარიას თავისმართლებას ყური არ მიუგდო და ეკიპაჟის სასადილო ოთახისაკენ გაემართა.

საგუშაგოდან ახლახან გამოცვლილი ვარნავინი, აბანოში ცხელი წყლით ეს-ეს არის ტანდაბანილი და სუფთად გამოწყობილი, სასადილოში იჯდა თავის მეგობარ მემოტორე ფროლოვთან ერთად და აუჩქარებლად, აშკარა კმაყოფილებით საუზმეს შეექცეოდა. ფროლოვს დიდი ხანია საუზმობა გაეთავებინა და ახლა თავის მეგობარს უბოროტოდ დასცინოდა მისი არაჩვეულებრივი მადის გამო.

— შენთვის კარგია იჯდე აქა და კბილები კრიჭო. რას წარმოადგენს შენი მუშაობა? უფროსი გიბრძანებს — დააჭირე სტარტერს, აუშვი მოტორი და ეხლოლოდ თვალი ადევნე, რომ ბენზინგამტარი არ ამოიგლიჯოს. არა, ძმაო, შენ

სცადე — ჩემსავით ოთხი საათი ნახშირი ღუმელში ჰყარო და ურიო სამმეტრიანი ფოლადის ძალაყინით. — იღრინებოდა ვარნავინი.

სუდაკოვმა ყურადღებით მიმოავლო თვალი სასადილოს და გამოვიდა, თანაც ორი მეგობრის კამათზე ეღიმებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცეცხლური ვარნავინი და მემოტორე ფროლოვი ჩამომავლობით იმ სოლომბალელებს ეკუთვნოდნენ, რომელთა მამები და პაპები საუკუნეთა მანძილზე ზღვაზე მუშაობდნენ. არხანგელსკის გარეუბანი — სოლომბალა მთლიანად დასახლებული იყო ხალხით, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლით ზღვასთან იყო დაკავშირებული. ათასობით მიუცია სოლომბალას არქტიკის ფლოტისათვის საუკეთესო მეზღვაურები და ყოველი კაპიტანი ხალისით იღებდა გემზე ამ სახელგანთქმულ მეზღვაურთა ბუდის მკვიდრთ. აი ახლაც, მიდიოდა რა დერეფნით, სუდაკოვი კმაყოფილებით იგონებდა ორ სოლომბალელ მეზღვაურს, რომელთა მეგობრული პაექრობის მოწამეც ის ახლახან იყო.

როდესაც სუდაკოვმა გემის შემოვლა დაასრულა და კაპიტნის კაიუტაში მივიდა, მას იქ კაპიტან ოდიშელის გარდა დახვდნენ კაპიტნის თანაშემწე პოლიტნაწილში ელიზაროვი, უფროსი მექანიკოსი ბოჩკარენკო და უფროსი არტილერისტი მედვიანსკი.

— აი ასე, ანატოლი ალექსის-ძევ, ეს სამუშაო უკვე შესრულებულია. ჯერ კიდევ გუშინ ჩავატარე რამდენიმე ჯგუფური საუბარი ეკიპაჟთან და პოლარელებთან. საიმედო ხალხია... — დაბეჯითებით ამბობდა ელიზაროვი, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, თავისი მოხსენება უკვე დაემთავრებინა.

უფროსი მექანიკოსი ჩუმად იდგა ილუმინატორთან და ზღვას პირქუშად გასცქეროდა.

— აი რა, მეგობრებო, — თქვა ოდიშელმა, — ეჭვგარეშეა, რომ ფაშისტები დაეძებენ დიკსონიდან გასულ ქარავანს, რომელიც ვილკიცკის სრუტისაკენ მიდის. გუშინდელი შეხვედრა — ეს მხოლოდ დაზვერვაა.

— საზღვაო ოპერაციების შტაბი ჩვენ მიერ გაფრთხილებულია და, ვფიქრობ, ისინი სათანადო ზომებს მიიღებენ, — შენიშნა ელიზაროვმა.

— სწორია, უსათუოდ მიიღებენ. მაგრამ აქ საქმე დროშია. ვინ მოასწრებს: ქარავანი უფრო ადრე მივა სრუტესთან, თუ მტერი, რომელიც უკვე მთელი სისწრაფით მისდევს, — უპასუხა ოდიშელმა.

— მერე თუ ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობმა მტერმა მოგვიხელთა, როგორლა მოვიქცეთ მაშინ, ანატოლი ალექსის-ძევ? — წყნარად თქვა ბოჩკარენკომ და ცნობისმოყვარე თვალები კაპიტანს მიაპყრო.

კაპიტანმა ოდიშელმა სქელი წარბები პირქუშად შეარხია:

— ვნახოთ... ისე მოვიქცევით, როგორც ვითარება მოითხოვს.

ბოჩკარენკომ ცოტა ხანს კიდევ დაიცადა და კაიუტიდან უსიტყვოდ გავიდა

— ხვალ მივადგებით ჩელუსკინის კონცხს და ყოველივეს შევიტყობთ, — ჩაილაპარაკა პოლიტთანაშემწემ. შემდეგ ის ჩუმად მყოფ უფროს არტილერისტს მიუბრუნდა და ჰკითხა: — ვის შეიძლება შევხვდეთ, როგორ ფიქრობ, მედვიანსკი?

— სახაზო გემი „ტირპიცი“ სერიოზულადაა დაზიანებული ჩვენი წყალქვეშა ნავის მიერ და ზღვაში გასვლას დიდხანს ვერ შეძლებს. ფაშისტების ესკადრაში, რომელსაც ბაზა ნორვეგიის ფიორდებში აქვს, შემდეგი თავისი სიმძლავრით — ეს მძიმე კრეისერი „ადმირალი შეერია“.

— და მერე რა მძვინვარე მხეცია ეს „ადმირალი შეერი“? — ჰკითხა მედვინსკის პოლიტთანაშემწემ.

უფროსმა ლეიტენანტმა თავი გააქნია:

— ვერაფერი სასიამოვნოა მაინცადამაინც მასთან შეხვედრა, — თქვა მან და დაიწყო თითებზე ჩამოთვლა: — სვლის სისწრაფე — 36 კვანძი...

ოდიშელმა გაბმით დაუსტვინა:

— ოთხჯერ სწრაფია ჩვენს მოხუცზე!

— აქვს ექვსი თერთმეტდიუმიანი დიდი ყალიბის ზარბაზანი, რვა — ექვსდიუმიანი... იქ კიდევ საზენიტო არტილერია, ორი ოთხმილიანი სანაღმო აპარატი, კატაპულტები ორი თვითმფრინავისათვის, დაჯავშნულობა სარტყელური და გემბანისა...

— დაიცა, დაიცა! — ისევ შეაწყვეტინა კაპიტანმა ოდიშელმა, — როგორია გასროლის სიშორე?

— მთავარი ყალიბის ზარბაზნებისა — 23 მილი, საშუალოსი კი — 13 მილი, — მკაფიოდ, თითქოს საზღვაო ცნობარი უჭირავს ხელშიო, უპასუხა მედვიანსკიმ.

— რამდენი კაცია მასზე? — ჰკითხა პოლიტთანაშემწემ.

— საშტატო განრიგით — 926 კაცი.

კაპიტანმა ოდიშელმა და პოლიტთანაშემწე ელიზაროვმა ერთმანეთს გადახედეს.

— „ადმირალ შეერს“ აქვს რვა დიზელი, რომლებიც 54 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრეს ავითარებენ, — დაასრულა უფროსმა არტილერისტმა.

— დიახ... — თავი გააქნია ოდიშელმა, — ძალთა შეფარდება დაახლოებით ათით ერთია. რას იზამ, თუ შეხვედრა მოგვიწევს, მაშინ გადავწყვეტთ, როგორ ვიმოქმედოთ, ახლა კი თქვენ თავისუფალი ხართ, ამხანაგო მედვიანსკი.

მედვიანსკი მდუმარედ წამოდგა და სუდაკოვთან ერთად კაიუტიდან გავიდა.

ოდიშელი გვერდით დაუჯდა ელიზაროვს და, თითქოს შეწყვეტილ საუბარს აგრძელებსო, დაიწყო:

— გახსოვს, ელიზაროვ, ის ქარავანი, რომელიც ახლახან აღმოსავლეთით წავიდა? აბა დათვალე: ურიცხვი ძვირფასი ტვირთით დატვირთული რვა დიდი ტრანსპორტი, ნავთსათბობიანი ტანკერი და ჩვენი ორი საუკეთესო ყინულმჭრელი. აი რა გემრიელი ლუკმაა ფაშისტი ავაზაკებისათვის! მოასწრო თუ არა ქარავანმა ვილკიცკის სრუტემდე მისვლა — აი რა მაღელვებს ამჟამად. თუ ბედმა ჩვენ მსხვილ მტაცებელს შეგვახვედრა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვეცადოთ, ავარიდოთ ის ქარავანს და შევაჩეროთ იმდენ ხანს, რამდენიც ძალა შეგვწევს. ჩვენი თავგანწირვა სავსებით გამართლებული იქნება! ასე არ არის, მეგობარო?

— სწორი გადაწყვეტილებაა, ანატოლ ალექსის-ძევ, — უყოყმანოდ უპასუხა ელიზაროვმა.

— მაშ, როგორც ჩანს, ჩვენთვის ყველაფერი ნათელია. წავიდეთ კაპიტანის ხიდურზე, — ჩაილაპარაკა ოდიშელმა და ქუდი დაიხურა.

მეზღვაურული მოკლე ჩიბუხებით კბილებში, ოდიშელი და ელიზაროვი მდუმარედ ავიდნენ კაპიტანის ხიდურზე.

„სიბირიაკი“ განაგრძობდა გზას ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. მას უკან რჩებოდა შავი კვამლის გრძელი კუდი, რომელიც ნელ-ნელა ჯდებოდა წყალზე. გემბოლოს უკან თითქმის ერთი მილის სიგრძეზე გაჭიმუ-

ლიყო ხომალდის ხრახნის მიერ დამუშავებული ზღვის წყლის ფართო ნათელი ზოლი.

ხიდურზე გუშაგობდა კაპიტნის უფროსი თანაშემწე სუდაკოვი.

— ბელუხას ვუახლოვდებით, ანატოლი ალექსის-ძევ, — თქვა მან.

ოდიშელმა ბინოკლი მიმართა კურსის მარჯვნივ, სადაც წყლიდან ნელ-ნელა ამოდიოდა პატარა კუნძულების ჯგუფი. ბინოკლში უკვე შეიძლებოდა დათვალიერება ამ კუნძულთაგან ყველაზე ახლო მდებარე კუნძულისა, რომლის მაღალ კლდოვან ნაპირზე მოჩანდა შესაცნობ ნიშნად აღმართული მაღალი პირამიდა.

— დიახ, მალე ვიქნებით ბელუხის ტრავერსზე, — წარმოთქვა ოდიშელმა და ობლად მოცურავე აისბერგზე მიუთითა.

სუდაკოვმა დაინახა მცურავი აისბერგი და შვებით ამოიხვნეშა:

— აჰა, მადლობა ღმერთს. დავინახეთ პირველი ყინული. აი ის, მშობლიური. მაშასადამე, ყინულოვანი ველები სადღაც ახლოა. იქ ჩვენ მტერი ვერას დაგვაკლებს.

უეცრად ხიდურზე ტელეფონის ზარის მკვეთრი ხმა გაისმა.

კაპიტანმა ოდიშელმა ხელი წაავლო მილს, რომელშიაც მესიგნალე კოტლიაროვის აღელვებული ხმა გაისმა:

— ამხანაგო უფროსო, მარცხენა ქიმით ნისლებს შორის, კურსი 60, ვხედავ უცნობი სამხედრო ხომალდის ბუნდოვან სილუეტს.

კოტლიაროვი მორიგეობდა ფოკ-მაჩტაზე და ძლიერი ბინოკლით ჰორიზონტს ყურადღებით ათვალიერებდა, ამიტომ მან უცნობი ხომალდი პირველმა შეამჩნია.

კაპიტანმა ოდიშელმა სწრაფად დასტაცა ხელი სატელეგრაფო ბლანკს, დაწერა რამდენიმე სიტყვა და მეკავშირეს გადასცა:

— აბა! ქარზე უსწრაფესად რაციაში. დაუყოვნებლივ გადაეცით დიკსონს!

რადიოჯიხურში საგუშაგოზე იდგა ძველი პოლარული რადისტი ანატოლი შირიაევი. მან მხოლოდ ერთი გადახედა რადიოგრამას, დააჭირა გასაღებს, რამდენჯერმე გაიმეორა გამოძახების ნიშანი და გასაღებზე სწრაფად აამოძრავა.

დაამთავრა თუ არა რადიოგრამის გადაცემა უცნობი ხომალდის გამოჩენის შესახებ, მან თავის მხრით დიკსონელი რადისტი გააფრთხილა:

— თვალ-ყური გეჭიროს ჩემზე!...

ამ დროს „სიბირიაკზე" გაისმოდა საბრძოლო განგაშის მჭექარე ხმა, რომელიც დერეფნებში ირხეოდა, ოთახებში იჭრებოდა, აღვიძებდა ძილს მიცემულ გემის მოსახლეობას და გემის ბაქანზე ერეკებოდა მათ. ხალხი კიბეებზე ამორბოდა და თან იცვამდა დაბამბულ ხალათებს, ხელთათმანებს, იხურავდნენ თბილ ქუდებს, განაგრძობდნენ პირში გაჩხერილი ლუკმის ღეჭვას. ყოველი მეზღვაური პანიკისა და ზედმეტი ფუსფუსის გარეშე დგებოდა საბრძოლო განაწესით მისთვის მიჩენილ ადგილზე: ზარბაზნებთან, ტყვიამფრქვევებთან, საშველ კარჭაპებთან, ტუმბოებთან, სახანძრო ინვენტართან.

— რა გადაწყვეტილება მიიღეთ, უფროსო? — შეეკითხა კაპიტან ოდიშელს პოლიტთანაშემწე ელიზაროვი.

— ვეცდები, გავიდე კუნძულების საფარქვეშ... და თუ ვერ მოვასწარით. მაშინ მივიღებთ ბრძოლას. სხვა წინადადება ხომ არ არის? — კაპიტანმა ოდიშელმა გამჭრიახი თვალები მოავლო ხიდურზე მდგომ თავის მოადგილეებსა და ოფიცრებს.

— გადაწყვეტილება სწორია. სხვანაირად არც შეიძლება. — ყველას მაგივრად მოკლედ უპასუხა პოლიტთანაშემწე ელიზაროვმა.

„სიბირიაკი“ შებრუნდა მარჯვნივ და დიდი სისწრაფით გასწია ეს-ტეთი კუნძულის უსახელო ჯგუფისაკენ, რომელთაგან უახლოესი კუნძული ბელუხა იყო.

კაპიტანი ოდიშელი და ოფიცრები ბინოკლებით შეუწყვეტლივ თვალს ადევნებდნენ უცნობ გემს.

„სიბირიაკის“ მილიდან კვამლი შავ ბურთულებად ამოდიოდა. მთელი სხეულით აცახცახებული გემი დიდი სისწრაფით მიჰქროდა კუნძულისაკენ. მაგრამ კაპიტანი ოდიშელი ბინოკლში ნათლად ხედავდა, თუ რა სწრაფად მოკლდებოდა მანძილი მის გემსა და უცნობ სამხედრო გემს შორის. მალე შეუიარაღებელი თვალითაც კი შეიძლებოდა დიდი სამხედრო გემის სილუეტის გარჩევა, იგი, ცდილობდა რა „სიბირიაკის“ კურსის გადაჭრას, დიდი სისწრაფით უახლოვდებოდა მას.

მესიგნალე კოტლიარევი თავისი სამეთვალყურეოდან ბინოკლს არ აშორებდა საეჭვო გემს.

— ამხანაგო უფროსო, — დაიძახა მან ტელეფონის მილში, — გემი სემაფორს იძლევა.

— რას გადმოსცემს? — მოუთმენლად შესძახა ოდიშელმა.

რამდენიმე წამის შემდეგ კოტლიარევმა უპასუხა:

— გადმოგვცემს რუსულ ენაზე: „გვაცნობეთ ყინულის მდგომარეობა ვილკიცკის სრუტეში“.

რადისტმა შირიაევმა იმავე წუთში რადიოგრამა გადასცა დიკსონს უცნობი გემის შეკითხვის შესახებ და დავთარში გარკვევით აღნიშნა: „13 საათი, 27 წუთი“.

კაპიტანი ოდიშელი კავშირგაბმულობის უფროსისაკენ გადაიხარა:

— გამოჰკითხეთ სახელი და ეროვნება.

„სიბირიაკის“ კლოტიკიდან დაუყოვნებლივ აბრჭყვიალდა ცეცხლოვანი ნიშნები.

კაპიტანი ოდიშელი ტელეფონის მილს ყურიდან არ იშორებდა.

— აბა, როგორაა საქმე, კოტლიარევ? იძლევა პასუხს?

ორიოდე წუთის შემდეგ გაისმა კოტლიარევის ხმა:

— გვიპასუხა: „გვაცნობეთ ყინულის მდგომარეობა ვილკიცკის სრუტეში. სად არის ამჟამად ტანსპორტებისა და ყინულტეხების ქარავანი?“

— კოტლიარევ, მიეცი ნიშანი გემს, გვითხრას სახელი და ეროვნება, — დაჟინებით გაიმეორა ტელეფონის მილში კაპიტანმა.

— აბა, ანატოლი ალექსის-ძევ საეჭვო აღარაფერია: ჩვენს წინაშეა ფაშისტების მძიმე კრეისერი „ადმირალი შეერი“, რომლის შესახებაც ლეიტენანტი მედვიანსკი ლაპარაკობდა... — წყნარად წარმოთქვა თანაშემწე ელიზაროვმა.

— ამაში ეჭვი არც მე მეპარება. გახსოვს გუშინდელი თვითმფრინავი და წყალქვეშა ნავი?.. მე ვიცოდი, რომ ვიღაც სწორედ დიკსონის ქარავანზე ნადირობს. ახლა ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტხანს გავაჭიანუროთ მასთან მოლაპარაკება... — უპასუხა ოდიშელმა და ბინოკლით ხელახლად მიაჩერდა მტრის გემს.

ზემო ხიდურზე ლეიტენანტი მედვიანსკი მიეკრა მანძილმზომს და გაფაციცებით ათვალიერებდა უცნობ გემს.

ეჭვი არაა — ეს დიდი სამხედრო გემია. ნათლად მოჩანან საბრძოლო ჯიხური, ზარბაზნის კოშკები, „სიბირიაკისათვის“ დამიზნებული მრისხანე ქვემეხები, ხომალდის ტანის მოყვანილი რკალი და ზღვის წყლის ფურთუნები, რომლებიც სწრაფად მიმავალი გემის გასწვრივ მიექანებოდა.

უცებ მედვიანკიმ მანძილმზომში გემბოლოს ზევით თვალი მოჰკრა მოფრიალე დიდ ვარსკვლავიან ალამს.

— მძიმე კრეისერი ან სახაზო გემია ამერიკის ალამით! — დაიძახა მოაჯირს გადაყუდებულმა მედვიანსკიმ.

— ტყუის მაწანწალა! — გამოეხმაურა პოლიტთანაშემწე ელიზაროვი. — აქ მოკავშირე კრეისერს რა ესაქმება!

კაპიტანი ოდიშელი მოაჯირს გადაეყრდნო და გამომცდელი თვალები მიმოავლო გემბანს.

„სიბირიაკზე“ ქვემეხები და ტყვიამფრქვევთა ტუჩები უცნობი ხომალდისაკენ იყვნენ მიშვერილნი. ბოცმანმა პავლიუკოვმა საავარიო რაზმითურთ თავისი ადგილი დაიჭირა სპარდეკზე სამსახურებრივ კაიუტებთან. კაიუტკამპანიაში ლაზარეთი გაეშალათ. ექიმი ვერიკო იქიდან შეშფოთებული გამოიყურებოდა, მაგრამ როგორც კი მისი თვალები იქვე ახლოს დამშვიდებულად მდგარ დეიდა დაშას შეხვდებოდა, ვერიკოსაც შვება ეძლეოდა და მისი გულიც წყნარად იწყებდა ცემას. იქვე იყვნენ მოხალისე მოწყალების დები—მეუფეტეტოსია და დამლაგებელი ვარია, რომლებიც ისე საქმიანად ეწეოდნენ ლაზარეთის მომზადებას, რომ კაცს ეგონებოდა, ისინი ნამდვილი საბრძოლო მდგომარეობაში კი არა, ჩვეულებრივ სასწავლო განგაშზე არიანო.

მეზღვაურები, მეცეცხლურები, მგზავრები — ყველა, ვისაც საბრძოლო განაწესით წინასწარ ჰქონდა ადგილი მიჩენილი, დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს უცნობ ხომალდს. ისინი მაგრად მუჭავდნენ ხელში ქვემეხების საკეტებს, ყუმბარებსა და ტყვიამფრქვევთა ლენტებს, სახანძრო დგუშებს, საავარიო ნაჯახებსა და ბარჯებს.

კაპიტანმა ოდიშელმა ერთხელ კიდევ მიმოავლო თვალი ამ ადამიანთა სახეებს, მაგრამ შიშის ნასახიც კი ვერავის შენიშნა. კაპიტანი გასწორდა და შვებით ამოისუნთქა.

რადისტი შირიაევი აღუშფოთებელი იდგა მაგიდასთან თავის რადიოჯიხურში. მისი ხელი მსუბუქად და თავისუფლად, თითქოს თამაშობსო, გასაღებით სწრაფად მუშაობდა.

— სახელს არ ამბობს. მოდის ამერიკის ალმით. — გადასცემდა დიკსონს შირიაევი.

უცნობი ხომალდი კი სწრაფად უახლოვდებოდა „სიბირიაკს“ და განუწყვეტლივ განაგრძობდა ნიშნების მოცემას. მესიგნალე კოტლიარევი, რომელიც ფოკ-ანძიდან უკვე კაპიტნის ხიდურზე ჩამოსულიყო, ძლივს ასწრებდა სასიგნალო ნიშნების ხმამაღლა კითხვას:

— გვიპასუხეთ ჩემს კითხვაზე: ყინულის მდგომარეობა ვილკიცკის სრუტეში... სად არის ქარავანი?.. დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ რადიოსადგურის მუშაობა... — სწრაფად გაიძახოდა კოტლიაროვი და თან უცნობ გემზე გამოკრთობილ ნიშნებს ხარბად იჭერდა.

არტილერისტი მედიანსკი მანძილმზომს არ შორდებოდა და შეუწყვეტლივ განაგრძობდა ხომალდზე დაკვირვებას. უეცრად ის მოაჯირს დაეკიდა და კაპიტნის ხიდურზე ხმამაღლა ჩასძახა:

— ამერიკის ალამი დაუშვა! აღმართა ფაშისტური ალამი!

კაპიტანი ოდიშელი ვიწრო კიბეზე ერთი ფეხის დაკვრით ზედა ხიდურზე ავარდა და თვით ჩააცქერდა მანძილმზომს. მედვიანსკი არა ცდებოდა. კრეისერის გემბოლოს ფლაგშტოკზე ზევით ნელ-ნელა მიცოცავდა წითელ-თეთრი ტილო, რომლის ცენტრში ფაშისტური შავი სვასტიკა იყო გამოსახული.

ოდიშელი გაეშურა ქვევით კაპიტანის ხიდურისაკენ, მოაჯირს გადაეყრდნო და ომახიანი ხმით გემბანს გადასძახა:

— ამხანაგებო! მეგობრებო! გემმა ფაშისტური ალამი აღმართა. მალე ბრძოლა გაიმართება. ყველას ახსოვდეს, ჩემი ბრძანება შესრულდეს სრულად და ზუსტად!

ვაშამ იგრიალა და ამ ხმამ კარსკის ზღვის მთვლემარე ტალღებზე მეხივით გადაირბინა.

— უფროსი ლეიტენანტი მედვიანსკი! — გაისმა კაპიტან ოდიშელის ბრძანება. — ზარბაზნები ბრძოლისათვის!...

„სიბირიაკზე" საზღვაო ზარბაზნები, საზენიტო ქვემეხები და ტყვიამფრქვევები ჯერ კიდევ საბრძოლო განგაშის ნიშნის მიცემისას იყო მოყვანილი საბრძოლო მზადყოფნაში. იარაღის უფროსებმა ერთხელ კიდევ გულდასმით შეამოწმეს გაანგარიშებანი.

მტრის გემის კლოტიკიდან „სიბირიაკს" სულ ახალი და ახალი ნიშნები წამოეწია.

— რას გადმოსცემს? — სწრაფად მიუბრუნდა ოდიშელი მესიგნალე კოტლიარევს.

— ამხანაგო უფროსო, წინადადებას იძლევა დავუშვათ ალამი და დავნებდეთ!

იმავე წუთში ფაშისტური კრეისერიდან გაისმა გამაფრთხილებელი გასროლის მგრგვინავი ხმა.

— არა, არამზადავ, საბჭოთა ალამს დაშვებულს ვერ ეღირსები! — მრისხანედ წამოიძახა ოდიშელმა და ბრძანება გასცა: — ცეცხლი!...

— ბატარეა, ჯავშანგამტარი ყუმბარებით ცეცხლი! — გაისმა უფროს ლეიტენანტ მედვიანსკის ბრძანება და „სიბირიაკის" საზღვაო ოთხდიუმიან ქვემეხების პირველმა ბათქმა გემის მთელი ტანი შეაზანზარა.

რადისტმა მაგრად მიიკრა თავზე ყურსაცვამი და გასაღები სწრაფად ახმაურა:

— ბრძოლას ვაწარმოებთ ფაშისტურ კრეისერთან... — როგორც ყოველთვის, ჟურნალში დრო ზუსტად აღინიშნა: „13 საათი, 47 წუთი".

კაპიტანმა ოდიშელმა რამდენიმე წამის შემდეგ ბინოკლში დაინახა, თუ როგორ ავარდა მაღლა ფაშისტური გემის ახლო წყლის შადრევნები „სიბირიაკის" მიერ გასროლილი პირველი ყუმბარებისაგან.

— ეხ, — უნებურად აღმოხდა მას, — ერთი ისეთი ზარბაზანი რომ მოგვცა, როგორიც მას აქვს!.. არ შეანელო ცეცხლი! — გადასძახა მან უფროს ლეიტენანტ მედვიანსკის.

ახალმა ბათქმა „სიბირიაკი" შეაზანზარა. კიდევ და კიდევ ბათქი...

კაპიტანი ოდიშელი მივიდა პოლიტთანაშემწე ელიზაროვთან:

— წადი, მეგობარო, საავარიო რაზმთან. ყველაზე დიდი სიძნელე იქ იქნება. მშვიდობით!... — და სწრაფად შემობრუნდა 'რა უფროსის თანაშემწე სუდაკოვისაკენ, მტკიცე ხმით უბრძანა მას: — გიორგი პეტრეს-ძევ, მოამზადე

მაშველი კარჭაპები. როცა საჭირო იქნება, განკარგულებას მიიღებთ... და თუ მე არ ვიქენი... — წამით ენა დაება ოდიშელს, — თვით გასცემ განკარგულებას, დატოვონ „სიბირიაკი“ და დაძირონ იგი! — ოდიშელმა მაგრად აკოცა სუდაკოვს თამბაქოს სუნით გაჟღენთილ ულვაშებში და ქვევით გაუშვა.

კრეისერის მძლავრი ბატარეები ჯერ კიდევ დუმდნენ. დიდ ხანს დათარეშობდა ეს მტაცებელი ოკეანის ფართო სივრცეებზე და კვალდაკვალ სდევდა დაუცველად მიმავალ მარტოხელა სავაჭრო გემებს. სარგებლობდა რა თავისი სისწრაფის დიდი უპირატესობით, ის მოულოდნელად წამოეწეოდა ხოლმე მორიგ მსხვერპლს, დაუმიზნებდა თერთმეტდიუმიან ქვემეხებს და უბრძანებდა, „დაუშვით ალამი! ვადა ხუთი წუთი!“

მყისვე ეშვებოდნენ გემბანამდე სხვადასხვა ეროვნების ალმები, შემკულნი ვარსკვლავებით, ჯვრით, ფერადი ზოლებით. ეკიპაჟები აჩქარებით სხდებოდნენ კარჭაპებში და ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ, რომ როგორმე სწრაფად გასცლოდნენ განწირულ გემს. სწორედ ხუთი წუთის შემდეგ, არც მეტი და არც ნაკლები, გაისმოდა „ადმირალ შეერის“ საარტილერიო ბათქი. ბედის ანაბარად მიტოვებული გემი ჰაერში ავარდებოდა.

აი, ასეთ შეხვედრებს იყო ჩვეული ფაშისტთა მძიმე კრეისერი „ადმირალ შეერის“ ეკიპაჟი.

აქ კი — ჯავშნოსანი ავაზაკისათვის მოულოდნელად — საბჭოთა პატარა ყინულმჭრელი გემი, რომელიც შეიარაღებული იყო მხოლოდ იმდენად, რომ წყალქვეშა ნავებისა და თვითმფრინავების შემოტევებს გამკლავებოდა, გააფთრებით ეკვეთა პირველხარისხოვან მძიმე კრეისერს!

„სიბირიაკის“ გაბედულმა პასუხმა განცვიფრებაში მოიყვანა ფაშისტური კრეისერის სარდლობა. მაგრამ განცვიფრება მალე განრისხებამ შეცვალა, ხოლო განრისხება ცოფიან გულისწყრომად გადაიქცა. და აი, კრეისერის საქვემეხო კოშკიდან ცეცხლის ენები გამოკრთა.

შორეული ბათქის გამოძახილი და სიკვდილისა და ნგრევის მატარებელი ოცფუთიანი ყუმბარების ღმუილი დაიფარა „სიბირიაკის“ ოთხდიუმიანების საპასუხო გრიალი.

კაპიტანი ოდიშელი მესაჭეს მიუბრუნდა:

— მარჯვნივ ფერდით! მიხვეულ-მოხვეულად იარ ბელუხასაკენ!

ოდიშელს უკანასკნელი სიტყვები არც დაემთავრებინა. რომ „ადმირალ შეერზე“ მეორე ბათქი გაისმა.

მზარდი ღმუილით მოისწრაფოდნენ „სიბირიაკისაკენ“ მძიმე თეთრმეტდიუმიანი ყუმბარები. საშინელმა ჯახმა მთელი გემი შეაზანზარა. „სიბირიაკი“ ბოლოთი დაწვა წყალში, სვლა შეანელა და შეტორტმანდა. გემბოლოში ქვემეხებმა შეწყვიტეს სროლა. იქიდან სქელი კვამლი გამოვარდა და ზეცისაკენ ალის ენებად აიჭრა. გემს ხანძარი მოედო.

საავარიო რაზმი პოლიტთანაშემწე ელიზაროვისა და ბოცმან პავლიუკოვის მეთაურობით გემბოლოსაკენ გაექანა. მგზავრები, რომელთაც სათავეში ჰიდროლოგი ზლატოგორევი უდგა, ხანძრის ადგილისაკენ გრძელ შლანგებს მიათრევდნენ და ცდილობდნენ, წყლის ძლიერი ნაკადით ჩაექროთ ალის ენები.

— ყუმბარები გადაარჩინეთ... ყვიროდა სქელ ბოლში გახვეული ელიზაროვი. რამდენიმე მეზღვაური ბოცმანის მეთაურობით ამ მოწოდებას გამოეხმაურა და ყუმბარებს მიეარდა. ისინი მძიმე ყუმბარებს უშიშარი ადგილისაკენ ისე ისროდნენ, ითქოს ცარიელი ასანთის კოლოფებიაო.

რადისტმა შირიაევმა წინა ილუმინატორში დაინახა, როგორ დაეცა ყუმბარის მიერ მოკვეთილი ფოკ-ანძა. კავშირი დაირღვა. მან სწრაფად ჩართო საავარიო გადამცემი, მაგრამ ამ დროს ძლიერმა ბიძგმა ის იატაკზე დაანარცხა. სწრაფად წამოხტა, კარებს მივარდა და ფართოდ გააღო იგი. გემბოლო მოლოთანად ცეცხლში იყო გახვეული და იწვოდა. რადისტმა ჩვეულებისამებრ საათს დახედა: „13 საათი და 52 წუთი", აღიბეჭდა მან თავის მეხსიერებაში და გადამცემის კლიტე სწრაფად აამუშავა:

— ყუმბარებს გვიშენენ... ვიწვით... თვალ-ყური მადევნეთ!.. — გადასცემდა შირიაევი გაწვრთნილი ხელის სწრაფი მოძრაობით და, ამავე დროს, გაღებულ კარებს თვალს არ აშორებდა. რადიოჯიხური მწვავე ბოლმა აავსო. მუშაობა მეტად გაძნელდა.

ხიდურის მოაჯირს გადაყუდებული კაპიტანი ოდიშელი გემის ცხვირის ბატარეის არტილერისტებს გასძახოდა:

— ძლიერი ცეცხლი, ბიჭებო!... — სალაპარაკო მილი ტუჩზე მიიდო და უფროსი მექანიკოსი გამოიძახა: — ჰეი! სამანქანოში! როგორაა საქმე, ბოჩკარენკო!

თითქოს ქვესკნელიდან მოისმა უფროსი მექანიკოსის ყრუ ხმა:

— წესრიგშია, ანატოლი ალექსის-ძევ... მანქანა მუშაობს... ამოვრთე მხოლოდ ერთი ქვაბი, ორთქლგამტარი მოგლეჯილია...

— გამაგრდი, ძველო მეგობარო, — ჩასძახა ოდიშელმა. — ყური უგდე ჩემს ბრძანებებს... და თუ კავშირი გაწყდა, არ დატოვო მანქანა მანამდე სული გიდგას!

ბრძოლის ცეცხლით აღგზნებული და მტრისადმი სიძულვილით შეპყრობილნი, „სიბირიაკის" არტილერისტები და მათი დამხმარე მეზღვაურები, მეცეცხლურები და მგზავრები ყუმბარას ყუმბარაზე აგზავნიდნენ ფაშისტური გემისაკენ.

— მისცხეთ, მისცხეთ!.. — ჩახლეჩილი ხმით გაყვიროდა ხომალდის ცხვირის ქვემეხის უფროსი დუნიკოვი. ბატარეის უფროსს სერგუნკოს ხელიდან გაეგდო უკვე უსარგებლო ტელეფონის მილი და სოლომბალელ ვარნავინთან ერთად ცხვირის სარდაფიდან ყუმბარების მოზიდვას ძლივს აუდიოდა.

საყოველთაო ბრძოლის ცეცხლით გატაცებულმა მეზენიტეებმა და მეტყვიამფრქვეველებმა თავიანთი ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლი „სიბირიაკის" ცხვირის ოთხდიუმიანი ქვემეხების ბათქს შეუერთეს. ისინი ტყვიის ცეცხლს აყრიდნენ მტრის კრეისერს, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა, მაგრამ აბა რა უნდა დაეკლოთ „სიბირიაკის" ყუმბარებსა და ტყვიებს მძიმე კრეისერის სქელი ჯავშნისათვის!

„ადმირალი შეერი" ხშირ ბათქებზე გადავიდა. სულ ახალი და ახალი მოხვედრების ძლიერი აფეთქებები არხევდნენ „სიბირიაკის" მთელ სხეულს. გავარვარებული ლითონი გემის ფერდებსა და გემბანის ზედნაგებებს ეხეთქებოდა, ფხრეწდა და ჭმუჭნიდა, აჩაღებდა ხანძრის ახალ კერებს, სიცოცხლეს უსპობდა ადამიანებს და ამრავლებდა დაჭრილთა რიცხვს.

როგორც კი გემბოლოს ბატარეა დადუმდა, უფროსმა ლეიტენანტმა მედვიანსკიმ მაშინვე იქითკენ მიაშურა, მაგრამ ვერ მოასწრო კარჭაპთა გემბოლოში ჩასვლა, რომ ჭურვის ნატეხმა მას ორივე ფეხი ჩაუჩეჩქვა. უფროსი ლეიტენანტი კიბის ახლო დაეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემის ყოველი მხრიდან მოისმოდა დაჭრილი და მომაკვდავი ადამიანების კვნესა. ვიღაც ჩახლეჩილი ხმით ყვიროდა:

— საკაცეები მალე!.. საკაცეები!..

აქ გემბანი ბენზინით სავსე კასრებით ორწყებად იყო დატვირთული. მტრის ჭურვებმა თითქოს ყველა ეს კასრი მიმოფანტა და დაამსხვრია. ბენზინი აფეთქდა და მისი მოგიზგიზე ნაკადები ფართოდ მოედო ხომალდის გემბანს და ფერდებს. ახლა მთელი გემი აგიზგიზებულ ჩირაღდანს წარმოადგენდა.

ცხვირის ბატარეა სპარდეკისა და კაპიტანის ხიდურისაგან ცეცხლოვანი კედლით მოწყვეტილი აღმოჩნდა. აფეთქებათა ტალღამ მოგლიჯა პირველი ტრიუმის სანათური და მასში ალმოდებული ბენზინის ნაკადმა იწყო დენა. მაგრამ ერთადერთი გადარჩენილი ცხვირის ქვემეხი ცეცხლს ერთი წუთითაც კი არ წყვეტდა.

— მისცხე, მისცხე!... — გააფთრებული ყვიროდა დუნიკოვი, და მისი ქვემეხი გავარვარებული ყელიდან ჭურვს ჭურვზე აგზავნიდა მტრის კრეისერისაკენ.

— დუნიკოვ, ვიწვით!.. ცეცხლი ჩვენსკენ მოდის!.. — დაუძახა აუტანელი სიცხის გამო სახეზე ხელაფარებულმა ვარნავინმა.

— ჭურვები მოიტა! — დაუღრიალა მას დუნიკოვმა, — ვერა ხედავ, გემბოლოს ქვემეხები დუმან... მთელი იმედი ჩვენზეა! აბა, ცოცხლად, გაინძერი!..

„სიბირიაკი“ საუცხოო მიზანს წარმოადგენდა „ადმირალ შეერის“ ძლიერი არტილერიისათვის, და ფაშისტებიც, თითქოს ვარჯიშობენო, ახლო მანძილიდან დაუნდობლად აყრიდნენ ბათქებს ცეცხლში გახვეულ გემს.

ნების სიმტკიცე და სიმშვიდე ერთი წუთითაც არ დაუკარგავს კაპიტან ოდიშელს, მაგრამ მისთვის თანდათან ნათელი ხდებოდა, რომ გემისა და ადამიანების გადარჩენის იმედი ელვის სისწრაფით კლებულობდა.

ხიდურიდან ოდიშელი კარგად ხედავდა მთელ თავის გემს. გადარჩენილი რაზმი და მგზავრები თავდადებულად იბრძოდნენ, რომ ხანძარი ჩაექროთ და გემისათვის ცურვის უნარიანობა და სვლა შეენარჩუნებინათ. ოდიშელის გარშემო ხიდურზე საკამანდო შემადგენლობიდან უკვე არავინ გადარჩენილიყო. ყველა მისი თანაშემწე თუ ოფიცერი გადამწყვეტ უბნებზე იმყოფებოდა. ზოგიერთები უკვე ცოცხალი აღარ იყვნენ, მრავალი დაჭრილიყო.

დაინახა თუ არა ცეცხლის კედელი, რომელიც მას გემის ცხვირის ნაწილისაგან ჰყოფდა, ოდიშელმა ტელეფონის მილს ხელი სასწრაფოდ წაავლო:

— სერგუნკო! სერგუნკო!.. — უძახოდა ის ცხვირის ბატარეის უფროსს. მაგრამ კავშირი უკვე გაწყვეტილი იყო. მაშინ ოდიშელმა მოკავშირე-მემანქანის მოწაფე იურიკა პრონინს გასძახა: — გაიკაფე გზა, იურა, ცხვირისაკენ... გადაეცი სერგუნკოს, ან თუ ვინმეა იქ გადარჩენილი ცეცხლი არ შეანელონ, დაუშინონ ფაშისტებს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე!..

ნერვული დაძაბულობისაგან სახეგაფითრებულმა იურკამ გარკვევით გაიმეორა კაპიტანის ბრძანება და კიბეზე მკვირცხლად ჩაირბინა. მაგრამ მან მხოლოდ მცირე მანძილის გარბენა მოასწრო. ჭურვის ნამსხვრევებმა ყმაწვილი იქვე მიაწვინა.

კაპიტანმა ოდიშელმა დაინახა, როგორ დავარდა გემბანზე იურკას უსიცოცხლო სხეული და ამ საშინელი დღის განმავლობაში პირველად შეეკუმშა მას გული, პირველად იგრძნო მწვავე ტკივილი. სულ დაავიწყდა, რომ ტელეფონის კავშირი დიდი ხანია, რაც გაწყვეტილი იყო, მილს ხელი წაავლო და ჩასძახა:

— ცეცხლი, სერგუნკო, ძლიერი ცეცხლი!.. — ამ ჩაძახილში მან ჩააქსოვა მთელი თავისი სიძულვილი მტრის მიმართ, რომელმაც უკვე შეწყვიტა მძიმე არტილერიის ბათქური ცეცხლი და ახლა შრაპნელის ყუმბარების თავისუფალ ცეცხლს უშენდა სულთმობძრავ „სიბირიაკს“. მამაცი სერგუნკო უკვე ცოცხალი აღარ იყო: იგი მოკლეს მტრის მიერ გამოსროლილი მორიგი ჭურვით და აფეთქების ტალღით გემიდან გადატყორცნილი მისი უსულო გვამი გულგრილად შთანთქა კარსკის ზღვის ცივმა ტალღებმა.

ხიდურზე კაპიტნის მეორე თანაშემწემ ივანკოვმა ამოირბინა, მან შიფრები და საიდუმლო დოკუმენტები მოსპო.

— პაშა, — დაუძახა ივანკოვს კაპიტანმა ოდიშელმა, — გაიქეცი სუდაკოვთან, აღმართეთ კვამლის საბურველი, შემდეგ კი ეცადეთ, ჩაუშვით მარჯვენა ფერდიდან თუნდაც ერთი კარჭაპი. გადაარჩინეთ დაჭრილები და ქალები... და თუ დაუზიანებელ კარჭაპს ვერ იპოვით, წყალში ჩაყარეთ მორები და ფიცრები!..

ივანკოვმა რაღაც სასწაულით მოახერხა ცეცხლისა და გავარვარებული ლითონის ზღუდის გადარბენა. ცეცხლის ალში კაპიტანმა ოდიშელმა დაინახა. უფროსი თანაშემწე სუდაკოვი ივანკოვთან ერთად თუ როგორ უკიდებდა ცეცხლს საკვამლე კოჭს.

ოდიშელმა ცას ახედა და სიბრაზით გადააფურთხა. ცივი პოლარული მზე მოწმენდილი ციდან თავისი ლაპლაპა სხივებით დანათოდა კარსკის ზღვის წყნარ ტალღებს და სისხლიანი დრამის საბოლოო აქტს, რომლის გულცივი მოწამენი იყვნენ ქვიანი და უდაბური კუნძული და აისბერგის უსახო ყინულის გროვა.

დადუმდნენ „სიბირიაკის“ ოთხდიუმიანი ქვემეხები. ისინი დამსხვრეულია, ხოლო მათი გშირი არტილერისტები — დახოცილი.

ამ ბრძოლაში უბრალო საბჭოთა ქალები — სამი გემზე მომუშავე და ერთი მგზავრი — არაჩვეულებრივი გმირობის მაგალითს იძლეოდნენ. მებუფეტე ტოსიას და დამლაგებლებს — ვარიასა და ფროსიას საკაცეებით და ხელით ცეცხლის ალიდან გამოჰქონდათ დაჭრილები, ფარულ ადგილას გადაჰყავდათ ისინი და ჭრილობებს უხვევდნენ. ძველი პოლარელი ქალი დეიდა დაშა საშიშ ადგილებში პირველი მიდიოდა. იგი მუშაობდა მშვიდად, სწრაფად და აზრიანად, თანაც ალერსიანი სიტყვებით ქალიშვილებს ამხნევებდა.

ვერიკოს არაქათი ელეოდა. მასთან მხოლოდ მძიმედ დაჭრილები მიჰყავდათ. მტრის ჭურვების ყოველი დაცემისა და ყოველი აფეთქების შემდეგ ვერიკო თვალებს ჭუტავდა და ტუჩებს მწარედ იკვნეტდა, მაგრამ შეუჩერებლივ განაგრძობდა დაჭრილთათვის დახმარების გაწევას.

გაისმა ახალი გამაყრუებელი ბათქი და საშინელი ძალის მძიმე ჭურვებმა დაამსხვრიეს „სიბირიაკზე“ გემის კორპუსის გარსამოსი, ნაკუწ-ნაკუწად აქციეს გემბანის ნაგებობანი. კაიუტ-კამპანიის ადგილას ცეცხლმოდებული პირღია ნახვრეტი-ღა დარჩა, საიდანაც ოხვრა-კვნესით მოცოცავენ სიკვდილს გადარჩენილი, მაგრამ მძიმედ დაჭრილი ადამიანები. ვერიკო განგმირული დაეცა. ვერიკოს გვერდით იწვნენ მისი ერთგული თანაშემწენი — დეიდა დაშა, მებუფეტე ტოსია და დამლაგებელი ფროსია. მხოლოდ ახალგაზრდა ვარია გადარჩენილიყო ცოცხალი, მაგრამ ისიც მხარში მძიმედ დაჭრილი. მიუხედავად საშინელი ტკივილებისა, ის თავს ძალას ატანდა და განაგრძობდა დახმარების აღმოჩენას სიცოცხლეშერჩენილი დაჭრილებისათვის.

ზღვის წყალი ხმაურით იჭრება ნახვრეტებში, ავსებს კაიუტებს, დერეფნებს, სამსახურებრივ სადგომებს და ფართო ნაკადად ქვევით მიედინება.. „სიბირიაკი" საგრძნობლად გადაიხარა მარცხენა ფერდზე.

კაპიტანმა ოდიშელმა სცადა მანქანის ტელეგრაფის სახელურის გადაწევა. სახელური უჩვეულო სიმსუბუქით ამოძრავდა. ზარი არ დარაწკუნდა. კავშირგაბმულობა გაწყვეტილიყო. ოდიშელმა ხელი წაავლო მანქანის ტელეფონს — ტელეფონი არ მოქმედებდა.

— ბოჩკარენკო, გესმის ჩემი ხმა? — ჩასძახა ოდიშელმა სალაპარაკო მილში.

— ანატოლი ალექსის-ძევ, მანქანა წყლით ივსება. ქვაბები ჩამქრალია, ბრძანებას ველი!

ოდიშელმა კვლავ ჩასძახა სალაპარაკო მილში:

— ხალხი გამოიყვანე. გააღე კინგსტონები. თვითონ გამოდი, შეუდგებით...

კაპიტანმა ოდიშელმა ვერც კი მოასწრო სიტყვის დამთავრება, რომ გაისმა შრაპნელის მორიგი გასკდომის გრიალი. შრაპნელის ნამსხვრევები მას მუცელში შეესო და მარცხენა ხელის სხივის ძვალი დაუჩეჩქვა. ოდიშელი უგრძნობლად დაეცა მანქანის ტელეგრაფის ახლო, რომლის სახელური ამ ცოტა ხნის წინათ ხელში ეჭირა და ცდილობდა, უსიცოცხლო მანქანა გაეცოცხლებინა.

— უფროსი მოგვიკლეს! — სასოწარკვეთით დაიძახა მესიგნალე კოტლიარევმა და ეცა ხიდურზე გაშხლართულ ოდიშელის სხეულს. მას ბოცმანი პავლიუკოვი წამოეშველა. დაიხარა რა კაპიტნის თავთან, პავლიუკოვმა შეამჩნია, რომ მისი ბაგეები რაღაცას უხმოდ ჩურჩულებდნენ.

— ცოცხალია, ცოცხალი! — წამოიძახა გახარებულმა ბოცმანმა, — მოდი, კოტლიარევ, გადავარჩინოთ უფროსი!

ბოცმანმა პავლიუკოვმა და მესიგნალე კოტლიარევმა ფრთხილად ასწიეს კაპიტანის უსიცოცხლო სხეული და დაეშვნენ კიბეზე, რომლის ქვედა საფეხურები უკვე იწვოდა.

„სიბირიაკი" კიდევ უფრო გადაიზნიქა მარცხნივ. სამანქანო განყოფილებიდან საჩქაროდ ამორბოდნენ მორიგი მექანიკოსები, მემანქანეები, ცეცხლფარეშები. ბოჩკარენკოს მეთაურობით ისინი მთელი ბრძოლის განმავლობაში ზუსტად და მშვიდად ასრულებდნენ თავიანთ საქმეს და უკანასკნელ წუთამდე ყოველ ღონეს ხმარობდნენ, სიცოცხლე არ ჩამქრალიყო „სიბირიაკის" ძველ მანქანაში. აღარსად ჩანდა ბოჩკარენკო, რომელიც გემის შორეულ წიაღში დარჩა, რომ კინგსტონები გაეღო.

მართვას მოკლებული და ცეცხლის ალში გახვეული „სიბირიაკი" ერთ ადგილზე ქანაობდა, ზღვის წყალი კი ნახვრეტებიდან და გაღებული კინგსტონებიდან ყრუ ხმაურით შიდა სადგომებში იჭრებოდა. „სიბირიაკის" სიცოცხლის წუთები დათვლილი იყო.

რადისტმა ანატოლი შირიაევმა, რომელიც სასწაულით გადარჩენილიყო, უკანასკნელ წუთს მოასწრო დიკსონისათვის ტრაგიკული რადიოგრამის გადაცემა: — ვიწვით, რამდენიმე წუთში „სიბირიაკი" ჩაიძირება... — ამასთან მას არ დაავიწყდა რადიოდავთარში სწორად აღენიშნა დრო: „15 საათი და 05 წუთი". ის გამოძვრა რადიოჯიხურის ნანგრევებიდან და თან ფრთხილად ამოიღო რადიოჟურნალი დაბამბული ქურქის ქვეშ.

„ადმირალმა შეერმა" შეწყვიტა ჭურვების დაშენა. გადარჩენილმა მეზღვაურებმა და მგზავრებმა თავი მოიყარეს გემის შუა ადგილას, რომელიც თითქოს

შებრალებია ცეცხლის ენებს და გადარჩენილიყო. უფროსობა აიღო პოლიტთანაშემწე ელიზაროვმა, რომელიც მთელი ბრძოლის განმავლობაში ყველაზე მეტ საშიშ ადგილებზე იმყოფებოდა და ხელმძღვანელობას უწევდა გმირულ ბრძოლას მშობლიური გემისათვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად. მის ბრძანების ხალათს მრავალ ადგილას ცეცხლი მოჰკიდებოდა და იკვამლებოდა. თავში მიღებული ჭრილობებიდან სისხლი ლოყებზე ნელ-ნელა ჩამოსდიოდა.

ბოცმანმა პავლიუკოვმა ელიზაროვს მოახსენა, რომ გემზე არც ერთი კარჭაპი არ არის გადარჩენილი. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ყოფილიყო მიღებული, მცირედი დაგვიანებაც კი ერთი მუჭა მეზღვაურებს დაღუპვით ემუქრებოდა.

— გადაყარეთ ზღვაში მარჯვენა ფერდიდან მორები და ფიცრები... აკრიფეთ კორპის სარტყლები... ცურვით გავსწიოთ ბელუხასაკენ! — გაბედულად წარმოთქვა პოლიტთანაშემწემ და პირველმა წაავლო ხელი მის ახლო მდებარე მორს.

გემის ფერდიდან ზღვაში გადაცვივდა მორები, ფიცრები ხომალდის ხის ნაგებობათა ნამსხვრევები. უეცრად ზემოდან სასოწარკვეთილი ყვირილი მოისმა:

— შეჩერდით, შეჩერდით!..

მეზღვაურებმა იქით მიიხედეს. მარჯვენა ფერდზე ნამსხვრევების გროვაში გზას იკაფავდა რადისტი შირიაევი.

— შეჩერდით, ამხანაგებო... იქ ერთი კარჭაპია გადარჩენილი... ფერდები დამტვრეული აქვს, მაგრამ საჰაერო ავზები მთელია... მე თვითონ შევამოწმე... — სულმოუთქმელად ეძახდა მეზღვაურებს.

მეზღვაურებმა სწრაფად გაიკაფეს გზა საკარჭაპო გემბანისაკენ. ნამსხვრევებს შორის მათ იპოვეს ნახევრად დალეწილი კარჭაპი. დაჭრილმა და დასახიჩრებულმა ადამიანებმა დასძლიეს საშინელი ტკივილები და ეს კარჭაპი მარჯვენა ფერდიდან ზღვაში ჩაუშვეს. საჰაერო ავზები მართლაც დაუზიანებელი აღმოჩნდა და, თუმცა ფერდები დაზიანებული იყო და წყალი საჯდომებამდე აღწევდა, კარჭაპს მაინც შეეძლო ზღვის ზედაპირზე ცურვა.

— ჩაუშვით კარჭაპში კაპიტანი და სხვა მძიმედ დაჭრილები. კარჭაპს ცურვით გაჰყვებიან მის ფერდებზე ხელებჩაკიდებული ბოცმანი პავლიუკოვი, რადისტი შირიაევი, მეცეცხლური ვარნავინი და მესიგნალე კოტლიარევი... ბოცმანო, არ დაგავიწყდეს, თან წაიღო მედიკამენტები და ორცხობილი... ცული, დანა... თუ შეძლებთ — შაშხანაც კი ვაზნებით. — გასცა ბრძანება პოლიტთანაშემწე ელიზაროვმა.

მეზღვაურთა ჯგუფი ბოცმან პავლიუკოვის მეთაურობით სწრაფად და ენერგიულად ამოქმედდა. ორი წუთის შემდეგ ელიზაროვის განკარგულება ზუსტად იქნა შესრულებული.

„სიბირიაკი“ სახიფათოდ გადაიზნიქა. აშკარა იყო, რომ კიდევ ერთი-ორი წუთი და გემი ზღვის უფსკრულში შთაინთქებოდა.

— აუშვით კარჭაპი! — გასცა განკარგულება მაღლა მოქცეულ გემის მარჯვენა ფერდობზე მდგარმა ელიზაროვმა.

— მოუსვით ფიცრებითა და ხელებით! — დაიძახა პავლიუკოვმა და კარჭაპი ნელ-ნელა განშორდა გემს.

კიდევ ერთ წუთს თვალებით გააცილა ელიზაროვმა გემიდან მიმავალი კარჭაპი და შემდეგ მიუბრუნდა დარჩენილ მეზღვაურებს, რომლებიც მის გარშემო მჭიდროდ შემორკალულიყვნენ.

— ამხანაგებო! ყველანი ერთად კარჭაპზე ვერ დავეტეოდით. მაგრამ ჩვენი სიცოცხლე სამშობლოსათვის კიდევ საჭირო იქნება. ჩვენ თავი უნდა გადავირჩინოთ მორებით, ფიცრებით, და ნაშენების ნამსხვრევებით. მე პირველი მოგცემთ მაგალითს. მშვიდობით, ამხანაგებო!

ელიზაროვი მოსწყდა გემის ფერდს და გადახტა ბენზინის ცეცხლისაგან თავისუფალ ზღვის სივრცეში. პოლიტთანაშემწესთან ერთად ზღვის ცივ ტალღებს მისცეს თავი სხვებმაც.

დასაღუპავად განწირულ „სიბირიაკს“ მოცილებული ნახევრად ჩაძირული კარჭაპი ძლივძლივობით მიიწევდა წინ. წყლის ზედაპირზე მცურავი ცეცხლმოდებული ბენზინი უკვე უახლოვდებოდა მას და ცეცხლოვან რკალად შემორტყმით ემუქრებოდა.

— მარდად, მარდად, ძმებო!.. — ყვიროდა უფროსი თანაშემწე სუდაკოვი და მთელი ძალ-ღონით აწვებოდა ფიცრის ნატეხს, რომელიც მას ნიჩბის მაგივრობას უწევდა. მაგრამ დაჩქარების შეძახილი ზედმეტი იყო. ყველას კარგად ესმოდა, რომ ოდნავი დაგვიანებაც კი შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო. საცაა მოხუცი „სიბირიაკი“ ჩაიძირება და სწრაფი მორევი, რომელიც მისი დაღუპვის ადგილზე შეიქმნება, უფსკრულში ჩაითრევს ყოველივეს, რაც კი მის ახლო წყლის ზედაპირზე აღმოჩნდება.

— ამხანაგებო!.. ჩვენი პოლიტთანაშემწე სადღაა? — აღელვებით წამოიძახა სოლომბალელმა ვარნავინმა.

რადისტი შირიაევი შეხტა კარჭაპის საჯდომზე და დაკვირვებით დაუწყო წყლის ზედაპირს თვალიერება. მაგრამ უშედეგოდ! ამ მოკლე დროის განმავლობაში „სიბირიაკი“ მდინარებას თითქმის 90 გრადუსით შემოებრუნებინა. სივრცეში კარჭაპსა და განწირულ გემს შორის წყლის ზედაპირზე არც ერთი ადამიანი არ მოჩანდა.

წყლის მდინარებითა და მსუბუქი ქარით წაბიძგებული ცეცხლოვანი ბენზინის ფართო ზოლი ისევ მიიწევდა ნელ-ნელა მიმცოცავი კარჭაპისაკენ და მრისხანედ ემუქრებოდა მას.

კარჭაპის ცხვირზე მჯდომმა უფროსმა თანაშემწე სუდაკოვმა სწრაფად დათვალა კარჭაპში მყოფნი. სულ ცამეტი კაცი იყო. ორი მათგანი მძიმედ დაჭრილია და უგრძნობლად წვანან. გადარჩებიან კი? მაგრამ სხვებიც ხომ დაჭრილნი, დაშავებულნი და დამწვარნი არიან. მხოლოდ გაუტეხელ ნებას შეეძლო ფეხზე დაეყენებინა ეს თავგანწირული ადამიანები. ისინი უკანასკნელ ძალას იკრებდნენ და, მეგობრულად შეხმატკბილებულნი, ვისაც კი რით შეეძლო, ეწეოდნენ კარჭაპს ქვიან კუნძულ ბელუხასაკენ.

უფროსმა თანაშემწემ ნაღვლიანად ამოიოხრა და თვალები „სიბირიაკს“ მიაპყრო. გემი მარცხენა ფერდზე გადაწოლილიყო და სწრაფად ეშვებოდა ზღვის უფსკრულში. ყველაზე ბოლოს წყალში დაიმალა წითელვარსკვლავიანი ალამი. მტრის ჭურვების ნამსხვრევებისაგან მრავალ ადგილას გახვრეტილი საბჭოთა ალამი გემის ჩაძირვამდე მის თავზე ამაყად ფრიალებდა და მტერს არ ეღირსა, ჩამოშვებული დაენახა ის.

— იღუპება!.. — ნაღვლიანად თქვა სუდაკოვმა და ყველა მიხვდა, თუ რას შეეხებოდა მისი ეს სიტყვა. თერთმეტი წყვილი თვალი მიაჩერდა შორს აჩუხჩუხებულ ზღვის ზოლს, რომელიც „სიბირიაკის“ ჩაძირვის ადგილს აღნიშნავდა. მეზღვაურთა მკაცრ, ნოქანცულ და დასახიჩრებულ სახეებზე მამაკაცის ძუნწმა ცრემლებმა ნელ-ნელა იწყო დენა.

თითქოს მსხვერპლს უთვალთვალებსო, ჰორიზონტზე მოჩანდა „ადმირალ შეერის“ ძერასავით შავი უძრავი სილუეტი.

— ბოცმანო! — დაარღვია საერთო სიჩუმე სუდაკოვმა, — იქით დაიჭირე, — და ხელით უჩვენა ყინულის ვეებერთელა ხორგაზე, რომელიც კარჭაპის მიმართულებით მოცურავდა. ეს იყო აისბერგის სწორედ ის ნამსხვრევი, რომლის გამოჩენამაც დილით ის ისე გაახარა.

ჩუმად, მაგრამ შეუპოვრად მიიწევდა კარჭაპი მცურავი ყინულისაკენ. უფროსმა თანაშემწე სუდაკოვმა ბრძანება გასცა, აეკრიფათ წყალზე მოტივტივე საგნები დაღუპული გემისა. აი აკრიფეს სასმელი წყლით სავსე ორი ანკერი, რამდენიმე დარჩილული თუნუქის კოლოფი სურსათის პოლარული საავარიო მარაგით, ტყავის საძინებელი ტომარი, ბრეზენტის ტომარი რაღაც ნივთებით სავსე.

დაბოლოს კარჭაპმა მიაღწია ყინულს.

— ბიჭებო, ფაშისტმა ვერ დაინახა ჩვენი კარჭაპი! ახლა ჩვენი ამოცანაა, ყინულს ამოფარებულებმა როგორმე ბელუხამდე მივაღწიოთ. ბოცმანო! გეზი აიღე კუნძულისაკენ!.. — ამხნევებდა სუდაკოვი არაქათგამოცლილ ადამიანებს.

— თვალ-ყური გეჭიროს კაპიტანზე, ამხანაგო უფროსო თანაშემწევ, — დაუძახა მას მეცეცხლურმა ვარნავინმა, რომელიც კარჭაპის ფერდს ხელჩაკიდებული ცივ წყალში მიცურავდა.

კაპიტანი ოდიშელი უძრავად იწვა. სასწრაფოდ შეხვეულ ჭრილობებზე ბანდი სისხლისა და ზღვის წყლის შხეფებისაგან დასველებულიყო. სუდაკოვი დიდხანს უცქერდა მას სახეში შეშინებული თვალებით, შემდეგ მაჯა გაუსინჯა. იჭვნეულად გააქნია თავი და წყნარად ჩაილაპარაკა:

— ჯერჯერობით ცოცხალია... მაგრამ გადარჩება კი?

კარჭაპი ნელა მიიწევდა წინ ყინულის გასწვრივ. ადამიანები ძალას იკრებდნენ, რათა როგორმე ბელუხამდე მიეღწიათ.

ბოლოს ყინული გვერდით გაცურდა და კარჭაპი მარტო დარჩა წყლის ზედაპირზე. კუნძულამდე ორასი-სამასიოდე მეტრო-ღა დარჩენილიყო, მაგრამ უფროსმა თანაშემწემ კარგად იცოდა, რომ ეს მანძილი ყველაზე ძნელი იქნებოდა. ამ ძალაგამოლეულ და დასახიჩრებულ ადამიანებს მშვიდობით უნდა მიეღწიათ პირქუშ კლდოვან კუნძულამდე, რომლის ნაპირებს ზვირთები დიდი ხმაურით ეხეთქებოდა, და არა მარტო თვითონ გადასულიყვნენ ნაპირზე, არამედ დიდი სიფრთხილით გადაეყვანათ მძიმედ დაჭრილი და ჯერ კიდევ უგრძნობლად მყოფი თავიანთი უფროსი. ეს კი მეტად ძნელი საქმე იყო.

როგორც კი კარჭაპი ღია წყალზე გავიდა, სუდაკოვმა ამღვრეული თვალებით იმ მხარისაკენ გაიხედა, სადაც „ადმირალი შეერის“ შორეული სილუეტი მოჩანდა.

უფროსი თანაშემწის გამჭრიახმა მეზღვაურულმა თვალმა შეამჩნია, რომ ფაშისტთა კრეისერი სწრაფი სვლით მისრიალებდა აღმოსავლეთისაკენ.

„ვერ შეგვამჩნია! ქარავანის კვალი დაკარგა, ახლა ვილკიცკის სრუტისაკენ მიექანება. ვერ დაეწევი, ეშმაკის კერძო!“ — გაუელვა თავში უფროს თანაშემწეს. იგი გასწორდა, დააწვა ფიცრის ნატეხს, რომელსაც ნიჩბის მაგივრად ხმარობდა, და მხნედ დაიყვირა:

— აბა, ბიჭებო, მხიარულად! ცოტაც კიდევ მოიკრიბეთ ძალა და სულ მალე ნაპირზე ვიქნებით!

აგერ მხსნელი კუნძულიც. მენიჩბეებმა უკიდურესი გამძაფრებით მოუსვეს ნაპირისაკენ და, ის იყო კარჭაპი ცხვირით სანაპირო ქვებს უნდა დასჯახებოდა, რომ ამ დროს იგი უეცრად ზღვის მდინარებამ მოიტაცა და კუნძულიდან შორს გასტყორცნა. სუდაკოვმა ლაზათიანად შეიგინა, რამაც მენიჩბეთა გასავათებულ სახეებზე ულიმლამო ღიმილის კვალი გაავლო: მათ მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც უფროს თანაშემწესთან ერთად მსახურობდნენ გემზე, პირველად გაიგეს, რომ არის თურმე წუთები, როდესაც სუდაკოვიც კი გაიხსენებს ხოლმე მეზღვაურის „მაგარ“ სიტყვებს.

— ფაშისტების წინაშე არ შემკრთალხართ, ბიჭებო, და ნუთუ აქ დავყრით ფარ-ხმალს? მოუსვით კბილებით, თუ ხელები არ გემორჩილებათ! — შესძახა სუდაკოვმა. ყველასათვის ნათელი იყო, რომ კბილებით აქ ვერას გახდებოდნენ, მაგრამ უფროსი თანაშემწის ამ მოულოდნელმა წინადადებამ თითქოს ყველას ახალი ძალა შემატაო. და მერე საიდან გაჩნდა ეს ძალა?! მენიჩბეებმა კბილი კბილს დააჭირეს და მაგრად დააწვნენ ძელისა თუ სხვადასხვა ნივთის ნამსხვრევებს, რომელთაც ისინი ნიჩბების მაგივრად იყენებდნენ. კარჭაპის ფერდის გადაღმა მოცურავე რამდენიმე კაცი სიცივისაგან ისე გაშეშებულიყო, რომ, გეგონებოდათ, საცაა წყალში ჩაიძირებიანო. მაგრამ მათაც უსაზღვროდ დაჭიმეს თავიანთი ძარღვები, ჩასჭიდეს ხელი ნავის გვერდებს და რაღაც სასწაულით არ ჩაიძირნენ წყალში. ბოლოს, თითქოს შეიბრალაო ეს სიცოცხლისათვის მებრძოლი სასომიხდილი ადამიანები, ზღვამ თავის აზვირთებულ ტალღებში მოაქცია კარჭაპი და დიდი ხმაურით ნაპირზე გარიყა იგი.

— გაიტანეთ კარჭაპი ნაპირიდან, რაც შეიძლება მეტ მანძილზე! — ჩახლეჩილი ხმით გასცა ბრძანება სუდაკოვმა და ბეჭით პირველი მიაწვა კარჭაპს. დასახიჩრებულმა, არაქათგამოცლილმა, დასისხლიანებულმა ადამიანებმა ერთხელ კიდევ მოიკრიბეს ძალ-ღონე. მათ დიდი ვაი-ვაგლახით გააჩოჩეს კარჭაპი ნაპირიდან სულ რაღაც ათიოდე მეტრზე და მკვდრებივით დაეყარნენ ქვებით მოფენილ მიწაზე.

არავინ იცის, რამდენხანს იყვნენ ისინი ასე გათოშილნი მიწაზე. პირველად ამ მდგომარეობიდან გამოერკვნენ უფროსი თანაშემწე სუდაკოვი და სოლომბანელი ვარნავინი.

— აბა, ვანია, ახლა ჩვენ უნდა მოვეწყოთ ამ კუნძულზე და ვიცადოთ. ჩვენები უსათუოდ მოგვნახავენ. მაშასადამე, ჩვენი ამოცანაა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, გავძლოთ მათ მოსვლამდე! — მიმართა უფროსმა თანაშემწემ ვარნავინს.

— მართალი ხართ, ამხანაგო უფროსო თანაშემწევ, ჩვენ გადასარჩენად უსათუოდ მოვლენ! — დაუმოწმა მის ნათქვამში ღრმად დარწმუნებულმა ვარნავინმა.

პატარა კუნძულის ყველაზე მაღალ წერტილზე მოთავსებული იყო ხის პირამიდი, რომელიც მშვიდობიან დროს აქეთ მომავალი გემებისათვის გამოსაცნობ ნიშანს წარმოადგენდა. გადაწყდა, ამ პირამიდის მახლობლად გაეშალათ ბანაკი.

რამდენიმე საათის განმავლობაში მთელი გადარჩენილი ქონება პირამიდთან მოზიდეს. იქვე საწოლი ტომრებისა და ბრეზენტის ნახევებისაგან გამართეს სახელდახელო კარავი, რომელშიც მძიმედ დაჭრილი კაპიტანი ოდიშელი მოათავსეს.

ზღვის ზვირთებმა ნაპირზე გამორიყეს ხის ნამსხვრევების დიდი რაოდენობა დაღუპული გემ „სიბირიაკიდან“. ამ ნამსხვრევებში აღმოჩნდა მთელი ფიცრე-

ბიც, რომლებიც შეიძლებოდა კარავის ასაშენებლად ყოფილიყო გამოყენებული. მეცეცხლური ვარნავინი, როგორც ჭეშმარიტი სოლომბანელი, კარგი დურგალი აღმოჩნდა. მან დაუსვენებლად რამდენიმე საათი იმუშავა და სალამოზე პირამიდის ახლოს უკვე აღმართული იყო საკმაოდ მკვიდრი კარავი, რომელშიაც თავისუფლად შეეძლო მოთავსებულიყო გადარჩენილ მეზღვაურთა მთელი ჯგუფი.

— აბა, ახლა კი, ბიჭებო, მოზიდეთ ხის ნამტვრევები და ცეცხლი გავაჩაღოთ! — უბრძანა სუდაკოვმა, როდესაც დროებითი საცხოვრებელი ბინის მოწყობა უკვე მოთავებული იყო. შეშისათვის ზრუნვა საჭირო აღარ იყო. ზღვამ ნაპირზე მრავალი ხის ნატეხი გამორიყა. სალამოს კარვის წინ ვეებერთელა კოცონი გიზგიზებდა. ცეცხლს ხარბად ეფიცხებოდნენ მეზღვაურები, რომელთაც სიცივე ძვალსა და რბილში გასჯდომოდათ.

ახლა მათ წინაშე ორი მძიმე ამოცანა იდგა. ჯერ ერთი, სასურსათო მარაგი მეტად ცოტა იყო, და ის შეიძლებოდა მხოლოდ სამი-ოთხი დღე ჰყოფნოდათ. შემდეგ კი? აი ეს საშიში კითხვა ყველას აღელვებდა და ყველანი ფიქრს მისცემოდნენ.

როგორ გადაერჩინათ კაპიტანი ოდიშელი და მემანქანე ოვსიანიკოვი? თითქმის არავითარი მედიკამენტი მათ არ მოეპოვებოდათ. იყო მხოლოდ ერთი იმედი — მეზღვაურთა მაგარი ორგანიზმი როგორმე გაუძლებს, ვიდრე დახმარებას მიაწვდიდნენ.

თითქოს ცეცხლს მიმსხდარ მეზღვაურთა ამ მძიმე ფიქრების პასუხიაო, კარვიდან წყნარი კვნესა მოისმა. სუდაკოვი ფეხზე წამოიჭრა და იმ კუთხისაკენ გაიქცა, სადაც ორი მძიმედ დაჭრილი ადამიანი იწვა. სუდაკოვი დაიხარა და ცდილობდა გაეგო — რომელი მათგანი იძლეოდა გაღვიძებული სიცოცხლის ნიშანწყალს. კარავში ისევ გაისმა წყნარი კვნესა.

„ეს ჩვენი კაპიტანია!..“ ელვასავით გაურბინა თავში სუდაკოვს და ცეცხლიდან გამომკრთალ ოდნავ მბჟუტავ სინათლეზე დაინახა, რომ კაპიტანის ტუჩები ნელა მოძრაობდნენ და თავს ძალას ატანდა რაღაცა ეთქვა.

— ანატოლი ალექსის-ძევ!.. ეს მე ვარ, სუდაკოვი, — წყნარად, მაგრამ გარკვევით თქვა უფროსმა თანაშემწემ.

— წყალი... — ოდნავ გასაგონი ხმით წამოიკვნესა ოდიშელმა.

— წყლის დალევა არ შეიძლება... ახლავე ტუჩებზე სველ მარლას დაგადებ... ცოტა მოითმინე, — ალერსიანად უთხრა სუდაკოვმა და მარლის მოსამზადებლად გაიქცა.

ერთი წუთის შემდეგ ოდიშელმა დაწყნარებულად დაიწყო სუნთქვა.

— „სიბირიაკი“?.. — ძლივს წაილუღლუღა მან.

— ბოლომდე იბრძოდა!.. ის უკვე აღარ არის... კარსკის ზღვის ფსკერზე განისვენებს, — ნაღვლიანად უთხრა სუდაკოვმა, რომელიც თვალებზე მომდგარ ცრემლს ძლივს იკავებდა

— ფაშისტი?.. — საკმაოდ მკაფიოდ წარმოთქვა და მძიმედ ამოიოხრა ოდიშელმა.

— აღმოსავლეთით გაეშურა... ვილკიცკის სრუტისაკენ. მაგრამ ჭარავანმა სრუტე უკვე განვლო და ის ახლა ლაპტევების ზღვაშია. მსხვერპლი ცხვირწინ გაუძვრა ბანდიტს! — წამოიძახა სუდაკოვმა და კოცონისაგან აელვებულ შუქზე დაინახა, რომ ოდიშელს სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა.

— „სიბირიაკმა“ თავისი მოვალეობა პატიოსნად შეასრულა... ახლა კი მოუარე მათ, ვინც გადარჩა... — წამოთქვა ოდიშელმა და თვალები დახუჭა.

— ყველაფერს გავაკეთებთ, ანატოლი. დაზოგე შენი ძალა, ნუ ილაპარაკებ. ხვალ დახმარება მოვა.

სუდაკოვი კარავიდან გავიდა და ვარნავინი თითით თავისკენ გაიხმო. მხნე სოლომბალელს ყველაზე ყოჩაღად ეჭირა თავი და უფროს თანაშემწის ყველა ბრძანებას ხალისით ასრულებდა.

— გამიგონე, ვანია, ჩვენი ოვსიანიკოვი, მგონი, ცუდადაა! მე ის კარგად არ გამისინჯავს. არ მინდოდა კაპიტანი ზედმეტად შემეწუხებინა. შენ როგორმე გამონახავ დროს, — დაიწყო სუდაკოვმა.

— გასაგებია, ამხანაგო უფროსო თანაშემწევ, ყოველივე შესრულებულ იქნება, — უპასუხა ვარნავინმა. მისი ხმის კილომ და ტანის ბრგე მოყვანილობამ მართლაც დაარწმუნა სუდაკოვი, რომ ყოველივე ნამდვილად ისე გაკეთდებოდა, როგორც საჭირო იყო.

ვარნავინი კარავში წყნარად შესრიალდა, ხოლო უფროსი თანაშემწე ცეცხლთან მიმჯდარ მეზღვაურებს შეუერთდა.

— მოდით, ამხანაგებო, განვსაჯოთ ჩვენი საქმეები და შევიმუშაოთ კუნძულზე ცხოვრების წესები, — მიმართა მეზღვაურებს სუდაკოვმა. თათბირი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და გვიან ღამით დამთავრდა. ყველა, მორიგე გუშაგს გარდა, კარავში დასაძინებლად მოეწყო და მოუსვენარ ძილს მიეცა.

ჭრილობებმა, ამასთან ნერვებისა და ფიზიკური ძალის უკიდურესმა დაძაბვამ ადამიანები სავსებით მოქანცეს. მეორე დღეს სიცოცხლე ბანაკში ძალიან გვიან დაიწყო. ენით გამოუთქმელი აღტაცება მოედო მთელ ბანაკს, როდესაც გამოირკვა, რომ ვარნავინს ჯერ კიდევ ადრე დილით, როცა ყველას ეძინა, რკინის რაღაც წნელებისაგან ანკესები გაეკეთებინა და უკვე მოესწრო თევზის საკმაო რაოდენობით დაჭერა. ყველას გამოცოცხლება ეტყობოდა. დარწმუნებული იყვნენ, რომ ხსნა ახლოა. მხოლოდ კაპიტან ოდიშელისა და მემანქანე ოვსიანიკოვის მძიმე მდგომარეობა აწუხებდათ.

უფროსი თანაშემწის ბრძანებით ხის პირამიდის წვეროზე გამოჰკიდეს რამდენიმე წყვილი საცვალი და ამას გარდა კოცონს განუწყვეტლივ სათბობს უმატებდნენ. სუდაკოვს იმედი ჰქონდა, რომ თეთრი ტილოები და შავი კვამლი უთუოდ მიიქცევდნენ იმ თვითმფრინავებისა და გემების ყურადღებას, რომლებიც, — ამაში ის მტკიცედ იყო დარწმუნებული, — საძებნელად და დასახსნელად უკვე წამოსული იყვნენ.

დრო ნელა გადიოდა. მრავალი თვალი კუნძულიდან ზღვას გასცქეროდა და ჰაერს მოუთმენლად ზვერავდა, მაგრამ მოწმენდილ ცასა და ზანტად მოშხაპუნე ზღვაზე არავითარი კვალი არ მოჩანდა იმ დახმარებისა, რომელსაც ისინი ასე მოუთმენლად მოელოდნენ.

საღამოს მათი განწყობილება საგრძნობლად შეიცვალა.

— არაფერია... დღეს არა, ხვალ იქნება დახმარება! მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს: რა ვუყოთ მძიმედ დაჭრილებს? — დარდიანი კილოთი ჩუმად უთხრა ვარნავინმა უფროს თანაშემწეს და თან ცდილობდა, ამხანაგებს მისი გუნების შეცვლა არ შეემჩნიათ.

— რა უბედურებაა, ვანია. დაიღუპებიან ჩვენი კაპიტანი და ოვსიანიკოვი! — ასევე ჩუმად უპასუხა სუდაკოვმა, — ჩვენ გავძლებთ, ისინი კი?.. ექიმი რომ გვყავდეს, კიდევ სხვა ამბავია... ოჰ, ვერიკო, ჩემი საბრალო ვერიკო! — მძიმედ ამოიოხრა მან მოკისკისე ექიმი ქალიშვილის მოგონებაზე.

დიდხანს საუბრობდნენ ჩურჩულით უფროსი თანაშემწე და მეცეცხლური.

მეცეცხლური ვარნავინი წარმოშობით მამაც რუს მედგარ ზღვისპირელთა გვარს ეკუთვნოდა, იმ ზღვისპირელთა გვარს, რომლებიც შთამომავლობით საუკუნოებრივ ბრძოლას აწარმოებდნენ ჩრდილოეთის სუსხიან ბუნებასთან და ამ ბრძოლაში არასოდეს ქედი არ მოუხრიათ, და ახლაც ის მზად იყო ისე ებრძოლა კლდოვანი კუნძულის თვითეული მობინადრის გადასარჩენად, როგორც საკუთარი სიცოცხლისათვის.

მეორე დღეს დილით, გამოვიდა თუ არა კარავიდან, სუდაკოვმა შენიშნა რადისტი შირიაევი, რომელიც ქაღალდის რაღაც ფურცლებს ქვებზე დიდი სიფრთხილით ალაგებდა.

— შენ, ეი, რას ჯადოქრობ მანდ, შირიაევ? — ღიმილით შეეკითხა უფროსი თანაშემწე.

— რადიოდავთრის ფურცლებს ვაშრობ, ამხანაგო უფროსო თანაშემწევ... ბევრი ვეცადე, დავთარი წყლისაგან გადამერჩინა, მაგრამ არა გამოვიდა-რა! ჩემთან ერთად მასაც მოუხდა კარსკის ცივ წყალში ტანის დაბანა. ფურცლები დაიშალა. მაგრამ არაფერია, ჩანაწერები ზოგან თუმცა ცოტათი წაიშალა, მაგრამ წაკითხვა მაინც შეიძლება. მივაღწევთ დიდ მიწას და სამმართველოს გადავცემ, — ღიმილით უპასუხა რადისტმა.

— ცუდი არ იქნებოდა... — დაიწყო სუდაკოვმა.

— დიაღ, ამხანაგო უფროსო თანაშემწევ! უკვე ვაწარმოებ ამ პატარა კუნძულზე ჩვენი თავგადასავლის ჩაწერასაც. — უპასუხა შორიაევმა.

— მერე და რითი წერ?

— ჯიბეში ფანქრის ნატეხი ჩამრჩენია, ამხანაგო უფროსო თანაშემწევ.

— დროს კი როგორ ანგარიშობ?

— პირამიდის ჩრდილის მიხედვით, ამხანაგო უფროსო თანაშემწევ.

სუდაკოვმა ხმამაღლა გაიცინა და შემდეგ აღტაცებით უთხრა:

— ყოჩაღ, შირიაევ! ვერც ფაშისტურმა ჭურვებმა და ვერც ამ პატარა კუნძულზე მოსალოდნელმა შიმშილით სიკვდილმა შენ გონება ვერ აგიბნია, — შემდეგ კი სერიოზულად დაუმატა: — თუ ვინიცობაა, ჩვენ ამ კუნძულიდან ცოცხლები ვერ გავედით, ეს დავთარი მაინც უამბობს დიდ მიწას, რომ ჩვენ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ჩვენი მოვალეობისათვის არ გვიღალატია!

— უსათუოდ გავალთ ცოცხლები, ამხანაგო უფროსო თანაშემწევ! უსათუოდ გავალთ და მე საკუთარი ხელით ჩავაბარებ ამ დავთარს სამმართველოში, — დაჯერებული ადამიანის კილოთი თქვა შირიაევმა.

თითქოს შირიაევის სიტყვებს ადასტურებსო. პირამიდის წვერიდან გაისმა მორიგე მესიგნალის ძახილი:

— სამხრეთ-დასავლეთიდან თვითმფრინავი გამოჩნდა!

ყველა პირამიდის ახლო შეჯგუფდა და თვალები მოწმენდილ ცას მიაჭდო. ძლიერ შორს, ჰორიზონტს ზემოთ, ცაში მოჩანდა შავი წერტილი, რომლის დაჭერა მხოლოდ მეზღვაურის მახვილ თვალს თუ შეეძლო.

— მოუმატეთ ცეცხლს! კვამლი მეტი ავიდეს! — უბრძანა სუდაკოვმა.

ერთი წუთის შემდეგ კოცონიდან ავარდა სქელი კვამლი, რომელიც უქარო ჰაერში კუნძულის თავზე ვეებერთელა კოშკად აღიმართა.

პატარა წერტილი უკვე გაიზარდა და ნათლად დასანახი შეიქნა. გავიდა სულისშემხუთველი რამდენიმე წუთიც, და უკვე ეჭვს აღარ იწვევდა, რომ ეს იყო თვითმფრინავი, რომელსაც გეზი სწორედ ბელუხასაკენ ჰქონდა აღებული.

— ჩვენია თუ სხვისი? — ახლა მარტოოდენ ეს კითხვა უტრიალებდა ყველას თავში.

— ვანია, მომაწოდე შაშხანა! — დაუძახა ვარნავინს სუდაკოვმა, შემდეგ მიუბრუნდა პირამიდის ახლო შეჯგუფებულ მეზღვაურებს და დაუმატა: — თუ საჭიროა, მე სროლას ავუტეხ, თქვენ კი გაიფანტეთ და ქვებს ამოეფარეთ.

აი, თვითმფრინავმა კუნძულს დიდ სიმაღლეზე გადაუარა, იწყო წრეების შემოხაზვა, მერე თანდათან ძირს ეშვებოდა.

— ჩვენია, საბჭოთა მფრინავი ნავია! — ომახიანად დაიყვირა მესიგნალემ პირამიდის კოშკურიდან. სუდაკოვმა შაშხანა ხელიდან გააგდო, მეზღვაურებისაკენ გაქანდა და გულში ჩაიკრა ისინი. ვარნავინი მსწრაფლ კარავში შევარდა:

— ჩვენი თვითმფრინავია, ამხანაგო კაპიტანო!.. ჩვენი თვითმფრინავია, ძმებო! — სულმოუთქმელად შესძახა მან კაპიტანს და ოვსიანიკოვს.

— მე დარწმუნებული ვიყავი... — ნელა წაჩურჩულა ოდიშელმა, დიდი გაჭირვებით მიიბრუნა თავი ოვსიანიკოვისაკენ და უთხრა: — გამაგრდი, ოვსიანიკოვ, ჩვენები მოვიდნენ!

თვითმფრინავმა გამაყრუებელი ხმაურით კუნძულს ისე გადაუარა, რომ, ცოტა დააკლდა, კინაღამ პირამიდის წვერს მოედო. კიდევ ერთი წრე შემოხაზა და, დააყენა რა შადრევნები თავისი ტივტივებით, ბელუხას შორი-ახლო წყლის ზედაპირზე დაეშვა.

ნაპირიდან ხედავდნენ, როგორ აიწია სარქველი მფრინავის საჯდომ ადგილს ზემოთ და როგორ გადმოძვრა თვითმფრინავის ფრთაზე ტყავის კომბინეზონიანი კაცი. როდესაც თვითმფრინავიდან წყალში რეზინის კარჭაპი ჩამოუშვეს, კუნძულზე აღფრთოვანებული ხმები გაისმა.

განვლო კიდევ გულისგამწვრილებელმა რამდენიმე წუთმა და რეზინის კარჭაპი ნაპირს მოადგა. ნაპირზე გადმოხტა შუა ტანის ჩაფსკვნილი მფრინავი.

— ჩერნიაკოვ! — წამოიძახა უფროსმა თანაშემწემ, რომელმაც მოსულში სახელმოხვეჭილი პოლარული მფრინავი შეიცნო, და მივარდა მას.

ჩერნიაკოვი და სუდაკოვი ერთმანეთს გადაეხვივნენ. შემდეგ მფრინავმა სუდაკოვს კითხვები სეტყვასავით დააყარა:

— რამდენი ხართ აქ? გყავთ თუ არა მძიმედ დაჭრილები? რამდენია მძიმედ დაჭრილი? მხოლოდ ორი? თან წავიყვანთ! თქვენ სურსათსა და მედიკამენტებს დაგიტოვებთ. ყველას წაგიყვანთ ერთ-ერთი გემთაგანი, თქვენ საძებრად რომ არის წამოსული. თქვენს კოორდინატებს გემს ახლავე რადიოთი გადავცემ.

— ქარავანი რა მდგომარეობაშია? — იკითხა სუდაკოვმა.

— მშვიდობით გავიდა ვილკიცკის სრუტეში. ჩვენმა სამეთვალყურეო საგუშაგოებმა სრუტის შესავალთან დაინახეს „ადმირალი შეერი“. მან სულ სამი-ოთხი საათით დაიგვიანა. მისი მოსვლისას სრუტე უკვე ყინულებით იყო გაჩხერილი, — უპასუხა მფრინავმა.

— მაშ ტყუილად არ უბრძოლია ჩვენს „სიბირიაკს“! უნაყოფოდ არ ჩაუვლია ჩვენი ადამიანების თავგანწირვას! — ღრმად ამოიოხრა სუდაკოვმა.

— გაბრაზებულმა იმით, რომ მიზანს ვერ მიაღწია და ჩვენი ქარავანი ხელთ ვერ იგდო, „ადმირალმა შეერმა“, ჩანს, გადაწყვიტა, სამაგიერო დიკსონისათვის მიეზღო და დღეს, სისხამ დილით, ისარგებლა რა ნისლით, მიეპარა დიკსონს... — განაგრძობდა მფრინავი.

— მერე, მერე?

— მერე რა მოხდა? — წამოიძახეს მეზღვაურებმა.

— მერე რა? გაუმასპინძლდნენ მას, როგორც საჭირო იყო! ვერ უშველა თერთმეტდიუმიანმა ქვემეხებმა. იძულებული გახდა, გუდანაბადი ამოკრა და ისევ ქურდულად გაპარულიყო, კვამლის საბურველს ამოფარებული, როგორც შემოიპარა დილის ნისლში, — გაიღიმა ჩერნიაკოვმა.

— კარგი ამბები მოგვიტანე, ამხანაგო ჩერნიაკოვ, — კმაყოფილებით წარმოთქვა სუდაკოვმა და თავის მეზღვაურებს მიმართა. — ... ახლა კი, ბიჭებო, სწრაფად მიიღეთ ტვირთი თვითმფრინავიდან!

ერთ საათსაც არ გაევლო ამის შემდეგ, რომ ოდიშელი და ოვსიანიკოვი უკვე თვითმფრინავში მოეთავსებინათ, ხოლო ბელუხის მობინადრეებს რამდენიმე ტომარა სურსათი და მედიკამენტი მიეღოთ.

— აბა, კეთილი მგზავრობა, — მიმართა სუდაკოვმა ჩერნიაკოვს. — ჩვენი დარდი ნუ გექნებათ. გავძლებთ გემის მოსვლამდე. ესინი გადაარჩინეთ ..

ჩერნიაკოვი მიხვდა, ვისზედაც ლაპარაკობდა უფროსი თანაშემწე. მან უსიტყვოდ დაუქნია თავი და ჩახტა რეზინის კარჭაპში, რომელიც მას იქვე უცდიდა.

— აბა, ახლა ყველაფერი წესრიგშია, ბიჭებო, — ხელების ფშვნეტით თქვა აღელვებულმა სუდაკოვმა. — ახლა თამბაქოს გაბოლებაც არ გვაწყენს!

ფაშისტურ კრეისერთან გმირული ბრძოლის მეხუთე დღეს კუნძულ ბელუხას თითქმის ერთდროულად მიადგა ორი ჰიდროგრაფიული გემი, რომელთაც ორიოდე დღე-ღამეში მშვიდობით მიიყვანეს დიკსონს „სიბირიაკის“ ცოცხლად გადარჩენილი მეზღვაურები.

*
* *

გავიდა წლები. ადრე გაზაფხულზე მძიმედ დატვირთული დიდი ყინულმჭრელი გემი „პოლარული მფრინავი“, რომლის კაპიტანი ოდიშელი იყო, დიკსონიდან ვილკიცკის სრუტესაკენ მიდიოდა. წინა ღამით კაპიტანმა ამაღლებელი დეპეშა მიიღო: ვილკიცკის სრუტე მძიმე ყინულებს ჩაეკეტა. საჭირო იყო დიდი სიჩქარე, რომ როგორმე მოესწრო ამ ყინულებში გაჭრა არქტიკის ფლოტის ფლაგმანის — ძლიერი ყინულმტეხის „ი. ბ. სტალინის“ დახმარებით, რომელიც სარეისო გემებს სრუტის შესავალთან უცდიდა.

„პოლარული მფრინავი“ მთელი სისწრაფით მიცურავდა ჩელუსკინის კონცხისაკენ და კვამლის კუდს უკან ლარივით აფენდა. ჯერ კიდევ ადრე იყო. არქტიკული მზე ჰორიზონტს ზემოდან დასცქეროდა, ზღვას და ცაზე მიმოფანტულ ღრუბლებს ოქროსფრად აელვარებდა. კაიუტებში მშვიდად ეძინათ მგზავრებს — ჰიდროგრაფებს, მეტეოროლოგებს, მშენებლებს, სამთო ინჟინრებს.

საკომანდო ხიდურზე მარჯვენა ფერდისაკენ დგას კაპიტანი ოდიშელი. თუმცა მძიმე ყინულები ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ კარსკის ზღვა სავსეა შარშანდელი ყინულის თეთრ-მომწვანო ფერის ნამსხვრევებით, და ამ ყინულებში სრული სისწრაფით სვლა არც ისე ადვილი საქმეა. აი ამიტომაცაა, რომ ოდიშელი ხიდურზე გათენებიდან ფეხმოუცვლელად დგას. მაგრამ გარდა ამ მიზეზისა არის კიდევ სხვა მიზეზი: „პოლარული მფრინავი“ უახლოვდება უსახელო ჯგუფს პატარა ქვიანი კუნძულებისას, რომელთაგან ერთ-ერთზე მაღალი სასიგნალო პირამიდია აღმართული.

კაპიტანი ოდიშელი ბინოკლს არ აშორებს ამ კუნძულს; სახეზე ნაღვლიანი ნაოჭები ეფინება, ხოლო მისი დიდი მუქი წაბლისფერი თვალები მწუხარებით არის აღვსებული.

ხიდურზე უფროსი თანაშემწე სუდაკოვი ამოვიდა. კაპიტან ოდიშელს ამოუდგა გვერდით.

— ბელუხაა, ანატოლი ალექსის-ძევ!..

ოდიშელმა ხმაამოუღებლივ თავი დაუქნია და შემდეგ ყრუდ წარმოთქვა:

— თხუთმეტი წუთის შემდეგ გავუსწორდებით კუნძულ ბელუხას. უბრძანეთ, რეაზე აღმართონ სიგნალი — „დიდება სამშობლოსათვის დაღუპულ გმირებს“.. დაუშვით სახელმწიფო ალამი... გუშაგობიდან თავისუფალი ეკიპაჟი გემბანზე დაეწყოს მარჯვნივ პირით ბელუხისაკენ.

— არის! — მოკლედ უპასუხა სუდაკოვმა და კიბისკენ გაემართა.

აი, დაბოლოს, გემი გაუსწორდა ბელუხას. ეკიპაჟი დგას მარჯვენა ფერდობზე და ყველას თვალები მოწმენდილ ცაზე მკაფიოდ გამოხატული სასიგნალო პირამიდისკენაა მიჩერებული. მყარდება საზეიმო სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ მთელი ძალით მომუშავე გემის მანქანის ყრუ გუგუნი არღვევს.

გაისმა კაპიტან ოდიშელის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბრძანება და ანძის წვეროსაკენ. გაემართნენ ფერადი სანიშნო ალმები, რომლებიც ცაში თრთოლვით ისროდნენ მოწოდებას: „დიდება სამშობლოსათვის დაღუპულ გმირებს!“ ნელ-ნელა დაეშვა ძირს გემის აფრიალებული სახელმწიფო ალამი, გემბანზე მდგომთ ქუდები მოიხადეს და უძრავად დადგნენ.

„პოლარულმა მფრინავმა“ სწრაფად გადასერა კარსკის ზღვა იმ ადგილას, სადაც რამდენიმე წლის წინათ ერთი მუჭა საბჭოთა ადამიანებმა თავიანთი სამშობლოს დიდების მატიანეში კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს.

კაპიტანი ოდიშელი მივიდა სანიშნო ზონართან და ფრთხილად მოქაჩა იგი. ძლიერმა ხმამ გაარღვია სიწყნარე და კარსკის ზღვის ტალღებს შორის მოედო. ყველას გული აღივსო იმ რწმენით, რომ ცივი ზღვის სიღრმეში ჩაძირული გმირები ხედავენ და ესმით, თუ როგორ წმინდად ინახავს სამშობლო მათ დაუვიწყარ ხსოვნას.

— იძინეთ, ძვირფასნო!.. თქვენ ერთგულად ემსახურეთ სამშობლოს, რომელიც არასოდეს დაივიწყებს თქვენს ნათელ ხსოვნას! — წყნარად, თითქმის ჩურჩულით, წარმოთქვა ოდიშელმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია აროსია

თებერვლის დილა

★

გულს გვინთებს ცეცხლი, ჩვენს დიდ ბელადს რომ დაუნთია, —
ზაფხულობს მარად, სიცოცხლეა, ასე რომ თბილა,
დედის თვალები დამანათა მშვიდობის დილამ
და ვთქვი ამაყად: დღეს თებერვლის ოცდახუთია!

გულს რომ ახარებს გაზაფხულის ნეტარ სიმღერად,
მოიჭრა სიო... და ეზოში პატარძალივით
შეკრთა ყინული, — მიიმალა და მოკრძალებით
ხეებზე კვირტებს აეხილა თვალი ცისფერად.

თოვლის ფიფქებიც — მთებიდან რომ გველანდებიან, —
ნათელ დღეების სიყვარულით ნელა დნებიან...

ჩონგურის სიმებს შეარხევენ ნაზი თითები,
დიდი მედროშის სიყვარული კვირტშიც რომ ღვივის.
მზე დგება ახლოს, რომ შეასხას ქება-დიდებით
უხვი ნათელი მშობლიური თვალების ღიმილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალიმ სობკო

გული

მოთხრობა

★

ამ მოთხრობას ავტორი უძღვნის
ქალაქ აისლებენის გერმანელ მუშებს.

თავი პირველი

ფოლადის მძიმე ურნალის კუტი მოწყვეტით ეცემა. გაისმის დარტყმის მოგუგუნე ხმა. დამწვარი ტანკის კოშკურა ხვეულად იბზარება.

კიდევ ორიოდე დარტყმა და კოშკურა იმსხვრევა. ნამსხვრევების ფერდები ბრწყინავენ, ძლიერი ამწე იღებს და განზე სწევს მას.

მეორე ამწეს ურნალის ქვეშ ხელახლა შეაქვს დამსხვრეული ტანკი, ზარბაზნის ნაწილი, თუჯის დეტალი ან აფეთქებისაგან მიღრეცილ-მოღრეცილი რკინიგზის რელსები და მრავალფუთიანი კუტი ისევ მძიმედ ეცემა.

რეკავს და გმინავს დამსხვრეული ლითონი.

აისბორნში შტალვერკეს ქარხნის ოთხი მილიდან დღე და ღამე ამოდის კვამლის ბოლქვი. მარტენებში დღე და ღამე დნება ფოლადი. განუწყვეტლივ გრიალებენ საგლინავი დაზგები. ომი სულ უფრო მეტ ფოლადს მოითხოვს.

საბჭოთა ყუმბარებით დამსხვრეული, ფეთქადი სითხით დამწვარი, გრანატებით აფეთქებული გერმანული ტანკები ბრუნდებიან ქალაქ აისბორნის შტალვერკეს ქარხანაში. ისინი, ურნალის ქვეშ დამსხვრეულნი, ქრებიან მარტენების მოგიზგიზე ცეცხლის ალში, რომ ისევ დაბრუნდნენ ბოლში გახვეულ რუსეთის მინდვრებზე. ყოველდღიურად მრავალ ათას ტონა ლითონის ჯართს მოითხოვს ქარხანა. ბევრ ტანკსა და ზარბაზანს მოითხოვს ომი. ბერლინიდან აჩქარებენ. დღე და ღამე წარმოებს მუშაობა, დატვირთული გრძელი ეშელონები დღე და ღამე მოიზლაზნებიან აისბორნისაკენ.

ზაფხულის ადრიან დილით მეამწე რიჰარდ გრიუნვალდი თავის დროზე გამოცხადდა სამუშაოზე. მან ისე კარგად იცოდა გზა, რომ თვალახვეულადაც კი შეეძლო გაევლო მანძილი თავის საწოლიდან სამუშაო ადგილამდე. ოცდაათი წლის განმავლობაში რიჰარდს მრავალათასჯერ მოუხდა ამ გზის გავლა.

ქარხანა აშენებული იყო ქალაქის გარეუბანში, ელბიდან ოცდაათიოდე კილომეტრზე და გრიუნვალდს დღეში ორჯერ უხდებოდა თითქმის მთელი ქალაქის გავლა.

ათას ცხრაას ორმოცდასამი წელი იყო. ზამთარში ქალაქის რატუშაზე სამგლოვიარო დროშები გამოფინეს: სტალინგრადში დაიღუპა გენერალ-ფელდმარშალ პაულიუსის მეექვსე არმია.

იმ დღეს (ეს კარგად დაამახსოვრდა რიჰარდ გრიუნვალდს) ფიურერის მთავარ სადგომიდან პირველად აღარ მოისმოდა მკვეხარა ცნობები, დიქტორებს ხმაში პირველად ემჩნეოდათ შეშფოთება, ჰიტლერელები პირველად ჩაფიქრა სამხედრო დამარცხების აუცილებლობამ. თუმცა, განადგურების აუცილებლობა ჯერ კიდევ არავის სჯეროდა, ჯერ კიდევ ახალი იყო მთელს ევროპაზე გამარჯვების მარშით გავლის შთაბეჭდილებანი. მრავალი ქვეყანა მორჩილებით უხდიდა გერმანიას მდიდარ ხარკს. ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო ჰიტლერული არმია და აქ, საქსონიის ამ პატარა ქალაქში, ვერავინ ბედავდა ხმამაღლა ლაპარაკს დამარცხების ‘ძესახებ.

მაინც ბევრი უნებურად ფიქრობდა ამაზე. შტალვერკეს დირექტორმა ყოველ შემთხვევისათვის საიდუმლოდ მაინც გადარიცხა თავისი თანხები შვეიცარიის ბანკში. თავდაცვის სათადარიგო ხაზები უკვე გაჰყავდათ ვისლასა და ნეისზე.

რიჰარდ გრიუნვალდი აუჩქარებლად მიდიოდა ქუჩაში და ფიქრობდა ფრონტიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობებზე. სადღაც კურსკისა და ორიოლის რაიონში დაიწყო დიდი ბრძოლა. იქ ბრძოლაში ჩაებნენ „ვეფხვები“. გაზეთები წერდნენ, ეს ახალი ზემძლავრი ტანკები უზრუნველყოფენ გერმანელების გამარჯვებასო, მაგრამ გრიუნვალდმა გუშინ თვითონ ჩააწყო ფოლადის ურის ქვეშ საბჭოთა ყუმბარებით დალეწილი „ვეფხვების“ ნამსხვრევები; ეტყობოდა ისინი გამარჯვებას ვერ მოუტანდნენ ჰიტლერს.

გრიუნვალდმა გაიღიმა, მაგრამ მისმა ჩამომხმარმა სახემ უცებ ჩვეულებრივი გამომეტყველება მიიღო. ლოყებზე და თვალების კუთხეებთან ნაოჭები მხოლოდ წამიერად შეირხნენ და ისევე გაიყინენ. თუ გრიუნვალდს ქუჩაში სახეზე ვინმემ შენიშნა ღიმილი, აუცილებლად მოუხდება პასუხის გაცემა კითხვებზე: რამ გაამხიარულა მუშა, იმ სიძნელემ ხომ არა, რომელსაც გერმანიის არმია განიცდის აღმოსავლეთში? გრიუნვალდს კი ადვილად შეიძლება შარი მოსდონ. მას უნდობლად უყურებენ ქარხნის უფროსები, განსაკუთრებით — გესტაპოს რწმუნებული.

ბატონმა კრუკემ იცის, რომ გრიუნვალდი კომუნისტი იყო და მონაწილეობას იღებდა როტფრონტის ადგილობრივ ორგანიზაციაში. მართალია, მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, კომუნისტური პარტია ღრმა იატაკქვეშ წავიდა და რიჰარდ გრიუნვალდიც ჩამოშორდა პოლიტიკურ მუშაობას, მაგრამ ბატონმა კრუკემ ყველაფერი იცის, მას ყველაფერი ახსოვს.

გრიუნვალდმა ქარხნის გალავანთან ჯიბიდან ამოიღო საშვი, გასასვლელ ბარათი აიღო, ავტომატურ საათიდან გასვლის დროის მაჩვენებელი გამობეჭდა და, როგორც ყოველთვის, ისე ახლაც, თავის ამწესკენ გაემართა.

ნაზავების ეზოში შეჩერება მოუხდა: გრძელმა ეშელონმა გზა გადაუღობა. ღია ბაქნები სავსე იყო თუჯის, რკინისა და ფოლადის ნამსხვრევებით. მოჩანდა დასახიჩრებული ზარბაზნები და ტანკები, თუჯის მესრები, ფარნის ბოძები.

— ეს აღმოსავლეთიდანაა, — წარმოთქვა ვიღაცამ გვერდით. რიჰარდს არც კი მიუხედავს მისკენ.

მატარებელმა ჩაიარა და გრიუნვალდი აჩქარებით გაემართა თავის ამწესკენ, მართვის კაბინაში ჩაჯდა, ბერკეტს დააჭირა და ფლადის ურნალის კუტი გრიალით დაეცა ლითონის გროვაზე. სამუშაო დღე დაიწყო. ისევ მოვიდა ჯართით დატვირთული ახალი ეშელონი. რიჰარდი, ჩვეულებრივად მართავდა რა ამწეს, ფრთხილად იღებდა ლითონის მძიმე ნაჭრებს და კუტის ქვეშ აწყობდა.

ბაქანი ზედიზედ მოდიოდა. მუშაობა სწრაფად და შეუფერხებლად მიმდინარეობდა.

ეშელონის ნახევარმა უკვე გაიარა ამწეს ქვეშ. გრიუნვალდი მორიგი ბაქნის გადმოტვირთვას ამთავრებდა, როცა უცებ ნამსხვრევებში გამოჩნდა ლითონიდან ჩამოსხმული ადამიანის ფიგურა.

ეს ისე უჩვეულო ამბავი იყო, რომ პირველ წუთებში რიჰარდი დაიბნა კიდეც, მაგრამ უცებ გონება მოიკრიბა, ფიგურა ონკანით მაღლა აიტაცა და დაუშვა არა ამწის კუტის ქვეშ, არამედ მის გვერდით. მერე კაბინიდან გადმოხტა და ფიგურასთან მიირბინა.

გრიუნვალდმა დაინახა მაღალი შუბლი, ოდნავ მოჭუტული თვალები და იგრძნო, რომ მთელ ტანზე ცივმა ოფლმა დაასხა. რიჰარდ გრიუნვალდის წინ იდგა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მეტრნახევრის სიმაღლის ძეგლი. ამ ძველ მუშას, არაერთხელ უნახავს ეს სახე პორტრეტებზე, — ის ცოტა როდი იყო ოდესღაც გერმანიაში.

ეს ძეგლი ალბათ რუსეთის რომელიმე ქალაქის მოედანზე, ან იქნებ მუშათა კლუბში იდგა. მერე ქალაქში შემოიჭრნენ ჰიტლერელები...

გრიუნვალდისათვის თვით სიტყვა — ლენინი წმიდათაწმიდა იყო. ამ სახელს უკავშირდებოდა ყველაფერი საუკეთესო, მთელი ოცნება სამართლიანი, თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრების შესახებ გერმანიის ყველა მუშისათვის. ოდესღაც, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ძალა-უფლებას ხელში ჩაიგდებდა ჰიტლერი, გრიუნვალდი კითხულობდა წიგნებს შორეულ და მისთვის არც თუ ისე ნათლად გასაგებ საბჭოთა კავშირზე. მცირეოდენი რამ იცოდა მის შესახებ, მაგრამ ყოველთვის, როცა თვალწინ წარმოუდგებოდა სურათები რუსეთის მუშათა ცხოვრებისა, ბედნიერი, საიმედო, შემოქმედებითი ცხოვრებისა, — იგი ყველგან და ყველაფერში ხედავდა ლენინს. მერე ლენინი გარდაიცვალა და საბჭოთა კავშირს სათავეში ჩაუდგა სტალინი — ლენინის საუკეთესო მეგობარი. გრიუნვალდმა იცოდა, რომ ჰიტლერელებს შიშის ზარსა სცემდა ეს ორი სახელი — ლენინი და სტალინი, სახელები, რომლებშიც ხორცი შეისხეს საბჭოთა კავშირის მრისხანე ძალამ და მთელმა მისმა ძლიერებამ.

და აი, ახლა იგი, ლენინის ძეგლი, დგას აქ, მუშა რიჰარდ გრიუნვალდის წინ. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლს საფრთხე ემუქრება. გრიუნვალდი ვალდებულია იხსნას იგი.

გრიუნვალდმა დაბნეულად მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ ამწესკენ მოიჩქარის ნაზავების ეზოს ხელოსანი იოჰან ვურსტი, რომელიც გზადაგზა აგინებს ამწეზე მომუშავეს მოულოდნელი შეჩერებისათვის.

დაინახა თუ არა ლენინის ქანდაკება, ოსტატი მიწაში ფეხებით ჩარჭობილივით ერთ ადგილზე გაქვავდა. წუთით დააკვირდა ძეგლს, მერე შეეშინდა, გრიუნვალდს არაფერი უთხრა, მოწყვეტით მიტრიალდა და აჩქარებული ნაბიჯებით გაემართა ქარხნის მმართველობისაკენ.

რიჰარდი მიხვდა, სად გაიქცა ბატონი ვურსტი. რიჰარდ გრიუნვალდისათვის უკვე ცხადი იყო, რომ არ აცდებოდა ხანგრძლივი დაკითხვა ბატონ კრუკესთან. შესაძლოა საპატიმროშიც კი მოხვედრილიყო.

რა უნდა ექნა, ახლა უკვე არაფერი ჰქონდა დასაკარგავი! კაბინას შეახტა, მოტორი ჩართო და ძეგლი მიწიდან აიღო. ამწე რელსებზე გაგორდა შორს და რამდენიმე წუთში ისევ თავის ძველ ადგილზე დაბრუნდა. გრიუნვალდი ჩვეუ-

ლებრივად იჯდა კაბინაში, მხოლოდ სახე ჰქონდა ძალზე გაფითრებული. მუშაობა გრძელდებოდა.

გრიუნვალდს უდიდესი სიმშვიდის გრძნობა დაეუფლა. შიში, ყოველდღიური დამამცირებელი შიში, კრუკესა და გესტაპოს წინაშე, გაუქრა. მან ადგილი დაუთმო იმედს. რიჰარდ გრიუნვალდი ყოველთვის სათუთად ინახავდა დიდი ლენინის ხსოვნას. ამქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ აიძულებდა, ეღალატებინა მთელი ქვეყნის ბელადისათვის, გაემეღავნებინა ის ადგილი, სადაც დამალული იყო მისი ძეგლი.

ამასობაში იოჰან ვურსტი შევარდა ბატონ კრუკეს კაბინეტში. ოდესღაც, ახალგაზრდობაში, ხელოსანი ვურსტი სოციალ-დემოკრატი იყო, მაგრამ მერე უყოყმანოდ შევიდა ჰიტლერულ პარტიაში და ცდილობდა ყოველგვარი საბაბი გამოეყენებინა იმისათვის, რომ დაემტკიცებინა თავისი ერთგულება ნაცისტების საქმისადმი. კრუკეს მდივანი ქალი მან ხელის გაქნევით მოიშორა და სირბილით შეიჭრა ბატონ საიდუმლო პოლიციის რწმუნებულის კაბინეტში.

— რა მოხდა? — ისე შეეკითხა კრუკე, რომ ცდილობდა თავისი წვრილი ხმისათვის ლითონის ჟღერადობა მიეცა.

— ქარხანაში ლენინია! — ქოშინით ძლივს ამოთქვა ვურსტმა.

— ვინ? — გაოცდა კრუკე. — ვურსტ, თქვენ ავად ხართ! ლენინი დიდიხანია მოკვდა. სასტიკად დაგსჯი ასეთი ხუმრობისათვის!

— ლენინის ძეგლი იპოვეს, — ჯართთან ერთად ჩამოიტანეს რუსეთიდან, — აუხსნა ვურსტმა.

— ვინ იპოვა? სად არის ძეგლი?

ასეთ საქმეს შეეძლო დაეინტერესებინა უფროსი. კრუკე უმალვე ადგილიდან წამოიჭრა, მაგიდას შემოუარა და მიუახლოვდა ვურსტს.

— მუშა რიჰარდ გრიუნვალდმა იპოვა. ძეგლი ნაზავების ეზოშია, ურნალის გვერდით.

— რიჰარდ გრიუნვალდმა?... ძალიან საინტერესოა! წავიდეთ!

კრუკემ ქუდი დაიხურა და ეზოში ჩავიდა. ვურსტი უკან მიცუნცულებდა. დიდი, შავი ქუდის ქვეშ კრუკეს ფიგურა შხამიან სოკოს ჰგავდა.

საამქროში ჩვეულებრივი მუშაობა მიმდინარეობდა.

ვურსტმა მკვახედ შესძახა და ხალხი გააჩერა. მუშები გაკვირვებითა და შიშით შესცქეროდნენ ხელოსანს: კრუკესთან ერთად მისი გამოჩენა კარგს არაფერს მოასწავებდა.

— რიჰარდ გრიუნვალდო, აქეთ გამოდი! — დაუძახა კრუკემ.

რიჰარდი კაბინიდან გამოძვრა და მიუახლოვდა. გესტაპოელი რკინის ნაჭერზე იდგა, მისი თვალები რიჰარდის თვალების დონეზე იყო.

— სად არის ძეგლი? — მკვახედ შეეკითხა იგი.

— ძეგლი? — გულწრფელად გაუკვირდა გრიუნვალდს.

— ჰო, სად არის? — დაუყვირა კრუკემ.

— აჰ, ძეგლი, — გააგრძელა გრიუნვალდმა, — ურნალის ქვეშ შევაგდეთ და ღუმელში შევუძახეთ, მესამე ნომერში.

— სტყუი!

— შეგიძლიათ თვითონ დარწმუნდეთ, ბატონო კრუკე, — აუჩქარებლად მიუგო გრიუნვალდმა.

კრუკე სწრაფად წავიდა მარტენებისაკენ. მესამე ნომერში დატვირთვა მიმდინარეობდა. ამწე იღებდა ლითონის ნამსხვრევებით სავსე ციცხვს და ის

შეჰქონდა ღუმელის ხვრელში. იქ ციცხვი ყირავდებოდა და ნამსხვრევები ცეცხლის მუცელში ცვიოდა.

კრუკეს გამოჩენისას ღუმელთან სიჩუმე ჩამოვარდა.

— შეაჩერეთ! — დაიყვირა კრუკემ.

ამასობაში ამწემ ღუმელის ხახაში უკვე ჩაჰყო ციცხვი, მისი შეჩერება შეუძლებელი იყო.

ციცხვი გადაყირავდა, ჩამოვარდნილი ლითონი უმალვე გაქრა ცეცხლის ქვეშ და მხოლოდ ათასგრადუსიანი ცეცხლის ალის ძლიერი ტალღა ქარიშხლის სიძლიერით ირხეოდა გესტაპოელის თვალწინ, უკვე შეუძლებელი იყო რისიმე შემოწმება.

კრუკე თავის კაბინეტში დაბრუნდა და ერთი მეორეზე დაუწყო გამოძახება მუშებს. მათში მხოლოდ სამმა, მათ შორის გრიუნვალდმაც, განაცხადა: მართალია, რაღაც ძეგლი კი დავინახეთ, მაგრამ ვისი იყო, არ ვიცითო.

კრუკემ არ დაუჯერა მუშებს, მაგრამ არავინ დაუკავებია. გესტაპოელმა გადაწყვიტა, ესარგებლა ამ შემთხვევით და გამოემეღავნებინა ყველა ისინი, ვინც კომუნისტებს თანაუგრძნობდა. ახლა უკვე მის ხელში იყო ძაფი. ახლა ბატონმა კრუკემ უკვე იცოდა, ვის უნდა ჩასჭიდებოდა, ვისთვის უნდა ედევნებინა თვალ-ყური. საჭირო იყო მხოლოდ აუჩქარებლობა, მოთმინების გამოჩენა და ყველას ხელში აყვანა.

ის-იყო, გესტაპოელი მაგიდას მიუჯდა, რათა გრიუნვალდის შესახებ დასმენა გაეგზავნა თავის უფროსთან, რომ გადაიფიქრა. არა, სწორედ ამ ჭაბუკზე თვალ-ყურის დაჭერით იგი აღმოაჩენს მის ამხანაგებსაც. თევზი უკვე მოედო, ახლა ლარი უნდა მივუშვათ. დე, თევზს ეჩვენებოდეს, რომ მას თავისუფლება დაუბრუნდა!

თავი მეოთხე

ქალაქი ზომიერად და მშვიდად ცხოვრობდა. ბურგომისტრს მასში თითქოს ყველაფერი წინასწარ განერიგებინა. დილით ადრე მუშები ჯარად მიეშურებოდნენ ქარხნისაკენ, მერე ქალაქში სიწყნარე მკვიდრდებოდა მანამდე, ვიდრე არ გამოჩნდებოდნენ კალათებიანი დედაკაცები. ისინი დაეწყობოდნენ მაღაზიების კარების წინ, მოთმინებით ელოდნენ მარგარინისა და მარმელადის ყოველდღიურ ულუფას. როცა ულუფას მიიღებდნენ და თავიანთი სამზარეულოებისაკენ წავიდ-წამოვიდოდნენ, აისბორნში ისევ ჩამოვარდებოდა სიჩუმე, მხოლოდ დროგამოშვებით გაიქროლებდა ქუჩაში მანქანა და რამდენიმე ქვეითი მგზავრი გაივლიდა.

შებინდებისას, როცა ქარხანაში მუშაობას ამთავრებდა ცვლა და მუშები სახლებში წავიდ-წამოვიდოდნენ, აისბორნი გამოცოცხლდებოდა.

როგორც ყოველთვის, ისე იმ საღამოსაც მუშათა ნიაღვარმა რიჰარდ გრიუნვალდი ქარხნის ალაყაფის კარებში გამოატარა და რხევით გაიტაცა ცენტრისაკენ. ნიაღვარი თანდათან ცალკეულ ღელეებად იშლებოდა და ყოველი ქუჩა ისრუტავდა თავის ღელეს.

რიჰარდი ნელა მიდიოდა. იგი ფიქრობდა მაღლად დაზორვილ ლითონის ჯართის უკან დამალულ ძეგლზე. ძველი მუშა არ ნანობდა თავის მოქმედების გამო. მას სხვა რამე აფიქრებდა: როგორ დაეცვა ძეგლი? საჭირო იყო საიმედო ამხანაგების პოვნა და მოქმედება მათი დახმარებით. იგი იგონებდა მეგობ-

რებს და, სამწუხაროდ, რწმუნდებოდა იმაში, რომ ცოტანი დარჩნენ ისინი. მისი ამხანაგები გარეკეს საკონცენტრაციო ბანაკებში, საპატიმროებსა და საჯარიმო ბატალიონებში, როგორღა უნდა იმოქმედოს თვითონ მან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე დიდი ხანია, რაც ერთმანეთთან მეგობრული კავშირი შეწყდა, უკვე დიდი ხანია, რაც ყოველი მეგობრული ვახშამი ქალაქში გესტაპოს ეჭვებს იწვევდა. მუშები გაურბოდნენ ერთმანეთთან მისვლა-მოსვლას, ძველი ტრადიციის მიხედვით მხოლოდ საბურახოში ხვდებოდნენ ერთმანეთს და, იქაც ლაპარაკობდნენ მხოლოდ ფეხბურთზე, და ეს იმიტომ, რომ აქაც, ამ საბურახოშიც ძათ ჩუმად ყურს უგდებდნენ გესტაპოელები.

რა უნდა ექნათ?

ამგვარად, რიჰარდ გრიუნვალდმა ვერაფერი მოისაზრა, ისე მიადგა იმ სახლს, რომელშიც ცხოვრობდა. ოდესღაც რიჰარდს დიდი ოჯახი ჰქონდა, მაგრამ მისი ორი შვილი აფრიკაში დაიღუპა და ახლა ცოლი უკვე აღარ ელოდებოდა ფოსტალიონს.

ჰერტრუდა გრიუნვალდმა, როგორც ყოველთვის, ისე ახლაც სწორედ მაშინ გააღო კარი, როცა რიჰარდმა უკანასკნელი ნაბიჯი გადადგა საფეხურებზე. ეს იყო წლობით გამომუშავებული ჩვევა, — გრიუნვალდს არასოდეს არ სჭირდებოდა კარზე დაკაკუნება; სახლში შევიდა, ცოლი მხიარული ღიმილით მიეგება.

ჰერტრუდა ახლა იშვიათად იღიმებოდა. იგი ტანად მომცრო ქალი იყო, მაგრამ წლოვანებასთან შედარებით უფრო მხნედ გამოიყურებოდა. მის თვალებში ჯერ კიდევ კიაფობდა ახალგაზრდული ცეცხლი და, თავის ორმოცდაათ წელზე ნაკლებიც კი შეიძლებოდა მიგეცათ, მაგრამ ჭაღარა ამჟღავნებდა მის ასაკს და, მის მიერ გამოვლილ მძიმე ტანჯვას. ჰერტრუდას თავდავიწყებით უყვარდა ქმარი და თავის ღიმილს მხოლოდ მისი სამსახურიდან მოსვლის დროისათვის ინახავდა.

მაგიდაზე სუპს ორთქლი ასდიოდა. თეფშზე იდო სამი ნატეხი თხელი უგემური მოშავო პური: ორი უნდა შეეჭამა სუპთან ერთად, ერთი კი — მოეტოვებინა მეორე თავი საჭმელისათვის.

გრიუნვალდმა ცოლს უთხრა რამდენიმე სიტყვა, რომელსაც იგი წარმოთქვამდა ხოლმე ყოველდღე. მერე ხელები დაიბანა და ჭამას შეუდგა. ამას ცოტა ხანი დასჭირდა. ჰერტრუდამ მაგიდა მიალაგა და ოთახში სიწყნარე ჩამოვარდა.

ისინი გვერდით უსხდნენ ერთმანეთს პატარა მაგიდასთან და დუმდნენ.

ჰერტრუდამ იგრძნო, რომ ქმარი სახეში შესცქეროდა, მაგრამ თვითონ მაინც ფანჯარაში განაგრძობდა ცქერას.

რიჰარდი კი ისევ შესცქეროდა ცოლს და ფიქრობდა: შეიძლება გავანდო საიდუმლოება, თუ მასაც უნდა დავუმალო ჩემი ფიქრებიო?

ჰერტრუდა მისი ერთგული მეგობარი იყო, ვერაფერში ვერ უსაყვედურებდა. რიჰარდს შერცხვა: როგორ შეეძლო ეჭვი მიეტანა თავის ჰერტრუდაზე?

— დღეს ჩვენს ქარხანაში აღმოჩნდა რუსეთიდან წამოღებული ლენინის ძეგლი, — ჩუმად უთხრა გრიუნვალდმა და გამომცდელად მიაჩერდა ცოლს.

ამ სიტყვების გაგონებაზე ჰერტრუდა შეკრთა და შეშფოთებით შეხედა ქმარს.

— შენ თვითონ ნახე?

— დიახ.

— სად არის?

— რკინის ჯართის გროვაში დავმალე, მაგრამ დიდხანს იქ დატოვება არ შეიძლება.

— შენ გინდა სხვა ადგილას შეინახო?

— დიახ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰერტრუდამ ნათლად წარმოიდგინა, თუ რა ამბავი მოჰყვებოდა ამას: რიჰარდი დაიწყებს ძეგლის გადატანას, მას დაიჭერენ, გესტაპოში ჩასვამენ, აწამებენ, მოკლავენ... თავზარდაცემული ქალი სკამიდან ჩამოვარდა და ქმრის წინ დაიჩოქა.

— თუ შენთვის ძვირფასია ჩემი სიცოცხლე, — წაიჩურჩულა მან, — თუ ოდნავ მაინც გიყვარვარ... პირობა მომეცი, რომ არასოდეს გულში არ გაივლებ ამაზე ფიქრს...

— ადექი, ტრუდი, — ნელა, მაგრამ მტკიცედ უთხრა რიჰარდმა.

— მიამბე ყველაფერი, — თხოვა ქალმა.

რიჰარდმაც ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— დავიღუპებით, — წარმოთქვა ჰერტრუდამ, როცა ქმრის ნაამბობი მოისმინა.

— შესაძლებელია, — მიუგო რიჰარდმა, — მაგრამ სხვანაირად ვერ მოვიქცევი. გაიგე, ტრუდი, ჩემთვის ეს ძეგლი როდია, ჩემთვის ეს ლენინია!

— მერე? რას აპირობ?

— აი, სწორედ ეს მაწუხებს. უნდა მოიძებნოს ერთგული, ძალიან სანდო ამხანაგები, მარტო მე ვერას გავხდები.

— არა, არა! — თითქმის წამოიყვირა ჰერტრუდამ, — არავისთან კრინტის დაძვრაც არ შეიძლება ამაზე. გერმანიაში აღარ დარჩა ადამიანები.

— ტყუილია, — მტკიცედ უთხრა რიჰარდმა, — გერმანიაში არიან პატიოსანი ადამიანები. და, ალბათ, ცოტანი როდი არიან ისინი. შეუძლებელია იცხოვრო ისე, რომ არავის ენდო.

ჰერტრუდამ თავი მაგიდაზე დაუშვა და ატირდა.

ყოველთვის, მთელს სიცოცხლეში ბედნიერებაზე ოცნებობდა ჰერტრუდა, ის ეჩვენებოდა მიუწვდომლად, ეჩვენებოდა, რომ მხოლოდ ბავშვებს შეეძლოთ ოცნება ბედნიერებაზე. და ჰერტრუდა მაინც ოცნებობდა, თუმცა ის კი არ იცოდა, ეწერა თუ არა ბედად, ოდესმე შეხვედროდა თავის ბედნიერებას.

ქმრის ნაამბობმა, საფრთხემ, რომელიც ემუქრებოდა რიჰარდს, ახალი გრძნობები და ფიქრები აუშალა.

ლენინი! ლენინის ძეგლი! თუკი ჰერტრუდას ცხოვრებაში მართლა იყო რაიმე იმედი ბედნიერებაზე, იგი ყოველთვის უკავშირდებოდა ამ სახელს, ფიქრს, ლენინსა და მის უდიდეს მემკვიდრეზე.

რიჰარდი შესცქეროდა ჰერტრუდას, ხედავდა ტირილისაგან როგორ ძიგძიგებდა მისი გამხდარი მხრები და, გული ნაზი გრძნობებით აევსო. ადგა, რომ ცოლს მიახლოვებოდა, მაგრამ ჰერტრუდამ თავი მაღლა ასწია, ცრემლი მოიწმინდა და უბრალოდ თქვა ის, რაც თითქოს დიდი ხნის წინათ ჰქონდა გადაწყვეტილი:

— მაშ ასე, საჭიროა ისე ფრთხილად მოქმედება, რომ გესტაპომ არ გაუგოსოს.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვიტეს დაკავშირებოდნენ იაკობ ზონესა და ჰორსტ კრამს. ოდესაც ორივენი თანაუგრძნობდნენ კომუნისტებს, მერე კი აღმოჩნდნენ ისეთივე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც თვითონ რი-

ჰარდ გრიუნვალდი ჩავარდა, მაგრამ თვით მათთვისაც კი არ შეიძლებოდა უცებ გაემხილათ ასეთი საიდუმლოება. თავდაპირველად სტუმრად უნდა მისულიყვნენ მასთან, ელაპარაკათ ამაზე, იმაზე, გაეგოთ, თუ რა აზრზე იყვნენ ახლა ეს ადამიანები და, მხოლოდ მაშინ, როცა ყველაფერს გაიგებდნენ, ჩამოეგდოთ ლაპარაკი ნაპოვნ ძეგლზე.

რიჰარდი იაკობ ზონესთან წავიდა. რამდენიმე წუთში იგი უკვე იდგა ისეთი ორსართულიანი სახლის წინ, როგორშიაც თვითონ ცხოვრობდა.

ზონე გრიუნვალდს შეხვდა ისეთი სახის გამომეტყველებით, რომელიც ერთსა და იმავე დროს გამოხატავდა სიხარულსაც და გაკვირვებასაც: ძველი ამხანაგის ასე გვიან მოსვლა აიძულებდა ფრთხილად დაეჭირა თავი.

იაკობმა სტუმარი თავის ოთახში შეიყვანა, შესთავაზა დამჯდარიყო. მის მშრალ, თითქოს აელვარებულ სახეს ღიმილის გამონაკრთომიც კი არ ემჩნეოდა. ასეთი სახე აქვთ სწორედ იმ მუშებს, რომლებიც მთელ სიცოცხლეში შესცქერიან ცეცხლს, გავარვარებულ ცხელ ლითონს.

რიჰარდმა იცოდა იაკობ ზონეს ხასიათი და არ ჩქარობდა. მზად იყო ამჯერად სულ არაფერი ეთქვა ლენინის ძეგლის შესახებ, უნდოდა მხოლოდ მოესინჯა, თუ რა განწყობილებაზე იყო მისი ძველი მეგობარი. რას ფიქრობდა და რა აზრს ემსახურებოდა.

და აი, საუბარიც დაიწყეს. ლაპარაკობდნენ ქარხნის საქმეებზე, იმაზე, რომ ცხოვრება გაძვირდა და, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ჭირდა თავის გატანა. აღმოსავლეთის ფრონტზე არსებულ მდგომარეობასაც კი შეეხნენ, მაგრამ ძალიან ფრთხილად, ისე, რომ აშკარად ერიდებოდნენ კიდეც თავიანთი აზრის პირდაპირ გამოთქმას. ხშირი პაუზებიც შემოეპარათ და, რიჰარდმა წასვლა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს ქალაქის თავზე გამჭვალავმა სიგნალმა გადაიქროლა. ასეთი სიგნალები საკმაოდ ხშირად გაისმოდა აისბორნში. „ტომებმა“ და „იანკებმა“, ერთხელ დაბომბეს კიდეც ეს ქალაქი, მაგრამ ჩვეულებისამებრ სადღაც სამხრეთისაკენ გაფრინდნენ. ყოველთვის, როცა ქალაქში გამოაცხადებდნენ ხოლმე საჰაერო განგაშს, გარეუბნები მელნისფერ სიბნელეში ჩაინთქმებოდა და მხოლოდ შტალვერკეს მარტენების ღუმელების დანახვა შეიძლებოდა მაღლიდან, და ისიც მხოლოდ იმ რამდენიმე წუთში, როცა ღუმელიდან უშვებდნენ ფოლადს და აუტანელი მოკაშკაშე ცეცხლი აგიზგიზდებოდა.

ახლა გრიუნვალდი განგაშის დამთავრებამდე უნდა დარჩენილიყო ზონესთან. ისინი განაგრძობდნენ უკვე შეწყვეტილ საუბარს. სიბნელემ მოულოდნელად ერთმანეთს მიუახლოვა ისინი და დაიწყეს ლაპარაკი პირდაპირ ისე გულითადად, როგორც ლაპარაკობდნენ ხოლმე მრავალი წლის წინათ. რიჰარდმა მაინც ვერ გაბედა ამხანაგისათვის გაემხილა მოსვლის ნამდვილი მიზეზი; იაკობი თავისთან მიიწვია. ზეგ ჰერტრუდას დაბადების დღეა. ეს მშვენიერი შემთხვევა იყო ორი-სამი ძველი მეგობრის მოსაწვევად, ხომ მართალია? ზონემ მიპატიჟებისათვის მადლობა გადაუხადა, მაგრამ არ დაიჯერა, რომ „მოხუცი რიჰარდი“ მასთან, ასე უდროო დროს, მხოლოდ ამისათვის მოვიდა...

ბოლოს საჰაერო განგაში შეწყდა. მეგობრები ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

როცა რიჰარდი წავიდა, იაკობმა ივახშმა, ლოგინში დაწვა, ყურადღებასაც კი არ აქცევდა ცოლის გაკვირვებულ გამოხედვას, დიდხანს იწვა თვალმოუხუჭავად და, ამაოდ ლამობდა გაერკვია, თუ რამ მოიყვანა მასთან ძველი ამხანაგი. განთიადისას ჩაეძინა და მთელი მეორე დღე თავიდან არ მოშორებია არეული, გაურკვეველი მღელვარება.

მეორე დღეს რიჰარდმა ინახულა ჰორსტ კრამი. ჰორსტი, ეს ვეება აგებულების, დიდრონი, მრგვალი პირისახის, ფისივით შავი სქელქოჩორა და საოცრად დიდრონხელებიანი კაცი, უჩვეულო ძალ-ღონისა და უაღრესად მშვიდი ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა. იგი გრიუნვალდზე ერთი ან ორი წლით ახალგაზრდა იყო.

როგორც კი რიჰარდმა მიკიბულ-მოკიბულად დაიწყო ლაპარაკი, ჰორსტმა უმალვე გააწყვეტინა:

— რიჰარდ, თავი დაანებე სულელურ როშვას!

ჰორსტმა თვალი შეასწრო თუ არა, გრიუნვალდის გაკვირვებულ, თითქმის შეშინებულ გამოხედვას, ცოლს სთხოვა გარეთ გასულიყო და, წარმოთქვა:

— შენ ფიქრობ, არ ვიცი, თუ რისთვის მოხვედი? გინდა დაგეხმარო ლენინის ძეგლის დამალვაში, რომელიც შენ ლითონის ჯართში აღმოაჩინე. განა ასე არ არის ეს?

როცა დაინახა, რომ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა სიტყვამ, გრიუნვალდზე, რომელიც სრულიად დაბნეულად იჯდა, ჰორსტმა მხიარულად გაიცინა და ამხანაგს მხარზე დაჰკრა თავისი თეფშისოდენა ხელი.

— დიახ, — მიუგო მაშინ რიჰარდმა, — მე სწორედ ამისთვის მოვედი შენთან.

— სად არის დამალული ძეგლი? — საქმიანად შეეკითხა ჰორსტი.

— ჯართის გროვაში, ურნალის მხარმარჯვნით.

— შეუძლებელია მისი იქ დიდხანს დატოვება. უკეთესი ადგილი უნდა მოვუძებნოთ. ახლა ეს მითხარი, ვინ იცის კიდევ, რომ შენ იპოვე ის?

რიჰარდ გრიუნვალდმა უამბო, რომ იგი იყო იაკობ ზონესთან, უამბო აგრეთვე, რომ ამაზე ლაპარაკი ჰქონდა ხელოსან ვურსტსა და ბატონ კრუკესთან.

— იაკობს შეიძლება ვენდოთ, — უთხრა კრამმა, — მაგრამ ჩვენ სამნი ცოტანი ვართ. ჯგუფი უნდა შევქმნათ, რიჰარდ, საჭიროა ორგანიზება.

— იცი რა, — დაფიქრებით უთხრა რიჰარდმა, — სწორი არაა, რომ ჩვენ, ძველმა მუშებმა, როტფრონტელებმა დავკარგეთ ერთმანეთი. ჩამოვშორდით ბრძოლას და თავი გავანადგურებინეთ.

ჰორსტი გაჩუმდა.

— რა თქმა უნდა... — უთხრა მან. — მაგრამ მე სხვა რამეზე ვფიქრობ! რაოდენად დიდია ლენინის იდეის ძალა, თუკი მხოლოდ მისი სახელი, მისი უბრალო გამოსახულება ხელახლა ასე აერთიანებს ადამიანებს! დიახ, რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ აუცილებლად უნდა დავირაზმოთ.

ამ სიტყვებზე გრიუნვალდი იძულებული გახდა ამოეხვნეშა. ჰორსტმა სწორედ ის აზრი გამოთქვა, რაზედაც თვითონ რიჰარდი ფიქრობდა.

— ახლა უნდა შევასრულოთ პირველი ამოცანა, — განაგრძო ჰორსტმა, — ძეგლი უნდა გადავარჩინოთ. თუ ჩვენ მას გადავწყვეტთ, მაშინ, ალბათ თვითონ ვნახავთ: რა შეგვიძლია, რა ძალა გაგვაჩნია, ვინ არის ჩვენთან. ალბათ გაცილებით უფრო მეტი აღმოგვაჩნდება მეგობრები, ვიდრე ჩვენ ახლა ვფიქრობთ.

— ჩვენს დროში ადამიანებს ძალიან ფრთხილად უნდა მოვექცეთ, — ამოიხვნეშა გრიუნვალდმა. — ამ წყეული დროის განმავლობაში გესტაპომ ბევრი მოისყიდა. ჩვენ კი ყველაზე უფრო პროვოკატორების უნდა გვეშინოდეს. თუ ჩვენ შორის რაიმე ამისი მსგავსი გამოგვერია, უმალვე დავიღუპებით და, ვერც ძეგლს გადავარჩენთ.

— ეს მართალია, — დაეთანხმა ჰორსტი, — მაშასადამე, მეგობრები ფრთხილად უნდა შემოვიკრიბოთ. ისინი უფრო მეტი გვყვანან, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობთ.

ძველი ამხანაგები ისეთი გრძნობით დაშორდნენ ერთმანეთს, თითქოს ახალგაზრდობა დაუბრუნდათო.

შუაღამისას ბატონ კრუკეს მაგიდაზე გაჩნდა პირველი დასმენა რიჰარდ გრიუნვალდის შესახებ. იტყობინებოდნენ, რომ ამ მუშამ რამდენიმე ძველ ნაცნობთან მიმოსვლა განაახლაო. კრუკემ დასმენაზე ხაზი გაუსვა ზონესა და კრამის გვარებს და სეიფიდან საიდუმლო მუყაო გამოიღო. ადამიანები, რომლებსაც ეწვია გრიუნვალდი, უკვე დიდი ხანია აღნიშნულნი იყვნენ განსაკუთრებულ სიაში.

თავი მესამე

ქარხანასა და ქალაქში მალე ერთიმეორეზე საკვირველი ლეგენდები გავრცელდა.

ამბობდნენ, თითქოს ლითონის ჯართში იპოვეს ლენინის ძეგლი. ქარხნის უფროსებმა ბრძანება გასცეს, დაუყოვნებლივ დაემსხვრიათ ის ურნალით, მაგრამ ძეგლი ჩამოსხმულია ისეთი ხარისხის ლითონიდან, რომ ფოლადის ურო დარტყმით ნაკაწრიც არ დააჩნდებაო. ბრძანება გასცეს ძეგლი ჩაეგდოთ ღუმელში. გადადნობა ჩაატარეს ყველაზე მაღალი ტემპერატურის პირობებში, მაგრამ როცა ფოლადი გამოუშვეს, ნახეს, რომ ძეგლი უვნებლად იდო. თურმე ცეცხლიც კი ვერაფერს აკლებსო. გესტაპოელი კრუკე მესამე მარტენთან მორიგეობდა და სულ ღუმელში იცქირებოდა, კინაღამ ჩავარდა შიგ, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყო.

ამბობდნენ, თითქოს კრუკემ ბრძანება გასცა, შეეჩერებინათ მესამე მარტენი, რათა ამოეღოთ და მუშებისაგან შორს გადაემალათ ძეგლი, მაგრამ დირექცია ამაზე არ დათანხმდა, ვინაიდან მარტენის შეჩერება ქარხანას დიდ ზიანს მიაყენებდაო.

შორეული რუსეთის ქალაქიდან ჩამოტანილი ლენინის ძეგლი კი ამ ხნის განმავლობაში დიდი ფოლადის ზოდებით იყო დაფარული. ახლა არა მარტო რიჰარდ გრიუნვალდი ცდილობდა მის დამალვას, რაც შეიძლება უფრო კარგად, მუშების ჯგუფი ფრთხილად იცავდა მას და ოდნავ საფრთხესაც კი წინასწარ იცილებდნენ თავიდან. ეს ჯგუფი ფარულად, მაგრამ საპატიო დარაჯად იდგა ძეგლის ახლოს, როცა გამოირკვა, რომ ჯართის მარაგმა იკლო და მალე უნდა შედგომოდნენ ჯართის აღებას იმ ადგილის ახლოს, სადაც დამალული იყო ძეგლი, მუშებმა ის წინასწარ გადაიტანეს სხვა ადგილზე.

ძალიან მალე გამოირკვა, რომ რიჰარდ გრიუნვალდის მეთაურობით არსებულ ჯგუფს შეეძლო მოქმედება ენერგიულად და ყოველმხრივად. დრო უფრო აქტიურ მუშაობას მოითხოვდა. უცნაურიც კი იქნებოდა, თუ მთელ ენერგიას იმ ადამიანებისას, რომლებმაც ახლა იცოდნენ ლენინის ძეგლის ამბავი, არ წარმართავდნენ დიდ სამუშაოსკენ. ამ ადამიანებს კი ცოტა როდი დაუგროვდათ ენერგია. გულში უდუღდათ ჰიტლერისა და მისი რეჟიმის მიმართ სიძულვილი, და ის მოითხოვდა ნამდვილ, გადამწყვეტ მოქმედებას.

ჰიტლერული არმიები ზედიზედ მარცხდებოდნენ აღმოსავლეთში. წითელი არმია დასავლეთისაკენ ერეკებოდა მათ, თანდათან სულ უფრო უახლოვდებოდა

გერმანიის საზღვრებს. ჰიტლერული გაზეთები მთელი თავიანთი შესაძლებლობით ცდილობდნენ, დაემალათ სიმართლე. გაქნილმა, მატყუარა გებელსმა ბრძანება გასცა, ჰიტლერულ სანაქებო არმიების პანიკურად უკან დახევისათვის გაზეთებში ელასტიკური თავდაცვა ეწოდებინათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიჰარდ გრიუნვალდმა, რომელიც ფრთხილად აწონ-დაწონის შემდეგ დგამდა ხოლმე ყოველ ნაბიჯს და სამუშაოზე მხოლოდ ყველაზე საიმედო ამხანაგებს უშვებდა, გადაწყვიტა შედგომოდა მოქმედებას. უწინარეს ყოვლისა მოაწესრიგა მოსკოვიდან ყოველდღიურად გადმოცემული საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობების რეგულარულად მიღების საქმე.

როცა მან პატარა რუკაზე პირველად გაავლო ფრონტის ხაზი, კინაღამ თვალები გადმოსცვივდა. მის ზურგს უკან მდგომი ჰერტრუდა თვალს ადევნებდა, როგორ დარბოდა ფანქარი რუკაზე და დუმდა, თან გაოცებით იჩეჩდა მხრებს.

აქამდე მათ იცოდნენ მხოლოდ ჰიტლერული ცნობები, მხოლოდ ამ ცნობების მიხედვით ჰქონდათ ორიენტაცია და არ შეეძლოთ ნათლად წარმოედგინათ, თუ რა შორს წაიწია წითელმა არმიამ დასავლეთით.

— ტრუდი, ერთი ნახე, თურმე სად არიან ჩვენი გამათავისუფლებლები! — წასჩურჩულა გრიუნვალდმა, რომელსაც თვით თავის საკუთარ ოთახშიც კი ეშინოდა ელაპარაკა ხმამაღლა.

ჰერტრუდა ფიქრობდა ქმრის სიტყვებზე და თვალმოუშორებლად შესცქეროდა რუკაზე გავლებულ წითელ ხაზს. მერე მზერა გადაჰქონდა აპარატის პატარა მწვანე თვალზე და ცუდად ხდებოდა. რა თქმა უნდა, არავის არ ჰქონდა აკრძალული რადიოს მოსმენა, მაგრამ მოსკოვის მოსმენისათვის აუცილებლად მიიღებდა ათიოდე წლით პატიმრობას; ხოლო თუ ვინმეს უპოვნიდნენ ფრონტის ასე სწორად მოხაზულ რუკას, ამისთვის კი არ დააპატიმრებდნენ, არამედ სიკვდილით დასჯიდნენ.

ამასობაში გრიუნვალდი წვრილად წათლილი ფანქრით ჩქარა იწერდა ახალი ცნობების სიტყვებს, იმ უცნობი ქალაქებისა და სოფლების სახელებს, საიდანაც გუშინ მოუხდათ გაქცევა დამარცხებულ ჰიტლერელებს.

რიჰარდმა მიმღები გამორთო, ყურმილი მოიხსნა, ერთხელ კიდევ წაიკითხა ჩანაწერი.

— ტრუდი, რა უნდა ვუყოთ ამ ქონებას? — შეეკითხა ცოლს და თავი გაიქნია ნაწერით აჭრელებულ ქაღალდის ფურცლისაკენ. — ნუთუ ჩვენ ვერავის გავუზიარებთ ამ ახალ ცნობებს?

— მე ვფიქობ, ყველას, ვისაც სურს, თვითონ შეუძლია მოუსმინოს, — ჰერტრუდა შეეცადა საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვა.

— ეს მართალია, — მიუგო გრიუნვალდმა, — მაგრამ ბევრმა არც კი იცის, როდის და რომელ ტალღაზე შეიძლება მისი მოსმენა, უმრავლესობას კი ეშინია მოუსმინოს. უნდა გაკეთდეს ისე, რომ ადამიანებმა ყურადღება მიაქციონ ამ ცნობებს, იცოდნენ, თუ როდის შეიძლება მოსმენა, რომ ბოლოს და ბოლოს გაიგონ სიმართლე.

— შენ რისი გაკეთებას ფიქრობ? — წასჩურჩულა ჰერტრუდამ.

— თავდაპირველად მინდა მოვაწყო ფურცლების დაბეჭდვა და მათი გავრცელება ქალაქში. თუ ეს მოვახერხე, ჩვენ მივაღწევთ დიდ გამარჯვებას. ქალაქში გაიგებენ, რომ არიან ადამიანები, რომლებიც არ ეთანხმებიან ჰიტლერს. ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმეა.

როგორც ყოველთვის, სერიოზული გადაწყვეტილების მიღების წინ, თავდაპირველად ჰერტრუდა ცუდ გუნებაზე დადგა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ რამდენიმე წუთში ეს ორჭოფობა გაუვლიდა და ისე შეუდგებოდა მუშაობას, თითქოს ყველაზე ჩვეულებრივი საქმისათვის მოეკიდოს ხელი. ჰერტრუდა მოელოდა ამ წუთს და გაუკვირდა, რომ ეს წუთიც ასე მალე დადგა.

— მანქანაზე რომ დაბეჭდო, ეს ძალიან შესამჩნევი იქნება, თანაც საწვალებელი, — ნელა თქვა ჰერტრუდამ.

— დიახ, — მიუგო რიჰარდმა, — ჩვენ გამოვნახავთ უკეთეს საშუალებას, ეს ცნობები ჰექტოგრაფზე უნდა დაიბეჭდოს. შენ ახლა ნუ ფიქრობ იმაზე, თუ როგორ უნდა დამზადდეს ის. ამხანაგებს მოვეთათბირები და ჩქარა გამოვნახავთ გამოსავალს, მაგრამ იმაზე, თუ როგორ უნდა გავრცელდეს ეს ფურცლები, მარტო შენ უნდა იზრუნო.

მეორე საღამოს იაკობ ზონემ მოიტანა ფურცლები. გრიუნვალდი რამდენიმე წუთს ისე ათვალიერებდა მას, თითქოს ქაღალდის ყოველ ფურცელს წონისო. ფურცლებს საღებავის სუნი უდიოდა, ასოები რამდენადმე ბუნდოვანი იყო, მაგრამ მისი მთლიანად წაკითხვა მაინც შეიძლებოდა.

— „ამხანაგებო! — ჩუმად წაიკითხა გრიუნვალდმა, — აი, სიმართლე ფრონტის ამბების შესახებ“.

ამას მოსდევდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა.

პირველ დღეს ქალებმა ასამდე ფურცელი გააერცელეს. აისბორნისთანა პატარა ქალაქისათვის ეს ცოტა როდი იყო. რა თქმა უნდა, ფურცლების მეტი წილი პოლიციამ და გესტაპოს აგენტებმა თითქმის მაშინათვე მოსპეს, მაგრამ რაღაც ნაწილი მაინც გადავიდა ხელიდან ხელში და, სიმართლე ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ, უკვე ცნობილი გახდა ქალაქში.

ქუჩაში გასვლისას ჰერტრუდა ხედავდა, თუ რა მღელვარებას შეეპყრო პოლიციელები. გასცეს ბრძანება, რათა გაეძლიერებინათ მეთვალყურეობა საეჭვო პირების მიმართ. გესტაპოს უნდოდა ყველა „ბუნტისთავი“ ერთბაშად დაეპატიმრებინა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ჰერტრუდა გრიუნვალდსა და მის მეგობარ ქალებს რომ ემოქმედნათ იმ ობივატელთა შორის, რომლებიც გულგრილად შესცქეროდნენ აღმოსავლეთის ფრონტისა და თვით გერმანიის ამბებს, მათი გამჟღავნება სულ ადვილად იქნებოდა, მაგრამ ჰერტრუდას ირგვლივ ცხოვრობდა, დიდძალი მუშა, მათი ცოლები, უბრალო, ღარიბი ადამიანები, რომლებიც მხურვალედ თანაუგრძნობდნენ იმ გამბედავებს, რომლებმაც უშიშრად იკისრეს ფურცლების გავრცელება. არავის შეეძლო ეთქვა, მოსახლეობის რა პროცენტი თანაუგრძნობდა მუშა რიჰარდ გრიუნვალდს. მისი პირადი მოსაზრებით ასეთი ადამიანები ცოტანი იყვნენ, გესტაპოს შეფის აზრით კი — უამრავი.

ასე თუ ისე, დამნაშავეთა შეპყრობა არ მოხერხდა და, რამდენიმე წუთს ბატონი კრუკე უსიამოვნო გუნებაზე დააყენა შეფის საყვედურისა და ლანძღვა-გინების მოსმენამ „უხელო თანამშრომლების“ მიმართ, რომლებმაც ვერ შეძლეს ფურცლების გამავრცელებელთა აღმოჩენა.

კარლ კრუკესათვის უსიამოვნება ამით მაინც არ მოთავდა. ფურცლები ხელახლა გაჩნდა, მაგრამ არა ყველგან, არამედ ქალაქის ამა თუ იმ ნაწილში. ცხადი გახდა, რომ ქალაქში მუშაობდა იატაკისქვეშა ორგანიზაცია. კრუკეს კარგად ესმოდა ეს, მაგრამ მისი კვალის აღმოჩენა ვერ შესძლო. გრიუნვალდზე თვალყურის დევნება შედეგს არ იძლეოდა.

ამასობაში ფურცლები უფრო მოურიდებელი ხდებოდა. ისინი მოუწოდებ-
დნენ გერმანელებს დეზერტირად წასულიყვნენ არმიიდან, გაეფუჭებინათ დაზ-
გები, რომლებზედაც მზადდებოდა სამხედრო დაკვეთები. მართალია, დივერსიის
მსგავსი აქტები აისბორნში ჯერ არ მომხდარიყო, მაგრამ რაკი ფურცლებმა
წინააღმდეგობისაკენ მოუწოდეს ხალხს, ყველაფერი მოსალოდნელი იყო. ბა-
ტონი კრუკე სერიოზულად აღელდა.

ორმოცდაათხი წლის შემოდგომა იყო. აღმოსავლეთის ფრონტიდან თანდა-
თან სულ უფრო შემაძრწუნებელი ცნობები მოდიოდა. საფრთხე უშუალოდ
დაემუქრა ჰიტლერულ გერმანიას და, გრძნობდნენ რა მის მოახლოებას, ფაშის-
ტმა ჯალათებმა ტერორი გააძლიერეს.

კრუკე მზად იყო ფურცლების გავრცელებისათვის ეჭვი მიეტანა რიჰარდ
გრიუნვალდზე, მაგრამ გესტაპოელს აბნევდა ის გარემოება, რომ უკანასკნელ
ხანებში ეს მუშა ისევ მიუკარებელი გახდა, არავის არ ხვდებოდა და მთელ თავი-
სუფალ დროს, მუშაობის შემდეგ, ატარებდა შინ, ცოლთან.

გერმანიაში ტოტალური მობილიზაცია ჩაატარეს, გრიუნვალდის ბევრი
ამხანაგი ფრონტზე გააგზავნეს და მუშაობაც მცირე ხნით მიწყნარდა, მაგრამ
გაჩნდნენ ახალი მეგობრები, მძიმე ჭრილობის მიღების შემდეგ ფრონტიდან
დაბრუნებული ზოგიერთი ამხანაგები. ყველა ისინი მომეტებული სიძულვილით
იყვნენ განწყობილნი ჰიტლერული რეჟიმის მიმართ. ფრონტიდან დაბრუნდა
ჰორსტ კრამიც, რომელმაც ვისლასთან სამუდამოდ დატოვა ცალი ხელი. იგი
ჩამოსვლისთანავე გრიუნვალდთან მივიდა, რაც დაუყოვნებლივ მოახსენეს კრუ-
კეს. ცნობამ ამ ვიზიტის შესახებ გესტაპოელს გაცილებით უფრო მეტი საბაბი
მისცა, ვიდრე გრიუნვალდზე მრავალი თვის განმავლობაში თვალყურის დევ-
ნებამ.

ჰორსტ კრამმა დაუყოვნებლივ გაუზიარა გრიუნვალდს ყველაფერი ის,
რაც მან გაიგო და განიცადა ფრონტზე. უხეში პროთეზი ყოველ წუთს მოაგო-
ნებდა იმ ჯოჯოხეთს, რომლიდან თავი დააღწია. ჰორსტ კრამისათვის მაინც ეს
როდი იყო ყველაზე მთავარი. ფრონტზე საოცრად გამოიცვალა იგი, გამოიცვალა
არა გარეგნულად, არამედ შინაგანად.

ფრონტმა თითქოს თვალი აუხილა კრამს. იქ პირველად ჩაუვარდა ხელში
საბჭოთა თვითმფრინავიდან გადმოყრილი ფურცლები. მოწინავე სანგარში
წოლისას ჰორსტ კრამი ფიქრობდა ყველაფერზე, რაც ფურცლებში ეწერა. მო-
ფიქრებისათვის საკმაო დროც ჰქონდა. ბევრი რამ, რასაც ფურცლები ამბობ-
დნენ, ჰორსტ კრამმა წინათაც იცოდა, მაგრამ აქ ყველაფერი უფრო ნათლად
იყო ნათქვამი, და ომმა, რომელშიც ჰორსტი ძალით წაიყვანეს ხელი შეუწყო
საბოლოოდ გარკვეულიყო ამაში. ასე გაიგო ჰორსტ კრამმა სიმართლე ომზე;
მტკიცედ ჩამოაყალიბა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ პირველ შესაძლებ-
ლობისთანავე ჩაბარებოდა ტყვედ, მაგრამ ვერ შეძლო თავისი განზრახვის სის-
რულეში მოყვანა. არტილერიის ცეცხლმა ჩაანგრია ძელმიწური, სადაც იმალე-
ბოდა. ამხანაგებმა გამოთხარეს იქიდან. მძიმე ძელის დაცემისაგან მკლავი
დამტვრეული ჰქონდა.

ასე დასრულდა ჰორტს კრამისთვის სამხედრო სამსახური. რამდენიმე თვე
იწვა საპროთეზო ჰოსპიტალში, ინვალიდებთან ერთად. თავდაპირველად აკვირ-
ვებდა საუბარი, რომელსაც ერთმანეთში აწარმოებდნენ დაჭრილები, მერე შე-
ეჩვია მათ და, თვითონაც დაიწყო ლაპარაკი გაცილებით უფრო თავისუფლად,
ვიდრე ოდესმე იცოდა.

ინვალიდები აშკარად, დაუფარავად წყევლიდნენ ომს და ყველა იმათ, ვინც ისინი გააგზავნა სანგრებში. მათ უკვე არაფერი ჰქონდათ დასაკარგავი, თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ მკვახედ და აშკარად. უსმენდა რა მათ, ჰორსტმა ბევრი რამ ისწავლა. და აი, ახლა აისბორნში დაბრუნდა მრისხანე და ისე გაცოფებული, რომ უკვე კარგად იცოდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა.

ფრონტზე ყოფნის განმავლობაში კრამმა გაწყვიტა კავშირი ამხანაგებთან და ამიტომ გამოცხადდა პირდაპირ გრიუნვალდთან, ამით კი დიდი გაუფრთხილებლობა გამოიჩინა.

რიჰარდს უმალვე გაუელვა თავში, რომ მისი მოსვლა, აუცილებლად საეჭვოდ მოეჩვენებოდა გესტაპოელ კრუკეს, მაგრამ უკვე შეუძლებელი იყო რისიმე შეცვლა.

ჰორსტმა სიხარული გამოთქვა აისბორნში დაბრუნების გამო, გრიუნვალდმა წინადადება მისცა ცოლს, აედუღებინა ჩაი, ჰორსტს კი გამოკითხვა დაუწყო. კრამი კი, ჰოსპიტალში მიღებული ჩვევის მიხედვით, უამბობდა აღმოსავლეთის ფრონტის ამბებს, გინებით იკლებდა ჰიტლერსა და ყველა იმათ, ვინც ეს ომი წამოიწყო. ამ დროს კარზე დააკაკუნეს და, ოთახში შემოვიდა ბატონი კრუკე.

— გამარჯობათ, ბატონებო, — წარმოთქვა კრუკემ, — ჰაილ ფიურერ! როგორ მიდის საქმე აღმოსავლეთის ფრონტზე, ბატონო კრამ?

— ჰაილ ფიურერ, გვარიანად, — მიუგო ჰორსტმა, მხარი გაიქნია და პროთეზი მაღლა ასწია.

კრამის დაცინვამ გააცოფა კრუკე.

— კმარა ლაყბობა! — გარეწარი ხმით წამოიყვირა მან, — მომყევით! თქვენ დაპატიმრებული ხართ! ორივენი გამოდით!

— გვაპატიეთ, ბატონო კრუკე! — გაკვირვებით წამოიძახა გრიუნვალდმა. — რისთვის? ჩვენ არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვის!

— კარგი, კარგი, — მიუგო კრუკემ, — მე გამოგინახავთ დანაშაულს! გაინძერით!

— ნუ ღელავ, ტრუდი. აქ რაღაც გაუგებრობაა, — მხრები აიჩეჩა რიჰარდმა, აკოცა ცოლს და კრამთან ერთად გავიდა პატარა მოედანზე, სადაც კრუკემ ისინი ჩააბარა პოლიციელებს.

ჰერტრუდა გრიუნვალდისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია კრუკეს. ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ამ უბრალო გერმანელ ქალს შეეძლო პოლიტიკური მუშაობა. ეკლესია, სამზარეულო, ბავშვები — ეს სამი დიდებული იდეალი, რომლებსაც ეგრე დიდი ხანია უნერგავდნენ გერმანელ ქალებს, გარდუვალად ეჩვენებოდა გესტაპოელს. როცა კრუკე ორი გესტაპოელის თანხლებით დაბრუნდა ოთახის გასაჩხრეკად, ისე დაიწყეს ნივთების ქექვა, რომ სრულიადაც ვერ ამჩნევდნენ დიასახლისის იქ ყოფნას.

ვიდრე კრუკე და მისი თანაშემწეები პარპაშობდნენ ოთახში, ჰერტრუდა სავსებით გონდაკარგული იყო. ბოლოს ისინი წავიდნენ, მაგრამ მაინც ვერ შეძლო გონი მოეკრიბა. მერე ადგა და ნელა შეუდგა ოთახის წესრიგში მოყვანას, — გესტაპოელებმა ჩხრეკის დროს ყველაფერი ყირაზე დააყენეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. გრიუნვალდს იატაკქვეშ მომუშავის საკმაო გამოცდილება ჰქონდა. მაინც გამოურკვეველი იყო, თუ რა მამხილებელი საბუთები ჰქონდა კრუკეს. ჰერტრუდა ისე ხმამაღლა აქვითინდა, თითქოს სამუდამოდ ეთხოვებოდა ქმარს. მერე დამშვიდდა.

იქნებ რიჰარდი მაინც დაბრუნდეს? იქნებ ყველაფერი ეს გაუგებრობაა და ხვალ გამოუშვან, იქნებ ისე შემოვიდეს ოთახში, როგორც ყოველთვის, ცოდ ხოლმე მუშაობის შემდეგ, და ჰერტრუდაც შეხვდეს თავისი ჩვეულებრივი, სრულიად მისთვის შემონახული ღიმილით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ ვინმემ გასცა, გაყიდა? ამ საშინელმა ფიქრმა მეხის დაცემასავით გააყრუა ჰერტრუდა. არა, არ იყო და, არც შეიძლებოდა გამცემი ყოფილიყო მათ შორის! მაინც... არა, არა, ეს შეუძლებელია!..

ჰერტრუდა უდიდესი სიმძიმეს გრძნობდა გულზე. ტირილს ძლივს იკავებდა და, მოულოდნელად მოაგონდა ლენინის ძეგლი. სადღაც შორს, ქარხანაში დგას იგი, ჯავშანის მძიმე ფილები აქვს მიფარებული. ვიდრე ჰერტრუდა გრიუნვალდი ცოცხალია, ვიდრე დადის და სუნთქავს, ვიდრე ცოცხლობენ ანტიფაშისტური ორგანიზაციაში გაერთიანებული ამხანაგები, ლენინის ძეგლს ვერავინ მიაკვლევს.

ახლა, როცა რიჰარდი დააპატიმრეს, ისე უნდა იმუშაოს ჰერტრუდამ, როგორც არასოდეს, ზუსტად და დაძაბულად, რომ გესპატოელებს არ ჰქონდეთ მასალები გრიუნვალდის საბრალმდებლოდ, რომ ვერ შეძლონ განუცხადონ რიჰარდს — შენი დაპატიმრების შემდეგ ფურცლების გამოსვლა შეწყდაო.

არა, ჰერტრუდა იმუშავებს წყეული კრუკეს ჯიბრზე.

ჰერტრუდას იმ ღამეს არ დაუძინია. დილით კი აისბორნში ისევ გაჩნდა ფურცლები და სიმართლემ ჰიტლერული არმიების დამარცხების შესახებ, ისევ დაიინებოთ დააკაკუნა საქსონიის პატარა მყუდრო ქალაქის ყოველ სახლის კარზე.

თავი მეოთხე

გრიუნვალდისა და კრამის დაპატიმრებამ სასურველი შედეგები ვერ მოუტანა კრუკეს. თავდაპირველად დარწმუნებული იყო იმაში, რომ რამდენიმე დღეში ეს უბრალო მუშები ყველაფერს იტყოდნენ, აცნობებდნენ სრულიად ზუსტად, თუ სად იყო დამალული ლენინის ძეგლი, ვინ ეხმარებოდა მის დამალვაში, ვინ წერდა და ავრცელებდა ფურცლებს ქალაქში.

მათი დაპატიმრებიდან თითქმის ორი თვე გავიდა, მაგრამ გარდა მოკლე სიტყვებისა „არ ვიცი“, ბატონმა კრუკემ სხვა ვერაფერი გაიგო ამ ორი მუშისაგან.

ამ ადამიანების მოქცევა ახელებდა და აბრაზებდა კრუკეს. მათ გაცილებით უფრო მშვიდად ეჭირათ თავი, ვიდრე თვითონ კრუკეს. ოღონდაც ბატონ კრუკეს გული თანდათან უფრო უდუღდა!

მეტად სასტიკი შეიქნა ცხოვრება გერმანიაში. ახლა უკვე მთავრობის გაზეთებიც კი წერდნენ დამარცხების შესაძლებლობის შესახებ. საბჭოთა ჯარები ოდერს მიუახლოვდნენ. ისინი უკვე ბერლინს უმიზნებდნენ. დამაფიქრებელი მდგომარეობა შეიქმნა...

კარზე დააკაკუნეს და მორიგე გესტაპოელმა შემოიყვანა, უფრო სწორად— ოთახში შემოაგდო, რიჰარდ გრიუნვალდი. პატიმრობის განმავლობაში მუშა გრიუნვალდის სახე დაეფარა ზედ შემხმარ სისხლისაგან მოწითალო ჯაგრისებურ თმას. ხელები გადამტვრეული ჰქონდა, სიარული აღარ შეეძლო. მხოლოდ თვალებში, სიძულვილის ჯერ კიდევ ჩაუმქრალ ცეცხლად ენთო სიცოცხლე.

— სად არის ძეგლი? — დაუყვირა კრუკემ.

გრიუნვალდმა გამარჯვებულად იგრძნო თავი, უკვე გამოვლილი ჰქონდა

ყოველგვარი წამება. ახლა არავის შეეძლო მისი სიმშვიდისა და რწმენის დარღვევა.

— არ ვიცი, — მიუგო გრიუნვალდმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან წარმოთქვა ეს სიტყვები ჩუმად, მშვიდად, გაზეპირებით. ეს იყო ერთადერთი სიტყვები, რომელთა წარმოთქმის ნებას აძლევდა თავის თავს. გრიუნვალდი ამას ამბობდა ყველაფრის პასუხად, ხშირად უადგილოდაც კი, მაგრამ ეს სულ ერთი იყო მისთვის.

— ისევ?.. — ღვარძლით წამოიყვირა კრუკემ და მორიგე ჯალათი გამოიძახა.

ვინ იცის, შეიძლება თუ არა, შეეჩვიო ტკივილს; მაგრამ შეიძლება აიძულო თავი, აიტანო ტკივილი და გონება მაინც არ დაკარგო. გრიუნვალდი ძიეჩვია მოთმინებასა და სიძულვილს. არაადამიანური ტკივილის გამო თვალთ უბნელდებოდა, მაგრამ მაინც არც ერთი სიტყვა არა თქვა გერმანელმა მუშამ რიჰარდ გრიუნვალდმა, თავი არ დაიმცირა, არ გასცა თავისი საქმე, არ გასცა დიდი ლენინი.

როცა წამება მოუთმენელი გახდა, როცა თვალწინ აუთამაშდა თანდათან განიერად მზარდი და ყოველის მხრით თრთოლვით მცურავი შავი წრეები, გრიუნვალდი მიხვდა, რომ გონებას ჰკარგავდა, და გაუხარდა კიდეც: მცირე ხნით მაინც შევისვენებ, წუთით მაინც მივეცემი თავდავიწყებასო.

გრიუნვალდი გამოერკვა სავარძელში, ბატონ კრუკეს მაგიდის წინ. მაგიდასთან დაინახა მეორე გესტაპოელი, უთუოდ ეს წოდებით უფროსი იყო, რადგან კრუკეს უცებ მლიქვნელური და, ცოტა არ იყოს, შეშინებული გამომეტყველება მიეღო.

— რა უნდა უყოთ მას, თქვენი აზრით? — შეეკითხა უფროსი.

კრუკემ დაბნეულად გაიქნია ხელები:

— დუმს.

— კმარა ამაზე დროს დაკარგვა! ჯანდაბას მაგისი თავი! — კრუკე, თქვენთვის არის სხვა უფრო მეტად მნიშვნელოვანი დავალება, ვიდრე ეს რაღაც მოჩვენებითი ძეგლები, რომლებისაც თქვენ აგრე გეშინიათ.

კრუკემ მლიქვნელურად გაიღიმა, თავი დაუქნია და ქუსლები ერთმანეთს მიარტყა.

ორმა გესტაპოელმა გაიყვანა გრიუნვალდი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გაათრიეს იგი.

მაშინ უფროსი მიუბრუნდა კრუკეს და უთხრა:

— გერმანიის შესაძლებელი დამარცხების შემთხვევისათვის ნაბრძანებია, მე და შენ მოვამზადოთ იატაკქვეშა ორგანიზაცია.

— ეს ღალატია! — შეწივლა კრუკემ.

ერთ წუთს მზად იყო, მართლა ეჭვი მიეტანა უფროსზე, მოღალატედ ჩათვალა იგი. ზოგჯერ თვითონაც ნებას აძლევდა თავის თავს, ეფიქრა დამარცხების შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ ვერასოდეს ვერ გაბედავდა, ხმამაღლა გამოეთქვა ასეთი აზრი.

— სისულელეს ნუ ამბობთ, კრუკე! — მშვიდად მიუგო უფროსმა. — თქვენ სარგებლობთ ნდობით, სწორედ ამიტომ გავალებთ ამ საქმეს.

კრუკე ახლა მიხვდა. მაშასადამე, უფროსს უნდა იგი დარჩეს აქ, იატაკქვეშ სამუშაოდ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აქ მოვლენ ბოლშევიკები. გესტაპოელს ელდა ეცა.

— რაო, კრუკე, უკვე შეგეშინდათ? — აშკარა ირონიით შეეკითხა უფროსი. — მე კი მეგონა, რომ თქვენ ნამდვილად თავდადებული იყავით ჩვენი ფიუერერისა და ყოველგვარ დავალებას უსიტყვოდ შეასრულებდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრუკე მიხვდა, რომ უარის თქმა სახიფათო იყო.

— ჰაილ ჰიტლერ! — წამოიძახა მან. — მზად ვარ, ყოველგვარი დავალება შევასრულო, მიბრძანეთ!

კრუკე უსმენდა ბრძანებას, მაგრამ თავში უკვე მომწიფდა გადაწყვეტილება, გაპარულიყო სადმე, ოღონდ კი მოშორებოდა ქალაქ აისბორნს, სადაც მისი ხელით ამდენი სისხლი იყო დაღვრილი.

ვიდრე ეს ლაპარაკი წარმოებდა, რიჰარდ გრიუნვალდი და ჰორსტ კრამი დახურული მანქანით მიიყვანეს აისბორნის მახლობლად არსებულ საკონცენტრაციო ბანაკში. ბანაკის მორიგემ შეხედა პატიმრებს; მობადრაგე ესესელს შეაგინა და უთხრა:

— ჯანდაბას! უკან წაიყვანეთ! ჩვენ გვამებს არ ვიღებთ. თქვენ თვითონ დამარხეთ ისინი.

— ისინი ჯერ კიდევ ცოცხლები არიან! — შეესიტყვა მობადრაგე.

— არ მივიღებ, — თავისას გაიძახოდა მორიგე, — უკანვე წაიყვანეთ.

ალაყაფის კარი ესესელის ცხვირწინ მოხურა.

უკანვე აისბორნში მოუხდათ წასვლა.

მოისმინა თუ არა ესესელის მოხსენება, კრუკე გახელდა:

— უფროსმა გვიბრძანა, ქუჩაში გადავაგდოთ და არა საკონცენტრაციო ბანაკში წავიყვანოთ. გადააგდეთ სადმე, ჯანდაბას მაგათი თავი. ახლა ვის სცალია მაგათთვის.

ამგვარად, რიჰარდ გრიუნვალდი ზამთრის ღამეში ისევ შინ აღმოჩნდა. ის უცნობმა პირებმა მოიყვანეს. რიჰარდი დაეცა საწოლზე, რომლიდან აღებული უკანასკნელი საბანი უკვე დიდი ხნის წინათ იყო გაყიდული. საწოლზე დაცემისთანავე გონება დაკარგა. დიდხანს ბოდავდა. რაკი ცოლის ალერსიანი თხელი ხელის მიკარებას არ გრძნობდა, დაუსრულებლად იმეორებდა ორ სიტყვას:

— არ ვიცი... არ ვიცი...

ქმრის გამოჩენამ გააკვირვა ჰერტრუდა გრიუნვალდი. უკანასკნელ ხანებში ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ადამიანი ბრუნდებოდა გესტაპოდან. ამქვეყნად რაღაც უჩვეულო რამ უნდა მომხდარიყო, თუკი იქ, საშინელებით მოცულ გესტაპოში, რაღაცა შეიცვალა, იქნებ დაიმსხვრა კიდეცო.

პირველ დღეებში, როცა გრიუნვალდი სულ მისუსტებული იყო, ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა და, ხშირად გონს კარგავდა, ჰერტრუდა ვერ ბედავდა გამოკითხვას. მან მხოლოდ უამბო რიჰარდს: ორგანიზაცია შენარჩუნებულიაო. ეს იყო სწორედ ის, რისი მოსმენაც სწყუროდა დასახიჩრებულ გრიუნვალდს. ამხანაგების ბედი ტანჯავდა საპატიმროში მრავალი უძილო ღამის განმავლობაში.

ჰერტრუდა ზოგჯერ მცირე ხნით მიდიოდა სახლიდან. გრიუნვალდი არ კითხულობდა, სად მიდიოდა ის, ხოლო, როცა ბრუნდებოდა, თხოვდა, ეჩვენებინა მისთვის ახალი ფურცელი. იგი ათვალიერებდა ჰექტოგრაფზე ბუნდოვანად, უსწორმასწოროდ დაბეჭდილ სტრიქონებს და ნელა ეღიმებოდა, თან მოწონებით აქნევდა თავს.

ასე გადიოდა დღეები. რიჰარდ გრიუნვალდმა მომჯობინება დაიწყო და ისევ იატაკქვეშა მუშაობას შეუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეხუთე

გავიდა ზამთარი, საქსონიის მთების ხეობებში საგაზაფხულოდ აოკრაკდნენ ღელეები და ელბიდან ნესტიანმა სითბომ დაჰქროლა. გაზაფხულის ქარებთან ერთად, ამ პატარა ქალაქში, შემაშფოთებელი ცნობებიც მოდიოდა.

ახლა ადამიანები დაძაბული მღელვარებით ელოდნენ „მთავარი სადგომის" ცნობებს. ყველასათვის აშკარა იყო, რომ საქმე ეხებოდა ბერლინის ბედს, გერმანიის ბედს. საბჭოთა ჯარებმა ძლევამოსილი შეტევა დაიწყეს, ორი მხრით რკინის სალტედ ერტყმოდნენ ბერლინს.

რიჰარდ გრიუნვალდს კარგად ესმოდა, რომ დაიწყო ჰიტლერისა და ძისი რეჟიმის აგონია. არავის არავითარი ძალით არ შეეძლო ახლა შეეჩერებინა წითელი არმიის შეტევა.

ამ დღეებში რიჰარდ გრიუნვალდი მუშაობდა ისე დაძაბულად, როგორც არასოდეს. ჯერ კიდევ არ შეეძლო სახლიდან გამოსვლა, მაგრამ ისევ ხელი მოკიდა იატაკქვეშ მუშაობის ხელმძღვანელობას. ახლა მუშაობა უფრო ადვილი და, იმავე დროს, უფრო სახიფათო შეიქნა. ადვილი იმიტომ, რომ ჰიტლერელებს არ ეცალათ პროტესტის ყოველი გამოვლინებისა და ყოველგვარი „კრამოლური" ხმებისათვის ბეჯითად და ზუსტად თვალ-ყური ედევნებინათ; ხოლო უფრო სახიფათო იმიტომ, რომ ახლა უკვე ლაპარაკიც ზედმეტი იყო რაიმე გამოძიებაზე, გარჩევაზე, გასამართლებასა და სხვა მისთანა „ფორმალობაზე". ახლა არსებობდა მხოლოდ ერთი სასჯელი: სიკვდილით დასჯა გაუსამართლებლად და გამოუძიებლად.

მიუხედავად ამისა, ორგანიზაცია მაინც მუშაობდა. ყველაზე უფრო მეტად ფურცლები ჩნდებოდა სახლების კედლებზე. ეს ფურცლები მოუწოდებდნენ გერმანელებს, დეზერტირად წასულიყვნენ არმიიდან, არ შეესრულებინათ ფაშისტების მიერ მოსყიდულთა ბრძანებები, სამხედრო დაკვეთებისათვის საბოტაჟი გამოეცხადებინათ ქარხნებში.

ნაზავების ეზოს ხელოსანმა ვურსტმა, თვალი გადაავლო რა თავის მეურნეობას, შეშფოთებით თავი გაიქნია. თანდათან უფრო ნაკლები რჩებოდა ფოლადის ჯართი ქარხანაში. ახლა წლობით დაწყობილი მარაგის დაშლა უხდებოდათ. კიდევ რამდენიმე დღე და მარტენი უნდა გაეჩერებინათ, რადგან ნედლეული არ ყოფნიდათ.

მაისის ერთ დილას ხელოსანი ვურსტი არაჩვეულებრივად აღელდა. უცნაური ცნობა წაიკითხა გაზეთში, საიდანაც არაფრის გაგება არ შეიძლებოდა. შეუძლებელი იყო იმისი გაგებაც კი, თუ საიდან გადმოსცეს ის: ბერლინიდან თუ სხვა ქალაქიდან. იქნებ გერმანიის დედაქალაქში ბოლშევიკები არიან? ცნობაში გარკვევით არაფერი იყო ნათქვამი. სად არიან გერმანელი ჯარები?.. ვურსტი ნერვიულობდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა ემუშავა.

ლითონის ჯართი ძალიან ცოტა რჩებოდა და ხელოსანმა ბრძანება გასცა, დაეშალათ უკანასკნელი მარაგი სამხრეთის რკინიგზის ხაზთან. იქ ეყარა ტანკების ჯავშნების დიდრონი ნატეხები. მუშაობა ნელა მიმდინარეობდა, რადგან ძალიან მძიმე ნატეხები იყო.

ნაზავების ეზოში უკვე დიდი ხანია გამოცვლილიყვნენ ამწეებზე მომუშავენი. ალბათ არც ერთ მათგანს არაფერი გაუგონია რიჰარდ გრიუნვალდის იმ უჩვეულო ნაპოვნზე, მაგრამ ხელოსან ვურსტს არასგზით არ ავიწყდებოდა ის და ყოველთვის ეჭვით უთვალთვალებდა, როცა ჯართის ახალ გროვას შლიდნენ.

ძლიერი ამწეები მაღლა იტაცებდნენ ფოლადის ზოდებს და ადვილად გადაჰქონდათ ის ურნალზე. დამტვრეული ტანკის კოშკურას უკან, ჰაერში მისცურავდა სახოვანი თუჯის ცხაური, მის შემდეგ ურნალის ქვეშ გაწვა ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნის გაბრტყელებული ლულა.

ხელოსანმა ვურსტმა, რომელიც დაკვირვებით თვალ-ყურს ადევნებდა ამწეს მუშაობას, უცებ გაკვირვებით წამოიყვირა. ჯავშნის დიდი ზოდის უკან დაინახა ის. რისიც ეშინოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში, მთელი ამ ხანგრძლივი წლინახევრის განმავლობაში. ზოდს უკან, რომელიც ნელ-ნელა მიცოცავდა განზე, მომცრო ტანის ფიჯაკიანი კაცი იდგა.

ვურსტმა წამში ყველაფერი გაიგო. მიიხედა თუ არა, დაინახა მუშების ინტერესით დაცეცებული თვალები, და უცებ გადაწყვიტა, რომ ახლა საჭირო იყო ელვისებური მოქმედება.

— ათ წუთში მოვალ. ამწეებმა არ უნდა იმუშაონ. ძეგლის დაცვისათვის პერსონალურად პასუხისმგებელნი არიან იოჰან კრამკე და ჰენრიხ ბლიუმი, — გასცა ბრძანება ვურსტმა და საამქროდან სირბილით გაიჭრა.

მუშებმა დამცინავი მზერა გააყოლეს. ისინი მიუახლოვდნენ ძეგლს და დიდხანს შესცქეროდნენ ლენინის მშვიდ სახეს. ჰანს კრამკემ ამწე ჩართო, რომ ძეგლი ახალ ადგილზე გადაეტანა, მაგრამ მექანიზმი არ მუშაობდა. დენი არ იყო. შტალვერკეს არ ჰქონდა თავისი ელექტროცენტრალი, მხოლოდ საერთო ძალთქსელიდან იკვებებოდა, ახლა დენი გამორთული იყო. მუშები იდგნენ ლენინის გარშემო და დაძაბულად დუმდნენ.

ხელოსანი ვურსტი სირბილით შეიჭრა კრუკეს კაბინეტში და საოცარი სურათი დაინახა: სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ბატონი კრუკე ჩაცუცქულიყო და ქაღალდებს წვავდა. რკინის ღუმელის გვერდები ვარვარებდნენ, ოთახში ცხელოდა, ალი მილში მძვინვარებდა. კრუკე კი სულ ახალ-ახალ ქაღალდებს ტენიდა ღუმელში, გლეჯდა მუყაოებს, სპობდა თავის კაენისებური მუშაობის კვალს.

ვურსტი კარებში შეჩერდა, მაგრამ კრუკეს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მისთვის.

— ვიპოვე! — შეყვირა ვურსტმა ზღურბლიდან.

კრუკემ ალით განათებული მრგვალი სახე უცებ მოაბრუნა ვურსტისკენ და კბილები გააკრაჭუნა:

— რა იპოვე?

— ძეგლი!

კრუკე შეტოკდა. ახლაც კი არ შეეძლო დამშვიდებით მოესმინა ეს ცნობა.

— სად?

— ნაზავების ეზოში, ფოლადის ჯართში.

— სწორედ ის, თუ სხვა?

— სწორედ ის!

— მაშასადამე, ისინი მაინც მალავდნენ მას. თქვენ კი... სად იყო თქვენი თვალები?

ხელოსანი არ მოელოდა, თუ ასე დატრიალდებოდა საქმე.

— აქ მე რა შუაში ვარ! — თავს იმართლებდა ვურსტი. — გთხოვთ ნაზავების ეზოში წამოხვიდეთ. ძეგლი მუშების მეთვალყურეობით დავტოვე... შეუძლიათ, ისევ გადამალონ.

— ახლა უკვე ველარ დამალავენ, — ალმაცერად გაიღიმა კრუკემ. — და

ჩვენც, მე და შენ, ვერაფერს გავხდებით. თუმცა, საბედნიეროდ, ჩვენ ალბათ, ვერც კი ვნახავთ მას.

— რას ნიშნავს ეს, ბატონო კრუკე? — დაიყვირა ვურსტმა, თან კარისკენ დაიხია.

— ეს ნიშნავს... ეს ნიშნავს... ფიურერმა თავი მოიკლა. გათავდა ჩვენი იმპერია... ყველანი ბედის ანაბარა დაგვყარა. ახლა თავს უნდა ვუშველოთ. თქვენ შეგიძლიათ შინ წახვიდეთ, ვურსტ.. ბერლინში ბოლშევიკები არიან... მორჩა.

კრუკე კართან მივიდა, ვურსტს არც კი შესცქეროდა, ისე დაიწყო რაღაც დოკუმენტების ჩატენა ჩემოდანში, მერე ნახმარი ფეტრის ქუდი დაიხურა. ამ ქუდის ქვეშ იგი ჩვეულებრივზე უფრო უბადრუკი და პატარა ჩანდა.

ვურსტი გაოგნებით უყურებდა, როცა კრუკე ჩემოდნიანად გადიოდა ოთახიდან.

— მე რა ვქნა? მირჩიეთ, რა უნდა გავაკეთო მე?

— თქვენ აქ უნდა დარჩეთ. მოვა დრო და, დაგიკავშირდებით. ჩვენ კიდევ გავუწევთ სამსახურს ჩვენს ფიურერს, — დეკლამაციურად წარმოთქვა კრუკემ და ზღურბლს იქით მიიმალა.

თავი მეექვსე

ამგვარად, „ათასწლოვანი იმპერია" სამუდამოდ დასრულდა. ხელისუფლება გაიქცა აისბორნიდან. გესტაპოს ბნელი სახლის კარები ფართოდ გაიღო. ახლაც კი ვერავინ ბედავდა შესვლას ამ სახლში. პოლიციელი, რომელიც იმდენი წელი დაალაჯებდა შესასვლელის წინ, გაქრა. შტალვერკეს ადმინისტრაცია მიიფანტ-მოიფანტა. დირექტორი შვეიცარიაში გაიპარა, მოსამსახურეებმა მიატოვეს კანტორა. საამქროებში მკვდრული სიჩუმე დამკვიდრდა.

რიჰარდ გრიუნვალდს ამ წუთებში მოუხდა თავის სიცოცხლეში ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება. როცა ჰერტრუდამ მოიტანა ამბავი აისბორნიდან ჰიტლერული ხელისუფლების გაქცევის შესახებ, გრიუნვალდი ღრმად ჩაფიქრდა.

რა უნდა გავაკეთო? როგორ უნდა მოიქცნენ ჩემ მიერ შექმნილი ანტიფაშისტური ორგანიზაციის წევრები? ნუთუ იატაკქვეშ უნდა ისხდნენ იმ დრომდე, ვიდრე ქალაქში გამოჩნდებიან რუსი სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები? მერე-და, როდისღა გამოჩნდებიან ისინი? — ეკითხებოდა იგი თავის თავს. — ვიდრე ისინი მოვლენ ქალაქში, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. უადგილო ხომ არ იქნება, რომ მე და ჩემმა ამხანაგებმა ხელთ ავიღოთ ძალაუფლება, თავი დროებით ბურგომისტრად გამოვაცხადო და რუსების მოსვლამდე დავიცვათ წესრიგი?

რიჰარდმა თავისი მოსაზრებანი გაუზიარა ჰერტრუდას, რომელმაც მცირე ფიქრის შემდეგ უთხრა:

— შენ სწორად გადაწყვიტე, რიჰარდ, თუ ჩვენ აქამდე იატაკქვეშ ვიმალებოდით, ახლა კი დადგა დრო, როცა დღის სინათლეზე უნდა გამოვიდეთ!

რიჰარდის მეგობარს — ჰორსტ კრამსაც თითქმის ასეთივე აზრი მოუვიდა. იაკობ ზონეც თან წამოიყვანა და გრიუნვალდებთან გაჩნდა. ჰორსტმა ერთი ბოთლი ლიქიორი — მწვანე კიურასო მოიტანა და, უწინარეს ყოვლისა, გადაჰკრეს თავიანთი განთავისუფლების გამო, მერე კი წყეული ჰიტლერული რეჟიმის დაღუპვის აღსანიშნავი სადღეგრძელო დალიეს.

— ამხანაგებო, რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ? — შეეკითხა გრიუნვალდი, როცა პირველი ჭიქა უკვე დალიეს.

— წარმოიდგინეთ, რომ აჯობებს, მშვიდად დავიცადოთ, ვიდრე რუსები მოვლენ, — მიუგო ზონემ. — გულახდილად თუ მათქმევინებთ, ცოტა არ იყოს, მეშინია მათთან პირველი შეხვედრისა. როგორც არ უნდა ვილაპარაკოთ, ჩვენ გერმანელებმა ბევრი ბოროტება გავუკეთეთ მათ და, პირველ ხანებში შესაძლოა ვერ გაერკვნენ იმაში, თუ ვინ იყო ჰიტლერელი და ვინ — კომუნისტი.

— მე სულაც არ ვფიქრობ ამაზე, — შენიშნა ჰორსტმა. — რუსებმა კარგად იციან, რომ გერმანელებში ბევრი სხვადასხვაგვარი ადამიანია. ისინი გაერკვევიან, სად არიან ჰიტლერელები და სად — უბრალო პატიოსანი მუშები.

— ამაში ეჭვი არ მეპარება, — თქვა გრიუნვალდმა, — მე სხვა რამე მაინტერესებს: უადგილო ხომ არ იქნება, რომ ხელში ავიღოთ ძალაუფლება და რუსების მოსვლამდე დავიცვათ წესრიგი?

მოულოდნელად ალაპარაკდა ჰერტრუდა გრიუნვალდი. აქამდე, ვიდრე მამაკაცები ლაპარაკობდნენ, ის დუმდა, ახლა კი — უცებ გამბედაობა მოიკრიბა და ოთახში გაისმა მისი მაღალი, ენერგიული ხმა.

— მე მგონია, — თქვა მან, — საჭირო არაა ჩვენი დამალვა. ქარხანაში უნდა წავიდეთ, ავიღოთ ძეგლი და ღირსეულ ადგილზე დავდგათ. ჩვენ ამისი სრული უფლება გვაქვს. ჩვენ შევინახეთ ის და ჩვენვე გვეკუთვნის. მასზე ფიქრი გვამხნევებდა ჩვენი სიცოცხლის ყველაზე მძიმე დღეებში. აი, სწორედ ამიტომ, ჩვენი პირველი საფიქრალიც მხოლოდ ის უნდა იყოს.

მამაკაცებს თავდაპირველად გაუკვირდათ, როცა ჰერტრუდას ხმა გაიგონეს, მაგრამ მერე მოწონებით მოუსმინეს. ჰერტრუდამ მოახერხა, გამოეთქვა აზრი, რომელიც ბუნდოვანად არეულიყო მათ თავში. კითხვაზე, თუ რა უნდა გაეკეთებინათ, მან საქმიანი პასუხი გასცა.

და აი, აისბორნის ქუჩებში გაჩნდა ადამიანი, რომელსაც ხელში ეჭირა წებოთი სავსე ვედრო და დახვეული ქაღალდი, იგი კუთხიდან კუთხემდე მიდიოდა და აკრავდა განცხადებებს, რომლებითაც დროებითი მაგისტრატი აუწყებდა მცხოვრებლებს, რომ ქალაქში საოკუპაციო ჯარების მოსვლამდე, მან აიღო ხელისუფლება. მაგისტრატი მოუწოდებდა, დაეცვათ წესრიგი, იგი აწესებდა ქუჩებში სიარულის საათებს, აცხადებდა სურსათის მიღების წესებს. უწყებას, მაგისტრატის სახელით, ხელ აწერდა: „ქალაქ აისბორნის დროებით ბურგომისტრი — რიჰარდ გრიუნვალდი“.

მუშები გაკვირვებით მხრებს იჩეჩდნენ. რიჰარდ გრიუნვალდს დიდი ხანია იცნობდნენ, მაგრამ არავინ ფიქრობდა, თუ ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა შეეძლო.

ქალაქის მცხოვრებთაგან ბევრი ჩაიკეტა სახლში; მოიმარაგეს წყალი, კარტოფილი და გადაწყვიტეს, ასე ელოდნათ.

ამასობაში მაგისტრატში თავი მოიყარა მთელმა ორგანიზაციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა რიჰარდ გრიუნვალდი. ის არ იყო მრავალრიცხოვანი, სულ რამდენიმე ათეულ კაცს შეადგენდა. აქ შეიყარნენ ის ადამიანები, რომლებიც მალავდნენ ლენინს, წერდნენ ფურცლებს, ავრცელებდნენ ცნობებს ჰიტლერული არმიის დამარცხების შესახებ, ესენი იყვნენ: ხნიერი მუშები, ქალიშვილები და ქალები. რიჰარდ გრიუნვალდმა გადახედა მათ და გაიფიქრა, „ბევრი კარგი მეგობარი მყავსო!“

დიდ დარბაზში, სადაც თავი მოეყარა დროებით მაგისტრატს, იმ მაგიდას-

თან, რომელსაც უჯდა რიჰარდ გრიუნვალდი, ქარხნიდან წამოღებული ლენინის ძეგლი იდგა.

რიჰარდ გრიუნვალდი ლაპარაკობდა იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც ახლა დადგა გერმანელი მუშების წინაშე. მან მოიგონა ერნსტ ტელმანი და როტფრონტის შორეული დრო.

გრიუნვალდმა განსაზღვრა მაგისტრატის ამოცანები. ძირითადში ისინი მდგომარეობდნენ საბჭოთა ჯარების მოსვლამდე წესრიგის დაცვაში.

გრიუნვალდის შემდეგ წამოდგა ჰერტრუდა, მან თქვა:

— ამხანაგებო! მიუხედავად უდიდესი საფრთხისა, ჩვენ თქვენთან ერთად შევინახეთ დიდი ლენინის ძეგლი. წინადადება შემომაქვს, ის დაუყოვნებლივ დავდგათ ქალაქის მოედანზე.

მუშებმა ჟრიამულით მხარი დაუჭირეს ჰერტრუდას წინადადებას.

თათბირის მონაწილენი გამოვიდნენ რატუშიდან და დაინახეს, რომ ძეგლისათვის ადგილის პოვნას დიდი დრო არ დასჭირდებოდა. მოედანზე დიდი ხანია აეშენებინათ კვარცხლბეკი, რომელიც არავინ იცოდა, რისთვის იყო განკუთვნილი.

ავტომანქანაზე მოწყობილი პატარა ამწეს საშუალებით ძეგლი ასწიეს და რუხი გრანიტის კვარცხლბეკზე დადგეს. ცემენტმა შეავსო ნახვრეტი და ძეგლი კვარცხლბეკის გრანიტს შეეზარდა.

რიჰარდ გრიუნვალდმა რუხ გრანიტზე ამოსჭრა ხუთი ასო „Lenin".

გრიუნვალდი აღტაცებას მიეცა, როცა პირველად დაარტყა ჩაქუჩი და იგრძნო, თუ როგორ რეკდა და იმსხვრეოდა მაგარი, რუხი გრანიტი. მთელი მომავალი ხორცშესხმული იყო ამ მოკლე სიტყვაში: ლ ე ნ ი ნ ი.

„რა იქნება მაშინ, როცა წითელი არმია შემოვა ქალაქში?" — ფიქრობდა გრიუნვალდი უკანასკნელი ასოს ამოჭრის დროს. — აი, მაშინ მოვა და დამკვიდრდება თავისუფლება ყველა მშრომელი ადამიანისათვის!"

რიჰარდს ძალიან უნდოდა თავისი აზრი ეთქვა ამხანაგებისათვის. მაგრამ განზრახვა გადადო ძეგლის გახსნის დროისათვის, როცა ადამიანებს მიტინგზე შეეძლებოდათ გამოეთქვათ ყველაფერი, რაც გულში ჰქონდათ. გრიუნვალდი მუშაობდა შთაგონებით. ირგვლივ იდგნენ სულგანაბული ადამიანები და მისი ჩაქუჩის კაკუნი უერთდებოდა მათ გულისცემას.

მუშაობა უკვე დამთავრდა. ყველანი განზე გადგნენ, რათა შორიდან შეეხედათ ძეგლისთვის.

ლენინი შესცქეროდა მთის ვიწრო მდინარეს, წყნარ ქუჩებს, მის ირგვლივ შემოკრებილ გერმანელ მუშების ჯგუფს.

თავი მეშვიდე

მეორე დღეს დილით აისბორნში ჩქარი სვლით შემოვიდა პატარა ჯავშნოსანი მანქანა. მისი ყველა ლიუკი დაცხრილული იყო, ტყვიამფრქვევის მოკლე პატარა დინგი აქეთ-იქით ფრთხილად იცქირებოდა. ჯავშნოსანმა მოედანზე გადაიქროლა, ქარხნისკენ წავიდა, ცარიელ ქუჩებს მოტრასირე ტყვიის გრძელი ჯერი მიაყარა, მობრუნდა და დასავლეთის მიმართულებით გაჰქრა. ავტომანქანის ჯავშანზე, თეთრი ვარსკვლავების გვერდით, დახატული იყო ჭრელი ძროხა, რომელიც ოთხივე ფეხის ერთბაშად მაღლა ასროლით უცნაურად გარბოდა.

ეს იყო ამერიკელი დივიზიის მეთაურის გენერალ გროულის მიერ გამოგზავნილი მზვერავი. ჯავშანში იყვნენ მზვერავთა დივიზიის უფროსი მაიორი

ტილდენი და ორი ჯარისკაცი. ქალაქში საეჭვო ვერაფერი შენიშნეს და ისევ თავიანთ შტაბში დაბრუნდნენ.

მაიორი ტილდენი ასეთ დაზვერვაზე დიდი სიამოვნებით მიდიოდა ხოლმე. მაინიდან მოკიდებული დივიზია უბრძოლველად მიიწევდა წინ.

ეს კი თვით გენერალ გროულისთვისაც მოსაბეზრებელი ხდებოდა. ასე თუ რითიმე თავს ვერ გამოიჩენდა, წარმოიდგინეთ, რომ ორდენსაც ვერ მიიღებდა, ამიტომ გენერალმა გადაწყვიტა, ყოველი ქალაქი ბრძოლით აეღო, დამოუკიდებლად იმისა, იყო თუ არა მასში მოწინააღმდეგე. რა თქმა უნდა, ეს ზედმეტ დროს მოითხოვდა, სამაგიეროდ, გენერალს საფუძველი ჰქონდა, ბრწყინვალე დასმენები ეგზავნა ზემდგომ შტაბში.

ამ დასმენების მიხედვით გენერალმა გროულიმ ბევრი ძლევამოსილი ბრძოლა ჩაატარა და სარდლობამ დივიზიაში გამოგზავნა ექვსი კორესპონდენტი, რომლებსაც ევალებოდათ, პრესაში გაეშუქებინათ ამერიკელი ჯარების გმირობა. რა თქმა უნდა, კორესპონდენტებს შტაბის იქით არსად არ უშვებდნენ „მათ ძვირფას სიცოცხლეზე მზრუნველობის გამო“, მაგრამ ყოველდღიურად მაინც აძლევდნენ მასალებს დივიზიის საბრძოლო წარმატებების შესახებ. გენერალ გროულის ადიდებდა ყველა ამერიკული გაზეთი.

„ბრძოლების“ ორგანიზებით გართულმა მამაცმა გენერალმა დანიშნული დროისათვის ელბამდე მისვლაც ვერ მოახერხა. საბჭოთა ჯარები კი გეგმის თანახმად მივიდნენ ელბაზე და მდინარესთან შეჩერდნენ, გენერალი გროული კი სულ „ომობდა“ და ამრავლებდა თავის დიდებას.

დივიზიას, რომელიც დამშვენებული იყო „ტაქტიკური ნიშნით“ — ჭრელი ძროხა, — ელბამდე რჩებოდა არაუმეტესი ოცდაათი კილომეტრისა. ამ უბანზე არ იყო არც ერთი ჰიტლერელი ჯარისკაცი. და მაიორმა ტილდენმა, ბრძოლის ორგანიზაციის ამ დიდმა სპეციალისტმა, სწორედ იქ, სადაც მოწინააღმდეგე არ იყო, თვითონ დაიწყო გასვლა დაზვერვაზე. ასე აღმოჩნდა იგი აისბორნში და, როგორც შემდგომ ნათქვამი იყო მოხსენებებში, ყველაზე პირველად ხელთ იგდო ეს ქალაქი.

დაბრუნდა თუ არა შტაბში, ტილდენმა მოახსენა გენერალს, გზა თავისუფალია, და მთელი მოტორიზებული დივიზია მშვიდად გაეშურა მოასფალტებული გზატკეცილით ქალაქ აისბორნისკენ, მალე შტაბი მოთავსდა შტალვერკეს საქარხნო კანტორაში.

სწორედ აქ მოხდა ის ამბავი, რამაც თავდაპირველად ძალიან გაიტაცა გენერალი გროული და რამაც მისი „დიდი მხედართმთავრის დიდებას“ შემატა „დემოკრატიული მოღვაწისა და დამარცხებული ხალხების საყვარელი კაცის დიდება“, როგორც შემდგომ აღნიშნული იყო ამერიკულ გაზეთებში

გრიუნვალდი უჩვეულოდ ღელავდა. გაიგო თუ არა, რომ ქალაქში შემოვიდნენ არა საბჭოთა, არამედ ამერიკის ჯარები, უმალვე მოეთათბირა თავის ამხანაგებს. თავდაპირველად იმასაც კი ფიქრობდნენ: ხომ არ აჯობებს, ისევ იატაკქვეშ დავიმალოთ, ვიდრე საბოლოოდ გამოირკვეოდეს ამერიკის სარდლობის დამოკიდებულება დამარცხებული გერმანელების მიმართ, მაგრამ ძეგლის დამალვა უკვე შეუძლებელი იყო. მაშასადამე, საჭირო შეიქნა დაკავშირებოდნენ ამერიკის სარდლობას, ჩაებარებინათ მისთვის ქალაქის გასაღებები, როგორც ამას ძველად აკეთებდნენ ხოლმე დამარცხებულები და, დაეცადათ ბრძანებებისათვის.

მალე ოთხი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია — ცოლ-ქმრის გრიუნვალდე-

ბისა და ჰორსტ კრამის შემადგენლობით — გამოვიდა მაგისტრატის შენობიდან და ამერიკის დივიზიის შტაბისაკენ წავიდა.

ცნობამ მაგისტრატის დელეგაციის მოსვლის შესახებ დივიზიის შტაბში დიდი ფაცა-ფუცი გამოიწვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალ გროულის საბრძოლო გზაზე ბევრი რამ შეხვედრია. დასავლეთ გერმანიის ქალაქებიდან ამერიკელების შესახვედრად ქალაქის ემბლემებით მორთული ველოსიპედებით მიდიოდნენ ღიპიანი პასტორები და ჭაღარა მოხელეები. ზოგჯერ გამარჯვებულებთან მისაგებებლად თეთრი ალმების ფრიალით თეთრ ცხენებს მოაგელვებდნენ უვადო შვებულებაში გასული სამხედრო პირები, ან ნადირობის წამხალისებელთა და ჯიშიანი ძაღლების საზოგადოებათა დელეგატები; მაგრამ დივიზიას რომ ორგანიზებული მოსახლეობის წარმომადგენლები მისალმებოდეს... არა, ეს არასოდეს არ მომხდარა. და გენერალმა თავი წარმოიდგინა გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწედ. ბრძანება გასცა, მოეწვიათ ყველა ექვსივე კორესპონდენტი, რომლებიც მისი პოპულარობისა და დიდების მოწმენი უნდა გამხდარიყვნენ.

გენერალმა გადაწყვიტა, ქალაქ აისბორნის გასაღებები საზეიმო ვითარებაში მიეღო და ბრძანა, გერმანელები გაეტარებინათ ქარხნის დირექტორის კაბინეტში. კორესპონდენტები გააფრთხილა მომავალი ამბების დიდი მნიშვნელობის შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ დართო ნება, შემოსულიყო დელეგაცია.

კარი გაიღო და გენერალმა გროულიმ დიდებული პოზა მიიღო: ერთი ხელი ნაპოლეონისებურად მუნდირის კალთის უკან ჩაიდო, მეორეთი კი მაგიდაზე დაეყრდნო. გარს შემოეხვივნენ ოფიცრები.

დეპუტაციის წინ მოდიოდნენ რიჰარდ გრიუნვალდი, მისი ცოლი და ცალხელა ჰორსტ კრამი. რიჰარდს ხელში ეჭირა ლანგარი, რომელზედაც იდო ერთი უზარმაზარი და ორი მასზე მომცრო გასაღები.

— ბატონო გენერალო, — დაბალი ხმით დაიწყო რიჰარდმა, — ჩვენ მოვედით თქვენთან ჩვენი საყვარელი პატარა ქალაქის აისბორნის დროებითი მაგისტრატის სახელით. როცა ფაშისტები გაიქცნენ, სამხედრო ხელისუფლების მოსვლამდე წესრიგის დაცვა ჩვენ ვიკისრეთ. მე, აისბორნის დროებითი მაგისტრატი — რიჰარდ გრიუნვალდი, გადმოგცემთ ამ გასაღებებს, ამასთან ერთად — ქალაქის ხელისუფლებასაც.

გენერალმა თეატრალური დარდიმანდობით მიიღო ლანგარი. საზეიმო სიჩუმეში ტკაცუნობდნენ კინოაპარატები.

— ბატონო გრიუნვალდ, თქვენ ძალიან კარგად მოიქეცით, — მიუგო გენერალმა, — როცა ჩვენს მოსვლამდე ქალაქში წესრიგის დაცვა იკისრეთ. უკვე არაფერი გაქვთ საშიში. ახლა ჩვენ ვიზრუნებთ ქალაქის კეთილდღეობაზე.

გენერალმა ხელი განიერად გაიქნია, ამით ანიშნა: აუდენცია უკვე დამთავრებულიაო, მაგრამ რიჰარდ გრიუნვალდი არ მიდიოდა.

— ბატონო გენერალო, — წარმოთქვა მან. — საშინელი ჰიტლერული ჩაგვრისაგან გერმანიის განთავისუფლების აღსანიშნავად ჩვენს ქალაქში დავდგით პატარა ძეგლი, ჩვენი თხოვნაა, დაესწროთ მის გახსნას. ეს ძეგლი, როგორც ნამდვილი დემოკრატიის სიმბოლო, სამუდამოდ დარჩება ჩვენს ქალაქში.

აისბორნის მაგისტრატმა კვლავ გადააჭარბა მისტერ გროულის ყოველგვარ მოლოდინს. გენერალმა იცოდა, რომ გამარჯვებულებს, ჩვეულებრივ, ხვდებიან ხოლმე პურ-მარილით, დემონსტრაციებითა და ყვავილებით, კოცნითა და გასა-

ღებებით, მაგრამ ძეგლის გახსნით თვით ალექსანდრე მაკედონელსაც კი არ დახვედრიან. გროულიმ ამაყად გაიხედა კორესპონდენტების მხარეზე, რომლებსაც სენსაციური მასალების მოლოდინში წინასწარი სიამის შეგრძნებით ბატებივით წაეგრძელებინათ კისერი.

— მე ვხედავ, — თქვა გენერალმა, — რომ ქალაქი აისბორნი შეხვედრისათვის მომზადებულია წესისა და რიგის მიხედვით; მე, როგორც დემოკრატიული ქვეყნის წარმომადგენელი, ბედნიერად ჩავთვლი თავს, დავესწრო ძეგლის გახსნას, რაც უნდა გახდეს ნამდვილი დემოკრატიის სიმბოლური გამოსახულება...

კარი მოულოდნელად გაიღო და გენერლის პირველი ადიუტანტი ისე სწრაფად მივიდა მაგიდასთან, რომ ყურადღებაც არ მიუქცევია ამ საზეიმო მომენტისათვის, მან წარმოთქვა.

— ბატონო გენერალო, — საბჭოთა სარდლობის მიერ გამოგზავნილი მეკავშირე ოფიცერი ჩამოვიდა.

გენერალ გროულის საქმე ალჩუზე მოსდიოდა. ხუმრობა ხომ არ იყო ესოდენი სენსაცია ერთ დღეში!

ცნობამ, საბჭოთა მეკავშირე ოფიცრის ჩამოსვლის შესახებ, ამერიკელთა შორის ცოტა ინტერესი როდი გამოიწვია. ზოგიერთი მათგანი მოემზადა კიდეც, რათა გულწრფელად მისალმებოდა მოკავშირე არმიის ოფიცერს, მაგრამ ასეთები ცოტანი იყვნენ. დიდი უმრავლესობა კი სტუმრის გამოჩენას მოელოდა გულცივი და აშკარა მტრული ცნობისმოყვარეობით.

კინოაპარატების ყველა ობიექტივი მიმართული იყო კარებისაკენ, სადაც გამოჩნდა საბჭოთა მეკავშირე ოფიცერი. სატანკო ჯარების ლეიტენანტი — მაღალი, ტანადი და კოხტა ჭაბუკი. იგი მიუახლოვდა გენერალს და თავი გააცნო:

— საბჭოთა სარდლობის მეკავშირე ოფიცერი ლეიტენანტი ანდრეი კოროლევი!

გენერალი მაგიდას მოშორდა, წინ გამოვიდა, ლეიტენანტს ხელი მაგრად ჩამოართვა და მამაშვილურად მოეხვია. გროულის ყოველი მოძრაობა ნავარაუდევი იყო იმგვარად, რომ კორესპონდენტებისათვის ადვილი ყოფილიყო გადაღებების წარმოება.

— ბატონო ლეიტენანტო, დიდად მოხარული ვარ, — წარმოთქვა მან, — რომ ჩემს შტაბში გხედავთ საქმეებზე უფრო გვიან მოვილაპარაკოთ, ახლა კი გეპატიჟებით, მონაწილეობა მიიღოთ მცირე საზეიმო ცერემონიაში, რომელიც ჩვენთვის მოამზადეს ქალაქ აისბორნის დემოკრატიულმა მოღვაწეებმა. გთხოვთ, ბატონებო!

გენერალი გასასვლელისაკენ გაემართა, თან ხელის გაქნევით ლეიტენანტ კოროლევს ანიშნა, გვერდით მიჰყოლოდა.

თარგმანი **პოლიო აბრამიასი**

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიქტორი ხაჭაპურიძე

საქართველოს შეერთება რუსეთთან

☆

1654 წლის იანვარში, სამასი წლის წინათ, უკრაინელი ხალხის ძლიერი ნება-სურვილის შედეგად უკრაინა შეერთებულ იქნა რუსეთთან.

ეს ისტორიული მოვლენა სსრ კავშირის ყველა ხალხის დიადი დღესასწაულია, ვინაიდან ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევი მეგობრობა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველობის საფუძველი და უშრეტი წყაროა.

XIX საუკუნის დამდეგს მოძმე რუს ხალხს სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი ქართველმა ხალხმაც.

რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ ამ ქვეყნებს შორის დამყარდა ეკონომიური კავშირი, რაც ხელს უწყობდა რუსი და ქართველი ხალხების შემდგომს პოლიტიკურ და კულტურულ დაახლოებას.

მომზადებული ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობით და საწარმოო ძალთა ზრდით უკვე XVI საუკუნეში შეიქმნა რუსეთის ცენტრალიზებული, მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელმაც თავის გამგებლობაში გააერთიანა აღმოსავლეთ ევროპის უზარმაზარი სივრცეები.

გარკვეული სოციალურ-ეკონომიური პირობების გამო XVI საუკუნეში საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ნაცვლად არსებობდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამეფოები და სამთავროები, ხოლო სამხრეთი საქართველო — სამცხე-საათაბაგო — ჩავარდა თურქეთის ძალაუფლებაში და ძალდატანებითს გათათრებას განიცდიდა. საქართველოს მძიმე მდგომარეობა ღრმავდებოდა იმით, რომ იგი ჩამორჩენილი აგრესიული ქვეყნების — ირანისა და თურქეთის გაფთრებული ბრძოლის ობიექტად გადაიქცა.

ხალხის მასები საქართველოში იტანჯებოდნენ უცხოელ დამპყრობთაგან, სულს ღაფავდნენ ქართველ ფეოდალ-მებატონეთა სასტიკი სოციალური ჩაგვრით.

1491 წლიდან დაწყებული საქართველოდან არაერთხელ ჩასულან მოსკოვს საელჩოები, რომელთაც ჰქონდათ რწმუნებები, მიეღოთ დახმარება და მფარველობა გარეშე მტრების წინააღმდეგ.

მოსკოვის სახელმწიფო უწევდა საქართველოს ცალკეულ პოლიტიკურ გაერთიანებებს მატერიალურ, დიპლომატიურ და, ზოგიერთ შემთხვევაში, სამხედრო დახმარებასაც კი, არაერთხელ გამოუგზავნია საქართველოში საელჩოები, რომელთაც, გარდა დიპლომატიური თავდებებისა, უნდა შეეკრიბათ ეკონომიური მონაცემებიც მიწათმოქმედებისა და ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ,

წაელოთ მადნის ნიმუშები და ა. შ. ამ საელჩოებმა დიდი როლი შეასრულეს რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული აქტის მომზადებაში. ახალი საარქივო დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე ამჟამად ცნობილია, რომ უკვე XVII საუკუნის მეორე ნახევარში მოსკოვში დაარსებულ იქნა დიდი ქართული კოლონია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსი და ქართველი ხალხების შემდგომი დაახლოების საქმეში. ქართულმა კოლონიამ მოსკოვში მიიღო დონის ცნობილი მონასტერი — ძველი რუსული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უშესანიშნავესი ნაგებობა.

XVIII საუკუნეში კიდევ უფრო ძლიერდება ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კავშირი რუსეთსა და საქართველოს შორის.

სპარსეთის 1722 — 1723 წლების ლაშქრობის დროს პეტრე I სამხედრო კავშირში იმყოფებოდა ქართლის მეფე ვახტანგ VI-თან. დარუბანდის აღებისა და მოიღი რიგი სახანოების დამორჩილების შემდეგ პეტრე პირველს განზრახული ჰქონდა დაეკავებინა ბაქო, მისულიყო მდინარე მტკვრამდე და კასპიის ზღვის შესართავთან აეშენებინა ქალაქი, რათა ეწარმოებინა ვაჭრობა საქართველოსთან, ირანთან და ინდოეთთან.

თურქეთ-რუსეთის ომის დროს (1768 — 1774 წწ.) რუსეთის მხარეზე მონაწილეობას იღებდნენ აღმოსავლეთ საქართველოს და იმერეთის სამეფოები. 1769 წლის აგვისტოში რუსეთის ჯარმა გადმოლახა კავკასიის მთები და დარიალის ხეობით საქართველოს ფარგლებში შემოვიდა. ამ პერიოდში დამყარდა საქართველოს მუდმივი ვაჭრობა ქალაქებთან — ყიზლართან, მოზდოკთან და ასტრახანთან. იმ საქონელზე, რომელიც რუსეთიდან შემოდიოდა, დაწესებულ იქნა შეღავათიანი ბაჟი. თუ შემოსავალი თბილისის საბაჟოებიდან 1760 წელს 3.200 მანეთს შეადგენდა, 1769 წელს შემოსავალი უკვე 10 ათას მანეთს უდრიდა. ცალკეული ავტორების მოწმობით, თბილისის ბაზარზე ამ დროს იყო რუსეთიდან შემოტანილი საქონელი: ჩაი, შაქარი, სარკეები, მაკრატლები, სხვადასხვა ქსოვილი და სხვ. საქართველოდან რუსეთს გაჰქონდათ აბრეშუმი, ბამბა და სხვ. ყურადღებას იმსახურებს ის გარემოებაც, რომ თბილისის ბაზარზე ძლიერდება რუსული ფულის ხმარება და ეცემა სპარსული ფულის ღირებულება.

1769 წელს მიტროპოლიტმა მაქსიმემ, იმყოფებოდა რა პეტერბურგში მოსალაპარაკებლად იმის შესახებ, რომ იმერეთის სამეფო რუსეთის ქვეშევრდომობაში მიეღოთ, რუსეთის მთავრობას ბარათი მიართვა. ეკონომიურად რომ დაეინტერესებინა მთავრობა, ის დაწვრილებით აღწერს, რომ იმერეთში მიწა ნოყიერია, დიდძალი ტყეებია ძვირფასი ჯიშის ხეებით, კარგად ხარობს ხორბალი, ჭვავი, ფეტვი, შვრია და ქერი. ბაღებში იზრდებიან თურინჯი, ზეთისხილი და სხვ. დიდძალი რაოდენობით არის ვენახები. ვაჭრები იაფად ყიდულობენ ადგილზე აბრეშუმს, ბამბას, სელს და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტს და გააქვთ სხვა ქვეყნებში. მიტროპოლიტი მაქსიმე არ ივიწყებს მოიხსენიოს ისიც, რომ იმერეთის მიწის წიაღში მოიპოვება ოქრო, ვერცხლი და სხვა ძვირფასი ლითონები.

ეკონომიური კვლევის მიზნით საქართველოში იმყოფებოდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ცნობილი ნატურალისტი, სამთომადნო საქმის მცოდნე გიულდენშტედტი. მან თითქმის მთელი საქართველო მოიარა და ნახა რკინისა და სპილენძის მადნის, აგრეთვე ტყვიისა და ვერცხლის საბადოები. იმყოფებოდა რა საქართველოში დიპლომატიური დავალებებით, 1787

წელს ს. დ. ბურნაშევმა, თანახმად მისთვის მიცემული დავალებისა, შეადგინა საქართველოს აღწერილობა სახელწოდებით „საქართველოს სურათი". იგი იძლევა ცნობებს არა მარტო საქართველოს ცალკეული სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, არამედ დაწვრილებით აღწერს მათს ეკონომიურ მდგომარეობას (სოფლის მეურნეობას, სამთომადნო საქმეს, ვაჭრობას, ხელოსნური წარმოების მდგომარეობას და სხვ.). 1799 წელს აღმოსავლეთ საქართველოში იმოგზაურა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა გრაფ ა. ა. მუსინ-პუშკინმა. მან რუსეთის მთავრობას წარუდგინა ბარათი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის, კერძოდ აქაური სამთომადნო საქმის მდგომარეობის, შესახებ. გრაფ მუსინ-პუშკინი რუსეთთან საქართველოს შეერთების აუცილებლობას ასაბუთებს არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური მოსაზრებით, არამედ ეკონომიური საჭიროებითაც.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში განუყოფლად განაგრძობდა ბატონობას ნატურალურ-პატრიარქალური მეურნეობა. საქართველოს ქალაქები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოყოფილი სოფელთან, და ოდნავ შესამჩნევი იყო შრომის საზოგადოებრივი განაწილება. იმ დროს თბილისი ყველაზე დიდი ქალაქი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით, 1781 — 1782 წლებში თბილისში მოსახლეობის 97,2% ყმები იყვნენ, ხოლო თავისუფალი მოსახლეობა სულ 2,8% შეადგენდა. ქალაქის მოსახლეობის უმეტესობა ხელოსნობასთან ერთად სოფლის მეურნეობასაც მისდევდა. ვაჭრობის განვითარებას ხელს უშლიდა გაცვლა-გამოცვლის სისუსტე ცალკეულ რაიონებს შორის, ხშირი ომები და ფეოდალთა შუღლი, საშინაო საბაჟოები და მაღალი ბაჟები. გარდა ტექნიკის გამოყენებისა და ნაყოფიერების მხრივ სუსტი და ჩამორჩენილი სამთომადნო სარეწაოებისა, თბილისში არსებული ზარბაზნისა და დენთის ქარხნებისა, საქართველოს არ ჰქონდა მანუფაქტურულ-სამრეწველო საწარმოები, არ ჰყავდა მრეწველი მოსახლეობა, ვაჭართა კაპიტალი ჩაბმული არ იყო მანუფაქტურულ-სამრეწველო მშენებლობაში. ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ არსებობდა პირობები საქართველოს ერთ მთლიან მოზარდ ადგილობრივი ბაზრების კონცენტრაციისათვის, ჯერ კიდევ არ გამოვლინებულიყო თბილისის, როგორც ასეთი ბაზრის მომავალი ცენტრის მნიშვნელობა.

ი. სტალინი საქართველოში იმ დროს ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის შეუძლებლობის შესახებ წერს:

„... რეფორმამდელ ხანაში ქართველები საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, მიუხედავად ამისა, ისინი არსებითად ერთ ერს არ შეადგენდნენ, ვინაიდან დანაწილებული იყვნენ მთელ რიგ ერთმანეთისგან მოწყვეტილ სამთავროებად, არ შეეძლოთ საერთო ეკონომიური ცხოვრებით ეცხოვრნათ, საუკუნეთა განმავლობაში ეომებოდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთს, ერთიმეორეს უსისინებდნენ სპარსელებსა და თურქებს. სამთავროთა ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესა თუ ის იღბლიანი მეფე ახერხებდა, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ზედაპირულ-ადმინისტრატიულ სფეროს ეხებოდა და მალე ირღვეოდა მთავრობის ჟინიანობითა და გლეხების გულგრილობით. სხვანაირად არც შეიძლება საქართველოს ეკონომიური დაქუცმაცების პირობებში".[1]

[1] ი. სტალინი, თხზ. ტ. 2, გვ. 317 — 318.

მიწის ფეოდალური საკუთრების ბატონობისას გლეხთა მასები საშინელ ექსპლოატაციას და ჩაგვრას განიცდიდნენ. მეფე ვახტანგ VI-ის კანონების თანახმად, გლეხი მთელი თავისი ქონებით ბატონს ეკუთვნოდა. გლეხები მოვალენი იყვნენ, ფეოდალთა სასარგებლოდ ეხადათ დაახლოებით 120 სხვადასხვა მოგარა. კიდევ მეტი: საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ტყვეების გაყიდვა, რაც განსაკუთრებულ ბოროტებას და ნაციონალურ უბედურებას წარმოადგენდა. ომები და ფეოდალთა შორის შუღლი აწიოკებდა გლეხურ მეურნეობას, აფერხებდა საწარმოო ძალთა განვითარებას.

გლეხობა საქართველოს ფეოდალურ-ბატონყმური საზოგადოების ყველაზე დაჩაგრული კლასი იყო. ამიტომ არაერთხელ გამოსულა ის თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ცდილობდა მოესპო მონობის ყველა ფორმა.

გლეხთა ბრძოლის ზეგავლენით მეფე ერეკლე II-მ (1761 — 1798) რამდენიმე ბრძანებულება გამოსცა გლეხობის საკითხზე: ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ გლეხებს ეძლეოდათ უფლება, ამოერჩიათ ბატონი; არ შეიძლებოდა ყმების გაყიდვა უმიწოდ და მარტოხელად, თუმცა ეს ბრძანებულება შემდგომ გაუქმებულ იქნა. გარდა ამისა, ფეოდალთა ხელშესაწყობად 1792 წელს ერეკლე II-მ გამოსცა ბრძანებულება, რომელიც ადიდებდა გაქცეული გლეხების ძებნის ხანდაზმულობის ვადას 30 წლამდე.

1785 წელს აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს დიდძალი ჯარით თავს დაესხა ავარიელთა მთავარი ომარ-ხანი, რომელმაც ქვეყანას საშინელი აწიოკება და განადგურება მიაყენა. საქართველოში არ წყდებოდა ავაზაკთა ურდოების თავდასხმები ახალციხის საფაშოს მხრიდან. XVIII და XIX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში ითვლებოდა დაახლოებით 414 ათასი მცხოვრები, საქართველოს მთელი რიგი რაიონები, განსაკუთრებით საზღვრისპირა რაიონები, სავსებით მიტოვებული იყო მოსახლეობის მიერ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში არ იყო ეკონომიური წინამძღვრები ერთიანი ცენტრალიზებული ნაციონალური სახელმწიფოს შესაქმნელად. აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოში 1774 წელს შექმნილმა მუდმივმა ჯარმა (მორიგე ჯარმა) მხოლოდ 80-იან წლებამდე იარსება. მარცხით დამთავრდა ცდები, მოეგვარებინათ ფინანსები, შეექმნათ მრეწველობა, განევითარებინათ სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა. ფეოდალთა ოპოზიციის ზეგავლენით, თავისი მეფობის ბოლო ხანებში ერეკლე II იძულებული შეიქნა, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო საუფლისწულოებად გაენაწილებინა თავისი შვილებისათვის. რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის შიგნით სოციალ-ეკონომიური კრიზისის გაღრმავებას. ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობის გამო ფეოდალურად დაქუცმაცებულმა საქართველომ XVIII საუკუნის დამლევს ვეღარ შეძლო დაეცვა ვერც თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ვერც ის, რომ გამოსულიყო შინაგანი სოციალ-ეკონომიური კრიზისიდან.

განსაკუთრებით ცხადი შეიქნა ეს მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს 1795 წელს შემოესია მრისხანე და ვერაგი აღამაჰმადხანი, რომელმაც საშინლად გაანადგურა და ააწიოკა თბილისი.

იმის საჭიროება, რომ თავისი ბედი დაეკავშირებინა რუს ხალხთან, ამით გადაერჩინა თავისი თვითმყოფობა და ებრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, შეცნობილ იქნა არა მარტო მოწინავე ქართველი ადამიანების მიერ, არამედ ხალხის ფართო მასების სურვილი და მისწრაფებაც ეს იყო.

ისტორიკოსი სოლოვიოვი გვიამბობს, რომ 1657 წელს საელჩოს ბრძანებით მოსკოვში სამი ქართველი მთიელი ყველა ფშაველის სახელით სთხოვდა მოსკოვის სახელმწიფოს „მიეღო თავის მტკიცე ხელში და მუდმივ ქვეშევრდომობაში“ [1].

სახელმწიფო საბჭოში რუსეთთან საქართველოს შეერთების საკითხის გადაწყვეტამდე. 1891 წლის მაისში, საქართველოში გამოგზავნილ იქნა კავკასიის ხაზის უფროსი გენერალი კნორინგი, რათა ადგილზე დარწმუნებულიყო იმაში, რომ „ყველა უმაღლესი პირები და ხალხი ერთსულოვნად აღიარებდნენ ამ საქციელს (ე. ი. საქართველოს შეერთებას. გ. ხ.) თავის გადასარჩენად“ [2].

გენერალი კნორინგი თავის მოხსენებაში წერდა, რომ ქართველ ხალხს „სწყურია. იყოს სრულიად რუსეთის იმპერიის კანონის ქვეშ“.

ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ალ. ჭავჭავაძე, ახასიათებდა რა საქართველოს მდგომარეობას XVIII საუკუნის დამლევს, წერდა იმის შესახებ, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთება „მიღებულ იქნა ხალხის ერთსულოვანი აღტაცებით“ [3].

მოხელე კარნეევი, რომელიც მოვლინებული იყო 1802 წელს თელავის მაზრაში, საქართველოს უმაღლეს მთავრობისადმი წარდგენილ პატაკში წერდა: „არ შეიძლება არ მოგახსენოთ... იმ ჩვენს სიამოვნებაზე, რასაც განვიცდით, ვხედავთ რა ყველგან ხალხს რუსეთისადმი გულწრფელად თავდადებულს და ერთგულს“ [4].

ქართველ გლეხთა განწყობილებას მოწმობს მოხსენება რუსი ოფიცრის რაიხისაც. რომელიც იდგა თავისი ასეულით თელავის მაზრის სოფელ ყვარელში. რაიხი წერს იმის შესახებ, რომ მასთან გამოცხადდა თავად ი. ციციანოვის ერთი ყმა გლეხი ქალი და ჩუმად შეატყობინა, რომ იგი, როგორც ყველა გლეხი, რუსების ერთგულია, თავადებს და აზნაურებს კი ვეჯავრებითო“ [5].

საქართველოსთან, კავკასიისა და ამიერკავკასიის ხალხებთან მჭიდროდ დაახლოება ამტკიცებდა რუსეთის პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში, ეხმარებოდა მას, გადაეწყვიტა არსებითად მნიშვნელოვანი საკითხები: რუსეთის მიწების განთავისუფლება, მისი სამხრეთი საზღვრების უშიშროება, შავი ზღვით რუსეთის ვაჭრობის თავისუფლება.

აწარმოებდა რა წარმატებითს ომებს თურქეთთან და ირანთან, რუსეთი ობიექტურად ეხმარებოდა კავკასიის, ამიერკავკასიის და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხებს განთავისუფლებულიყვნენ თურქეთისა და ირანის უღლისაგან. ფ. ენგელსი ამის გამო კ. მარქსს სწერდა: „...რუსეთი ნამდვილად ასრულებს პროგრესულ როლს აღმოსავლეთის მიმართ, რუსეთის ბატონობა ასრულებს განმანათლებელ როლს შავი და კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიისათვის“ [6].

---

[1] С. М. Соловьев. История России с древнейших времен. ტ. 12, გვ. 550 — 551.

[2] Акты, ტ. I, გვ. 419.

[3] ა. გ. ჭავჭავაძე, საქართველოს 1800—1831 წწ. მდგომარეობის მოკლე ისტორიული ნარკვევი, „Кавказский сборник“. ტ. 23, გვ. 6.

[4] Акты, ტ. I, გვ. 292.

[5] Акты, ტ. II, გვ. 3033.

[6] К. Маркс и Ф. Энгельс, соч. ტ. XXI, გვ. 211.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რუსეთთან აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს ფაქტიურ შეერთებამდე, 1783 წლის 24 ივლისს, ჩრდილოეთ კავკასიაში, გეორგიევსკის ციხეში, ორ სახელმწიფოს შორის დადებულ იქნა ტრაქტატი („მეგობრული ხელშეკრულება"), რომლის თანახმად საქართველო კარგავდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლებას, მაგრამ დამოუკიდებელი რჩებოდა საშინაო საქმეებში. ამ ხელშეკრულების საიდუმლო მუხლებით, ქართველებს რჩევა ეძლეოდათ, მორიდებოდნენ ქვეყნის შიგნით შუღლსა და ხოცვა-ჟლეტას, შეენარჩუნებინათ ერთიანობა; საქართველოში იგზავნებოდა რუსეთის ჯარი გარეშე თავდასხმებისაგან დასაცავად.

რუსეთთან აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს საბოლოო შეერთება მოხდა 1801 წლის 12 სექტემბერს სახელმწიფო აქტის — მანიფესტის საფუძველზე. მანიფესტთან ერთად გამოქვეყნებულ იქნა „დებულება საქართველოს მართვა-გამგეობის შესახებ", რომლის თანახმად იქმნებოდა საქართველოს უმაღლესი მთავრობა.

დასავლეთ საქართველოში ასეთი მდგომარეობა იყო. სამეგრელო რუსეთს შეუერთდა 1803 წელს, იმერეთი და გურია 1804 წელს, აფხაზეთი 1809 წელს.

ფეოდალთა ცალკეული ჯგუფები, ღალატობდნენ რა ქართველი ხალხის ინტერესებს, წინააღმდეგობას უწევდნენ საქართველოს გაერთიანებას. გარეშე ძალთა დახმარებით მათ უნდოდათ „გაეთავისუფლებინათ" საქართველო რუსეთისაგან, დაებრუნებინათ ძალაუფლება ქართველი მეფეებისათვის, ძველი პრივილეგიები და ძლიერება თავადაზნაურობისათვის, მთლიანად აღედგინათ ის ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობები, რომლებიც 1801 წლამდე არსებობდნენ.

რუსეთის მიმართ ხალხის საწინააღმდეგო და მტრულ პოლიტიკას აწარმოებდა მეფე ერეკლეს შვილი ალექსანდრე — უფროსი, რომელიც სუფსიდიას ღებულობდა ინგლისისა და საფრანგეთისაგან, იმყოფებოდა ხან ირანისა და ხან თურქეთის სამსახურში, თავის გარშემო აერთიანებდა რუსეთისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებს.

საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგ მოქმედებდა იმერეთის მეფე სოლომონ II. მან ხელი შეუწყო 1810 წ. რეაქციულ აჯანყებას იმერეთში. ამ აჯანყებას, სოლომონ მეორის აზრით, უნდა შეემსუბუქებინა თურქეთისათვის რუსეთთან ომის წარმოება (1806 — 1812). თვითონ სოლომონი იმავე დროს თურქეთის ვასალის, ახალციხის ფაშის რაზმებთან ერთად იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო უფრო გვიან თურქეთს გაიქცა, სადაც 1815 წელს გარდაიცვალა.

1832 წელს ხელისუფალთა მიერ გამომჟღავნებულ იქნა თბილისში თავადაზნაურთა აჯანყება. არა ჰქონდათ რა არავითარი დასაყრდენი ხალხის მასებში, თავად-აზნაურთა დიდკაცობა მიზნად ისახავდა ჩამოეშორებინა საქართველო რუსეთისაგან და გამოეცხადებინა მონარქია ბაგრატიონების მეთაურობით.

კავკასიაში რუს მმართველთა წინააღმდეგ თავადაზნაურობის ცალკეული შეთქმულებები და გამოსვლები ი. სტალინმა დაახასიათა, როგორც „ფეოდა-

ლურ-მონარქიული ნაციონალიზმი", რომელსაც ქართველი ხალხის ცხოვრებაში არავითარი შესამჩნევი კვალი არ დაუჩნევია.

„საკმარისი იყო, — წერს ი. სტალინი, — ოდნავ მოხვედროდა საზოგადოებრივი ცხოვრების ტალღები ამ ისედაც სუსტ „მოძრაობას", რომ ძირიანად დაენგრია იგი. და, მართლაც, საქონლის წარმოების განვითარებამ, ბატონყმობის გადავარდნამ, სათავადაზნაურო ბანკის დაარსებამ, კლასთა ანტაგონიზმის გაძლიერებამ ქალაქსა და სოფელში, სოფლელი ღარიბების გაღონიერებულმა მოძრაობამ და სხვა ამისთანებმა — სასიკვდილო ლახტი დაკრა ქართველ თავადაზნაურობას და, მასთან ერთად, „ფ ე ო დ ა ლ უ რ-მ ო ნ ა რ ქ ი უ ლ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ს[1].

ბურჟუაზიული ნაციონალისტები და მენშევიკები, ისწრაფოდნენ რა, ძირი გამოეთხარათ რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობისათვის, იძლეოდნენ რუსეთთან საქართველოს შეერთების ხალხის საწინააღმდეგო შეფასებას. ისინი ჩქმალავდნენ ამ ფაქტის პროგრესულ მნიშვნელობას, ანელებდნენ ქართველი საზოგადოების კლასობრივ ანტაგონიზმს, აიდეალებდნენ ზოგიერთ ანტიხალხურ, თავადაზნაურულ, რეაქციულ გამოსვლას, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ნათლავდნენ რა მათ ნაციონალურ-გამათავისუფლებელ გამოსვლებად. უმართებულოდ აშუქებს რუს-ქართველთა ურთიერთობების ისტორიას და რუსეთთან საქართველოს შეერთებას ზოგიერთი ქართველი საბჭოთა ისტორიკოსიც. ლაპარაკობენ რა რუსეთთან საქართველოს შეერთებაზე, ისინი უგულებელყოფენ იმ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებს, რომლებშიც იმყოფებოდა ქართველი ხალხი რუსეთთან შეერთებამდე და შეერთების პერიოდში. რუსეთთან საქართველოს შეერთების საკითხის გადაწყვეტაში ეს ისტორიკოსები მთავარ როლს მიაკუთვნებენ მეფეებსა და დიპლომატებს, უგულებელყოფენ რა ქართველი ხალხის ნება-სურვილს. ისინი არასაკმაოდ აშუქებენ აგრეთვე იმას, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთება გაპირობებული იყო ამ ქვეყნების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კავშირის მრავალსაუკუნოვანი განვითარებით და უპასუხებდა რუსი და ქართველი ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს მაშინ სათავეში ედგნენ მეფე და მემამულეები, რუსეთთან საქართველოს შეერთებას უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის შემდგომი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის. რუსეთთან საქართველოს შეერთებამ განამტკიცა რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რუს და ქართველ მებატონეთა ჩაგვრის წინააღმდეგ, რუსეთის ყველა ხალხის უბოროტესი მტრის — მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ეს შშვენივრად ესმოდათ, და შემდგომ დაასაბუთეს კიდეც, ქართული კულტურის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი და სხვები. გამოჩენილი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი დროის შესანიშნავი და ერთ-ერთი მოწინავე მოღვაწეა. იგი მეტად თვალსაჩინოდ ასახავდა თავისი ეპოქის მოწინავე ადამიანთა აზრებს და გრძნობებს. პოემაში „ბედი ქართლისა", რომელიც დაწერილია 1839 წელს, ნ. ბარათაშვილი სავსებით ამართლებს იმ ისტორიულ მოვლენას, რომ ქართველმა ხალხმა სამუდამოდ დაუკავშირა თა-

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ. ტ. I, გვ. 33.

ვისი ბედი რუს ხალხს. ლექსში — „მეფე ერეკლეს საფლავთან“, რომელიც დაწერილია 1842 წელს, ნიკოლოზ ბარათაშვილმა ღრმად და სრულყოფილად აღნიშნა ის ახალი, პროგრესული, რომელიც ვითარდებოდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში რუსეთთან მისი შეერთების შედეგად.

ცნობილი ქართველი მწერალი ე. ნინოშვილი რომანში „ჯანყი გურიაში“, რომელიც დაწერილია 1888 — 1899 წლებში, ინტელიგენტ გიორგის პირით ეუბნებოდა გლეხებს: „... არამზადა მთავრებ-მეფეების ურთიერთი შორის ჩხუბებით და ცარცვა-ღლეტის გამო სრულიად დაუძლურებული ვიყავით და მოველოდით, აი დღეს, აი ხვალ აგვიკლებს სპარსი, ოსმალი... რა რომ რუსეთს შეეუერთდით, მას შემდეგ ამ მხრით სრულიად უშიშარნი შევიქენით... მაგრამ სამაგიეროთ იმას კი აღარ ბრძანებთ, თუ რა ვიქნებოდით, აქამომდე რუსეთს რომ ჩვენთვის პატრონობა არ გაეწია! ჩვენ ვიქნებოდით მაშინ ბარბაროსი ოსმალეთის... ყურმოჭრილი ყმა. მხოლოდ რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა ამ უბედურებისაგან“ [1].

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ არა მარტო განვლო ქართველი ხალხის ფიზიკური მოსპობის საშიშროებამ, არამედ შეიქმნა პირობებიც მოსახლეობის შემდგომი ზრდისათვის. XIX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში მოსახლეობა უკვე შეადგენდა 615.000 სულს [2], ხოლო 1897 წლის სრულიად რუსეთის აღწერით, მოსახლეობა აღწევდა 293446 ათას კაცს [3].

შეწყდა ფეოდალთა შინაბრძოლები, ბოლო მოეღო ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ დაქუცმაცებას. შედეგად წარმატებითი ომებისა თურქეთთან, ირანთან და შამილთან (რომელიც ინგლისელ და თურქ აგრესორთა სამსახურში იმყოფებოდა), რუსთა ჯარებმა მილიციის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ნაწილებთან ერთად დააწესეს სტრატეგიული თვალსაზრისით ხელსაყრელი საზღვრები, სავსებით უზრუნველყვეს მშვიდობიანი მოსახლეობა გარეშე მტრის თავდასხმებისაგან.

საქართველო აღდგენილ იქნა მეტწილად თავის ისტორიულ საზღვრებში. კერძოდ 1877 — 78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილების საფუძველზე, რუსეთს შეუერთდა აჭარა ქალაქ ბათუმით, რომელიც თურქებმა ხელთ იგდეს ჯერ კიდევ XVI საუკუნეში. XIX საუკუნეში კავკასიაში წარმოებულ ომებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის არმიას მოკლულთა და დაჭრილთა სახით ამ დროის განმავლობაში ჰყავდა 149.159 კაცი. გარდა ამისა, ერთი-სამად მეტი ადამიანებისა დაიხოცნენ ავადმყოფობისაგან, განსაკუთრებით იმ სამხედრო ნაწილებში, რომლებიც დაბანაკებული იყვნენ კლიმატური პირობების მხრივ მეტად არახელსაყრელ ადგილებში, (მაგალითად, შავი ზღვის ყოფილ სანაპირო ხაზზე, მდინარე ალაზნის ველზე და სხვ.) [4].

როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილი, საქართველო უკვე XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩაბმული აღმოჩნდა მსოფლიო კაპიტალისტური კავშირის სისტემაში. ამ გარემოებამ ბიძგი მისცა საქართველოში საწარმოო ძალთა და ახალ წარმოებრივ ურთიერთობათა განვითარებას; განამტკიცა ძველიდანვე დამყარებული კულტურულ-პოლიტიკური კავშირი რუს და ქართველ ხალ-

[1] ეგნატე ნინოშვილი, ოხზ. ტ. I, გვ. 18 — 19, 1950 წ.

[2] О. Квецкий, Статистическое описание Закавказского края, СПБ 1835 г. т V, стр. 27.

[3] Д. И. Менделеев, «К познанию России», СПБ, 1907 г. гв. 36 — 41.

[4] А. А. Гизетн. Сборник сведений о потерях Кавказских войск, Тбилиси, 1901 г.

ხებს შორის. საქართველოში ჩამოდიან რუსი ხალხის მოწინავე წარმომადგენლები. ასეთ ადამიანთა შორის იყვნენ დეკაბრისტები და მათი თანამოაზრეები, გადმოსახლებულნი კავკასიაში მეფის მთავრობის მიერ. საქართველოში გაიფურჩქნა შემოქმედებითი გენია დიდი მწერალ-დრამატურგის ა. ს. გრიბოედოვისა, რომელიც ახლო იდგა მოწინავე ქართველ საზოგადოებრიობასთან, ცოლად ჰყავდა ქალიშვილი პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისა, რომლის სახლი თბილისში იყო ერთ-ერთი ცენტრი, სადაც იკრიბებოდნენ მოწინავე რუსი და ქართველი ადამიანები. 1829 წელს არზრუმს მიმავალი რამდენიმე ხნით თბილისში გაჩერდა დიდი რუსი პოეტი ა. ს. პუშკინი. იგი გატაცებული იყო საქართველოთი, რომელიც გახდა მისი შთაგონების ერთ-ერთი მაცოცხლებელი წყარო. „ის მარტო ერთია მომღერალი კავკასიისა, — წერდა ამის გამო გოგოლი, — ის შეყვარებულია მასში მთელი სულითა და გულით, მთელი გრძნობებით; ის გამსჭვალული და ნასაზრდოებია მისი თვალწარმტაცი მიდამოებით, სამხრეთის ცით, მშვენიერი საქართველოს ველებით... ალბათ ამიტომაც თავის ქმნილებებში ის უფრო მწველი და მგზნებარეა იქ, სადაც მისი სული სამხრეთს შეხებია“ [1].

კავკასიასა და საქართველოში ყოფნამ, აქაურ ხალხთა თავისებური ყოფაცხოვრების შესწავლამ, მათი ისტორიის გაცნობამ შთააგონა ლერმონტოვს ისეთი ცნობილი ნაწარმოების შექმნა, როგორიცაა „ჩვენი დროის გმირი“, „დემონი“, „მწირი“, „თამარი“ „ქართული სიმღერა“, „თერგის საჩუქრები“, „აშუღყარიბი“, „ლტოლვილი“, „შეხვედრა“ და სხვ. ლერმონტოვის შემოქმედებაზე კავკასიისა და საქართველოს გავლენის გამო დიდი რუსი კრიტიკოსი ბელინსკი წერდა: „... კავკასია ხდება მისი პოეტური სამშობლო, მის მიერ მგზნებარედ შეყვარებული მხარე. კავკასიონის მიუწვდომელ, მარადი თოვლით მოსილ მწვერვალებზე პოულობს იგი თავის პარნასს. კავკასიონის მძვინვარე თერგში, მის მთების ჩანჩქერებში, მის სამკურნალო წყაროებში პოულობს იგი თავის კასტალის წყაროს, თავის იპოკრენას [2].

1851 წელს თბილისში თითქმის ნახევარი წელიწადი ცხოვრობდა დიდი მწერალი ლევ ტოლსტოი, რომელიც ახლო იდგა მოწინავე ქართველ საზოგადოებრიობასთან. აქ დაიწყო მან წერა თავისი პირველი დიდი ნაწარმოებისა „ბავშვობა“.

მჭიდრო კავშირი დაამყარეს მოწინავე ქართველ საზოგადოებრიობასთან დრამატურგმა ოსტროვსკიმ, კომპოზიტორებმა ჩაიკოვსკიმ, რუბინშტეინმა, იპოლიტოვ-ივანოვმა და სხვებმა. მ. გორკი აღიარებდა, რომ დიდი როლი მის შემოქმედებითს განვითარებაში შეასრულეს საქართველომ და მისმა მოწინავე ადამიანებმა. გორკი წერდა: „მე არასოდეს ვივიწყებ, რომ სწორედ ამ ქალაქში (თბილისში, გ. ხ.) გადავდგი პირველი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე, რომელ გზაზეც მივდივარ, აი, უკვე ოთხი ათეული წელია. შეიძლება ვიფიქრო, რომ სწორედ ამ ქვეყნის უდიდესმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა სიფაქიზემ, სწორედ ამ ორმა ძალამ, მომცა ბიძგი, რამაც მოხეტიალე ადამიანიდან ლიტერატორი გამბადა“.

საქართველოში დაიბადა და გაიზარდა ვ. ვ. მაიაკოვსკი — საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესი პოეტი. ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველ ხალხთან.

---

[1] А. С. Пушкин в русской критике, М. 1953 г. გვ.

[2] ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი ტ. I. გვ. 351. ქართ. გამოც.

ახალი სოციალ-ეკონომიური პირობები ხელს უწყობდნენ თავისებური ქართული კულტურის შემდგომს განვითარებას.

XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართველი ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის ფორმირებაზე უდიდესი გავლენა მოახდინეს დიდმა რუსმა-რევოლუციონერმა დემოკრატებმა — ბელინსკიმ, ჩერნიშევსკიმ, გერცენმა, დობროლუბოვმა. ქართული ლიტერატურის უდიდესი კლასიკოსი, გამოჩენილი მეცნიერი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე წერდა:

„თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავკარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან“ [1].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოში ბატონყმობის გადავარდნისა და აქ მთელი რიგი ბურჟუაზიული რეფორმების გატარების შემდეგ, კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების, ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური კონსოლიდაციის, ნაციონალური კულტურის განვითარების შემდეგ ხდება ქართველი ხალხის ბურჟუაზიულ ერად ფორმირება.

ცარიზმი ატარებდა არარუსი ხალხების სასტიკი ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას, ერთმანეთს უსევდა რუსეთის ხალხებს, ახორციელებდა გარუსების ძალადურ პოლიტიკას, ახშობდა მშობლიური ენისა და კულტურის განვითარებას. რუსი ხალხის საუკეთესო შვილები ქართველი ხალხის მოწინავე მოღვაწეებთან ერთად შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ ცარიზმის რეაქციული, ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

საქართველოს ეკონომიურმა, ნაციონალურმა, საზოგადოებრივმა და კულტურულმა განვითარებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში (რაც მიმდინარეობდა რუსეთისა და საქართველოს მოწინავე საზოგადოებრივ, კულტურულ და რევოლუციურ მოღვაწეთა მჭიდრო თანამეგობრობის ვითარებაში) მოამზადა ისტორიული მოვლენა, რომელმაც საქართველოს მუშათა კლასის საუკეთესო შვილები მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ დააყენა.

„რუსი პროლეტარიატის სახით ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელებმა ისტორიაში პირველად პოვეს საიმედო ხელმძღვანელი იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის ეწეოდნენ“ [2].

საქართველოს მუშათა კლასი, რომელიც წარმოიშვა კაპიტალიზმის განვითარების შედეგად, რუსეთის პროლეტარიატის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. მუშათა მოძრაობა საქართველოში ვითარდებოდა რუსეთის საყოველთაო მუშათა მოძრაობასთან განუყრელ ერთიანობაში. ლენინურ-ისკრული ჯგუფის პირველი არალეგალური ქართული გაზეთის „ბრძოლის“ მოწინავე წერილში ნათქვამია:

„ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელიხელგადა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VIII, გვ. 285, 1928 წ.

[2] თეზისები რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ (1654 — 1954). „პრავდა“. № 12, 1954 წ.

ხვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“ [1].

ამიერკავკასიასა და საქართველოში მარქსიზმის პირველი პროპაგანდისტები იყვნენ გადმოსახლებული რუსი მარქსისტები. გერმანელ მწერალ ემილ ლიუდვიგთან საუბარში 1931 წლის 13 დეკემბერს ი. სტალინმა აღნიშნა, რომ რევოლუციურ მუშაობაში ის ჩაება 15 წლის ასაკიდან, როდესაც დაუკავშირდა ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსი მარქსისტების არალეგალურ ჯგუფებს, რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს მასზე და შეაყვარეს არალეგალური მარქსისტული ლიტერატურა [2].

1893 წელს თბილისში მუშა-მექანიკოსის თ. აფანასიევის ბინაში მოწყობილ იქნა მუშებისათვის არალეგალური ბიბლიოთეკა, სადაც იყო მარქსისტული ლიტერატურა. ლუზინისა და ფრანჩესკის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი პირველი შეეცადა მოეწყო სოციალ-დემოკრატიული წრე ბათუმში, ეთარგმნა ქართულ ენაზე და გამოეცა „კომუნისტური მანიფესტი“.

თვალსაჩინო როლი საქართველოში რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდის, ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გაფორმებისა და შემდგომი განმტკიცების საქმეში შეასრულეს ცენტრალური რუსეთიდან გადმოსახლებულმა და ვ. ი. ლენინის თანმიმდევრულმა მომხრეებმა — ვ. კ. კურნატოვსკიმ, მ. ი. კალინინმა, ს. ი. ალილუევმა და სხვ.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტში, რომელიც დაარსდა თბილისში 1903 წლის მარტში და რომელსაც ეკავა ლენინური პოზიცია, შედიოდნენ რუსი სოციალ-დემოკრატებიც — ვ. ბობროვსკი და დ. პოსტალოვსკი.

ვ. ლენინის მოწაფე და მისი საქმის დიდი განმგრძობი ი. სტალინი რევოლუციური მოღვაწეობის პირველი ნაბიჯებიდანვე განიმსჭვალა ლენინის რევოლუციური გენიისადმი უსაზღვრო რწმენით. ი. სტალინი წავიდა ვ. ლენინის — კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და ბელადის — გზით და არასოდეს ამ გზიდან არ გადაუხვევია.

ი. სტალინი სათავეში ჩაუდგა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ამიერკავკასიასა და საქართველოში. ვ. ლენინი, ადევნებდა რა თვალ-ყურს ამ ორგანიზაციების მუშაობას ამიერკავკასიაში, აღნიშნავდა აგიტაციისა და პროპაგანდის საქმის მთელ სიძნელეს და სირთულეს მრავალეროვან მოსახლეობაში. სწავლობდა რა ბოლშევიკური მუშაობის გამოცდილებას ამიერკავკასიაში, ვ. ლენინი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განხორციელების მაგალითად თვლიდა ამ გამოცდილებას.

წერილში გორკისადმი ვ. ლენინი აღნიშნავდა: „ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები — სომხები — თათრები — რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთიან ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა. ერთადერთი გადაწყვეტა“ [3].

1905 — 1907 წწ. რევოლუცია საქართველოში რუსეთის პირველი რევოლუციის შემადგენელი ნაწილი იყო. მას მეთაურობდა რუსეთის გმირული პროლეტარიატი, რომელიც მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ

---

[1] ი. სტალინი, თხზ. ტ. I, გვ. 6.
[2] ი. სტალინი, თხზ. ტ. 13, გვ. 119.
[3] ვ. ლენინი, თხზ. ტ. 35, გვ. 76.

ბრძოლაში აბამდა და რაზმავდა ნაციონალური განაპირა მხარეების მუშებსა და ყველა მშრომელს სოციალური და ნაციონალური განთავისუფლებისათვის.

გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს, რომლებიც საქართველოში პირველად მოწყობილ იქნა 1905 წელს, ვ. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. მათში ხედავდა მუშათა დეპუტატების საბჭოებთან ერთად რევოლუციური ძალაუფლების ჩანასახს. თავის რევოლუციურ ბრძოლას ქართველი გლეხები უკავშირებდნენ რუსეთის ყველა ხალხის რევოლუციურ მოძრაობას. ამასთან, მათ მშვენივრად ესმოდათ, რომ ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მშრომელთა საერთო ბრძოლაში ხელმძღვანელი და წამყვანი როლი რუს ხალხს ეკუთვნოდა. ოზურგეთის მაზრის ბანკის სასოფლო საზოგადოების გლეხთა მანიფესტში, რომელშიც გამოხატული იყო მთელი ქართველი მშრომელი ხალხის აზრი, ნათქვამია:

„ჩვენ — ქართველები, რუსები, სომხები და თათრები, — ყველანი ძმები ვართ; ჩვენ არ ვიკინკლავებთ, დაე ტყუილ-უბრალოდ ნუ შეეცდება მთავრობა. ჩვენ ვერ გავათავებთ ჩვენი საშინელი მდგომარეობის აღწერას. ვის შეუძლია დააკმაყოფილოს ჩვენი საჭიროებანი? ვინ გაიგონებს ჩვენს ხმას? არა ჩვენი ახლანდელი მთავრობა, რომელიც არასოდეს ყურადღებას არ გვაქცევდა და რომელიც გვტანჯავდა ჩვენ.

ჩვენი მოთხოვნები არ არის კერძო, არ არის მარტო ქართველთა მოთხოვნები. ამას მოითხოვს მთელი რუსეთი. ჩვენ ვუერთდებით ჩვენს რუს ძმებს“. [1].

სწავლობდა რა 1905 წლის რევოლუციის გამოცდილებას, ვ. ლენინი აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასიასა და საქართველოში შეიარაღებული აჯანყება უკეთ იყო მოწყობილი, უფრო მკვეთრად და მძლავრად იყო გამოხატული პროლეტარული რევოლუციის მასობრივი ხასიათი, გლეხთა მოძრაობა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ცენტრალური რუსეთის ბევრ რაიონში [2].

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ძირფესვიანი გარდატეხა იყო ჩვენი სამშობლოს ისტორიულ ბედ-იღბალში. მან იხსნა ჩვენი ქვეყანა ნაციონალური კატასტროფისაგან, მსოფლიო იმპერიალიზმის კოლონიად გადაქცევის საშიშროებისაგან, გამოიყვანა ჩვენი ხალხი სოციალისტური გარდაქმნების ფართო გზაზე.

უარი თქვეს რა, ეღიარებინათ ოქტომბრის რევოლუცია, ქართველი ხალხის გამცემლებმა — მენშევიკებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება საქართველოში და ჩამოაშორეს იგი საბჭოთა რუსეთს. კავკასიის ფრონტზე მყოფმა რუსმა ჯარისკაცებმა უარი თქვეს, დაეცვათ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები და იარაღით ხელში მიდიოდნენ საბჭოთა არმიაში, რათა დაეცვათ მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

ამიერკავკასიასა და საქართველოში დამყარდა უცხოელ იმპერიალისტთა ფაქტიური ბატონობა. ქართველი კომუნისტების ხელმძღვანელობით მუშებმა და გლეხებმა საქართველოს მთელ რიგ რაიონებში აჯანყებით შეძლეს ძირი გამოეთხარათ მენშევიკების ძალაუფლებისათვის.

რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა საქართველოს მშრომელებისა და კავკასიის ყველა ხალხის სახელით 1920 წლის დამდეგს საბჭოთა რუსეთს მიმართა დახმარებისათვის.

---

[1] „Вперед“, № 12, 1905 წ.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 10, გვ. 126 — 127.

„... ჩვენ გამსჭვალული ვართ ურყევი რწმენით და მტკიცედ გვჯერა, — ნათქვამი იყო მიმართვაში, — რომ საბჭოთა მუშურ-გლეხური რუსეთი, კომუნისტური ინტერნაციონალი და ძლევამოსილი წითელი არმია არ იქნებიან გულგრილი მაყურებლები ჩვენი უთანასწორო ბრძოლისა გაერთიანებულ ყოფილ და შავ კონტრრევოლუციასთან და აქტიურად დაგვეხმარებიან გავთავისუფლდეთ კაპიტალის ბატონობისაგან.

ჩვენ მთელი არსებით გვწყურია რუსეთის პროლეტარიატთან ხელიხელჩაკიდებული შევიდეთ საყოველთაო შრომისა და სოციალისტური მშენებლობის ახალ ცხოვრებაში“ [1].

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, წითელი არმიის დახმარებით საქართველოს მუშებისა და გლეხების ბრძოლა დამთავრდა 1921 წლის თებერვალს მენშევიკების ძალაუფლების დამხობითა და ჩვენი ქვეყნიდან უცხოელი იმპერიალისტების განდევნით. შეიქმნა საქართველოს თავისუფალი, ნაციონალური, სუვერენული საბჭოთა სახელმწიფო.

ქართველმა ხალხმა დაიწყო თავისი ისტორიის ბრწყინვალე ხანა, შევიდა რა საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში, და დაადგა სოციალისტური მშენებლობის გზას

საბჭოების ამიერკავკასიის I ყრილობაზე, რომელიც შედგა ქ. ბაქოში 1922 წლის დეკემბერში, გ. ორჯონიკიძემ აღნიშნა ის როლი, რომელიც შეასრულა საბჭოთა რუსეთმა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების განმტკიცებისა და განვითარების საქმეში.

„განა საბჭოთა რუსეთის მატერიალური დახმარების გარეშე განმტკიცდებოდა აქ საბჭოთა ხელისუფლება? — ამბობდა გ. კ. ორჯონიკიძე, — საბჭოთა რუსეთი გვიგზავნიდა პურს შარშან და გვიგზავნის წელსაც. მან მოგვცა ოქრო მუღანის სარწყავი სისტემის აღსადგენად, მან გაიღო წელსაც 800 ათასი მანეთი ოქროთი მუღანისათვის ტრაქტორების საყიდლად. მან გაიღო 690 ათასი მანეთი ოქროთი მეაბრეშუმეობის აღსადგენად სომხეთში, მან, საბჭოთა რუსეთმა, მოგვცა 700 ათასი მანეთი ოქროთი თბილისთან ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად. შარშან კი იმავე საბჭოთა რუსეთმა მისცა აზერბაიჯანს, საქართველოს და სომხეთს 8 მილიონზე მეტი მანეთი ოქროთი.

საქართველოს სურს ააშენოს საქსოვი ფაბრიკა. იგი მიმართავს რუსეთს. რუსეთი აძლევს სახსრებს დიდი საქსოვი ფაბრიკისათვის. ასევე ეპყრობა სომხეთსაც. მაშასადამე, ამ საერთო რეზერვუარიდან — რუსეთიდან ვღებულობთ ყველაფერს, რაც შესაძლოა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობას, თავის განთავისუფლებას საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მშრომელი მასები მთლიანად უმადლიან რუსეთს. რომ არ ყოფილიყო საბჭოთა რუსეთი — არ იქნებოდნენ საბჭოთა აზერბაიჯანი, საბჭოთა საქართველო. საბჭოთა სომხეთი, და ისინი დღესაც ინგლისის იმპერიალიზმის ჭუსლის ქვეშ იქნებოდნენ. მხოლოდ რუსეთის მუშებთან და გლეხებთან კავშირში, რუსეთის წითელ არმიასთან კავშირში აზერბაიჯანელმა მუშებმა და გლეხებმა, ქართველმა მუშებმა და გლეხებმა, სომეხმა მუშებმა და გლეხებმა მოიპოვეს თავისი განთავისუფლება“.

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი. ბოლშევიკური პროკლამაციების ფონდი.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღიდანვე ამიერკავკასიის რესპუბლიკები ისწრაფოდნენ რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბლიკასთან კავშირისა და მეგობრობისაკენ. 1920—21 წლებში დადებულ იქნა საკავშირო ხელშეკრულებები რსფს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანს შორის (1920 წლის 30 სექტემბერს), საქართველოსთან (1921 წლის 21 მაისს), სომხეთთან (1921 წლის 30 სექტემბერს).

ლენინისა და სტალინის ინიციატივით, რკპ(ბ) ც. კ-ის კავბიუროს მდივნის გ. კ. ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით, მთელი ამიერკავკასიის მშრომელთა ნამდვილი ნება-სურვილის საფუძველზე 1922 წლის 13 დეკემბერს დაარსებულ იქნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკა. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სსრ კავშირის ჩამოყალიბებაში. თავის მოხსენებაში საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე ი. სტალინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანების ინიციატივა იკისრეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებმა [1]. გ. კ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ნაციონალ-უკლონისტებს, რომლებიც ილაშქრებდნენ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის ხალხებმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით რუს ხალხთან და სსრ კავშირის სხვა ხალხებთან მჭიდრო თანამეგობრობაში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტურ მშენებლობაში როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბლიკაში თავისი არსებობის მანძილზე განხორციელებულ იქნა კულტურული რევოლუცია. სოციალისტური მშენებლობის წარმატებებმა ნიადაგი გამოაცალეს კონტრრევოლუციური პარტიების — მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკების — ნარჩენების საქმიანობას, მოსპობილ იქნა როგორც კლასი, კულაკობა.

ძველი ბურჟუაზიული ერების ბაზაზე, კაპიტალიზმის ლიკვიდაციისა და სოციალიზმის მშენებლობის საფუძველზე წარმოიშვნენ ახალი სოციალისტური ერები — აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი ერები.

სოციალისტური ერების ფორმირების საფუძველზე ამიერკავკასიაში ლიკვიდირებულ იქნა გადმონაშთები ნაციონალური შუღლისა და მტრობისა, რასაც ხელოვნურად აჩაღებდნენ აქ როგორც ცარიზმის დროს, ისე ბურჟუაზიული ნაციონალისტების ბატონობის წლებში.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერატიულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ განამტკიცა ამიერკავკასიის — ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა ხელისუფლების ამ ავანპოსტის — თავდაცვა, უზრუნველყო ურღვევი მეგობრობა აზერბაიჯანელ, ქართველ და სომეხ ხალხთა შორის და საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის ხალხებთან.

შეასრულა რა თავისი ისტორიული მისია, 1936 წელს გაუქმებულ იქნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკა. ამიერკავკასიის რესპუბლიკები, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით, უშუალოდ შევიდნენ სსრ კავშირში.

---

[1] ი. სტალინი, თხზ. ტ. 5, გვ. 160.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელი განხორციელების შედეგად, დიდი რუსი ხალხის უანგარო და ყოველმხრივი დახმარებით ქართველმა ხალხმა მოკლე ხანში უდიდეს წარმატებებს მიაღწია ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მეფის რუსეთის ჩამორჩენილი ქვეყნიდან საბჭოთა საქართველო გადაიქცა ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად. ამჟამად იგი არის მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, დიდი ჰიდროელექტროსადგურების რესპუბლიკა. საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობა ხასიათდება მრავალფეროვნებით, ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ათვისებითა და განვითარებით.

სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობის საფუძველზე იზრდება საბჭოთა საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე, ჰყვავის ქართული სოციალისტური კულტურა.

კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით მტკიცდება დიადი, ურღვევი და ძმური მეგობრობა სსრ კავშირის ყველა ხალხისა, რომლებიც მტკიცე რწმენით მიდიან წინ კომუნისტური საზოგადოების ცხოვრებისაკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეგრე ბახბურიძე

ირაკლი აბაშიძის პოეზია

★

პოეზიაში არიან სახელები, რომელთა შემოქმედება თავიდანვე ადვილად იკვლევს გზას მკითხველის გულისაკენ, ეუფლება მის გრძნობებს, ფიქრებს, ღრმად იჭრება და მკვიდრდება მის სულიერ სამყაროში. რა აადვილებს ამ გზას, როდის არის მართალი და ნამდვილი, როდის არის მოჩვენებითი და წარმავალი ეს შემოქმედებითი კონტაქტი პოეტსა და მკითხველს შორის? რა თქმა უნდა, ყველა შემოქმედისათვის როდია ადვილი და ხელმისაწვდომი ხალხის გულის მესაიდუმლე, მისი სიხარულის მომღერალი და ჭმუნვის თანაზიარი გახდეს. პოეტურმა სიტყვამ ხალხის გულისაკენ რომ გზა გაიკაფოს, ამისათვის არ კმარა მარტო გარეგნული ბრჭყვიალება, ფორმის სინატიფე, ან კიდევ თვითმიზნურად დახვეწილი ვერსიფიკატორული სამკაულები. მხატვრული შემოქმედების მხოლოდ იდეური მხარე, მისი ხალხურობა, პუბლიცისტური პათოსი, ღრმა შინაარსი, შეერთებული მაღალმხატვრულ ოსტატობასთან განსაზღვრავს ურთიერთობას მწერალსა და მკითხველს შორის, ამყარებს მათ შორის ნამდვილ შემოქმედებითს კონტაქტს.

საერთოდ საბჭოთა პოეზიაში, კერძოდ ქართულ საბჭოთა პოეზიაში, არიან ხალხისათვის მახლობელი და საყვარელი პოეტები. მათი შემოქმედება თავიდანვე შეიგუა ხალხმა როგორც საკუთარი გულისთქმა. ასეთი პოეტისა სჯერა მკითხველს, გულდასმით უსმენს მის ხმას, მიჰყვება, პატივს სცემს მის გულწრფელობას და წმინდა განცდებს. ირაკლი აბაშიძემ თავისი შემოქმედებით სამართლიანად დაიმსახურა მკითხველის დიდი ყურადღება და სიყვარული. პოეტმა ეს შეძლო თავისი მართალი მხატვრული სიტყვის ძალით, უშუალო პოეტური განცდის სითბოთი და უბრალოებით. მკითხველს ხიბლავს ის ნაიელი ოპტიმიზმი, სიცოცხლისადმი ის ძლიერი სიყვარული და მებრძოლი სულიერი განწყობილება, რაც ასე უხვად ჩქეფს პოეტის შემოქმედებაში.

ირაკლი აბაშიძე თავისი პირველი ლექსებით საბჭოთა ცხოვრების იმ პერიოდის მომღერალი გახდა, რომელიც ი. სტალინმა ასე დაახასიათა მაქსიმ გორკისადმი გაგზავნილ წერილში 1930 წლს 17 იანვარს: „ძირითადი ახლა ის არის, რომ ახალგაზრდობას ტონს აძლევენ არა მოწუწუნენი, არამედ ჩვენი მებრძოლი კომკავშირელები, რომლებიც წარმოადგენენ ბოლშევიკთა — კაპიტალიზმის დამნგრევთა, ბოლშევიკთა — სოციალიზმის მშენებელთა, ბოლშევიკთა — ყველა ჩაგრულისა და დამონებულის განმათავისუფლებელთა ახალი, მრავალრიცხოვანი მოდგმის ბირთვს. ამაშია ჩვენი ძალა. ამაშივეა ჩვენი გამარჯვების საწინდარიც“ [1].

კაპიტალიზმის დამნგრევ, სოციალიზმის ამშენებელ, ყველა ჩაგრულისა და დამონებულის განმათავისუფლებელ ბოლშევიკთა ახალი, მრავალრიცხოვანი

[1] ი. სტალინი, წერილი ა. მ. გორკისადმი, ტ. 12, გვ. 191.

მოდგმის ჯანსაღი, მებრძოლური სულიერი განწყობილება გახდა ირაკლი აბაშიძის პოეზიის მასაზრდოებელი წყაროს ანკარა სათავე. იგი თვით იყო ამ ახალი მოდგმის ბირთვის ერთი ჯარისკაცთაგანი. ამ გარემოებამ მკვეთრად განსაზღვრა პოეტის შემოქმედების ხასიათი, მისი ხალხურობა. ამან განსაზღვრა აგრეთვე ხალხის დამოკიდებულება მისი პოეზიისადმი.

თვითონ პოეტი მთელი არსებით გრძნობს ეპოქის სიდიადეს. მას ძვალრბილში აქვს გამჯდარი კანონიერი სიამაყის გრძნობა იმის გამო, რომ ბედმა არგუნა ცხოვრება და შემოქმედებითი შრომა დიად კომუნიზმის მშენებელ ეპოქაში.

პოეტი ამაყობს, რომ იგი შუქმოსილმა საბჭოთა სინამდვილემ აღზარდა. მან მისცა საგზური პოეტს ცხოვრების წიაღისაკენ. არც მას და არც მის ტოლებს ძველი დროის ტვირთი არაფერი გააჩნდათ. აწმყოსთან და მომავალთან არის დაკავშირებული მთელი მათი არსება. „მოვიდა ცხრაასჩვიდმეტი წელი, მან მისცა აზრი ჩვენს დაბადებასო“, — აცხადებს პოეტი.

მერე ლენინი და დიდი კობა
გვზრდიდნენ, გვეედავდნენ ჩვენც და მრავალ ერს;
ასე ბრწყინვალე გვეღირსა ყრმობა
ჩვენ, დუხჭირების შთამომავალებს.

პოეტის შემოქმედებაში ნათლად იგრძნობა ის უდიდესი სოციალური ძვრები და გარდატეხა, რაც მოახდინა ისტორიის განვითარებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. ძირფესვიანად შეიცვალა ცხოვრების პირობები მსოფლიოს ერთ მეექვსედზე. რევოლუციამ შექმნა ახალი, სოციალისტური ბაზისი. თუ წინათ შრომა იყო სიდუხჭირის, წამებისა და გაჭირვების გამომხატველი, თუ კაპიტალისტურ ურთიერთობის პირობებში შრომა იყო ადამიანური ღირსების შემლახველი და დამამცირებელი, მძიმე და აუტანელი ტვირთი, საბჭოთა ქვეყანაში იგი იქცა სახელისა და დიდების, გმირობისა და მამაცობის საქმედ. მშვიდობისა და შემოქმედებითი შრომის ძლევამოსილი დროშით გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ იმპერიალისტური ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მშრომელი კაცობრიობის უკვდავმა ბელადებმა ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა შექმნეს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. ჩაუდგნენ რა სათავეში ხალხთა რევოლუციურ აზვირთებას, ლენინმა და სტალინმა უვნებლად გამოატარეს საბჭოთა სახელმწიფო ხომალდი გააფთრებული ბრძოლების ქარტეხილებში და შეუქმნეს მშრომელ მასებს ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრება. ამიტომ ამბობს პოეტი ი. ბ. სტალინის სადიდებელ ჰიმნში: „შენ იხსენ — ვისაც ოდესმე შავ ბედზე დაუყვედრიაო“. ამიტომ ამბობს პოეტი თავის ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსში „ოცდაერთი იანვარი“:

ამ დღეს საბჭოეთს
შემოხედავს მსოფლიო მთელი,
მოსკოვს, ლენინგრადს,
განათებულ თბილისს და ტალინს;
ამ დღეს მსოფლიო
მოიგონებს ვლადიმერ ლენინს,
ამ დღეს მსოფლიო
თვალს მიაპყრობს იოსებ სტალინს.

ამ ლექსის დიდი ღირსება აგრეთვე ის არის, რომ აქ პოეტს მხატვრულად აქვს გააზრებული ჩვენი სოციალისტური სინამდვილის საერთაშორისო ხასიათი და მნიშვნელობა. როცა საკითხი ეხება საბჭოთა ქვეყანას, სოციალისტურ სახელმწიფოს, როცა საქმე ეხება მშრომელი ხალხის ბელადებს — ლენინსა და სტალინს, მაშინ მარტო ერთი რომელიმე ქვეყანა როდი განიცდის ყოველივე ამას. აქ უკვე მთელი მსოფლიო აზრი ამოძრავდება. გამარჯვებული გმირი ხალხის ბედით დაინტერესებას მთელი ძალით გამოხატავს კაცობრიობა, სულგანაბული დედამიწა თვალ-ყურს მოაპყრობს სოციალიზმის ქვეყანას, თვალ-ყურს მოაპყრობენ: ომგადახდილი დიდი ჩინეთი, კიმ ირ-სენის გმირი მამული „მტრის ცეცხლის ალით გადამწვარი, ფერფლადქცეული“, დემოკრატიული გერმანია, პოლონეთი, იტალია, საფრანგეთი... „და ისმის ქვეყნად, თითქოს ერთი სუნთქვა გაბმული“. აქ დამაჯერებლად გამოხატულია უბრალო ადამიანური გრძნობები შეერთებული პოლიტიკურ სიმახვილესთან და პუბლიცისტურ პათოსთან, რაც წარმატებით შეძლო ირაკლი აბაშიძემ თავის ლექსში „ოცდაერთი იანვარი“. აქ მოვლენები ზედაპირულად, ემპირიულად კი არ არის დანახული, არამედ მოცემულია მათი მხატვრული განზოგადება, მჭიდრო კავშირი ურთიერთშორის, მათი არსი ტიპიური დამახასიათებელი ნიშნებით — სოციალური რეალიზმის პრინციპის შესაბამისად.

მშვიდობა, თავისუფალი შემოქმედებითი შრომა იყო და არის საბჭოთა ქვეყნის არსებობის საფუძველი, მისი წინსვლის, განვითარების მთავარი და ერთადერთი გზა. მშრომელი მასების რევოლუციური ენერგია და ინიციატივა თავიდანვე ამ პრინციპის განხორციელებისათვის წარიმართა, ბრძოლა მშვიდობისათვის, თავისუფალი, შემოქმედებითი შრომის დასაცავად არის ჩვენი თეორიისა და პრაქტიკის ქვაკუთხედი. კომუნიზმის დიადი მშენებლობა წარმოუდგენელია მშვიდობიანი შრომის გარეშე. ამიტომ არის საბჭოთა ქვეყანა ნამდვილად, მთელი არსებით დაინტერესებული მშვიდობის ისტორიული საქმის დაცვით. ლექსში „სიმღერა ჭირნახულს“ პოეტი ითვალისწინებს იმ შავბნელ წარსულს, როცა ადამიანის შრომის მონაგარს ჭირნახული ერქვა. ეს ძარღვიანი ხალხური სიტყვა შრომის ნაყოფს ეწოდა იმ საშინელი შავბედობის, უსიხარულო ჯაფის გამოსახატავად, რაც თან სდევდა მშრომელის ცხოვრებას, ნაღველითა და მწარე ცრემლით აღსავსე ცხოვრებას. მაგრამ ეს იყო წარსულში. პოეტი ამბობს: „ნუღარ ითვლები შენც ჭირნახულად, ოქრო დაისხეს შენმა ფესვებმა“. თავისუფალი შრომის სამშობლო ქვეყანაში, სადაც დაიხურა კაცის სევდისა და კაეშნის წიგნი, შრომის ბარაქა აღარ ითვლება ჭირნახულად, რადგან

> ყველა გრიგალებს, ყველა ქარაშოტს
> ასცდი, აშორდი შავბედითობას;
> ლაღად იხარე! დღეს შენს მშვიდობას
> დიდი სტალინის თვალი დარაჯობს!

ჩვენს ქვეყანაში შრომა სიხარულად აქცია თავისუფალმა ცხოვრებამ. შრომა შეამსუბუქა თავისუფალი ადამიანის შემოქმედებითი გონების ნაყოფმა — მანქანამ. საბჭოთა ადამიანმა ისტორიაში პირველად იგრძნო და ღრმად განიცადა შრომის ცხოველმყოფელობა, პირველად დაინახა, რომ მისი შრომის ნაყოფი სხვას კი არ ეკუთვნის, არამედ ეს ნაყოფი მისივე საკუთრებას შეადგენს, მისსავე კეთილდღეობას ხმარდება. სოციალისტურ სახელმწიფოში შრომა-

მშვიდობის საქმეს ემსახურება, ისინი ერთმანეთისაგან განუყოფელი არიან, ერთი მეორის გარეშე მიუღებელი და წარმოუდგენელია... თავისუფალი შრომის ამ დიად მიზანსა და დანიშნულებას გამოხატავენ ირაკლი აბაშიძის ლექსები „კომბაინი ბახტრიონთან“, „გრემი მკაში“, „ივანე მახნიაშვილი“, „მშვიდობა ჯუგაანში“ და სხვა მრავალი. პოეტი მიმართავს კომბაინს მოწოდებით — ხმა მიაწვდინოს ქვეყნიერებას,

> რომ უძლეველი, გაუტეხელი,
> ჩვენი სამშობლო ფიცხელ მკაშია,
> რომ ხვალ მშვიდობა ჰქონდეს ქვეყანას,
> დღეს მისი ფიქრი ამ თავთავშია.
> რომ შენც ნაღდი და მართლაც ხალასი
> მოგაქვს ძვირფასი შენი ხარაჯა,
> რომ ბახტრიონთან სადღაც ჰალაში
> დგეხარ მშვიდობის ერთგულ დარაჯად.

ლექსების ამ ციკლიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „ღია წერილი ერსკინ კოლდუელს“. ავტორი იგონებს იმ დღეებს, როცა ამერიკელი პოეტი ერსკინ კოლდუელი სტუმრად იყო საქართველოში, ორმოცდაერთი წლის ზაფხულში. სტუმარმა ნახა ალაზნის ველი, დატკბა მისი სილამაზით, განცვიფრდა გომბორის ზვიადობით, სიამე მოჰგვარა ბალჩა-ბაღების უხვმა ბარაქამ, აღტაცებაში მოიყვანა ოქროს ზოდებად აყვავებულმა პურის ყანებმა. მაგრამ მსოფლიო ომის ცეცხლში გახვიეს ფაშისტმა ავაზაკებმა. საბჭოთა ქვეყანამ გაუძლო უმაგალითო ისტორიულ განსაცდელს, გაანადგურა ფაშისტური ურდოები და მთელი პროგრესული კაცობრიობა იხსნა ფაშიზმის მონობისაგან. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მშვიდობის, სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკს განსაკუთრებით მკვეთრად დაუპირისპირდა აგრესორთა ბანაკი, მსოფლიო კაპიტალიზმი ამერიკის იმპერიალიზმის მეთაურობით. ერსკინ კოლდუელი არ აღმოჩნდა მშვიდობისა და დემოკრატიის მომხრეთა რიგებში. ამით გულნატკენი საბჭოთა პოეტი მღელვარე სინანულით მიმართავს კოლდუელს და ამბობს — „და არ მეგონა, რომ მშვიდობას არ დაიცავდი, მშვიდობისადმი არ მჯეროდა შენი ღალატი“. საბოლოოდ მაინც არ ჰკარგავს იმედს, და სურს კოლდუელიც იქ ნახოს, „სადაც დგანან ძმობის დარაჯნი: ჩვენი ნერუდა, ჩვენი ფასტი და გონსალესი“.

ამ ლექსში ირაკლი აბაშიძე ამყღავნებს მხატვრის ჭეშმარიტ ალღოს. ეს ალღო პოეტს მაშინაც არ ღალატობს, როცა იგი ეხება ისეთ საკითხს, როგორიცაა აქ აღნიშნული უაღრესად პუბლიცისტური ხასიათის მოვლენა. აქ თითოეული შტრიხი ცოცხლად, მხატვრის ნამდვილი, უტყუარი თვალით არის დანახული ყოველგვარი რიტორიკის გარეშე. ლექსი „ღია წერილი ერსკინ კოლდუელს“ პუბლიცისტური ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშია. მართალია, იგი პოლიტიკურ პამფლეტად რჩება, მაგრამ თავისი მხატვრული ღირსებებით, პოეტური გზნებით მაღალი პოეზიის ხარისხშია აყვანილი. ამაშია ლექსის დიდი შემეცნებითი და მხატვრული ღირებულება. უხვი ფერადებით არის მოცემული თიბათვე, პურის მკა ჩვენში, მუქ სიმწვანეში გაწოლილი ალაზნის ველი, ადამიანთა სიხარული მშვიდობიანი შრომის ფონზე; შემდეგ — გამოთხოვება სტუმართან და სამშობლოსკენ მისი გასტუმრება. პოეტს შესანიშნავად ეხერხება ერთი მოკვეთილი ფრაზით ბუნების სურათის დახატვა:

> მწიფდა სახელი, ედებოდა ცეცხლი ბროწეულს.
> მჭახედ ისმოდა ჩალიანში ხოხბის ყივილი.

ამ რამდენიმე სიტყვით ფართო მხატვრული ტილოა წარმოდგენილი. მასზე ავტორს ასახული აქვს ბუნების წარმტაცი სურათი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბუნების სურათების განხილვა ირაკლი აბაშიძის პოეზიაში ცალკე, დამოუკიდებელი თემაა. აქ კი გაკვრით უნდა ითქვას, რომ ბუნების აღწერისას პოეტი დიდ შემოქმედებითს წარმატებას აღწევს. იგი გაურბის მზამზარეულ, პოეზიაში უკვე გამოყენებულ ხერხებს და საშუალებებს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს. ლექსში „მშვიდობა ჯუგანში“ პოეტი რამდენიმე სტრიქონით ხატავს შემოდგომის უშფოთველ განწყობილებას: „შემოდგომაში ცურავს მთა-ბარი ხოხბის ზურგივით გარინდებული“. ამით მკითხველს თვალწინ ეხატება მრავალფერადოვანი მთა და ბარი. ისინი ფერთა სიუხვით, მომხიბლაობით და სილამაზით ხოხბის ზურგს ჰგვანან, ხოხბის გარინდებულ ზურგს, ბუჩქებში შეყუჟულს, მიდამოების სიკეკლუცით მონუსხულს, თუ მოახლოებული საფრთხით შემკრთალს და გაოგნებულს.

პოეტური უბრალოება, მდიდარი მხატვრული ალღო ჩანს თუნდაც ამ პოეტურ სტრიქონში: მიყვარს გზისპირის ალვის ჩრდილები, დილის ნიავით გაცოცხლებული. მიყვარს ღობეზე ტყის ყვავილები, მგზავრის სამზერად აცოცებული.

მაგრამ მარტო სილამაზის კატეგორიას როდი წარმოადგენს ბუნება ირაკლი აბაშიძის პოეზიაში. ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმა პოეტის შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. საუკუნეებით გადარუჯული, ალმურისაგან გამოფიტული მიწის განედლებას, ათასობით ჰექტარი ნიადაგის ნაყოფიერ ველებად გადაქცევას ეხება პოეტი ლექსში „დღეს სამგორისკენ“. ლექსი პოეტური სახეებით აგვიწერს ივრის ტალღების გაჭრას მლაშე ტბებისაკენ, საცხენისზე გავლით სამგორისაკენ, შემდეგ არხში მომწყვდეული წყალის დიდლილოში შეთარეშებას, და ბოლოს ძველ მახათასთან ზღვა ამღერდება. რათა ავჭალას და თბილისს ზღვაურით მიეალერსოს:

ზღვაზე დადგება ღრუბლის სვეტები,
დასველდს, იელვებს და გაწვიმდება,
ზვრებში მტევანზე წვიმის წვეთები
ელექტროს შუქით აციმციმდება.

ძლერის აღტაცებული პოეტი. იგი აღფრთოვანებულია იმით, რომ საბჭოთა ადამიანი ბუნების ძალებს ხალხის საკეთილდღეოდ იყენებს, რომ ბუნების დამანგრეველ ძალას ხალხის ბედნიერების სამსახურში აყენებს თავისუფალი შემოქმედებითი შრომა სოციალისტური ქვეყნის მკვიდრისა, რომ ფრთებს ისხამს. ხორციელდება უკვდავი ბელადის, დიდი სტალინის მოძღვრება იმის შესახებ, რომ „ადამიანები სრულიადაც არ არიან უძლურნი ბუნების პროცესებზე მათი ზემოქმედების შესაძლებლობის აზრით. ყველა ასეთ შემთხვევაში ადამიანებს, თუ ისინი შეიცნობენ ბუნების კანონებს, თუ გაითვალისწინებენ და დაეყრდნობიან, თუ უნარიანად მოიმარჯვებენ და გამოიყენებენ მათ, შეუძლიათ შეზღუდონ მათი მოქმედების სფერო, სხვა მიმართულება მისცენ ბუნების ნგრევითს ძალებს, — საზოგადოების სასარგებლოდ წარმართონ ბუნების ნგრევითი ძალები.

ავიღოთ მრავალთაგან ერთი მათგანი. უძველეს ეპოქაში დიდი მდინარეების გადმოხეთქვა, წყალდიდობა, ამასთან დაკავშირებით საცხოვრებელი სახლებისა და ნათესების მოსპობა გარდუვალ უბედურებად ითვლებოდა, რომლის წინა-

აღმდეგაც ადამიანები უძლურნი იყვნენ. მაგრამ დროთა მსვლელობაში, ადამიანთა ცოდნის განვითარებასთან ერთად, როდესაც ადამიანებმა ისწავლეს ჯებირებისა და ჰიდროსადგურების შენება, შესაძლებელი აღმოჩნდა საზოგადოებისათვის თავიდან აეცილებინათ წყალდიდობათაგან გამოწვეული უბედურება, რაც წინათ გარდუვალი ეგონათ. უფრო მეტიც, ადამიანებმა ისწავლეს ბუნების ნგრევითი ძალების დამორჩილება, მათი, ასე ვთქვათ, მოთოკვა, წყლის ძალის წარმართვა საზოგადოების სასარგებლოდ და მისი გამოყენება მინდვრების მოსარწყავად, ენერგიის მისაღებად" [1].

ლექსში „ორი ალაზანი" პოეტი გვიხატავს ორი ძველი ქართველი ძმის — პირაქეთელი და პირიქეთელი ალაზნის საუკუნეობრივ ოცნებას მათ შორის აწვდილი ტინის კედლის გადალახვისა და ერთმანეთთან შეერთების სიყვარულით ჩახვევის შესახებ. ეს არის მათი ძლევამოსილი წყურვილი, დარდი და ნაღველი. ამ სანუკვარ ოცნებაში მათ თვალწინ წარმოუდგებათ დონის ჭალები, სადაც ვოლგის მორევი და დონის ჭალები ერთმანეთს ძმურად ჩაეკვრიან, რითაც მოუხატავთ და მოუქარგავთ მიდამოები. ძმათა ალაზანთ ეჩვენებათ სამგორის ველი, გაცოცხლებული და ტევრით შემოსილი, როდესაც გადამწვარ ტრამალზე გაწვება იორის წყლის ჩრდილი, აღიმართებიან მოკაშკაშე ელექტროჭაღები. ოცნებით მათ თვალწინ ეხატებათ ის ბედნიერი დღე, როცა არხებით თვითონაც შეუერთდებიან და ქართულ ოდებთან პირიქითელი ალაზნის მჩქეფარე ტალღები ადგაფუნდება. თვალწინ ოცნებით მათ ეხატებათ ხახაგამშრალი, დამსკდარი ყამირების ნაცვლად მობიბინე ჯეჯილი, ახალი საგუბრები, ახალი კაშხალებით და ყველაფერი ეს უნდა გაკეთდეს საბჭოთა ადამიანის ხელით, ადამიანისა, რომელმაც მრავალგზის გაიმარჯვა სტიქიურ ძალებზე, რომელიც კვლავ გაიმარჯვებს ამ ძალებზე:

> და ეჩვენებათ მათი დამხსნელიც,
> დაუდგრომელი და მადლიერი, —
> ყოვლისმხილველი და გარდამქმნელი
> მოდის სტალინის კაცი ძლიერი.

ამავე თემაზეა დაწერილი ირაკლი აბაშიძის ერთი საუკეთესო ლექსთაგანი „შირაქისაკენ, ალაზნის წყალო!" მასში პოეტი მხატვრული გააზრებით გამოხატავს მოწყურებული მიწის ვედრებას ალაზნისადმი. ქართული ხორბლის დედის, ყანის, კალოს, გადახანძრული ველის მუდარას ალაზნის წყალისადმი — მანაც მიჰბაძოს იორს, რომელმაც სამგორის მიწა გააცოცხლა, მიჰბაძოს ამუდარიას, რომელმაც უყეში ყარაყუმი მწვანედ ააბიბინა.

ირაკლი აბაშიძე ისწრაფვის უკიდურესობამდე დაიყვანოს პოეტური მეტყველების ლაკონიზმი. ყოველგვარი მრავალსიტყვაობის, განმეორების გარეშე, პოეტი შემოქმედებითი უბრალოებით და მხატვრული სიძუნწით მეტყველებს ისეთ გრანდიოზულ მოვლენებზეც კი, როგორიცაა კომუნიზმის დიადი მშენებლობანი. სწორედ ამ ლაკონიზმით აღწევს პოეტი მკითხველზე ზემოქმედებას, აზრის კონცენტრაციას.

პოეტი ამბობს:

> დღეს სხვა ღრუბლების გვესმის გრიალი,
> კაცმა ბუნებას ხელი დარია:

[1] ი. სტალინი. სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში. გვ. 4 — 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამგორს მიადგა ფიცხი იორი,
უყეშ ყარა-ყუმს — ამუ-დარია.

ამ სიტყვებში ნათლად ჩანს კაცის ძლევამოსილი შეჭიდება ბუნებასთან, გარკვევით ჩანს კაცის ხელით ბუნების მოთარეშე ძალების დაოკება და მათი დამორჩილება ადამიანის კეთილი ნებისადმი.

ჯანსაღი საბჭოთა პატრიოტიზმი გამოსჭვივის ირაკლი აბაშიძის ლექსის სტრიქონებში. პოეტი უმღერის სოციალისტურ სამშობლოს, პატივისცემით იგონებს მის დიად წარსულს, შეტრფის მის ხვალინდელ დღეს. მაგრამ საკუთარი სამშობლო, მისი ბედნიერება პოეტს განუყოფელად მიაჩნია სხვა მოძმე ერების კეთილდღეობისა და ბედნიერებისაგან. მოძმე საბჭოთა ხალხებს ვერავითარი მანძილი ვერ აშორებს, მათი განცალკევება არ ძალუძს არაფერს: „უკრაინა უყვარს „შრომელს", როგორც კარის მეზობელი", — ამბობს პოეტი და სხვა ადგილას დასძენს:

ამას გვიხმობდა ჩვენი რუსთველი,
ჩვენი ნავოი, ჩვენი ფიზული,
გაუტეხელი სიტყვით გულწრფელით
ვართ საუკუნოდ ძმადშეფიცული.

ხოლო უზბეკეთში ყოფნისას მოძმე ხალხის ბედნიერებით მოხიბლული პოეტი ამბობს:

მავიწყდებოდა, რომ სხვა მხარეა,
ეს სხვა მთებია, ეს სხვა ფშანია,
რომ აქ დუდუნებს ამუ-დარია,
რომ ეს ქედები ტიან-შანია...

. . . . . .

მე თვალწინ მედგა სულ საქართველო
და შევხარიდი მზიან უზბეკეთს.

ასეთია საბჭოთა პატრიოტიზმის დიდი ცხოველმყოფელი გავლენა, რაც გამოიხატა ირაკლი აბაშიძის პოეზიაშიც.

ბრწყინვალე ლექსებს შეიცავს ციკლი „მონადირის ღამეები". ეს ლექსები მნიშვნელოვანია როგორც ყოფითი სურათების პოეტური გააზრებით, ისე მაღალიდეურობით და შემეცნებითი ზეგავლენის ძალით. საინგილოში სანადიროდ ჩასულ ქართველებს ძმური სიყვარულით ხვდებიან ინგილოები. აქაც ყველაფერი ქართული და მშობლიურია — მუხის კახური სუფრა, ძველი ხელადა, მამაპაპური საწნეხელი, კედლის სურათზე ყვავილის ბაღები, ჩვეულებრივი რთველი და პურობა, კერასთან მჯდარი ბავშვები ცეცხლის პირას სწავლობენ „დედაენას", ოჯახის მამა კი ყოველ ძილის წინ

ჩართავს რადიოს და ტკბილ-ქართულით
მშვიდად საუბრობს კახში თბილისი.

„მონადირის ღამე" გამოირჩევა თავისი ხალხურობით, ბუნების შეცნობით, უშუალობით და მხატვრული უბრალოებით, ძარღვიანი ქართული ენით და პოეტური სურათებით. ავტორი მხატვრულად აგვიწერს უღრანი ტყის პირად გაჩაღებულ კოცონზე დაყრილი წიფლის ტოტებიდან ცაში ბუბუნით როგორ ავარდა ალი, შიშით როგორ უყეფდნენ მეძებრები კოცონის ირგვლივ გაწოლილ ლანდებს. უღრან ტყეში კი ტკაცუნით სჭამდა ნადირი ნადირს, რკოს, ხილს,

ბერმუხის უკან მგლის თვალი ელვარებდა, ხოლო ზეციისკენ წასული ცეცხლის ენები ჰგავდნენ ბუჩქში დამფრთხალი ხოხბების ფრენას, წიფლის ეშხიან ღადარზე ბრუნავდა შამფურზე აცმული ტახის მწვადების ჯარი, და ბოლოს პოეტი დაასკვნის:

ჩამოვდგით დინჯად, გავსილი გზისთვის
ხელადა, როგორც ძვირფასი განძი
და საქართველოს მიწის და მზისთვის
ინგილომ შესვა პირველი ყანწი.

ღამით, მთელ ღამით, შფოთიან ძილში
დაგვდევდა სიზმრად ყუმი და კახი
და თასმანლუსთან ბერმუხის ძირში
ხმელ ფესვებს გლეჯდა დაჭრილი ტახი.

აქ პოეტმა პირადი განცდები მხატვრული განზოგადების ხარისხში აიყვანა. ეს შეძლო მან თავისებური პოეტური აზროვნებით, რამაც შესძინა ლექსს ზემოქმედების ძალა.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ისტორიული გამოცდა იყო სოციალისტური ქვეყნისათვის. მან ეს გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა. საბჭოთა ქვეყანამ, მისმა სახელოვანმა არმიამ იხსნა მთელი პროგრესული კაცობრიობა ფაშისტური მონობის უღლისაგან. მან დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს საბჭოთა წყობილების, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალა და უძლეველობა. ჩვენმა ქვეყანამ უკანასკნელ ომში მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია იმის გამო, რომ სოციალისტური სახელმწიფოს მშრომელები, განურჩევლად ეროვნებისა, როგორც ერთი კაცი, მტკიცედ დაირაზმნენ სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გადასარჩენად. თვითეული საბჭოთა მოქალაქე, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში, ფაბრიკა-ქარხნებსა და საკოლმეურნეო მინდვრებზე, სჭედდა ვერაგ მტერზე გამარჯვების საშვილიშვილო საქმეს. თითოეულმა საბჭოთა ადამიანმა თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნია მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის უმაღლესი პრინციპის წმინდად დაცვა, „კაცობრიობის მტრებზე დაიძრა დიდი სტალინის ლეგიონები". დიდი მხატვრული შთაგონებით ასახა საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირობა სამამულო ომის მრისხანე დღეებში ირაკლი აბაშიძემ. იგი მთელი თავისი შემოქმედებითი გზნებით მოუწოდებდა ხალხს მხოლოდ ფრონტისათვის ზრუნვისაკენ, სამშობლოს დიდებისათვის თავგანწირული ბრძოლისაკენ, ყველა ღონისძიების ათასჯერ გაძლიერებისა და გამახვილებისაკენ. პოეტს ღრმად სწამდა, რომ გმირული შრომაც იგივე ყუმბარაა, მტრის გასანადგურებლად გატყორცნილი, იგივე ხმალია მტრის გასაჟლეტად ქარქაშიდან ამოწვდილი. პოეტი მოუწოდებდა ჩვენს მამაც მეომრებს — იმდენჯერ გააფთრებით, ლომკაცურად დაერტყათ მტრისათვის, რამდენჯერაც მოაგონდებოდათ თავიანთი ეზო და სახლ-კარი, კუთხე და ბუნება, ყანა და ვენახი, ლამაზი ცოლ-შვილი და მოხუცი მშობლები. ხოლო პარტიზანებს, სამშობლოს გმირ პატრიოტებს, ლომგულ ვაჟკაცებს, რომელთა სახლკარი ხის ქვეშ გაშლილა, რომელთა სამეფოს ტყე და სტეპები წარმოადგენენ, ასე მიმართავდა:

ძმებო! ჰიტლერის კეფას დაჰკარით,
თქვენ გაგიმარჯოთ, პარტიზანებო!

რა ასულდგმულებდა თითოეულ საბჭოთა პატრიოტს სამამულო ომის მრისხანე დღეებში? რა რწმენით მიდიოდნენ ისინი შეტევაზე მტრის წინააღმდეგ? რა ჰქონდა თითოეულ ჩვენგანს იმედის დროშად ბრძოლასა და შრომაში? „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“ — ამ რწმენით, ლენინის დიადი დროშით გაიმარჯვა საბჭოთა ხალხმა ფაშისტურ შავბნელ ძალებზე, ამ რწმენით, ამ დროშით გადაარჩინა საბჭოთა ხალხმა ჩვენი ქვეყანა და მთელი მსოფლიო ფაშიზმისაგან. პოეტის რწმენაც და იმედიც ეს იყო. ამიტომ ამბობს იგი:

როცა მე ვჭედდი მხედრულ სტრიქონებს,
მწამდა, ჩემს მამულს მკერდით ვიცავდი;
ასე ვძაბავდით ჯანსა და ღონეს
სამშობლოსათვის, სტალინისათვის.

პოეტის მხედრული სტრიქონები აღაფრთოვანებდა საბჭოთა პატრიოტებს გმირული შემართებისათვის ბრძოლისა და შრომის ფრონტზე. მტრის დამარცხების რწმენა, მტერზე გამარჯვების იმედი არასოდეს არ შერყეულა ჩვენს რიგებში. პოეტის გულშიც მუდამ ღვივოდა ძლიერი რწმენა და იმედი.

მრავალი სახელოვანი გმირი გამოავლინა დიდმა სამამულო ომმა. სიყვარულითა და დიდების შარავანდედით შემოსა მათი უკვდავი სახელები საბჭოთა სამშობლომ. ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“ ამ გრძნობების მკაფიო გამომხატველია. ეს ლექსი ხალხმა მაშინვე შეისისხლხორცა და თავის ერთერთ საყვარელ სიმღერად აქცია. მასში დიდი პოეტური განცდით არის გადმოცემული გმირი საბჭოთა პატრიოტის სულისკვეთება. სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების დასაცავად გამართულ ბრძოლებში გმირულად დაღუპულ კაპიტან ბუხაიძეს საფლავიდან მხრების წამოწევა მხოლოდ იმისათვის სურს, რათა სიცოცხლე ხელმეორედ შესწიროს მშობელ მხარეს, შესწიროს იმავე მიწას, რომელიც მას გულზე დააყარეს. სისხლის მსმელი ფაშისტების გამჟღერტი გმირი ხალხს მკვდრად არ მიაჩნია, იგი დარაჯობს მშობლიურ მიწაწყალს. მისი ერთად ერთი სურვილი და ანდერძი ის არს, რომ სამშობლოს გმირმა დამცველებმა საკუთარი მკერდით შეკრან საბჭოთა ქვეყნის მისადგომები, ყველა ჯურის მტრისათვის მიუვალი გახადონ ისინი.

საბჭოთა ცხოველმყოფელი პატრიოტიზმის საფუძველს პროლეტარული ინტერნაციონალიზმი წარმოადგენს. მისთვის უცხოა ყოველგვარი რასიული დისკრიმინაცია, რომელიმე ერისათვის უპირატესობის მინიჭება სხვა ერის წინაშე, უცხოა ისევე, როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინება. ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის იდეა ჩვენი თანაცხოვრების ქვაკუთხედს წარმოადგენს, ამ იდეას მხატვრული ამსახველია საბჭოთა ლიტერატურაც. დიდ სამამულო ომში საბჭოთა სახელმწიფოს ბრწყინვალე გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პირობა სწორედ ერთა შორის მეგობრული ურთიერთობა, მათი ინტერესების ერთიანობა, ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა იყო. ეს მომენტი კარგად აქვს გამოხატული პოეტს ლექსში „საქართველოს პოეტებს“:

ძმათა ძახილი არის გაბმული,
დიდი ხალხების ბრძოლის ყიჟინა;
შორს ყაზახეთში უხმობს ჯამბული,
სპექს დასავლეთში პავლო ტიჩინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე იდეის შემცველია „პარტიზანების“ შემდეგი სტრიქონები:

ხვადი ვეფხვია მათგან ყოველი
და ფათერაკში გაუხლართველი;
ერთი ყალმუხი, ერთი ფსკოველი,
ერთი უზბეკი, ერთი ქართველი.

საბჭოთა ხალხის პოლიტიკურ-მორალური ერთიანობა, მტკიცედ შედუღაბებული მეგობრობა უდიდესი ფაქტორი გახდა სამამულო ომის დროს მტერზე გამარჯვების მოპოვების საქმეში. ეს მეგობრობა წარმართავს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებას მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდშიც. ამით არის ძლიერი და უძლეველი ჩვენი სოციალისტური სამშობლო.

პოეტური ინტიმით არის გამთბარი სამამულო ომის დროს შექმნილი ირაკლი აბაშიძის ბევრი ლექსი. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ლესელიძის ხსოვნას“ და „რად გელანდება“. მათში გამოთქმულია ადამიანური მწუხარება ახლობელი და ძვირფასი ადამიანების დაკარგვის გამო, ადამიანებისა, რომლებიც გმირულად დაეცნენ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მრისხანე ბრძოლებში. ომი დამთავრდა. სხვა ამოცანები დაისახა ხალხის წინაშე — აღდგენითი სამუშაოები, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლა, მაგრამ ერთი დარდი მაინც დარჩა ყველა ჩვენგანის გულში: ვუცდით „მეგობრებს, უკან დაუბრუნებლებს“. გონების თვალს ლხინის დროსაც არ შორდება ყუბანი, ქერჩი, ომის ნახანძრალი ადგილები. გელანდება „დაჭრილი ქართველის ჩუმი გოდება, ველზე — დამწვარი ყაბარდოელი“. პოეტი გულისტკივილით კითხულობს:

რად გელანდება რაც გაქვს ნახული
მეხის გუგუნში, ქართა სრიალში,
ორმოცდაორის ცხელი ზაფხული —
სისხლის წვიმები კავკასიაში.

მაგრამ ოპტიმისტური განწყობილება, ახალი ქვეყნის შენების მუდმივი წინსვლისა და შემოქმედებითი ცხოვრების პათოსი საბოლოოდ მაინც იმარჯვებს. ამიტომ პოეტი მოწოდებით მიმართავს თანამემამულეს:

გასწი, ისუნთქე ქვეყნის ამბავით,
მისი სიცოცხლის ხარ მოზიარე;
დღეს სხვა ტევრი გაქვს გასაკაფავი,
შენ ხარ ვაჟკაცი. გასწი, იარე!

ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსული, მისი ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მშრომელი მასების განთავისუფლებისათვის მემამულურ-ბურჟუაზიული ექსპლოატაციისაგან განუყრელად არის დაკავშირებული. ი. სტალინის და მისი უახლოესი თანამებრძოლების ლადო კეცხოველისა და ალექსანდრე წულუკიძის სახელთან.

ამ დიდმნიშვნელოვან თემას ეხება ირაკლი აბაშიძის ლექსი „წულუკიძის სიკვდილი“. ეს ლექსი პოლიტიკური ლირიკის მკაფიო ნიმუშია. მასში ოსტატურად არის შეერთებული პუბლიცისტური მგზნებარება ემოციურ აღელვებასთან. ა. წულუკიძის გარდაცვალებას პოეტი ადარებს მზის ჩასვლას, რომელიც კვლავ უნდა ამოვიდეს დედამიწის გასანათებლად, ადარებს დეკემბრის თოვლში გარინდებულ მშობლიურ მიწას, რომელიც გაზაფხულზე კვლავ სიცოცხლით იფეთქებს. ლექსში ღრმად გამომხატველი საშუალებებით არის და-

ხატული ბრძოლის წითელი დროშის აღმართვა სამგლოვიარო პროცესიაზე. ხალხის მწუხარე გმინვა, შეერთებული გმირული რევოლუციური ჰანგის გუგუნთან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიფართქალებენ იმერეთზე
დროშის კალთები,
დიდის მომავლის დასტური და
აზრი ნათელი,
როგორც ღრუბლებში
ვარსკვლავების გამონათება,
ან როგორც ფიცი,
თავდადება და ერუანტელი.

ბუნებაც შეუერთდა ხალხის აზვირთებას. ამოტყდა ქარიშხალი. ცა საწვიმარი შავი ღრუბლებით დაიფარა, ელვის ხაზებით გაიბზარა. ამოწვდილი მახვილივით მორზე შეიჭრა ამხანაგი სტალინი. შეწყდა გუგუნი. გამეფებულ დუმილში ისმოდა მხოლოდ ხეზე დაცემული წვიმის წვეთების ხმა. ჰაერში დაირხა სტალინის მქუხარე სიტყვები, მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა დასამხობად მომწოდებელი. გაიხსენა მეტეხი, კეცხოველის ბნელი საკანი, მტრის მუხთალი ტყვიით გულგანგმირული რევოლუციის რაინდი:

კობა დახედავს
თანამებრძოლს ხელდაკრეფილი,
ორთავ თვალები ენთებიან,
წყვილად კრთებიან,
თმებზე რიგ-რიგად
მოჰყვებიან წვიმის წვეთები,
ლაწვებს ჩარბიან,
მერე ყელში ინასვებიან.

მტრისაგან დევნილი ორი მებრძოლი, ორი მუხა, ორი არწივი, უკვე დაცემულია. ბევრი სხვა სიცოცხლეც შეიწირა რევოლუციამ. მაგრამ ძლევამოსილი პროლეტარიატის ძალები აურაცხელია. რევოლუციის მსხვერპლთა წმინდა სახელები დარჩნენ, როგორც მგზნებარე მოწოდება თავისუფლებისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლისაკენ. ამ უაღრესად დაძაბულ მომენტში სტალინს წარმოუდგება ჩრდილოეთიდან ლენინის სახე:

მაშინ გმირულად
გადასძახებს ხალხს სამთავანი,
დასძრავს მდინარეს,
ისევ რაზმებს დაუბრუნდება,
აფრიალდება ქვეყანაზე
დროშა მაღალი
და სამყაროში
ძლევის ჰანგი აგუგუნდება.

ღრმად განცდილი, ლირიკული სითბოთი არის აღბეჭდილი ლექსის დასკვნითი ნაწილი „მოგონება ბოლოთქმაში". პოეტი იგონებს თავის ბავშვობას: მზე ჩასვლის წინ შეაფერადებდა ხოლმე ღრუბლებს. წულუკიძის საფლავთან ორი ცაცხვის ხე, როგორც ორი ასული, მუდამ მზისკენ იწვდიდა ხელებს. უდარდელი ცაცხვის ხეების ფოთლის შრიალი ყმას მძიმე წუხილად ესმოდა. მას ეჩვენებოდა კოკისპირული წვიმა, გადუღებელი და დაუვიწყარი, რომლითაც ცამ დაიტირა წულუკიძე მისი დაკრძალვის დღეს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითქოს ხელახლა და უარესად
წვიმას უნდოდა მიწის გალღობა,
ასე ფიქრობდა შენს სამარესთან
ორი ცაცხვი და ჩემი ბალღობა.

ასე უზიარებს პოეტი მკითხველს ბალღობაში განცდილს და ნაფიქრს, ბალღობისას გულში ჩამარხულ სიმღერად ქცეულ დიად ამბავს. ლექსში ფართოდ არის გამოყენებული შინაგანი მონოლოგი, რომლითაც ვგრძნობთ მძაფრ ფსიქოლოგიურ განწყობილებას. ეს მხატვრული ამოცანა შესრულებულია პოეტისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი უბრალოებით, ეპიკური და ლირიკული სახეების ძალდაუტანებელი შერწყმით, რაც ნაწარმოებს აძლევს გაშლილი ლირიკული ლექსის ხასიათს, ამასთან პუბლიცისტურ იერს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით მხატვრული შემოქმედების თვალსაზრისით, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის თვალსაზრისით.

თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ირაკლი აბაშიძემ თავისი საბავშო ლექსებით ქართულ საბავშვო ლიტერატურაში, მაგრამ ეს ცალკე განხილვის საგანია.

სოციალისტური ჰუმანიზმის, კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების მხატვრულ პროპაგანდას წარმოადგენს ირაკლი აბაშიძის მთელი შემოქმედება. მისი პოეზია ჩვენში განამტკიცებს იდეას ადამიანის უპირველესი დანიშნულების შესახებ ამ ქვეყნად — იყოს აქტიური მშენებელი ახალი ცხოვრებისა, ახალი ქვეყნისა, კაცობრიობის ბედნიერების საფუძვლებისა, იყოს მებრძოლთა პირველ რიგებში, რომელთა გონებით, კუნთებით, აზრითა და გრძნობით იკაფება გზა კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებისაკენ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა მტკიცება, რომ პოეტმა თავისი პოეზიის აყვანა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებამდე შეძლო შემოქმედებით სიძნელეების, ჩავარდნებსა და წარუმატებლობის გარეშე, ზოგჯერ აშკარა მარცხის გარეშეც კი. მძაფრი სოციალური მოტივების გვერდით ხანდახან მის ლექსში გაისმოდა ვიწრო პირადული, ინდივიდუალისტური განცდის ხმა. ზოგჯერ პოეტს ძალა აღარ ჰყოფნიდა, სოციალურ საზოგადოებამდე აეყვანა კერძო შემთხვევა, პირადი გრძნობა, მისთვის პოლიტიკური ხასიათი, პუბლიცისტური ჟღერა. ასეთია, მაგალითად, ლექსი „დმანისის ქვები". მიუხედავად იმისა, რომ იგი მთავრდება სიცოცხლის, ახალი ქვეყნის, მზისა და ბედნიერების დიდებით, ლექსის ინტონაცია, მისი საერთო განწყობილება არ არის ოპტიმისტური. კიდევ უფრო ვიწრო რკალით არის შემოფარგლული ლექსი „იქნებ ნატრობენ". ღამის ბინდში ქალ-ვაჟის ჩურჩულით გამოწვეული ციხის ნანგრევთა ძვლების სიხარულია გადმოცემული მასში. ეს არის ამ ნაწარმოების მთელი ნიშანდობლიობა. ასეთივე ვიწრო პირადულ განცდებზეა აგებული ლექსი „მე ალპანაში არ გელოდები". პოეტი ბედნიერებას გრძნობს იმის გამო, რომ მთებში სახეტიალოდ წასული უზრუნველ ჩიტს დამსგავსებია და უკაცურ ბილიკებზე გადაკარგულა, იგი, უზრუნველი და ნებიერი, იმითაც კმაყოფილია, რომ გულის სწორს ალპანაში არ ელოდება.

სიყვარულის თემა დიდი და საჭირო თემაა. საბჭოთა მწერალი თავს არ უნდა არიდებდეს ამ ცხოველმყოფელი, მადლიანი თემის დამუშავებას. ოღონდ ეს მაღალი გრძნობა კამერულ ჩარჩოებში არ უნდა მოამწყვდიოს შემოქმედმა. მისი გადაწყვეტა უნდა გასცდეს ვიწრო, კერძო, მარტოოდენ პირადული განცდების ფარგლებს. პიროვნება, ცოცხალი ადამიანი, რომელიც აქაც ყურადღების ცენტრში უნდა დააყენოს მწერალმა, არ არის საჭირო მაინცდამაინც სევდამ

შეიპყროს, ეს ამმაღლებელი გრძნობა ტანჯვად გადაექცეს, უიმედობით გაიმსჭვალოს და ცხარე ცრემლები ღვაროს. პირიქით, სიყვარულის ჯანსაღმა გრძნობამ კიდევ უფრო უნდა გააცხოველოს ადამიანის შემოქმედებითი ენერგია, კიდევ უფრო უნდა შეაყვაროს სიცოცხლე, აღაფრთოვანოს საგმირო საქმეების ჩასადენად.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსში — „პირველი თოვლის სიმღერა", „განთიადის თოვლი", „ხე და ქარი" შესანიშნავად არის გადმოცემული მშობლიური მხარის პეიზაჟები, პოეტურად არის განცდილი თითოეული დეტალი, ისინი მაინც უსაგნო პოეზიის ნიმუშებს წარმოადგენენ და ეს მით უფრო საგრძნობია მაშინ, როცა ლაპარაკია პოეტზე, რომლის კალამსაც ეკუთვნის ლექსი „ზღვა", აქაც ხომ ბუნების სურათი, სტიქიონის გააფთრებაა დახატული. მაგრამ რა ბრწყინვალედ არის მასში გადაწყვეტილი მხატვრული ამოცანა! ეს ლექსი წარმოადგენს იმის მკაფიო დადასტურებას, რომ ბუნების აღწერის დროსაც არის შესაძლებელი მაღალ იდეურ დონემდე ასვლა, რომ პეიზაჟის „ნეიტრალური" დახატვის დროსაც არის შესაძლებელი შესძინო ლექსს პუბლიცისტური სიმძაფრე, სოციალური პათოსი. „ზღვა" ნათლად წარმოგვიდგენს ადამიანთა უბედურებას უცხო მხარეში, რომელიც დაჰგმეს ცრემლების ნიაღვრით სავსე ზღვის ტალღებმა, და თავისუფლების ქვეყნის ნაპირებს მოაშორეს. ზღვა კი აღშფოთდა ამდენი უსამართლობით, ველარ აიტანა კაცთა წამების ცქერა, განრისხდა და

გაიქცა.
    მაშ რა ჰქნას,
რომ ცრემლი აღარ სურს
ზღვამ შესვას მარადმა,
საბჭოთა აჭარას,
    ყირიმს
    და აფხაზეთს
მოასკდნენ ტალღები
    თავშესაფარადა.

ჩვენი ქვეყნის წარსულის იდეალიზაცია, ისტორიზმით გატაცება, გარდასულ ჟამთა შესახებ გაზვიადებული წარმოდგენა ახასიათებს ირაკლი აბაშიძის პოემას „რას გადაურჩა თბილისი". პოემაში არ ჩანს ხალხი, მისი შრომა და ბრძოლა, მასში სჭარბობს ცალკე ისტორიული პირების ხოტბა. ეს კი ამცირებს ნაწარმოების სოციალურ მნიშვნელობას, ასუსტებს მის საზოგადოებრივ დიაპაზონს და მხატვრულ ღირსებასაც. პოემის ხელმეორედ გამოცემისას ავტორმა უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული გარემოება, გადაამუშავოს იგი ამ თვალსაზრისით და მაშინ ეს ნაწარმოებიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს არა მარტო პოეტის შემოქმედებაში, არამედ მთელ ჩვენს ისტორიულ მხატვრულ ლიტერატურაში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მსგავსი ხასიათის შეცდომები და მარცხი მწერალს მაშინ მოსდის, როცა მის წინაშე ისახება ცხოვრებისაგან მოწყვეტის საშიშროება, თანამედროვე, მოწინავე თვალსაზრისის უგულებელყოფა. მაგრამ ეს შეცდომები როდი განსაზღვრავენ ძირითადში ირაკლი აბაშიძის შემოქმედებას. ისინი მხოლოდ პოეტის ზრდის, მისი მხატვრული განვითარების გზაზე წამოჭრილი სიძნელეებია; ისინი ცალკეული ხარვეზებია. ეს ხარვეზები სრულიადაც ვერ ჩრდილავენ მის სწორ გზას, ერთ-ერთი გამოჩენილი მოწინავე ქართველი საბჭოთა პოეტის სწორ შემოქმედებითს გზას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ენაკოლოფაშვილი

ა. ს. გრიბოედოვი საქართველოში

წელს შესრულდა 125 წელი ა. ს. გრიბოედოვის გარდაცვალებიდან.

სახელი დიდი მწერლის ა. ს. გრიბოედოვისა, რომელსაც ა. ს. პუშკინი რუსეთის ერთ-ერთ უპკვიანეს ადამიანს უწოდებდა, მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან.

ა. ს. გრიბოედოვი საქართველოს პირველად ჯერ კიდევ 1818 წელს ესტუმრა. შექმნა მისი უკვდავი ნაწარმოებისა „ვაი ჭკუისაგან" აგრეთვე საქართველოსთან არის დაკავშირებული. საარქივო წყაროებში („კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტები", ტ. XI, გვ. 914) ვკითხულობთ: „აქ გაეცვნენ პოეტის უკვდავ ნაწარმოებს გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე რუსეთის ბევრ დიდ ქალაქში. ასლები კომედიისა „ვაი ჭკუისაგან" ხელიდან ხელში გადადიოდა. მას კითხულობდნენ ქართლისა და კახეთის პირველხარისხოვანი მემამულეების ოჯახებში". რა თქმა უნდა, ამ გარემოებას ისიც უწყობდა ხელს,, რომ ეს კომედია ავტორმა თბილისში დაწერა. ამას ადასტურებენ ბ. ბელინსკი, ქს. პოლევოი, დ. ერისთავი, ა. ბერჟე და სხვები.

დიდი დამსახურება მიუძღვის ა. გრიბოედოვს მეფის მთავრობის მონობის უღელქვეშ მყოფი ამიერკავკასიის ხალხებს შორის, რომელთაც იგი დიდი რუსი ხალხის თანამოქალაქეებს უწოდებდა, არსებული განსხვავების წაშლისათვის, „ზნეობრივი ძალებით" მათი დაკავშირებისათვის.

ა. ს. გრიბოედოვს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ეროვნულ კულტურათა მხოლოდ თავისუფალი შემოქმედებითი განვითარებით, რუსი ხალხისათვის მაორგანიზებელი როლის მიკუთვნებით იყო შესაძლებელი ხალხთა შეუფერხებელი, ნამდვილი წინსვლა. იგი დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს ისტორიისადმი, საქართველოში ბატონყმობის საკითხისადმი, გულწრფელად უყვარდა ქართველი ხალხი, სურდა მისი კეთილდღეობა და ბედნიერება. იგი ზრუნავდა ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებაზე, როგორიცაა ქალაქ თბილისის კეთილმოწყობა, გაზეთ „თბილისის უწყებანის" გამოცემა, საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება, სკოლის გადაკეთება გიმნაზიად, საქართველოს ზოგიერთი რაიონის აღწერა სტატისტიკური, ფინანსიური და ეთნოგრაფიული მხრივ.

იმ დროს, როცა სპარსეთის ურდოები ვერაგულად თავს დაესხნენ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ საზღვრებს, ა. ს. გრიბოედოვი საქართველოში იმყოფებოდა. თბილისში ყოფნისას დაწერა მან აგრეთვე (1826 — 27 წლებში) ტრაგედია „საქართველოს ღამე", რომელიც ავტორის თანამედროვეთა შეფასებით, „დაამშვენებდა არა მარტო რუსულ, არამედ მთელ ევროპულ ლიტერატურას". თბილისშივე ჩაიფიქრა გრიბოედოვმა ტრაგედიის — „რადამისტ და ზენობიას" — გეგმა საქართველოსა და სომხეთში უძველეს დროს მომხდარი ამბების ფონზე.

1819 წლის დამდეგს გრიბოედოვი გაემგზავრა სპარსეთს, როგორც რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენელი. იქ შექმნა მან პოემა „მოგზაური", რომელსაც ჩვენამდე მთლიანად არ მოუღწევია. პოემის ერთ ნაწყვეტში ლაპარაკია ჭაბუკი ქართველის შესახებ, რომელიც გადაუცვლიათ ძვირფას ჭურჭელში და სპარსეთში ქარავანთან ერთად წაუყვანიათ.

როცა 1821 წელს თბილისს ჩამოვიდა, გრიბოედოვი ახლოს გაეცნო ბატონყმობის სხვა საშინელებებთან ერთად ადამიანთა გაყიდვის პრაქტიკას. ეს თემა შემდეგში საფუძვლად დაედო მწერლის ნაწარმოებს „საქართველოს ღამეს", რომელსაც ჩვენამდე მთლიანად არ მოუღწევია.

1821 წელს ა. ს. გრიბოედოვი თბილისს გადმოვიდა სამსახურში — მდივნად უცხოეთის განყოფილებაში, სადაც დაჰყო 1823 წლის მარტამდე.

რაკი აზრთა სხვადასხვაობაა იმის გამო, თუ სად დაწერა „ვაი ჭკუისაგან", ინტერესსმოკლებული როდია გავიხსენოთ გაზეთ „ივერიის" 1893 წლის № 188-ში მოთავსებული ცნობა ქართველი საზოგადო მოღვაწის გ. საძაგლიშვილისა (ყირიონისა). ავტორი აცნობს მკითხველებს ამ

კომედიის მის მიერ აღმოჩენილი ხელნაწერი ნუსხის შესახებ. ეს ნუსხა ეკუთვნოდა გორის რაიონის სოფელ ტირძნისში მცხოვრებ სულხანიშვილის ოჯახს. გ. საძაგლიშვილს მოჰყავს აღნიშნულ ნუსხაზე ნაპოვნი მინაწერი, რომ კომედია დაწერილია საქართველოში. მიწერილია დაწერის თარიღიც: 1822 წელი. ა. გრიბოედოვის კომედიის ხელნაწერი ნუსხა, იმის არნიშვნით, რომ პიესა დაწერილია საქართველოში 1822 წელს, იმყოფება აგრეთვე ბახრუშინის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ მუზეუმში. ამრიგად, უდავოდ უნდა ჩაითვალოს მოსაზრება, რომ „ვაი ჭკუისაგან" თავისი პირველი რედაქციით შექმნილია თბილისში.

სავსებით სწორია ა. გრიბოედოვის შემოქმედების ცნობილი მკვლევარის ქს. პოლეეოის მტკიცება იმის შესახებ, რომ თავისი კომედიის თბილისისეული რედაქცია ავტორმა მოსკოვში ჩასვლის შემდეგ თითქმის მთლიანად გადააკეთა და ბევრი სცენა ხელახლა დაწერა.

თბილისში ყოფნის ამ პერიოდში ა. გრიბოედოვი ხშირი სტუმარი ყოფილა კახეთისა, სადაც თავის მამულში, სოფელ წინანდალში, ცხოვრობდა ალექსანდრე ჭავჭავაძე. ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი გამოირჩეოდა თავისი მაღალი კულტურული დონით. ქართული ენის გვერდით აქ დიდ მოწონებასა და პატივისცემაში იყო რუსული და ფრანგული ენები, ზედმიწევნით იცნობდნენ მოწინავე ქვეყნების კლასიკურ მუსიკას, თეატრისა და ლიტერატურის უახლეს მიღწევებს. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში იქნა წარმოდგენილი პირველად ა. გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან".

ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულით აღტაცებული იყო საფრანგეთის კონსული გამბა, რომელიც თავის „მოგზაურობაში" აღნიშნავს, რომ ეს არის „საკვირველება და იგი თავისი მოწყობილობით არაფრით არ ჩამოუვარდება საუკეთესო ევროპულ ციხედარბაზს". მთელ მაშინდელ მოწინავე ახალგაზრდობას უდიდეს პატივად და სიამოვნებად მიაჩნდა ჭავჭავაძის ოჯახში სტუმრობა. წინანდლის ხშირი სტუმრები იყვნენ ყარაგაჩში მდგომი ნიჟეგოროდის პოლკის ოფიცრები. ლევ პუშკინის მიერ აქ მიღებულ დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ვეცნობით მისი შამის — სერგი ლევის-ძე პუშკინის წერილიდან თავის ქალიშვილ ოლგასადმი (1835 წლის 9 ივლისის თარიღით).

კახეთში ა. ს. გრიბოედოვის ყოფნამ თავისი პოეტური გამოხატულება ჰპოვა, კერძოდ, ლექსის ნაწყვეტში, რომელიც იწყება სიტყვებით: „იქ, სადაც ველზე სჩქეფს ალაზანი"... წინანდლის გარდა გრიბოედოვი არაერთგზის ყოფილა კახეთის სხვა კუთხეებშიც. კიუხელბეკერისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში 1822 წლის 1 ოქტომბერს პოეტი აღნიშნავს: „ახლახან მომაწერინეს ხელი, მაცნობეს — ქ. კლენდსიდან კახეთს უნდა გავემგზავრო; ეს მესამე მოგზაურობაა იმ დროიდან, რაც ჩვენ ერთმანეთს დავშორდით..." რა ხასიათისა იყო ა. გრიბოედოვის პირველი ორი მოგზაურობა, დღემდე არ იყო გამორკვეული. რობერტ ლაიოლის წიგნის მასალა — „მოგზაურობა რუსეთში, ყირიმში, კავკასიასა და საქართველოში (1825 წ.)" ამ ხარვეზს ავსებს. როგორც აღწერიდან ჩანს, ლაიოლი და გრიბოედოვი გამგზავრებულან თბილისიდან კახეთისაკენ 1822 წლის 22 ივნისს. თელავში ჩასვლის შემდეგ ღამე გაუთევიათ ენისელში, ჯორჯაძის ოჯახში. მათ მოუნახულებიათ აგრეთვე ყვარელი, სტუმრად სწვევიან ჭავჭავაძიანთ ძველებურ ოჯახს. უკანვე გამობრუნებისას დაუთვალიერებიათ გრემის ძველი ციხე-სიმაგრე, ალავერდის მონასტერი და ციხე-სიმაგრე.

წინანდალში ამჟამადაც ნახავთ გრიბოედოვის სახელთან დაკავშირებულ ადგილებს — ფანჩატურს, რომელიც პოეტს განსაკუთრებით უყვარდა თურმე, დანგრეულ ეკვდერს, რტოებგაშლილ ცაცხვს. თავის ახლო მეგობარი ქალის პ. ახვერდოვასადმი გაგზავნილ ბარათში გრიბოედოვი წერს: „გადაეცით ნინოს, რომ ასე გაგრძელება აღარ მოხერხდება, და რომ მალე, არაუგვიანეს 2 წლისა, მე გავხდები წინანდლის განდეგილი".

ხოლო თავის უფროსს, გენერალ პასკევიჩს, მოურიდებლად აცნობებს: „თუ საწყენს შემა ჩვენდრებენ, მაშინ მშვიდობით, პატივმოყვარეობავ და ყველაფერო, რაც მასთან არის დაკავშირებული. ეს ხომ ჩემი მთავარი მისწრაფება არ არის. უფრო მეტად მიღირს წინანდალი და კახეთი, თუმცა მეტი არაფერი გამაჩნია, გარდა იმედისა — მივიღო აღმატება და მცირე პენსია, რისი დამსახურებაც მომავალში უნდა შევძლოო.

ამავე დროს ა. ს. გრიბოედოვი ახლო მონაწილეობას იღებდა დიდ მუშაობაში სპარსეთთან სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებისათვის. სპარსეთთან რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სატრანზიტო ვაჭრობას საქართველოს საშუალებით, სპარსეთ-ოსმალეთის ომის გამო ტრაპიზონ-თავრიზის საქარავნო გზის დაკეტვასთან დაკავშირებით, უდიდესი მნიშვნელობა ეძლეოდა. ასეთი ღონისძიებებით ზიანს განიცდიდა ინგლისის სავაჭრო საქმე სპარსეთში და შესაძლებლობა იქმნებოდა აღდგენილიყო რუსეთ-სპარსეთის ვაჭრობა, რასაც თავისი ტრადიცია ჰქონდა.

თბილისში ა. გრიბოედოვი ცხოვრობდა ე. წ. „სომხური ბაზრის" მიდამოებში, პატარა

სახლში, სადაც ეჭირა ზედა სართული, რომელიც მხოლოდ ორი პატარა ოთახისაგან შედგებოდა. როგორც დ. გ. ერისთავი გადმოგვცემს, ეს სახლი მდებარეობდა ეკზარქოსის მოედანზე (ამჟამად ერეკლეს მოედანი), ალექსანდრე ვახტანგის-ძე ორბელიანის სახლის მახლობლად. ეს ცნობა დასტურდება ა. გრიბოედოვის დღიურში ჩანაწერით (1822 წლის 5 მარტი).

1827 წლის 25 აპრილს, სენატისადმი გაცემული ბრძანებით, გრიბოედოვი დანიშნა სრულუფლებიან მინისტრად სპარსეთში. გარდა თავისი უშუალო სამსახურებრივი საქმეებისა, გრიბოედოვს პეტერბურგში ზრუნვა მოუხდა აგრეთვე ცენზურის წინაშე „ვაი ჭკუისაგან"-ის გამოსაცემად. ამიტომ მან მხოლოდ 5 ივლისს შეძლო თბილისში ჩამოსვლა. იგი დაბინავდა მეფის ნაცვლის სასახლეში.

ვიდრე სპარსეთს გაემგზავრებოდა, გრიბოედოვი დაინიშნა ნინო ჭავჭავაძეზე, რომელსაც გაეცნო თბილისში პირველად ჩამოსვლის თითქმის პირველი დღეებიდანვე. ნინო ჭავჭავაძე ა. ს. გრიბოედოვთან შედარებით 17 წლით უმცროსი იყო. მათი ქორწინება 22 აგვისტოს შედგა.

ყოველივე ამის მიუხედავად, გრიბოედოვს ერთი წუთითაც არ შეუნელებია ზრუნვა ჩვენი მხარის საკეთილდღეო პრაქტიკული საკითხების მოგვარებისათვის. სწორედ ამ პერიოდში ზავილეისკისთან ერთად მან შექმნა პროექტი ამიერკავკასიაში რუსეთის კომპანიის ჩამოყალიბების შესახებ. გრიბოედოვისეული პროექტი ნათლად გამოხატავს დიდი რუსი მწერლის სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ შეხედულებებს. აქ წამოყენებულია საჭიროება საქართველოში ფაბრიკების, სკოლების შექმნისა, აგრეთვე რუსეთიდან და სხვა მხარეებიდან ოსტატების მოწვევის აუცილებლობა შუშის, ნართის დამზადებისა, აბრეშუმის ძაფის ხვევის საქმის მოსაწესრიგებლად. პროექტში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ქვეყნის ეკონომიურ რესურსებს, სოფლის მეურნეობის კულტურათა განვითარებას, მათი ახალი სახეობების დანერგვას. მეაბრეშუმეობა, მევენახეობა, მებამბეობა, ნავთობის მრეწველობა, — აი ის დარგები, რაც პირველ რიგში იყო გათვალისწინებული პროექტის მიხედვით.

ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში, პროექტის მიხედვით, უმნიშვნელოვანესი როლი ჰქონდა დაკისრებული ალ. ჭავჭავაძეს.

სპარსეთში ჩასვლის შემდეგ არ შეუწყვეტია გრიბოედოვს ზრუნვა ამიერკავკასიის ხალხთა კეთილდღეობაზე. კერძოდ, ეს გამოიხატა ღონისძიებაში, რაც გრიბოედოვმა განახორციელა ქართველი და სომეხი ტყვეების განთავისუფლებისათვის. ამ გარემოებამ შეუწყო ხელი იმ კონფლიქტის გამწვავებას, რაც შემდეგ გამოვლინდა რუსეთის საელჩოზე საბედისწერო თავდასხმაში, რომლის დროსაც საელჩოს სხვა თანამშრომლებთან ერთად მოკლეს გრიბოედოვი 1829 წლის 30 იანვარს.

ა. ს. გრიბოედოვის ნეშტი ჩამოასვენეს თბილისში და დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში.

ქართველი ხალხი დიდი სიყვარულით და პატივისცემით ინახავს გულში გრიბოედოვის ნათელ ხსოვნას. იგი ერთ-ერთი პირველი რუსი მწერალი იყო, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებდა და თავდადებით იბრძოდა რუსი და ქართველი ხალხების ძმური დაახლოებისა და განუყრელი კავშირის განმტკიცებისათვის. ამიტომ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ა. ს. გრიბოედოვის დიდებულ სახელს ჩვენს დროში, როცა ერთა შორის ლენინურ-სტალინური მეგობრობის იდეა უკვე განხორციელდა და ხელშესახებ რეალობად იქცა სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის ქვეყნებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან ასათიანი

მარიამ გარიყული

☆

ორმოცდაათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ქართული ლიტერატურის ასპარეზზე გამოვიდა დღეს მხცოვანი და დამსახურებული მწერალი ქალი მარიამ გარიყული. ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე იგი მთელი თავისი უნარისა და შესაძლებლობის ფარგლებში უმწიკვლოდ და ერთგულად ემსახურებოდა მშობლიური ხალხის ლიტერატურას. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს რომ მეტი და უკეთესი ნაწილი მარიამ გარიყულის შემოქმედებისა მოდის საბჭოთა პერიოდზე.

მარიამ გარიყული, — მარიამ ლუკას ასული თათეიშვილი, — დაიბადა 1883 წელს დასავლეთ საქართველოში (სოფელ გუბში), საშუალო შეძლების მოსახლე ლუკა თათეიშვილის ოჯახში. ლუკა თათეიშვილი, მამა ჩვენი მწერალი ქალისა, იყო მწიგნობარი, ხალხური მოლექსე, მისი პოეტური ნაწარმოებები დროგამოშვებით „ივერიის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა გუბელის ფსევდონიმით. გარდა ლექსებისა, გუბელს უწერია პოემებიც, მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ცალკე წიგნად გამოცემული პოემა „სიყვარული“, ხალხში „გივის წიგნად“ ცნობილი. ლუკა თათეიშვილის, როგორც მწიგნობარისა და ლიტერატურის — მოყვარე ადამიანის, დასახასიათებლად საჭიროა მოვიგონოთ მისი ფართო ნაცნობობა იმდროინდელ ქართულ ლიტერატურულ წრეებში. მას იცნობდნენ აკაკი, რაფიელ ერისთავი, ირ. ევდოშვილი. აკაკისა და რაფ. ერისთავს მისთვის წერილებიც მიუწერიათ.

როგორც ვხედავთ, მარიამ გარიყულის არსებაში პატარაობიდანვე ჩასახულ ინტერესს წიგნისადმი და აგრეთვე შემდგომ გაღვივებულ მიდრეკილებას მწერლობისადმი თავისი ნიადაგი უკვე მშობლიური ოჯახის გარემოცვაში ჰქონია.

პირველი ანბანი პატარა მარიამმა ისწავლა სოფლად მცხოვრები ინტელიგენტის ღოღობერიძისაგან. რევოლუციამდელ ქართულ სოფელში, როგორც ცნობილია, სკოლა იშვიათი იყო, — სკოლა არ იყო გახსნილი მარიამის სოფელშიც, და ეს მადლიანი ადამიანი, სოფლის უჩინარი მოღვაწე თავისი ნება-სურვილით, უფასოდ ასწავლიდა თურმე წერა-კითხვას სოფლის ბავშვებს.

პატარა ბავშვის ფანტაზიის შემდგომ განვითარებაზე დიდი ღვაწლი გაუწევიათ მის დიდედას და აგრეთვე დეიდას, რომელთაგან პირველი მფლობელი იყო წარმტაცი ზღაპრებისა და ლეგენდების დაუშრეტელი მარაგისა, ხოლო მეორე — საუკეთესო მთხრობელი წიგნებში ამოკითხული ამბებისა. დეიდას წყალობით მარიამს უკვე პატარაობიდანვე გაუცვნია ქართველ კლასიკოს მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებნი — აკაკის „პატარა კახი“ და აგრეთვე ლექსები, ილიას „სახრჩობელაზე“, ჭონქაძის „სურამის ციხე“, ხალხური „ეთერიანი“ და სხვ.

1892 წელს მარიამი იწყებს სწავლას ქუთაისის ქალთა პირველდაწყებითს სასწავლებელში. მალე ამის შემდეგ მამამისი, რკინიგზის სამსახურში შესული, საცხოვრებლად გადმოდის თბილისში და თან მოჰყავს თავისი პატარა ქალიც.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, სხვადასხვა მიზეზების გამო, უხაყოფო ხდება პატარა მარიამის არაერთგზისი საცადელი სამუალო სასწავლებელში მოხვედრისა. იგი სკოლის გარეთ რჩება. მაგრამ ეს არ აცხრობს მასში სწავლის სურვილს. პირიქით, იგი ხელს ჰკიდებს თვითგანვითარებას და გატაცებით ეწაფება როგორც ქართული, ისე რუსული ლიტერატურის კითხვა-შესწავლას.

ამასობაში გადის ხანი და ჩვიდმეტი წლის მარიამს ჩვენ ვხედავთ ავჭალის აუდიტორიის სცენაზე. ამ თეატრის საქმეებს მაშინ ხელმძღვანელობდა ცხრაასიანი წლების საკმაოდ ცნობილი ქართველი მოღვაწე ქალი, საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორი მარიამ დემურია.

აქ, ამ ავჭალის აუდიტორიაში, იხილა პირველად ახალგაზრდა მარიამმა ქართული თეატრის კორიფეები — ვასო აბაშიძე და ნატალია გაბუნია, ნიჭიერი მსახიობები — კოტე შათირიშვილი, სვიმონ სვიმონიძე, დათიკო აწყურელი; აქვე გაეცნო იგი რევოლუციის მგზნებარე პოეტსა და მომღერალს იროდიონ ევდოშვილს. ამ არტისტულ სამყაროში შესვლა უაღრესად კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ახალგაზრდა ქალის გონებრივ განვითარებაზე, მის საზოგადოებრივ ინტერესთა სფეროს გაფართოვებაზე. ახალგაზრდა მარიამი იწყებს მუშაობას სცენაზე. ის ასრულებს პატარ-პატარა როლებს. მისი პირველი დებიუტი ხდება პიესაში „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“.

1901 წელს მარიამი დროებით ტოვებს თბილისს და მუშაობას იწყებს ქუთაისის ქართულ თეატრში, რომელსაც იმ დროს ხელმძღვანელობდა ლადო მესხიშვილი. აქ მარიამი ატარებს სამ წელიწადს. ის თამაშობს მეორე და მესამეხარისხოვან როლებს, ზოგჯერ რომელიმე წამყვანი მსახიობი ქალის ავადმყოფობის შემთხვევაში თუ ეღირსება იგი პირველ როლებში გამოსვლას. ასე მაგალითად, მას უთამაშია დეზდემონას როლიც. მაგრამ მსახიობის გზა არ იყო ნამდვილი მოწოდება მარიამ გარიყულისა. ამას იგი თავიდან გრძნობდა და არც პრეტენზია ჰქონდა ამისი. თეატრალური პერიოდი მარიამის ცხოვრებაში წარმოადგენდა მხოლოდ იმ კეთილისმყოფელ კულტურულ ატმოსფეროს, სადაც იზრდებოდა, ღვივდებოდა მისი ფართო ინტერესი მწერლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი.

და მართლაც, ქუთაისის სცენაზე ყოფნის დროსვე იწყებს მარიამი თავის პირველ ლიტერატურულ ცდებს. იგი ხელს ჰკიდებს ი. ჭავჭავაძისა და ე. ნინოშვილის მოთხრობათა პიესებად გადმოკეთებას. იმ დროს ქუთაისის თეატრში მოღვაწე შალვა დადიანის რჩევით, ახალგაზრდა მარიამი დამოუკიდებელ შემოქმედებასაც იწყებს: ქუთაისში ყოფნის დროსვე წერს პატარ-პატარა მოთხრობებს და ესკიზებს. მაგრამ კალმის ეს პირველი ცდები ჯერ კიდევ ვერ ნახულობენ პრესის ფურცლებს.

1904 წელს მარიამი ისევ თბილისში ჩამოდის და იწყებს კერძო სამსახურს, ამავე დროს, უბრუნდება თავის საყვარელ სახალხო სცენას. აქ ის უახლოვდება რკინიგზელ მუშათა წრეებს, კრებს სცენისმოყვარეებს და მართავს წარმოდგენებს რკინიგზის აუდიტორიაში. ამ დროს რკინიგზელები დგამენ ჰენრიხ იბსენის „ექიმ შტოკმანს“, ანდრეევის პიესას — „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ და სხვ.

1905 წელი, სოციალისტური და პოლიტიკური გრიგალების, საბარიკადო ბრძოლების, თავგანწირვისა და აღფრთოვანების ეს დიადი დღეები მარიამ გარიყულის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღინიშნა კიდევ ერთი სამახსოვრო თარიღით: ამ წელს იგი თხოვდება და იწყებს თავის ახალ ცხოვრებას, ამავე წელს იბეჭდება მისი პირველი მოთხრობა და ამით საფუძველი ეყრება მის ხანგრძლივ ლიტერატურულ-შემოქმედებითს მოღვაწეობას.

მარიამ გარიყულის პირველი მოთხრობა, მ. გორკის ნაწარმოებთა ზეგავლენით დაწერილი, სათაურით „ცხოვრების მსხვერპლნი" დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცლის" დამატებაში. ამ გაზეთს მაშინ რედაქტორობდა და სცემდა ცნობილი ქართველი მწიგნობარი და გამომცემელი ალექსანდრე ჯაბადარი. გაზეთის ლიტერატურულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა იმ დროს ახალგაზრდა ლიტერატორი, ჩვენი საბჭოთა ლიტერატურული თაობისათვისაც კარგად ცნობილი ილია აღლაძე. შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა მარიამ გარიყულის პირველი კონსულტანტი და მრჩეველი მისი ლიტერატურული გზის დასაწყისში ეს თავდაბალი, დაუღალავი და უანგარო მოღვაწე იყო.

ამის შემდეგ მარიამ გარიყული იწყებს ინტენსიურ ლიტერატურულ მუშაობას და აქვეყნებს თავის მოთხრობებს ქართული გაზეთებისა და ჟურნალების — „ცნობის ფურცლის", „სახალხო ფურცლის", „დროების", „ერის" „კლდის", „ხალხის მეგობრის" და სხვა გამოცემათა ფურცლებზე.

მარიამ გარიყულის ადრინდელ ნაწარმოებთა შორის შეიძლება დავასახელოთ ისეთი მოთხრობები, როგორიცაა „ჩვეულებრივი ამბავი", „ბორკილი", „ჩინოვნიკი", „სოფლის მსუნაგები", „ღმერთად მიწამე", „რად ვერ იცნო", „სარდაფში", „ღარიბთა ჭერ-ქვეშ", „ღიმილი", „ჯაშუში", „საიდუმლო", „მწერლის კაბინეტი", „ია", „ზამბახი", „ყვავილთა ქვეყანა", „ვერ მიაღწია", „უფლება", „ახალი მასწავლებელი" და სხვ.

მარიამ გარიყული ამასთანავე თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალ „ნაკადულშიაც", სადაც დროგამოშვებით ათავსებდა საბავშვო მოთხრობებს.

ამავე დროს ის ვერ ღალატობს თავის ძველ გატაცებისაც: 1914 წლიდან მოკიდებული, ქუთაისსა, სამტრედიასა და გორში ცხოვრების დროს ის მუდამ ახლოს არის ადგილობრივ თეატრალურ ცხოვრებასთან და აქტიურად მოღვაწეობს რაიონული თეატრების სცენაზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მარიამ გარიყულმა ახალი ენერგიითა და ენთუზიაზმით განაგრძო თავისი ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობა. საბჭოთა პერიოდში იგი უფრო მეტი სიღრმით სწვდება სოციალურ გარემოცვას. თანამედროვე ცხოვრების თემაზე მარიამ გარიყული წერს მრავალ დიდსა და პატარა მოთხრობას, მათ შორის ისეთებს, როგორიცაა „ნანიკო", „დონა", „ვისი ბრალია", „ვალე", „ერთი ღამის ამბავი", „ცოლ-ქმარი", „მეგობრები" და სხვა. ამ ნაწარმოებებთან შედარებით, როგორც თავისი მოცულობით, ისე ცხოვრების მოვლენათა ღრმა გაშუქებით და ახალ, საბჭოთა ადამიანების ფართო ასახვით, ყველაზე მნიშვნელოვანია რომანი „ანარეკლი".

ამ რომანში მარიამ გარიყულმა გვიჩვენა ქართული საბჭოთა სინამდვილის სურათები, ჩვენი სოფლისა და ქალაქის ახალი ყოფა, ახალი ურთიერთობანი, ახალგაზრდობის ცხოვრება, ფიქრები და განცდები.

მისი რომანის გმირები — ტატე, თინა, თამრო, დიღმელაანთ ნიკა და სხვები წარმოადგენენ ჩვენი საბჭოთა ცხოვრებიდან ამოღებულ ცოცხალ სახეებს.

მარიამ გარიყულს სამამულო ომის დღეებში დაწერილი აქვს მოთხრობები: „შემთხვევა“, „დედა“, „დურგალი მიხეილი“.

მარიამ გარიყული ამ მოთხრობებით გამოეხმაურა ჩვენი საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლასა და თავდადებას სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავად წარმოებულ დიდ სამამულო ომში.

აღსანიშნავია, რომ ამ მოთხრობებიდან „დურგალი მიხეილი“ დაწერილია მოძმე უკრაინელი ხალხის ცხოვრების მასალაზე. მოხუცი უკრაინელი, მიხეილი, სამამულო ომის დროს შეუპოვრად შეებრძოლება შემოსეულ ფაშისტებს და იღუპება ამ ბრძოლაში, როგორც შეეფერება გმირსა და სამშობლოსათვის თავდადებულ შვილს.

მარიამ გარიყულის სულ ბოლო ხანების ნაწარმოებს წარმოადგენს მოთხრობა „ტრაქტორისტები“. აქაც მწერალმა ქალმა რეალისტი მხატვრის თვალით ასახა ჩვენი საბჭოთა სოფლის მოწინავე ახალგაზრდობის ცხოვრება, მოგვცა ამ ცხოვრების კოლორიტული სურათები, აღსავსე შრომით, ბრძოლითა და ენთუზიაზმით. მან შეძლო მოეცა მთელი გალერეა ცხოვრებიდან აღებული, ხორცშესხმული გმირებისა, რომლებიც საბჭოთა სინამდვილის ღვიძლი შვილები არიან და რომელთა მისწრაფებანი, გრძნობანი და ოცნებანი ტიპიურია და გამოხატავენ ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობის სულისკვეთებას.

მარიამ გარიყულის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მის მხატვრულ ნარკვევებს, რომლებიც გამოქვეყნდა უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე და მიძღვნილია ჩვენი თანამედროვე ყოფა-ცხოვრების, სოფლის მეურნეობისა და წარმოების თემებისადმი.

მწერალი ქალი მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კოლმეურნეობებსა და წარმოებებში, ქარხნებსა და მაღაროებში, — და ამ მოგზაურობის შედეგს მარიამ გარიყული ნარკვევებისა და საგზაო შთაბეჭდილებების სახით ბეჭდავს ჩვენი პრესის ფურცლებზე. მარიამ გარიყულის მრავალრიცხოვანი ნარკვევებიდან აღვნიშნავთ ისეთ ნაწარმოებებს, როგორიცაა „ჩვენი შაქარი“, „ლაითურის მეურნეობა“, „ქუთაისის პირველი ქარხანა“, „ბახვის მევენახეობა“, „ტყიბული“, „წინანდლის მეურნეობა“, „თელავის ძაფსაღები ქარხანა“, „კისისხევის მეტყევეთა მეურნეობა“, „ძველი და ახალი სამტრედია“, „ძველი და ახალი ჭიათურა“, „ზუგდიდის ჩაის ფაბრიკა“, „რკინიგზის მთავარი დეპო“, „ვანელი კოლმეურნეები“, და სხვ.

მარტო სათაურების ჩამოთვლაც კი საკმარის წარმოდგენას გვაძლევს იმ მრავალფეროვან, მდიდარ და საინტერესო შთაბეჭდილებებზე, რომლებიც გადმოგვცა მწერალმა ქალმა თავის ნარკვევებში, მხოლოდ ჩვენი თანამედროვე საბჭოთა ცხოვრებისადმი ღრმა ინტერესითა და გულწრფელი სიყვარულით უნდა აიხსნას ჩვენი დამსახურებული მწერალი ქალის ასეთი ნაყოფიერი მოღვაწეობა.

მარიამ გარიყულის წვლილი ქართულ ლიტერატურაში მარტო მხატვრულ-შემოქმედებითი მუშაობით არ ამოიწურება. მან შეჰმატა ქართულ მემუარულ მწერლობას ახალი მხატვრული შრომა — „განვლილი გზა“.

ვისაც ეს მოგონებები წაუკითხავს, მას ალბათ არ დაავიწყდება მოგონებათა ის ადგილები, სადაც ავტორი აგვიწერს დასავლეთ-საქართველოს რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრებას, ვაკე-იმერეთის მცხოვრებთა დამახასიათებელ ყოფას, ადათებს, ჩვეულებებს.

სამუდამოდ დასამახსოვრებელია ის ადამიანებიც, რომლებიც აგვიწერა მწერალმა ქალმა თავის მოგონებებში. გავიხსენოთ, თუნდაც, დეიდა ჯაჭულოს სახე, რომელსაც ამ ორიგინალურ სახელს იმიტომ უწოდებდნენ, რომ ჭუჭუნა თვალები ჰქონდა. მაგრამ მარტო თვალებით არ იყო საინტერესო ეს ქართველი ქალი, იგი ატარებდა ძველი ქართველი ქალების იმ ტიპიურობის ნიშანს, რომელიც ახასიათებდა მათ, როგორც კულტურული ერის ნაშიერებს. ჯაჭულო მწიგნობარი ქალი იყო, მისი საკითხავი წიგნები იყო სახარება და სამოციქულო, მაგრამ მის განუშორებელ საკითხავ წიგნს კი წარმოადგენდა „ვეფხისტყაოსანი", რომელიც თან დაჰქონდა, დაძინების დროს სასთუმალთან ედო და ძილის წინ ჩვეულებისამებრ უნდა წაეკითხა რამდენიმე ტაეპი მაინც.

ასევე საინტერესოა წიგნის სხვა ადგილებიც. გავიხსენოთ თუნდაც მწერალი ქალის მიერ აღწერილი ავჭალის აუდიტორია, აგრეთვე ის ადგილები, სადაც იგი აგვიწერს ქუთაისის თეატრალურ ცხოვრებას, მსახიობთა ყოფას, ქართველ რევოლუციონერთა ბრძოლას და თავდადებას. მთელი გალერეა ქართველი მწერლების, მსახიობების, რევოლუციონერებისა გაივლის მკითხველის თვალწინ, როგორც დაუვიწყარი სახეები სამშობლოსათვის, ხალხისათვის თავდადებული, ღვაწლმოსილი ადამიანებისა. რად ღირს, თუნდაც, ამ წიგნის ის ფურცლები, სადაც ავტორი აღადგენს დიდი ქართველი მსახიობის ლადო მესხიშვილის სახეს, მის საუბარს, მის მუშაობას ქუთაისის თეატრში. ასევე საინტერესოა ჟანრული სურათი ქუთაისის თეატრში, სადაც თეთრწვერა მოხუცი, ჩოხიანი დარაჯი ივანე ნაჭყეპია წარმოდგენაზე, ყოველი მოქმედების დაწყების წინ ჩამოუვლის პარტერში დაკიდებულ ლამპებს, რათა პატრუქები დაუწიოს მათ და ამით სათანადოდ დააბნელოს თეატრი. დიდი ინტერესით იკითხება წიგნში ის ადგილები სადაც ავტორი აგვიწერს ქართველ რევოლუციონერთა ბრძოლას მეფის პოლიციელებისა და ჟანდარმების წინააღმდეგ, მათ კონსპირაციულ ცხოვრებას, ხიფათითა და განსაცდელით აღსავსე მათს მოღვაწეობას.

სამოცდაათი წელი ცხოვრებისა მეტად საგრძნობი მანძილია ადამიანისათვის. მაგრამ გარიყულმა, როგორც მწერალმა და მოქალაქემ, თავისი 70 წლის ცხოვრებიდან ორმოცდაათი წელიწადი შესწირა ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობას, მშობლიური ლიტერატურისადმი უანგარო და უმწიკვლო სამსახურს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

★

მხატვრული ლიტერატურა

ილო მოსაშვილი — გზა მომავლისა. პიესა 3
კალე ბობოხიძე — სიმღერა საბჭოთა არმიაზე. ლექსი 59
აკაკი გეწაძე — ცრემლები და სიცილი. ლექსები 60
გიორგი ჩიკვაიძე — კუნძულ ბელუხასთან. მოთხრობა 68
ილია აროსია — თებერვლის დილა. ლექსი 98
ვადიმ სობკო — გული. მოთხრობა. თარგმანი პოლიო აბრამიასი 99

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გიორგი ხაჭაპურიძე — საქართველოს შეერთება რუსეთთან. წერილი 124
პეტრე ბახტურიძე — ირაკლი აბაშიძის პოეზია. წერილი 139
ი. ენაკოლოფაშვილი — ა. ს. გრიბოედოვი საქართველოში. წერილი 152
ლევან ასათიანი — მარიამ გარიყული. წერილი 155

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/II-54 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. ᲣᲔ 00275.
შეკვეთის № 79. ტირაჟი 5500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ., № 5.
ტელ. 3-23-42.